ირაკლი კოვზანაძე

საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2001

УДК 336(479.22)
კ 664

ნაშრომი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემებზე დაწერილი პირველი კომპლექსური მონოგრაფიული გამოკვლევაა. მასში განხილულია კომერციული ბანკების როლი საბანკო სისტემის განმტკიცებასა და ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებაში, მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებანი. გაანალიზებულია კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირების აუცილებლობა. საკმაო სიღრმითა და სისრულითაა გადმოცემული კომერციული ბანკების მდგრადობისა და საიმედოობის განმსაზღვრელი პირობები, ფაქტორები, მაჩვენებლები და მეთოდიკა, შენევმენტის როლი ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცებაში. შესწავლილია კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების საკითხები და ლიკვიდობის ეკონომიკური ნორმატივები, ამ ბანკების მიერ საინვესტიციო ფუნქციების განხორციელების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. გადმოცემულია კომერციული ბანკების საქმიანობის კომპლექსური შეფასებისათვის ფინანსურ კოეფიციენტთა სისტემის შემუშავების საკითხები, აგრეთვე საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი სხვა მნიშვნელოვანი და დღეისათვის აქტუალური პრობლემები.

წიგნი გათვალისწინებულია მეცნიერ-მკვლევრების, პედაგოგების, ასპირანტების, საბანკო საქმის სპეციალისტების, ფინანსისტ-ეკონომისტების, ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი
თსუ ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გივი გამსახურდია

რეცენზენტები:
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ჯემალ შათირიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
გულთაზ ლაბარტყავა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

0605010204
კ 608(06)-01

ISBN 99928-32-36-3

შინაარსი

შესავალი 5

თავი I

კომერციული ბანკების როლი საბანკო სისტემის განმტკიცებაში 13

§1. კომერციული ბანკების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში 13

§2. კომერციული ბანკი, როგორც საფინანსო ბაზრის განსაკუთრებული ეკონომიკური სუბიექტი. 43

§3. საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში 58

თავი II

კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით 75

§1. კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის კონცეფტუალური საფუძვლები 75

§2. საქართველოს კომერციული ბანკების რესურსების რეგულირების თავისებურებანი საზღვარგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით 100

§3. კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირებასა და საკრედიტო რისკების შეფასებას შორის ურთიერთკავშირი 122

თავი III

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის გაუმჯობესების საკითხები 137

§ 1. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობები და ფაქტორები 137

§ 2. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის განსაზღვრის მაჩვენებლები და მეთოდიკა 155

§ 3. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველმყოფი ნორმატივების სისტემა 178

თავი IV
კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების პრობლემები 193
§1. კომერციული ბანკების ლიკვიდობის კონცეფციის ფორმირება 193
§2. ბანკის ლიკვიდობის განსაზღვრის სტატიკური და დინამიკური მეთოდები და მათი კორექტირების მიზნები 206
§3. კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების ეკონომიკური ნორმატივები საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით 219
თავი V
საქართველოს კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის როლი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში 246
§1. კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის ფუნქციონალური და ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფის საკითხები 246
§2. საინვესტიციო პორტფელის მართვის სრულყოფის გზები 268
§3. კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორები და მათი ურთიერთკავშირი 280
§4. კომერციული ბანკების საქმიანობის კომპლექსური შეფასების ფინანსურ კოეფიციენტთა სისტემა 306
დასკვნა-რეკომენდაციები 325
რეზიუმე რუსულ ენაზე 355
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 357
რეზიუმე გერმანულ ენაზე 358
გამოყენებული ლიტერატურის სია 360

შესავალი

საქართველოს მსოფლიო-ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართვა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა და განვითარება, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროგრამების წარმატებით განხორციელება შეუძლებელია მყარი საბანკო სისტემის შექმნის გარეშე. საბაზრო ეკონომიკის, ამ რთული და დინამიკური ორგანიზმის, განვითარება, მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკების როლის გაძლიერება წინა პლანზე აყენებს საბანკო სისტემაში ღრმა ცვლილებების აუცილებლობას და, შესაბამისად, რეგულირების ფულად-საკრედიტო მექანიზმის ფორმირების საკითხების შესწავლის აქტუალობას.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები მეცნიერული კვლევის არაპოპულარული ობიექტი იყო, ვინაიდან იგი უშუალოდ ცენტრიდან იმართებოდა და სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში ასეთი სახის გამოცდილებას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია, რამდენადაც მასში არ არის გათვალისწინებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი საბანკო ორსაფეხურიანი სისტემის ჩამოყალიბების პროცესი და იგი არც შეიძლებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის პირობებში დაგროვილ გამოცდილებაში ასახულიყო. სწორედ აღნიშნულია იმის მიზეზი, რომ საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პრობლემებზე კომპლექსური მეცნიერული გამოკვლევა არ არსებობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე მონოგრაფიასა და საგაზეთო სტატიებს საბაზრო ეკონომიკის ცალკეულ პრობლემაზე, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა.

საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის საქმიანობის ცალკეულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და გამოყენებით საკითხებზე საინტერესო გამოკვლევები აქვთ ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს, პროფესორებს: რ. ასა-

თიანს, რ. ბასარიას, ე. ბოლოკაძეს, გ. გამსახურდიას, ვ. ზურაბიშვილს, რ. კაკულიას, ი. მესხიას, ნ. სანთელაძეს, ე. მექვაბიშვილს, ვ. პაპავას, შ. ქისტაურს, ზ. თუთრუაშვილს, ჯ. შათირიშვილს, ვ. ჩანტლაძეს, ლ. ჩიქავას, ნ. ჭითანავას, ა. ჯიბუტს, ლ. ყორღანაშვილს, გ. ხელაიას და სხვებს. ზემოთ აღნიშნულ ავტორთა ნაშრომებისა და მოსაზრებების არსებობამ, მათმა გათვალისწინებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემების შესახებ წინამდებარე მონოგრაფიული ნაშრომის დამუშავებას.

„რადიკალური შემობრუნება ეკონომიკისაკენ“ ობიექტურად მოითხოვს, ერთი მხრივ, გარდამავალ ეკონომიკაში კომერციული ბანკების როლის ამაღლებას ხოლო, მეორე მხრივ, მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის დღის წესრიგში აყენებს უკვე ჩამოყალიბებული საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების განსაზღვრას, კონკრეტული გზების ძიებას ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით.

საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის განმტკიცებაში, როგორც აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე, „უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება მყარი, ძლიერი, საიმედო საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას“[1]. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში კომერციული ბანკების ფუნქციონირების განმსაზღვრელი ფაქტორებისა და პრობლემების გამოკვლევის აქტუალობა გამოწვეულია მათი საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავების მოთხოვნებით, რაც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ძირითადი პრობლემები და მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის ურთიერთქმედების ზეგავლენა მთლიანად საბანკო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

საქართველოში საბანკო სისტემის ჩამოყალიბება-სრულყოფა

---

[1] ე. შევარდნაძე. აღმშენებლობა. განვითარება. კეთილდღეობა, თბ, 2000, გვ.12.

საბაზრო ორიენტაციის თვალსაზრისით პრაქტიკულად უფრო შორს წავიდა, ვიდრე საბანკო სისტემის საქმიანობის, კერძოდ, კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემების თეორიული დებულებების დამუშავებით. სწორედ ამიტომაა, რომ ფინანსური თეორია წინ კი არ უსწრებს საბანკო პრაქტიკას, არამედ უკვე მომხდარი ფაქტის ანალიზით იფარგლება, რაც დროის ფაქტორის გამო არ იძლევა მიმდინარე მოვლენების მოსალოდნელი შედეგებით პერსპექტივაში დანახვის საშუალებას. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, სუვერენულ სახელმწიფოს საბანკო სისტემის ფორმირებისათვის სჭირდება ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის ღრმად გააზრება, რაც ხანგრძლივ დროსა და გამოცდილებას მოითხოვს.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკები უნდა გადაიქცეს მამოძრავებელ ბერკეტად, რომლის მეშვეობითაც ეროვნულ ეკონომიკაში უნდა მოხდეს დამატებითი ფულადი რესურსების საბანკო კრედიტების სახით გამოყენება, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა და ეროვნული მეურნეობის დინამიკური განვითარების უზრუნველყოფაში კატალიზატორის როლის შესრულება.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლამ, შინააშლილობამ და სამოქალაქო ომმა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში არათანმიმდევრულმა, ურთიერთსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებამ.

1991-1994 წლებში წარმოების მოცულობა შემცირდა 70%-ით, რამაც, თავის მხრივ, მკვეთრად შეამცირა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები[1], 1994 წლის დასაწყისიდან ფინანსურმა

---

[1] მთლიანად ნაშრომში მოყვანილი რიცხობრივი მასალები ავტორის მიერ აღებულია ეკონომიკის, მრეწველობის, ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროებში, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტში, ეროვნულ და კომერციულ ბანკებში არსებული მასალების გაანალიზებისა და პირადი გაანგარიშების საფუძველზე. ასევე გამოყენებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებებში, ქართულ და უცხოელ ეკონომისტთა შრომებში მოყვანილი რიცხობრივი მასალები.

დისბალანსმა საშიშ მასშტაბებს მიაღწია. ინფლაციის დონემ თვეში 65-70%-ს გადაამეტა და ქვეყანა ჰიპერინფლაციამ მოიცვა. ამ დროისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებდა ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რაც გაუმართლებელი იყო. 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში სწრაფად დაიწყო ზრდა კომერციული ბანკების რიცხვმა, რაც განპირობებული იყო არასრულყოფილი საბანკო კანონმდებლობით, ბანკების ლიცენზირების სუსტი ადმინისტრირებით და, უმთავრესად, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობით.

ასეთ სიტუაციაში საქართველოს მთავრობამ მიიღო ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილება ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თაობაზე. დღის წესრიგში დადგა საქართველოს საბანკო სისტემის რეფორმირების საკითხი, რომელიც უზრუნველყოფდა მთლიანად საბანკო სისტემის განმტკიცებას. მხედველობაში გვაქვს საბანკო საქმიანობის ორსაფეხურიანი სისტემის შექმნა, ბანკების ლიცენზირებისა და ზედამხედველობის პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორება და საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი საბანკო საქმიანობის ზედამხედველობა და რეგულირების ეტაპობრივი დანერგვისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

1995 წელს ქვეყნის ეროვნული ბანკის ძალისხმევით საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების მაქსიმალურად შესატყვისი პრაქტიკა დაინერგა, რაც ახალი ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების შემოღებით გამოიხატებოდა. ამ მიმართულებით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ,,კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნილება''[1] და ,,ფულად ფორმაში მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოცულობის მოთხოვნების'' დაწესება. ამასთან ერთად, შემოღებულ იქნა დანაკარგების დარეზერვების პრაქტიკა[2].

---

[1] Basle Capital Accord-BCBS-Basle. 1988. p.15.

[2] Preveting Bank Crises: Lessons from Recent Global Bank Failures. Gerald Caprio. Jr.William C.Hunter. George G.Kaufman. Danny M.Leipziger. EDI Development Studies. The Word Bank. Washington. D.C., 1998. p.128.

კომერციულმა ბანკებმა გარკვეული ღონისძიებები განახორციელეს თავიანთი აქტივების დივერსიფიკაციისათვის, პრობლემური სესხების რეზერვების შექმნისა და მათი ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით, რამაც უზრუნველყო კომერციული ბანკების ბალანსების გაწმენდა უიმედო სესხებით წარმოშობილი დავალიანებისაგან.

საბანკო სისტემის სფეროში ჩამოყალიბდა მრავალი დადებითი ტენდენცია: ჯერ ერთი, ფულის რაციონალურად მიწოდების გამო შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების მართვა; მეორე, შენარჩუნებულ იქნა სხვა ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა და მესამე, გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული ბანკების კონსოლიდაციისა და გამსხვილების საქმეში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა ეროვნული ბანკის მიერ მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის ეტაპობრივმა გაზრდამ.

მინიმალური საწესდებო კაპიტალისა და სხვა მაჩვენებლებისადმი მოთხოვნების გამკაცრებამ და ახალი ბანკების ინიციატივებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საბანკო სისტემაში ძალთა განლაგება, კერძოდ, თუ 1996 წლის დასაწყისში საბანკო სისტემის აქტივების 50%-ზე მეტი ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებზე მოდიოდა, ამჟამად მათი წილი საბანკო სისტემის აქტივების 30%-ს შეადგენს, რაც ახლად შექმნილი ბანკების პროგრესის მაჩვენებელია. ასეთივე სურათი გვაქვს მოსახლეობის ანაბრების მოზიდვის მხრივაც. ამჟამად საბანკო სისტემაში მოზიდული ანაბრების მოცულობის 30-35% ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებზე მოდის, მაშინ, როდესაც 1996 წლისათვის მათი წილი საბანკო სისტემაში არსებული ანაბრების 90-95 პროცენტს შეადგენდა[1].

კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემების შესწავლაში მეცნიერული მიდგომა გულისხმობს: ჯერ ერთი, საზოგადოების განვითარების კანონზომიერების შესაბამისად ყველა იმ ფაქტის ცოდნასა და ანალიზურ დამუშავებას, რომლებიც გან-

[1] ჟურნალი „ბანკი". №1, გვ.5, თბ., 2000.

საზღვრავენ საბანკო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. აქ განსაკუთრებით გამოვყოფთ საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის, კერძოდ, საბანკო სისტემის გარდაქმნას, მის სრულყოფასა და განვითარებას საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით; მეორე, საბანკო საქმიანობის თეორიებისა და დასკვნების გათვალისწინებას, დაბოლოს, მესამე, ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობიდან გამორჩენა იწვევს ეროვნულ მეურნეობაში ფულადი სახსრების განთავსების შეზღუდვას, მათ არამიზნობრივ გამოყენებას, დანაკარგების ზრდასა და ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობის დესტაბილიზაციას.

კომერციული ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებაზე მოქმედი ყველა ფაქტორის ცოდნა და გაანალიზების უნარი ასევე საშუალებას იძლევა, რომ საბანკო სისტემის შედარებითი დამოუკიდებლობა არ მოწყდეს საერთო ობიექტურ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის სამუელსონის სიტყვებით რომ ვთქვათ: „კვლევაში წარმატების მიღწევისათვის, ჩვენ უნდა ვეცადოთ, გამოვიმუშაოთ ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, უნარი იმისა, რომ საგნები, მიუხედავად ჩვენი მათ მიმართ სიმპათიისა ან ანტიპათიისა, დავინახოთ ისეთებად, როგორებიც არიან თავისთავად სინამდვილეში“[1].

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამოცდილება გამზადებული სახით ამჟამად არ არსებობს და რაც არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისიც დახვეწას მოითხოვს. ამ ფაქტს არც უცხოელი სპეციალისტები და ექსპერტები უარყოფენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების ნორმალური ფუნქციონირების ხელის შემშლელი პრობლემების ჩამოყალიბება და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, უნდა მოხდეს მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური მიზნების საფუძველზე და არა მხოლოდ ამ მიმართულებით უცხოეთის გამოცდილების გადმოტანითა და ფოტოგრაფირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველო-

[1] Samuelson P. Economics. Nunth Edition. New York. 1973, p.7.

ში არ არსებობს ყოველმხრივი თანმიმდევრული მიდგომა საბანკო საქმიანობაში სისტემური რეფორმების გატარებაში, კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემების პრაქტიკულად განხორციელების გზების კომპლექსური პროგრამების დამუშავებაში.

საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, წესრიგი ფინანსებში, ქვეყნის სტაბილურობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობათაგანია[1].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა წინამდებარე მონოგრაფიული ნაშრომის „საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ დამუშავება, რომელშიც კვლევის აბსტრაქციის მეთოდით, ისტორიული და ლოგიკური მეთოდების შეთავსებით, მაკრო და მიკრო ანალიზის გაერთიანებით, ქვეყნის მაგალითზე პირველადაა კომპლექსურად შესწავლილი კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები და დასახულია მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული გზები.

წარმოდგენილ სამეცნიერო-მონოგრაფიულ გამოკვლევაში ავტორი პრეტენზიას არ აცხადებს ფულად-საკრედიტო სისტემის მთელი ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების, კერძოდ, საბანკო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის ყველა პირობისა და პრობლემის ყოველმხრივ კომპლექსურ განხილვაზე, არამედ მხოლოდ შემოსაზღვრულ მიზანს ისახავს:

პირველი: განგვეხილა კომერციული ბანკების როლი საბანკო სისტემის განმტკიცებაში, მათი ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში, ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები, საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში;

მეორე: გაგვეანალიზებინა კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირება, ჩამოგვეყალიბებინა ამ მიმა-

---

[1] ე. შევარდნაძე. ტრადიციული რადიოინტერვიუ. გაზ. „რეზონანსი“, 17 ნოემბერი, 1999, გვ. 6.

რთულებით კონცეფტუალური საფუძვლები, საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლის გათვალისწინებით განგვესაზღვრა რესურსების რეგულირების თავისებურებანი, ასევე რესურსებით უზრუნველყოფის გზების სრულყოფის შესაძლებლობანი რეზერვების შექმნის მეთოდოლოგიური ბაზის საფუძველზე;

მესამე: ჩამოგვეყალიბებინა კომერციული ბანკების მდგრადობისა და საიმედოობის განმსაზღვრელი პირობები, ფაქტორები, მაჩვენებლები და მეთოდიკა, ამასთანავე, გვეჩვენებინა საბანკო მენეჯმენტის როლი ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცებაში;

მეოთხე: თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, განგვესაზღვრა ბანკების ლიკვიდობის რეგულირების კონცეფცია, გვეჩვენებინა ლიკვიდობის მართვაში პრობლემების გადაწყვეტის გზები,

მეხუთე: განგვეხილა კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის როლი გარდამავალი ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებაში, საინვესტიციო პორტფელის მართვის სრულყოფის გზები, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორები, მათი ურთიერთკავშირი, ასევე დაგვემუშავებინა ფინანსურ კოეფიციენტთა სისტემის მეშვეობით ბანკების საქმიანობის ეფექტურობის შეფასების მეთოდოლოგია.

თუ რამდენად შევძელით მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მონოგრაფიული კვლევის ამოცანის შესრულება, კერძოდ, საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემური საკითხების შესწავლა და მათი გამოსწორების გზების დასახვა, ამის შეფასება ობიექტური მკითხველისათვის მიგვინდვია.

თავი I

კომერციული ბანკების როლი საბანკო სისტემის განმტკიცებაში

§1. კომერციული ბანკების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში საბანკო სისტემის ფორმირების ანალიზის გარეშე შეუძლებელია კომერციული ბანკების საქმიანობაში არსებული პრობლემების დადგენა და მათ გადასაჭრელად გზების ძიება.

დღეს საქართველოს საბანკო სისტემა სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში იმყოფება და სახელმწიფო ცდილობს ჩამოაყალიბოს საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფილი მექანიზმები, რომელიც დაფუძნებული იქნება ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნასა და რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებაზე [1].

საქართველოში პირველი ცენტრალური ბანკი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წელს გაიხსნა. ორი წლის შემდეგ იხსნება მეორე ბანკი. ეს ბანკები, როგორც ცნობილია, მცირე პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება შეძლეს. კერძოდ: განახორციელეს ფულის რეფორმა, მიმოქცევიდან ამოიღეს არაქართული ფულის ნიშნები, ქვეყანაში შექმნეს მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვი. დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფულადი ნიშნები იქცა მტკიცე ვალუტად, პირველად მოხმარების საგნებზე მოხდა ფასების რეგულირება, შემუშავდა რეფორმის გატარების ახალი პერსპექტივები.

რუსეთში ახალმა ხელისუფლებამ ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებიდან დაიწყო საკრედიტო სისტემის ნაციონალ-

---

[1] Н.Ковзанадзе, Современные подходы к проблеме развития и обеспечения устойчивости банковской системы, журнал "БУХГАЛТЕРИЯ И БАНКИ" №12, Москва, 2000, ст. 5.

იზაცია, ხოლო რევოლუციის მეორე წელს დაწყებულმა სამოქალაქო ომმა მთლიანად გაანადგურა არსებული საბანკო სისტემა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაისვა საკითხი ერთიანი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის შესახებ. აღნიშნული საკითხის რეალიზება ბოლშევიკებმა უშუალოდ რევოლუციის შემდეგ სცადეს, როდესაც 1918 წელს რევოლუციამდელი საბანკო სისტემის რესურსების ნაციონალიზაციის შედეგად შეიქმნა სახალხო ბანკი, მაგრამ იგი დღენაკლული აღმოჩნდა. ნეპის პერიოდში აღდგა საბაზრო ურთიერთობები, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა კომერციული და სხვა ფორმის კრედიტების საჭიროება. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ ჯერ შეიქმნა სახელმწიფო ბანკი, ხოლო შემდეგ — სპეციალური ბანკების ქსელი, რომლებიც ფაქტობრივად, კომერციულ ბანკებს წარმოადგენდნენ.

საბჭოთა კავშირში 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ჩამოყალიბებამ შეზღუდა საბაზრო ურთიერთობების შემდგომი განვითარება და, შესაბამისად, კომერციულ ბანკებს არსებობის საფუძველი მოუსპო. კომერციული ბანკები, რომლებიც სპეციალური ბანკების სახით არსებობდნენ, ოფიციალურად გარდაიქმნენ გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებად და ახლად აღმოცენებულ ფულად-საკრედიტო სისტემას სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო ბანკი.

განვითარების შემდგომ პერიოდში გრძელვადიან დაბანდებათა სპეციალური ბანკები არაერთხელ გარდაიქმნენ, მაგრამ საბანკო სისტემის ორგანიზაციაში არაფერი შეცვლილა და სახელმწიფო ბანკი დარჩა საემისიო და, პარალელურად, სახალხო მეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ცენტრად, ხოლო სპეცბანკები დამხმარე, დამატებითი რგოლის ფუნქციებს ასრულებდნენ [1].

---

[1] გ. ხელაია. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხები. გვ. 62. თბ., გამომცემლობა „ლამპასი", 1993.

1919 წელს ფულის გაუფასურებისა და ნატურალური მეურნეობის არსებობის პირობებში, აღარ იყო საჭირო საკრედიტო დაწესებულება. მოხდა ბანკების შერწყმა საფინანსო ორგანოებთან.

საქართველოში 1921 წლის ოქტომბერში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღადგინეს სახელმწიფო ბანკი, რომელიც გახდა სახალხო მეურნეობის დაკრედიტებისა და ფულის მიმოქცევის სახალხო რეგულირების ცენტრი.

1930–1932 წლებში განხორციელდა საკრედიტო რეფორმა, რომლის მეშვეობითაც გაუქმდა კომერციული კრედიტი, შემოიღეს უნაღდო ანგარიშსწორების ახალი ფორმები, გაძლიერდა საბანკო კრედიტის ვადიანობისა და მიზნობრიობის პრინციპები, შეიქმნა სპეციალური ბანკები, რომლებიც გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდებების განმახორციელებელ ბანკებს წარმოადგენდნენ.

რეფორმამ კიდევ უფრო განავითარა საკრედიტო სისტემის მკაცრი ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული მართვა და საკრედიტო საქმის სახელმწიფო მონოპოლისტურ ორგანოდ სახელმწიფო ბანკი გახადა, ე.ი. ჩამოყალიბდა საკრედიტო სისტემა მხოლოდ ერთი რგოლით, რომელიც პასუხობდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის მოთხოვნებს. საკრედიტო ურთიერთობებს ასრულებდა სამი ბანკი (სახელმწიფო ბანკი, მშენბანკი, საგარეო ვაჭრობის ბანკი) და შემნახველი სალაროები. სახელმწიფო ბანკი ახორციელებდა სახალხო მეურნეობის დარგების მოკლევადიან დაკრედიტებას, ხოლო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გასცემდა გრძელვადიან კრედიტებს. მშენბანკი აფინანსებდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგს გრძელვადიანი კრედიტებით, გარდა სოფლის მეურნეობისა. საგარეო ვაჭრობის ბანკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენდა სავალუტო ოპერაციები და საერთაშორისო ანგარიშსწორება. მოსახლეობის თავისუფალ ფულად სახსრებს იზიდავდა შემნახველი სალაროები. სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ობლიგაციების მომსახურებასაც იგი ახორციელებდა.

მოქმედი ბანკების მიერ შექმნილი რესურსები სესხების სახით

ეძლეოდათ საწარმოებს, რომლებიც ამ თანხებს ხშირად უკან არ აბრუნებდნენ. ეს გარემოება ადრე თუ გვიან კრიზისულ სიტუაციას გამოიწვევდა. სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდილი დეფიციტის დაფინანსება სახელმწიფო ბანკის საემისიო კრედიტებით ხდებოდა.

80-იან წლებში საქართველოში მოქმედებდა ხუთი დარგობრივი ტიპის სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკი: საექსპორტო ბანკი — ექსიმბანკი, სამრეწველო ბანკი — მრეწვმშენბანკი, სოფლის მეურნეობის ბანკი — აგრომრეწვბანკი, საბინაო და კომუნალური მეურნეობის მომსახურების ბანკი — ბინსოცბანკი და შემნახველი ბანკი.

ამ პერიოდში მოქმედი საბანკო სისტემის ძირითად ნაკლს წარმოადგენდა შემდეგი: ჯერ ერთი, მონოპოლიზმი, საწარმოს არ ჰქონდა მომსახურე ბანკის ამორჩევის უფლება; მეორე, ფუნქციონირებდნენ მხოლოდ სპეციალიზებული ბანკები; მესამე, არ ხდებოდა თამასუქების მიმოქცევა; მეოთხე, ბანკები, თანხების დაუბრუნებლობის პირობებში ასრულებდნენ ოპერაციებს ერთი და იმავე მეურნეობის ხელახალი დაკრედიტებისათვის; დაბოლოს, მეხუთე, მოვალე საწარმოებისათვის სესხების ჩამოწერის სისტემის არსებობა.

1987 წელს გატარდა ეკონომიკური რეფორმა, რომელიც სრულ სამეურნეო ანგარიშიანობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლას გულისხმობდა. ცვლილებებმა, თავის მხრივ, საბანკო სისტემის სრული გარდაქმნა მოითხოვა.

სოციალისტური გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ბევრ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ნებისმიერი ეკონომიკური წყობილება წარმოადგენს ეკონომიკური, პოლიტიკური და საერთაშორისო კავშირების რთულ სისტემას.

თუ საბჭოთა საბანკო სისტემის მიზანი იყო სახელმწიფო გეგმური დავალებების შესრულება და ამ დავალებების შესაბამისად ფულადი ფონდების განაწილება, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს წარმოადგენს: სტაბილ-

ური ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა, საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება და საფინანსო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანი ურთიერთობების არსებობა.

90-იან წლებში საქართველომ კვლავ მოიპოვა (აღიდგინა) დამოუკიდებლობა. ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში გადასვლამ და საბაზრო ურთიერთობების თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესმა შესაბამისი საბანკო სისტემის შექმნა მოითხოვა. საქართველოში საბანკო სისტემის გარდაქმნის პროცესი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა და ფინანსურმა, ამასთან ერთად, პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ ხელი შეუწყო ტრადიციული საგარეო-ეკონომიკური კავშირების მოშლას და, ამასთანავე, შიდაპოლიტიკური პრობლემების გართულებას. ქვეყანა ფაქტობრივად უმწვავესი ფინანსური კრიზისის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო. აღნიშნულ პირობებში დღის წესრიგში დადგა საქართველოში საბანკო სისტემის რეფორმის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა საბანკო სისტემის მდგრადობას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საქართველოს საბანკო სისტემის განვითარება სამ ძირითად ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე 1987-1991 წლები – შეიქმნა საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი საბანკო საქმის ინსტიტუციონალური საფუძვლები [1]. პირველი არასახელმწიფო ბანკი საქართველოში იყო კომერციული, რომელიც 1989 წლის დასაწყისში შეიქმნა 500 ათასი მანეთის საწესდებო ფონდით, ხოლო პირველი კოოპერატიული ბანკი – 1989 წლის ივლისში ხუთი მილიონი მანეთის საწესდებო ფონდით. ეს ორივე ბანკი, ისე როგორც შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული რამდენიმე კომერციული ბანკი, ფაქ-

[1] რ. კაკულია, თ. მურღულია, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემის ფორმირების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ტომი III, თბ., გამომცემლობა „ფინანსები", 1999. გვ.,134.

ტობრივად ექვემდებარებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს. 1991 წლის აგვისტოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებს კანონებს: „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“.

საქართველოს საბანკო სისტემის ტრანსფორმირების პროცესი 1991 წლიდან დაიწყო. შეიქმნა სათანადო საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, მეორე მხრივ კი — კომერციული ბანკები.

1992 წლის ბოლოსათვის საქართველოში უკვე მოქმედებდა 34 კომერციული და 5 კოოპერატიული ბანკი, რომელთა საწესდებო ფონდი მთლიანად 376,8 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1993 წლისთვის რესპუბლიკაში სულ ფუნქციონირებდა 70-მდე კომერციული და კოოპერატიული ბანკი 15 ფილიალით, რომელთა საწესდებო ფონდის საერთო თანხა 733 მილიონ მანეთს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი უმთავრესად ხუთ ბანკზე მოდიოდა. ეს ბანკები იყო: „ივერთბანკი“, „კავკასიის ბანკი“, „საქართველო“, „იბერიაბანკი“, „მერკური“, რაც შეეხება დანარჩენ ბანკებს, მათი საწესდებო ფონდი იმდენად მცირე მოცულობის იყო, რომ გავლენას ვერ ახდენდა საკრედიტო ბაზრებზე [1].

1991 წლის 2 აგვისტოს მიღებული „საქართველოს რესპუბლიკის კანონის ეროვნული ბანკის შესახებ“ შესაბამისად ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა განეხორციელებინა ქვეყანაში ფულად-საკრედიტო რეგულირება. ამისა-

---

[1] გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, თბ., გამომცემლობა „ლამპასი“, 1993. გვ. 66.

თვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო საკუთარი ფულის ნიშნები, საკრედიტო რესურსები, კონვერტირებადი ვალუტისა და ოქროს მარაგი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს არ სურდა გაეწილებინა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის სახელმწიფო ბანკის მნიშვნელოვანი ოქროს მარაგიდან (სსრკ-ში ოქროს ერთ-ერთ ძირითად მომპოვებლად ითვლებოდა) მათი კუთვნილი წილი (საბჭოთა კავშირის ეროვნულ შემოსავალში საქართველოს წილი 3%-ს შეადგენდა).

არსებული კავშირების რღვევის პირობებში ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა. საქართველომ დახმარებისათვის მიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდს.

ამ დროისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებდა ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რაც გაუმართლებელი იყო. 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში სწრაფად დაიწყო ზრდა კომერციული ბანკების რიცხვმა, რაც აგრეთვე განპირობებული იყო არასრულყოფილი კანონმდებლობით, ბანკების ლიცენზირების სუსტი ადმინისტრირებითა და, უმთავრესად, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობით.

1992-1995 წლებში მიმდინარეობს საბანკო რეფორმის მეორე ეტაპი.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებში საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით მიღებული საბანკო სტრუქტურები (სახბანკი, შემბანკი, მრეწვბანკი, ბინსოცბანკი, აგრობანკი) ბუტაფორული ქმნილებები უფრო იყვნენ, ვიდრე რეალურად არსებული საბანკო ინსტიტუტები.

აღნიშნული სიტუაციის გამოსწორება საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით შესაძლებელი იყო „რეზისტერის“ სისტემის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც საბანკო საქმის მოწყობა შემჭიდროებულ ვადებში უნდა განხორციელებულიყო და მთავარი როლი ეროვნულ ბანკს ენიჭებოდა. ეროვნულმა ბანკმა ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლი-

ტიკის გატარება დაიწყო. სახელმწიფომ მოუმზადებლად მიმოქცევაში გამოუშვა ფულის სუროგატი – ეროვნული კუპონი.

1993 წელს კუპონის მოუმზადებლად შემოღების შედეგად მდგომარეობა კიდევ უარესდა. მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ეროვნული ბანკისგან 1 ტრილიონ 27 მლნ კუპონი მიიღო (ეს იყო სახელმწიფო შემოსავლების 63,7%). 1994 წლის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავადაც ეროვნული ბანკის 28362000 მლნ კუპონის ემისია იქნა გამოყენებული (შემოსავლების 42%). მოუმზადებელმა ფულადმა რეფორმამ, ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ კუპონი, როგორც საგადამხდელო საშუალება, არარაობად აქცია. საგადამხდელო ფუნქციას რამდენიმე უცხოური ვალუტა ასრულებდა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ქმედითი მონეტარული ღონისძიებების გატარება.

საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნა მიწოდებას აჭარბებდა, რასაც მრავალრიცხოვანი სუსტი ბანკების შექმნა მოჰყვა. ბანკების შემოსავლის ძირითადი წყარო იყო არაორგანიზებულ საფინანსო ბაზარზე მოკლევადიანი სპეკულაციური ოპერაციები.

საქართველოში დამოუკიდებელი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში, კერძოდ, 1992-1995 წლებში ყველაზე სამარცხვინო ფაქტად, ე.წ. „ჯიბის ბანკების“ შექმნა იქნა მიჩნეული. ამ წლებში რეგისტრირებულმა 7 ბანკმა და 34 კომპანიამ ზარალი მიაყენა 62 ათას მეანებრეს 31 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. ანაბრებზე შეტანილი მინიმალური თანხა შეადგენდა 4 აშშ დოლარს, მაქსიმალური კი – 300 ათას აშშ დოლარს. ამ თანხებზე საპროცენტო განაკვეთი თვეში 5-30%-ის ფარგლებში მერყეობდა [1].

ხელისუფლებამ ამ მოვლენების აღსაკვეთად თავიდან არავითარ ღონისძიებას არ მიმართა. პირიქით, ტელევიზია ფართო რეკლამას უკეთებდა ამ დაწესებულებებს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ ამ საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზია არ გააჩნდათ. შემ-

[1] გაზეთი „ეკო დაჯესტი“. №53. გაქცეული „ბანკირები“ და მოტყუებული მეანაბრეები. 2000.

დგომ, როდესაც მოსახლეობა მოტყუებული აღმოჩნდა, სახელმწიფოს მხრიდან მათ დასახმარებლად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, დაზარალებულ მეანაბრეებს, საბჭოებისა და სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბების უფლება მიეცა და მათი საქმიანობის რეგულირებისათვის სააქციო საზოგადოების ზედამხედველობის სამსახური შეიქმნა. ასევე, პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებებით დაზარალებულ მეანაბრეთა ბაზაზე შექმნილი ყველა სააქციო საზოგადოება (მათმა რიცხვმა 23 მიაღწია) ერთი წლის განმავლობაში გათავისუფლდა საგადასახადო ვალდებულებებისაგან. ამავე ბრძანებით, 9 454 მეანაბრეს 300 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 43 ათასი ვაუჩერი გადაეცა. ამ ბრძანებების მეშვეობით 62 ათასი დაზარალებულიდან 6 ათასს დაუბრუნდა კუთვნილი თანხები.

ძირითადი მიზეზები, რამაც გამოიწვია ამგვარი სიტუაცია, ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მხრიდან საბანკო სისტემის რეგულირების ინსტრუმენტების არარსებობა, ასევე ეროვნული ბანკის მხრიდან სუსტი საზედამხედველო პოლიტიკის გატარება. საბანკო დაწესებულების უმეტეს ნაწილს არ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია. ამასთან, არსებობდა საბანკო ოპერაციებზე ლიცენზიების მიღების გაადვილებული სისტემაც.

გარდა ამისა, საქართველოს საბანკო სისტემა მეტად მოუქნელი იყო და, ამდენად, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანას მრავალ პრობლემას უქმნიდა. მთავარია ის, რომ საბანკო სისტემამ ჯერ კიდევ ვერ იპოვა თავისი ადგილი ეკონომიკაში, ვერ განსაზღვრა თავისი, როგორც ეკონომიკური სუბიექტის როლი და საბანკო სისტემა ფაქტობრივად გამოიყენებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა მიერ მათი ვიწრო პარტიული და ეკონომიკური ინტერესებისათვის, რაც ძირგამომთხრელ ფაქტორად გვევლინებოდა საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში [1].

---

[1] გ. გამსახურდია. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., გამომცემლობა „მერანი". 1995, გვ. 167.

საბანკო სისტემის მოუქნელობა და უარყოფითი მხარე ნათლად გამოჩნდა იმ შედეგებიდან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ მათი საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების დროს [1]. მხედველობაში გვაქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის რატიფიკაციის წინა პერიოდი, როცა ბაზარზე სელოვნურად გამოწვეულმა ნაღდი კუპონის დეფიციტმა მნიშვნელოვნად დასცა ჩვენი ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა.

აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად პარლამენტის მიერ მთავრობისათვის გამოყოფილი 400 მილიარდი კუპონის სესხი, რომელმაც ერთ დღეში თითქმის ორჯერ შეამცირა კუპონის მსყიდველობითუნარიანობა და ერთ რუბლთან სხვაობა 165-დან 250-მდე გაზარდა. ამასთანავე, ყველასათვის ცნობილი იყო, რომ გაუფასურებული კუპონით ვერ შეიძენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების იარაღს, თესლს, საწვავსა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელ სხვა პროდუქტებს. ფაქტობრივად, ეს ფულადი სესხი სავალუტო ბირჟაზე მოხვდა, მანეთსა და დოლარზე გადახურდავდა და შემდეგ რესპუბლიკის გარეთ სავალუტო ანგარიშებში პოვა ასახვა. 1996 წლამდე ინფლაციის მაღალი ტემპებით გამოწვეულმა დოლარის კურსის პერმანენტულმა ზრდამ საბანკო ინსტიტუტების რიცხვის მკვეთრი გადიდება გამოიწვია.

ბანკების დამფუძნებლებმა გამოიყენეს ეს გარემოება არა გარდამავალი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი საბანკო პროდუქტის საწარმოებლად, არამედ არაკეთილსინდისიერი გზით „ფულის საშოვნელად“. 1995 წლის დასაწყისში საქართველოში მოქმედებდა 229 კომერციული ბანკი.

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაიწყო ბანკების ბუნებრივი გადარჩევის პროცესი და საბანკო სისტემის განვითარების მესამე ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება.

---

[1] რ. ასარია, ი. მესხია. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., გამომცემლობა „ფინანსები“. 1996. გვ. 302.

საბანკო სისტემის რეფორმის აღნიშნული ეტაპის განხორციელება დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების დახმარებით. რეფორმა, რომელიც 1995 წელს დაიწყო საბანკო სისტემის რეფორმის მესამე ეტაპის სახელწოდებით, ბანკების ლიცენზირებისა და ზედამხედველობის პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორების საშუალებას იძლეოდა და საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი საბანკო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების ეტაპობრივად დანერგვას უწყობდა ხელს.

1995 წელს წარმატებით განხორციელდა ახალი ფულადი რეფორმა, რის შედეგადაც ქვეყნის მონეტარულ და, აქედან გამომდინარე, საფინანსო-საკრედიტო სისტემაში ახალი ეტაპი დაიწყო.

1995 წლის დასაწყისში არსებული 229 ბანკიდან 1996 წელს მხოლოდ 101-მა გააგრძელა ფუნქციონირება. ლიცენზირებული ბანკების რაოდენობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოწვეული იყო მათთვის დადგენილი საწესდებო კაპიტალისა და სხვა ეკონომიკური ნორმატივების შეუსრულებლობით.

1995 წლის ბოლოს კომერციულ ბანკებში აქტივები 76 მლნ ლარით გაიზარდა და 232.6 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის სერთიფიცირებული ბანკების აქტივების ოდენობა 121 მლნ ლარს აღწევდა, რაც საბანკო სისტემის აქტივების 52%-ს უდრიდა.

1996 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი 101 კომერციული ბანკიდან წლის განმავლობაში ლიცენზიები გამოთხოვილ იქნა 40 ბანკიდან, მათ შორის თვითლიკვიდაცია მოახდინა 7-მა, ხოლო 18 გაერთიანდა სხვა ბანკებთან. აღსანიშნავია, რომ საბანკო ლიცენზიების გამოთხოვა შეეხო იმ ბანკებს, რომლებიც შეიქმნენ საბანკო სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების დეფიციტის პირობებში.

1996 წლის ბოლოს საბანკო სისტემის აქტივების წილი 238 მლნ ლარს შეადგენდა, რაც 5,4 მლნ ლარით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. რაც შეესება საბანკო სისტემის საწესდებო ფონდს, იგი 1996 წლის განმავლობაში 36.3 მლნ ლარ-

ით გაიზარდა და მისმა ოდენობამ წლის ბოლოს 80,5 მლნ ლარი შეადგინა.

ეროვნული ბანკის მხრიდან კაპიტალის ადეკვატურობამ და მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებმა, ასევე დანაკარგების დარეზერვების პრაქტიკის შემოღებამ ხელი შეუწყო კომერციული ბანკების როლის ამაღლებას საბანკო სისტემის განმტკიცებაში. პარალელურად, კომერციულმა ბანკებმა გარკვეული ღონისძიებები განახორციელეს თავიანთი აქტივების დივერსიფიკაციისათვის პრობლემური სესხების რეზერვების შექმნისა და ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით. 1996 წლის განმავლობაში ჩამოწერილ იქნა უიმედო სესხებით წარმოშობილი დავალიანება 13 მლნ ლარის ოდენობით, ასევე სესხებით სარგებლობისათვის დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი 6 მლნ ლარის ოდენობით, რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო კომერციული ბანკების ბალანსის გაწმენდა, მათი მდგრადობისა და საიმედობის ამაღლება, საერთო ჯამში, საბანკო სისტემის განმტკიცება.

1997 წელს ეროვნულმა ბანკმა კვლავ გააგრძელა ბანკების გარდაქმნის მიზნით შემუშავებული სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით.

მიმდინარეობდა არასაიმედო აქტივების მქონე ბანკების რესტრუქტურიზაცია მათი ზრდის შეზღუდვით, აგრეთვე წარმოებდა იმ ბანკების დახურვა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის შექმნა და ეკონომიკური ნორმატივების შესრულება.

1997 წლის განმავლობაში საბანკო სისტემის საწესდებო ფონდი 84 მლნ ლარით გაიზარდა და 1998 წლის 1 იანვრისათვის მისმა ოდენობამ 164 მლნ ლარი შეადგინა.

კომერციული ბანკების საწესდებო ფონდის გაზრდამ ხელი შეუწყო მათ მიერ საშუამავლო ოპერაციების შესრულებას, რაც გამოიხატება მათი აქტივების ზრდით. საბანკო სისტემის აქტივე-

ბი 1997 წლის დასაწყისთან შედარებით 103 მლნ ლარით გაიზარდა და 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 340.9 მლნ ლარი შეადგინა. საბანკო სისტემის აქტივების 50,7 % მოდის ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე, რომლებმაც 1998 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 172.9 მლნ ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ბანკები უპირატესობას ანიჭებდნენ კრედიტების სავაჭრო ოპერაციებში დაბანდებას საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც წლის განმავლობაში მერყეობდა 69-დან 43 პროცენტამდე.

საკრედიტო დაბანდების 70% მოდიოდა სავაჭრო ოპერაციების დაკრედიტების მიზნით გაცემულ მაღალი რისკის მქონე კრედიტებზე, რომლებიც საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით ხასიათდებოდნენ. შესაბამისად, საბანკო სისტემაში მაღალი იყო ბანკის სესხებით ვადაგადაცილებული დავალიანებისა და მათი უიმედოდ მიჩნევის გამო რესურსების შესაძლო დანაკარგების რეზერვიდან ჩამოწერილი თანხები, რომლებმაც 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა შესაბამისად 15 მლნ ლარი და 18 მლნ ლარი.

საბანკო სისტემაში გარდაქმნის პროგრამის განხორციელებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბანკების ლიკვიდობის მაჩვენებელი, აგრეთვე გააფართოვა მოსახლეობისა და მეურნე სუბიექტების საბანკო სისტემისადმი ნდობა. ამის ნათელი მაგალითია დეპოზიტების ზრდის ტენდენცია. საბანკო სისტემაში დეპოზიტები 1996 წლის 1 იანვართან შედარებით წლის ბოლოსათვის 24,3 მლნ ლარით გაიზარდა და 82 მლნ ლარი შეადგინა. დეპოზიტების ზრდა განხორციელდა როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

1997 წლის დასაწყისთან შედარებით დეპოზიტების ზრდა წლის ბოლოსთვის მოხდა 51 მლნ ლარით, რომელთა ოდენობამაც წლის ბოლოს 133,2 მლნ ლარი შეადგინა. ამ პერიოდში დეპოზიტები გაიზარდა როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში შესაბამისად 12 მლნ ლარითა და 40 მლნ ლარის ეკვივალენტით.

ეროვნულმა ბანკმა საბანკო სისტემის მდგრადობისა და მისი საიმედოობის ამაღლების მიზნით 1998 წელს გააგრძელა კომერციული ბანკების გარდაქმნის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

1998 წელს საბანკო ლიცენზია ჩამოერთვა ათ კომერციულ ბანკს, მათ შორის ცხრას – ეროვნული ბანკის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის.

ამავე პერიოდში მოხდა საბანკო სისტემის საწესდებო ფონდის ზრდა 20 მლნ ლარით და, შესაბამისად, იგი 1999წლის დასაწყისში 116 მლნ ლარს შეადგენდა. აქტივების ზრდა ძირითადად განპირობებულია გაცემული კრედიტების, საკორესპონდენტო და ძირითადი საშუალებების ანგარიშებით. საბანკო სისტემის აქტივების 48% მოდის გაცემულ კრედიტებზე. ისევე როგორც წინა წლებში, კომერციული ბანკები კრედიტებს გასცემდნენ ძირითადად სავაჭრო ოპერაციების დასაკრედიტებლად, რაც განპირობებული იყო საკრედიტო რესურსების მოზიდვის დაბალი მაჩვენებლითა და მოკლევადიანი დეპოზიტების შენახვით.

საკრედიტო რესურსების მოზიდვის დაბალი მაჩვენებლების ანალიზისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ 1998 წლის აგვისტომდე და აგვისტოდან წლის ბოლომდე შექმნილი სიტუაცია.

1998 წლის დასაწყისიდან აგვისტომდე წლიური ინფლაციის დაბალმა მაჩვენებელმა, ასევე საბანკო სისტემისადმი მოსახლეობისა და მეურნე სუბიექტების ნდობამ საფუძველი შეუქმნა დეპოზიტების ზრდას როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. მისმა ზრდის ტემპმა წინა წელთან შედარებით 27,5% შეადგინა.

ამასთან, შემდგომ პერიოდში ისეთმა ფაქტორებმა როგორიცაა: ლარის დევალვაცია, რუსეთში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების სავალუტო გზავნილების შეფერხება, რუსეთში კრიზისის გავლენით იაფი რუსული საქონლის იმპორტის დასაფინანსებლად სახსრების აქტიური გამოყენება, გავლენა იქონია დეპოზიტების მნიშვნელოვან შემცირებაზე (როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში). კერძოდ, სადეპოზიტო ვალდებულებებმა 1998 წლის ბოლოს

156 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით მხოლოდ 23 მლნ ლარით მატების მაჩვენებელია, მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებლის მატებამ 1997 წლის ბოლოს 1996 წლის იმავე პერიოდთან შედარებით ორჯერ მეტი – 51 მლნ ლარი შეადგინა.

1998 წლის ბოლოს ქვეყანაში არსებული ფისკალური და სავალუტო კრიზისის მიუხედავად, საბანკო სისტემამ 1999 წლის განმავლობაში შეძლო პოზიციების გამყარება. ამ ფაქტს ადასტურებს ის, რომ საწესდებო კაპიტალი წლის განმავლობში 34,4 მლნ ლარით გაიზარდა და 150,8 მლნ ლარს მიაღწია. ამავე პერიოდისათვის კომერციული ბანკების მთლიანი კაპიტალი გაიზარდა 46,5 მლნ ლარით და 179,8 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთლიანი კაპიტალის ზრდის ტემპი უსწრებს საწესდებო კაპიტალის ზრდას.

1999 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების აქტივები 140 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან, საგრძნობლად იმატა პორტფელური ინვესტიციებისა და სხვა აქტივების რიცხვმა.

გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრების ოდენობაც. ამ მაჩვენებელმა 1999 წლის განმავლობაში 52 მლნ ლარით იმატა და წლის ბოლოს 208 მლნ ლარი შეადგინა. მოზიდული სახსრების ასეთი ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა 1997 წელსაც.

1999 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, საკმაოდ მცირე იყო კომერციული ბანკების საქმიანობაში საშუამავლო ოპერაციების ხვედრითი წილი, რაც გამოწვეული იყო ისევ და ისევ ეროვნული ვალუტის მიმართ მოსახლეობის დაბალი ნდობით, მეურნე სუბიექტების დანაზოგების ბანკებს გარეთ განთავსების ალტერნატიული საშუალებების არსებობით, მცირე საწესდებო კაპიტალის მქონე ბანკების მაღალი ხვედრითი წილით.

ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიმართავდა ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს, რომელთა სიდი-

დეც დამოკიდებული იყო ბანკების მოზიდული სახსრების ოდენობაზე.

1995 წელს მოქმედი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების 20%-იანი ნორმა წლის ბოლოს შემცირდა 18%-მდე, შემდგომში 1996 წლის აგვისტოში კვლავ მოხდა მისი სამი პუნქტით შემცირება და კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრების ხარჯზე ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვის მიზნით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმამ შეადგინა 15%. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სავალდებულო რეზერვების დაცვის მაჩვენებელი, რომლის შესრულებამ 1996 წლის განმავლობაში საშუალოდ 91 % შეადგინა.

სავალდებულო რეზერვების ნორმის შესრულება 61 კომერციული ბანკიდან ვერ უზრუნველყო 10 ბანკმა, 0,4 მლნ ლარის საერთო ოდენობით.

1997 წლის განმავლობაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების მიზნით კვლავ გამოიყენებოდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. საფინანსო სექტორის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის 15 %-იანი ნორმა სექტემბერში შემცირდა 3 პუნქტით და 12 % შეადგინა.

1996 წელთან შედარებით გაუმჯობესდა კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სავალდებულო რეზერვების ნორმის დაცვის მაჩვენებელი, რომლის შესრულებამ წლის განმავლობაში საშუალოდ 98 % შეადგინა.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ანგარიშზე მობილიზებული თანხების ოდენობა 16 მლნ ლარი იყო.

სავალდებულო რეზერვების ნორმის შესრულება 53 კომერციული ბანკიდან ვერ უზრუნველყო 7 ბანკმა 2 მლნ ლარის საერთო ოდენობით.

1998 წლის 12 აგვისტომდე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა 12% შეადგენდა. ამასთან, წლის პირველ ნახე-

ვარ'ში ქვეყანასა და საბანკო სისტემაში მიმდინარე დადებითი ტენდენციები მისი რამდენიმე პუნქტით შემცირების საფუძველს იძლეოდა.

სექტემბერში ქვეყნის ფისკალური კრიზისისა და საგარეო ფაქტორების გავლენით შიდა სავალუტო ბაზარზე ჭარბი მოთხოვნის გასანეიტრალებლად აუცილებელი გახდა სავალდებულო რეზერვების ნორმის გაზრდა 12 %-დან 16 %-მდე. თავდაპირველად ნორმის ზრდას თან ახლდა სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე თანხების 6 მლნ ლარით მატება, რომელიც შემდგომ თანდათანობით შემცირდა. 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე დეპონირებული თანხების ოდენობამ 18 მლნ ლარი შეადგინა. ამ მოთხოვნის შესრულება გაუტოლდა მოზიდული სახსრების თანხიდან ნორმით განსაზღვრული თანხის 85 %-ს. მისი შეუსრულებლობა რამდენიმე კომერციული ბანკის ლიკვიდობის პრობლემით იყო განპირობებული.

იმის გათვალისწინებით, რომ სავალდებულო რეზერვების შექმნა ბანკებისათვის გარკვეული ტვირთია, ლარის დევალვაციის პირობებში მისი შემსუბუქების მიზნით დაინერგა მინიმალური სარეზერვო ნორმის დეკადურად გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. ასევე შემოღებულ იქნა სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე დეპონირებულ თანხაზე პროცენტის დარიცხვა. შესაბამისად, 1999 წლის დეკემბერში კომერციული ბანკების სასარგებლოდ გადახდილ იქნა 2 მლნ ლარი.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებასა და ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა მინიმალური საწესდებო ფონდისა და სარეზერვო მოთხოვნების დონეც.

მინიმალური საწესდებო ფონდის მიმართ თითქმის ყველა საბანკო სისტემის წარმომადგენელს ცალსახა დამოკიდებულება აქვს, ამიტომ მისი შემდგომი გაზრდის აუცილებლობისაკენ იხრებიან, ვინაიდან საწესდებო კაპიტალის გადიდება იწვევს: ჯერ ერთი, ბანკების გამსხვილების პროცესის დაწყებას და მის საფუძველზე

მძლავრი საფინანსო ინსტიტუტის შექმნას; მეორე, ბანკების აქტივების ზრდას, ახალი პარტნიორების, ინვესტიციების მოზიდვასა და ამ საქმეში საზღვარგარეთის საფინანსო სისტემების დაინტერესებას; მესამე, ხელსაყრელი პირობების შექმნას კაპიტალის კორპორიზაციის თვალსაზრისით და კაპიტალის გამსხვილებისათვის მოკლევადიანი კაპიტალდაბანდებებიდან გრძელვადიან კაპიტალდაბანდებებზე გადასვლას, რაც სტიმულს მისცემს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას; მეოთხე, მცირე და საშუალო სიდიდის ბანკების დახურვა-შეერთების პროცესს, რასაც, არ არის გამორიცხული, მოჰყვეს მთელი საბანკო აქტივების შემცირება, წვრილი ბანკების აქციონერთა შეჯახება, მათი მხრიდან გამსხვილებული ბანკის შემდგომ საქმიანობაზე პირდაპირი კონტროლის შესუსტება, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების დასახვით საბანკო სისტემის უზრუნველსაყოფად; მეხუთე, გასათვალისწინებელია აგრეთვე საქართველოში ჩამოყალიბებული საბანკო სისტემის სპეციფიკაც, კერძოდ, ის, რომ ქვეყანაში ამჟამად მოქმედებს საბანკო სისტემის მარტივი მოდელი, ყველა საბანკო დაწესებულებას იდენტური სტრუქტურა აქვს, რომელიც კრიზისული სიტუაციის პირობებში, სწრაფი მანევრირების საშუალებას არ იძლევა. სპეციალიზებული საბანკო დაწესებულებების არარსებობაც ზღუდავს კლიენტების სპეციფიკური წრის მომსახურებას, ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე მუშაობას და, აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საბანკო სისტემის განვითარების მხოლოდ საწესდებო კაპიტალის ზრდის ხარჯზე დამყარებული პერსპექტივა სრულყოფას მოითხოვს მთლიანად ეკონომიკის მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საქართველოში კომერციული ბანკების წარმოშობისა და განვითარების, საბანკო რეფორმის ჩატარების ეტაპების ანალიზი ცხადყოფს, რომ საბანკო სისტემაში ჩამოყალიბდა უამრავი დადებითი ტენდენცია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ფულის რაციონალური მიწოდების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების მართვა; 2. შენარჩუნებულ

იქნა სხვა ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა; 3. გარკვეული წარმატებებია მიღწეული ბანკების კონსოლიდაციისა და გამსხვილების საქმეში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივმა გაზრდამ; 4. სტაბილურმა გაცვლითმა კურსმა, საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის უმნიშვნელო ამაღლებამაც დადებითი ზეგავლენა მოახდინა დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდებების ზრდაზე, ბანკების კაპიტალიზაციის მოცულობების გადიდებაზე. კერძოდ, 2000 წლის განმავლობაში საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები გაიზარდა 17%-ით და შეადგინა 723 მლნ ლარი. მთლიანი აქტივების ზრდა განაპირობა სისტემაში მთლიანი ვალდებულებების 20%-ითა და სააქციო კაპიტალის 12%-ით ზრდამ, რაც 363 მლნ და 259 მლნ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების მთლიანი ვალდებულებების ზრდის 30% დეპოზიტების ზრდას უჭირავს; [1] 5. დეპოზიტების ზრდის ტენდენცია ნასესხებ სახსრებთან შედარებით. აღნიშნული ტენდენციის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ კომერციული საქმიანობისათვის საჭირო რესურსების ზრდა ხდება ქვეყანაში ფულადი მასის საბანკო არხებში მოქცევის მეშვეობით; 6. ეროვნული ბანკის მხრიდან მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივი ზრდისათვის მოთხოვნების გამკაცრება, მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე გლობალიზაციისა და კონსოლიდაციის პროცესების გათვალისწინებით.

საბანკო საქმიანობის განვლილი პერიოდის ანალიზმა დადებით ტენდენციებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც წარმოაჩინა, კერძოდ, ფისკალურ სფეროში არსებული პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ბანკების შემდგომ განვითარებას. მზედველობაში გვაქვს: 1. მოშლილი აღრიცხვიანობა; 2. მეწარმე სუბიექტების მიერ ნაღდი ანგარიშსწორებისათვის უპირატესობის მინიჭება; 3. საბანკო სერვისის შეზღუდული სპექტრი; 3. ყურადღება არ

[1] მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი №7(17), საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2000. გვ 5.

ექცეოდა დეპოზიტებიდან მიღებულ შემოსავლებსა და ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდას შორის ურთიერთკავშირს; 4. ახალი საბანკო ტექნოლოგიების, პროგრესული საბანკო პროდუქტების დანერგვის პროცესების ნელი ტემპით მიმდინარეობა, რაც, თავის მხრივ, აფერხებდა საბანკო სისტემის მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს საბანკო სისტემის აქტივები და ვალდებულებები ჯერ კიდევ კონცენტრირებულია უცხოურ ვალუტაში. კერძოდ, საბანკო სისტემაში არსებული მთლიანი ვალდებულებების 80-85% და მთლიანი აქტივების 60-65%-ის ფორმირება უცხოური ვალუტით ხდება, ეს მეტყველებს ლარის მიერ დაგროვების ფუნქციის შესრულების სისუსტეზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დოლარიზაციის მაჩვენებელი წლების მანძილზე მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ინფლაცია საგრძნობლად შემცირდა. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობას ლარისადმი ნდობა კვლავაც არა აქვს და ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 2000 წლის 1 აგვისტოსათვის დოლარიზაციის მაჩვენებელი 80% გაუტოლდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, 1999 წლიდან დღემდე სესხების საპროცენტო განაკვეთების თანდათანობით შემცირების მოუხედავად, მათი დონე დეპოზიტებზე დადგენილ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით გაცილებით მაღალია. მარჟა ეროვნული ვალუტით მოზიდულ თანხებსა და გაცემულ სესხებს შორის 15-20%-ის ფარგლებში მერყეობს. შემცირების ტენდენციის მიუხედავად, სესხების დადგენილი საპროცენტო განაკვეთები მაინც მაღალია და წლიური 30-35%-ის დონეზე რჩება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფას.

აღნიშნული გარემოება მოწმობს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღების აუცილებლობაზე და ამ მიმართულებით დეპოზიტების დაზღვევის სისტემის საფუძვლების, (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით), დამუშავების

პროცესის დაჩქარების გარდუვალობაზე, რაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს კომერციული ბანკების სადეპოზიტო ბაზის განმტკიცებაზე.

კომერციული ბანკების განვითარების განვლილი 10 წლის პერიოდის დადებითი და უარყოფითი შედეგების შეჯერებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად მიგვაჩნია საბანკო სფეროში ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო პირობების შექმნა, მხედველობაში გვაქვს: 1. ეროვნული ეკონომიკის დოლარიზაციის პროცესის შეზღუდვისა და საბანკო სისტემის აქტივებისა და ვალდებულებების უცხოურ ვალუტაში კონცენტრირების შემცირებისათვის კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება; 2. ბანკების კაპიტალიზაციის დონის ამაღლება; 3. საბანკო სისტემისადმი უნდობლობის აღმოფხვრა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბურობის ყოველმხრივი შეზღუდვა; 4. ბანკებს გარეთ არსებული ფულის მასის საბანკო არხებში მობილიზაცია; 5. საბანკო სისტემაში საკრედიტო რესურსების დეფიციტის, ასევე სესხების დადგენილი საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ეკონომიკის ფულადი რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; 6. კომერციული ბანკების ლიკვიდობის გზების განსაზღვრა; 7. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის ამაღლება; 8. კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის როლის გაძლიერება.

ამასთან, კომერციული ბანკების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერი პროცესის დახასიათებისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ ზემოთ აღნიშნული საკითხებიდან ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა ბანკებს გარეთ არსებული ფულის საბანკო არხებში მოქცევა.

როგორც ცნობილია, ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეუძლებელია შესაბამისი აგრეგირებული მაჩვენებლების ზუსტი შეფასებისა და კონტროლის გარეშე, უპირველესად ეს ეხება ფულის მასის რეალური სიდიდის დადგენასა და მის მართვას საბანკო სის-

ტემის არხებში. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ორმხრივ არის მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, ეს გაამარტივებს ინფლაციური პროცესების მართვას და, მეორე, საგრძნობლად გაზრდის დასაბეგრ ბაზას.

ბანკებს გარეთ არსებული ფულის საბანკო არხებში მოქცევის პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საბანკო სექტორის საგადამხდელო და საანგარიშსწორებო სისტემების გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო სფეროში საბანკო სისტემის განვითარების ერთ-ერთი გადამწყვეტი მიმართულება უნდა გახდეს ანგარიშსწორებისა და ანგარიშთა გეგმების შემდგომი მოდერნიზაციის პროცესის დაჩქარება, საბანკო ტექნოლოგიების სრულყოფა, კომერციული ბანკების მომსახურების ამაღლება, ანაბრების საიდუმლოების დაცვა და ლიკვიდობის მართვისათვის პირობების შექმნა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეროვნულ ბანკში ხორციელდება დროის რეალურ რეჟიმში მომუშავე ანგარიშსწორების თანამედროვე ავტომატიზებული სისტემის – „მონტრანის“ დანერგვისათვის პირობების შექმნა, მაგრამ ეს პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს და მოითხოვს დაჩქარებას, ვინაიდან იგი მოაწესრიგებს როგორც ქვეყნის შიგნით ანგარიშსწორებას, ასევე უცხოეთში გადარიცხვების ორგანიზაციას. ყოველივე ეს საბანკო სისტემისადმი მოსახლეობისა და მეწარმე სუბიექტების ნდობის ამაღლებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შემცირებას და მის მოქცევას უნაღდო ანგარიშსწორების სფეროში.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორც მსოფლიო საბანკო საქმის განვითარების პრაქტიკა გვიჩვენებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბანკების ზედამხედველობის რეგულირების სრულყოფის პროცესში ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომლებიც, თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად განსაზღვრავენ რისკის მენეჯმენტისა და ბანკის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას, საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიტიკური, კომპლექსური შეფასების შესაძლებლობებს.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემაში კომერციული ბანკების ბუღალტრული ანგარიშები დაფუძნებულია ძველი „სახბანკის" აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემაზე, რომელიც გულისხმობს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების საკასო მეთოდს და ამით გარკვეული სიძნელეები იქმნება ანგარიშგებების ანალიტიკური შეფასების თვალსაზრისით. ამიტომ, ჩვენი აზრით, აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებასთან ერთად, საჭიროა საგადასახადო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში კანონით აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები და, აქედან გამომდინარე, ამ სტანდარტების მიხედვით სავალდებულო ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, ქაღალდზე დარჩება შეუსრულებელი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელ პირობებში კომერციული ბანკები ეროვნულ მეურნეობას ფაქტობრივად სრულად არ ემსახურებიან. აღნიშნულის მიზეზია სამეწარმეო სტრუქტურების აბსოლუტური უმრავლესობის მძიმე საფინანსო — ეკონომიკური მდგომარეობა, მატერიალური საშუალებების არარსებობა, რომელთა მეშვეობითაც კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებით შესაძლებელი იქნებოდა კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლა. ამასთანავე, კომერციული ბანკების მხრიდან ასეთი სახის საწარმოებთან საკრედიტო ურთიერთობები მეტად სარისკო საქმეა. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ მოქმედი ბანკებისათვის ასეთი საწარმოები ნაკლებად მიმზიდველი კლიენტურაა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მათი ფუნქციონირების აუცილებლობის მიუხედავად.

როგორც განვითარებული ქვეყნების საკრედიტო და საბანკო ურთიერთობათა შესწავლა გვიჩვენებს, ასეთი საწარმოებზე პასუხისმგებლობა, სახელმწიფო აღმასრულებელმა ორგანოებმა თავის თავზე უნდა აიღონ. მატერიალური გარანტიების გაცემით, თავის მხრივ, აღსანიშნავია კომერციული ბანკების პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე სავალდებულო რეზერვების, საკუთარი სა-

დაზღვევო და სარეზერვო ფონდების არსებობის, დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების შესრულების, კლიენტებისა და მეანაბრეების ანგარიშებისა და საბანკო ოპერაციების შესახებ საიდუმლოების დაცვის თვალსაზრისით.

რაც შეეხება საბანკო საიდუმლოების დაცვას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მაქსიმალურად შეიზღუდოს და შემდგომში საერთოდ აიკრძალოს საბანკო დაწესებულებებიდან დეპოზიტების შესახებ ფინანსური ინფორმაციის მიღება და დაშვებულ იქნეს ე.წ. „გასაიდუმლოებული საბანკო ანგარიშები“ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ასევე საჭიროა საბანკო საიდუმლოების მომწესრიგებელი იურიდიულ-სამართლებრივი ნორმების სრულყოფა, კერძოდ, საგადასახადო კოდექსში აღნიშნული მოთხოვნა, საბანკო ოპერაციების განხორციელებისას საიდენტიფიკაციო კოდის მითითების შესახებ, ფაქტობრივად უგულებელყოფს საბანკო საიდუმლოების დაცვას. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო დეპოზიტების შესახებ ფინანსური ინფორმაციის საიდუმლოების მკაცრად დაცვა ხელს შეუწყობს უცხოეთის ბანკებში ჩვენი მოქალაქეების მიერ შენახული თანხების, ასევე ქვეყნის საბანკო სფეროს გარეთ მიმოქცევადი ფულის მნიშვნელოვანი მასის საბანკო არხებში გადმოსვლას და, საერთო ჯამში, საბანკო სისტემის ფულადი რესურსებით განმტკიცებას, მისი ფუნქციონირების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფას.

დღევანდელ პირობებში კომერციული ბანკების აბსოლუტურ უმრავლესობას სააქციო და საკუთარი კაპიტალის შეზღუდულობის გამო არ გააჩნიათ მეწარმოების ინტერესების სრულად მომსახურების შესაძლებლობანი. მეწარმეებისადმი ბანკების საკრედიტო მხარდაჭერა დაყვანილია მხოლოდ საშუამავლო საქმიანობასა და ბანკის მაღალი მოგების მიღებაზე, მაშინ, როდესაც მათი საქმიანობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ეკონომიკის სტაბილიზაცია და სამეწარმეო საქმიანობიდან მაქსიმალური მოგების მიღების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში ჩამოყალიბდა მეტად არასასურველი ნეგატიური მოვლენა. ბანკების

იმპორტიორი კლიენტები დაინტერესებული არიან მოახდინონ ეროვნული ვალუტით ამონაგების აშშ-ის დოლარზე ინდექსაცია, რაც უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსსა და ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებაზე [1].

კომერციული ბანკების ნორმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო რისკების, კერძოდ, საკრედიტო რისკების თავისებურებების გათვალისწინებას და მათ მართვას. რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, საბანკო საქმიანობაში რისკების მართვის საკითხის განხილვისას საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება არა საერთოდ რისკების ლიკვიდაციაზე, არამედ წინასწარი გაანალიზების საფუძველზე მათი მინიმალურ სიდიდემდე შემცირებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაეყრდნობა მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებას, ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტის მოცულობის შემცირებას, კრედიტის დაზღვევას, საკმარისი უზრუნველყოფის მოზიდვას, სადისკონტო სესხების გაცემას და ა.შ.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ რისკის მიზანმიმართული შესწავლისადმი დანაშაულებრივმა მიდგომამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანა. არ შეიძლება ამის მიზეზად მხოლოდ ბანკების მესვეურთა ანგარება ჩავთვალოთ, მათ ვერ გაითვალისწინეს მაღალი საპროცენტო განაკვეთების რისკის მოსალოდნელი შედეგები და, გულახდილად რომ ვთქვათ, ინფლაციის მართვის ელემენტარული საკითხების უცოდინრობა გამოავლინეს. მომავალში ასეთი მოვლენებისაგან დაზღვევისათვის აუცილებელია საბანკო მექანიზმის სრულყოფა. მხედველობაში გვაქვს, ჯერ ერთი, სესხის გაცემის მომენტისათვის რისკის შეფასება, რაც,

---

[1] მ. კაკულია. ნ. ასლამაზაშვილი. დოლარიზაცია საქართველოში. ანალიტიკური მასალები, ფაქტები, დაძლევის გზები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში (ტომი IV). თბ., 2000. გვ. 63.

თავის მხრივ, გულისხმობს მსესხებლის მიერ წარმოდგენილი საკრედიტო განაცხადის რისკის ფარული ფაზის პირობებში განსაზღვრის აუცილებლობას; მეორე, უნდა განისაზღვროს პოტენციური მსესხებლის რეპუტაცია მარკეტინგისა და ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით და მესამე, შესწავლილ უნდა იქნეს წარმოდგენილი საკრედიტო განაცხადის ხარისხი კრედიტის ეკონომიკური ეფექტიანობის, მსესხებლის საქმიანი დახასიათების თვალსაზრისით და, რაც მთავარია, კრედიტის ფინანსური უზრუნველყოფის რეალური მდგომარეობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკის ანალიზი უნდა დაემყაროს შეფასების შემდეგ საშუალებებს: კრედიტის მიზნის განსაზღვრასა და შეფასებას, სესხის დაფარვის წყაროების ანალიზსა და საქმიანი რისკის შეფასებას, მსესხებლის ფულადი ნაკადებისა და საკრედიტო პორტფელის ანალიზს [1]. რისკის შეფასების ზემოთ აღნიშნული საშუალებების საფუძველზე უნდა დამუშავდეს საბანკო სისტემაში შემავალი თითოეული კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, რომელშიც აისახება კომერციული ბანკის საკრედიტო ოპერაციების არსებული დონე და პერსპექტივები, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის თავისებურებებთან ერთად მათი განხორციელების პარამეტრებიც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კარგად რეგულირებადი საბანკო სისტემის პირობებში კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ შესაძლო უიმედო სესხების დაფარვისათვის სარეზერვო ფონდების შექმნა. ამ პროცესის ხელშეწყობისათვის სასურველია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მექანიზმი: უნდა მოხდეს საბანკო ოპერაციებიდან შემოსული მოგების ნაწილის ლიკვიდური ფორმით შენახვა, მისი დივიდენდების გასაცემად გამოყენების, ან სხვა საქმიანობაში რეინვესტიციის ნაცვლად. იმ შემთხვევაში,

---

[1] И.Ковзанадзе, Вопросы создания эффективной системы управления банковскими рисками, журнал "ДЕНГИ И КРЕДИТ" №3, Москва, 2001, стр 49.

თუ ამისათვის საკმარისი მოგება არ არის, მაშინ აქციონერებმა დამატებითი კაპიტალი უნდა გამოყონ ამ რეზერვებისათვის, ან კიდევ დახურონ ბანკი. ამ რეზერვების შექმნისათვის, აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იწვევს აქციონერების მხრიდან ამ პრობლემისადმი თავის არიდებას, რაც გაუმართლებელი რისკის ქვეშ მეანაბრეთა (დეპოზიტორთა) თანხების ყოფნას განაპირობებს. აღნიშნულში ნათლად დავრწმუნდით უკანასკნელ ხანს სააქციო საზოგადოება „ივერთბანკის“ და სხვა ლიცენზიაჩამორთმეული კომერციული ბანკების ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრებისა და დეპოზიტების გასტუმრებისას ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე. ყოველივე მკაცრად უნდა იქნეს გათვალისწინებული მომავალში საბანკო სისტემის საქმიანობის წარმართვაში.

მეურნეობრიობის საბაზრო სისტემაზე გადასვლით საფინანსო სფერო, განსაკუთრებით საბანკო სისტემის როლი ეკონომიკაში მნიშვნელოვნად იზრდება. ეს კი ობიექტურად მოითხოვს, რომ თითოეულ კომერციულ ბანკს ჰქონდეს შემუშავებული საკუთარი საკრედიტო პოლიტიკა იურიდიული და ფიზიკური პირების ინტერესთა გათვალისწინებით.

პოსტსოციალისტური ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში არ არსებობს „საკრედიტო პოლიტიკის“ არსის გაგების მიმართ ერთიანი აზრი. საბანკო საქმის პრობლემებისადმი მიძღვნილ ეკონომიკურ გამოკვლევებში საკრედიტო პოლიტიკას გვერდი აქვს ავლილი, უფრო მეტიც, საქართველოში მიღებულ საბანკო საქმიანობის შესახებ კანონებშიც საერთოდ არ არის განსაზღვრული „ფულად-საკრედიტო პოლიტიკის“ არსი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეროვნული ბანკის მთავარი ფუნქციის – ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის გაგებაც. რუსი ეკონომისტის ე. ი. ოლშანის აზრით, „ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა კრედიტების მიღებისა და გაცემის სფეროში წარმოადგენს მისი საკრედიტო პოლიტიკის არსს. თითოეული ბანკი თავის

საკუთარი საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებას ახდენს პოლიტიკური, ორგანიზაციული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით" [1]. წიგნში „რუსეთის საბანკო სისტემა" (ბანკირის სამაგიდო წიგნი) საკრედიტო პოლიტიკა განმარტებულია, როგორც ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა საკრედიტო ოპერაციების სფეროში [2].

ძირითადად ვიზიარებთ საკრედიტო პოლიტიკის არსის შესახებ აღნიშნულ მოსაზრებებს იმ დაზუსტებით, რომ საკრედიტო პოლიტიკა, ჩვენი აზრით, ღონისძიებათა სისტემაა, რომლის მეშვეობით ხდება [3] საკრედიტო ოპერაციების სფეროში კრედიტის მიღებისა და გაცემის რაციონალური ორგანიზაციის საფუძველზე მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფა, ეროვნული ბანკის მიერ თავისი ფუნქციების პრაქტიკულად განხორციელება.

საკრედიტო პოლიტიკა განხილულ უნდა იქნეს სადეპოზიტო პოლიტიკის გათვალისწინებითაც. მთავარია, რომ საკრედიტო პროცესი გამოკვლეულ უნდა იქნეს როგორც ბანკი-კრედიტორის, ასევე ბანკი-მსესხებლის პრინციპიდან. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს დაკრედიტების მთავარი პრინციპის — ღირებულების დაბრუნების დაცვასთან.

საკრედიტო პოლიტიკის მიზანია ისეთი პირობების შექმნა, რომელიც იძლევა ბანკის მოზიდული სახსრების ეფექტურად განთავსების საშუალებასა და მოგების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფას. იგი გულისხმობს კომერციული ბანკების განვითარებისა და სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას.

საკრედიტო პოლიტიკას მნიშვნელოვანი როლი უკავია მაკროეკონომიკურ დონეზე, განსაკუთრებით მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროცესში, ფუ-

---

[1] А.И. Ольшаный, Банковское кредитование; Росийский и зарубежный опыт; М. Финансы ы статистика, 1997 ст. 40.

[2] Банковская система России Настольная книга банкира, в 3-х т, /Ред. кол. А.Г. Грязнова, О. И. Лаврушин и др/ М. Дека, 1995, Книга 2 ст. 63.

[3] ჯ. ზურაბიშვილი. საფინანსო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში. თბ., 1996, გვ.3.

ლადი ბრუნვის დაგეგმვისა და რეგულირების ორგანიზაციაში, ხოლო მიკროეკონომიკურ დონეზე საკრედიტო პოლიტიკა უზრუნველყოფს ბანკის საიმედოობასა და სტაბილურობას, მისი რენტაბელობისა და ლიკვიდობის, კლიენტების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე საქმიანობის ადეკვატურად სრულყოფას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო სისტემის განმტკიცებაში განსაკუთრებული საფინანსო მექანიზმია ფინანსური ბაზარი, რომელიც, თავის მხრივ, კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სახით ფუნქციონირებს. საკრედიტო და სახაზინო აუქციონების მეშვეობით კომერციული ბანკების მიერ ფულადი რესურსებით შევსება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბანკო სისტემის განმტკიცებასა და დამატებით ფულადი რესურსების მობილიზაციაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსური ბაზრის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებად მიგვაჩნია შემდეგი: 1. კომერციული ბანკის, როგორც ფინანსური ბაზრის ეკონომიკური სუბიექტის როლისა და ადგილის შესწავლა დამატებითი ფულადი რესურსების მობილიზაციაში; 2. საფინანსო ბაზრის მონაწილეთა საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის საკრედიტო ბიუროებისა და დამოუკიდებელი სარეიტინგო სააგენტოების შექმნის პროცესის დაჩქარება, რაც საშუალებას მოგვცემს ადრეულ ეტაპზე განვახორციელოთ საბანკო რისკების მაქსიმალური გამოკვლევა და მივაღწიოთ საფინანსო ინფორმაციის გამჭვირვალობას; 3. უცხოეთის ბანკების როლის გაზრდა საქართველოს საფინანსო ბაზარზე. ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურმა გარემომ და სავალუტო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესმა უკანასკნელ პერიოდში შესაძლებელი გახადა უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდა, რამაც თავისი ასახვა პოვა საბანკო სისტემაში. მხედველობაში გვაქვს უცხოური საფინანსო ორგანიზაციების დაინტერესების ზრდასთან ერთად უცხოურ საკრედიტო ბაზრებში საქართველოს კომერციული ბანკების ჩართვა, რაც ხელს უწყობს კომერციული ბანკების საქმიანობისა და საბანკო მომსახურების

გაფართოებას, მეტი ფულადი სახსრების მოზიდვას, საიმედოობისა და ლიკვიდობის განმტკიცებას და, საბოლოო ჯამში, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან რეფინანსირებისათვის შელავათიანი კრედიტების მიღებას.

უცხოური ბანკების შემოსვლა საქართველოს ბაზარზე ობიექტურად მოითხოვს შესაბამისი საინვესტიციო გარემოს შექმნას, რომელსაც თავის მხრივ მოჰყვება ადგილობრივი ბანკების საბანკო მომსახურების გაუმჯობესება, საბანკო პროდუქტისა და საბანკო საქმიანობის სპექტრის გაფართოება.

თანამედროვე ეტაპზე განვითარებადი ქვეყნების საბანკო სისტემის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ფინანსური ბაზრის, ფასიანი ქაღალდებისა და კაპიტალის ბაზრების განვითარება, რაც კომერციული ბანკების საქმიანობის სფეროების გაფართოებასთან ერთად, გულისხმობს არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების ზრდასაც. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ დააჩქაროს ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის მიღება ფინანსური ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობების, კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად და ამით ხელი შეუწყოს საქართველოში არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების იურიდიულ და ფინანსურ დამკვიდრებას, საერთო ჯამში, კომერციული ბანკის, როგორც საფინანსო ბაზრის განსაკუთრებული ეკონომიკური სუბიექტის, შესაძლებლობათა ყოველმხრივ გამოვლენას.

§2. კომერციული ბანკი, როგორც საფინანსო ბაზრის განსაკუთრებული ეკონომიკური სუბიექტი

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებისათვის თავიანთი მეთოდის შემუშავების მიზნით, ხშირად მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი ითვლება მსოფლიოში ყველაზე უფრო ფართო, დიფერენცირებულ და ლიკვიდურ ბაზრად, გამოირჩევა გამჭვირვალობითა და ინვესტორების სრული ნდობით.

უკანასკნელ პერიოდამდე მსოფლიოში ცნობილი იყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორი ძირითადი მოდელი: „ამერიკული", რომელიც ითვალისწინებდა საფონდო ბაზარზე მხოლოდ საინვესტიციო ბანკებისა და საბროკერო ფირმების მონაწილეობას, და „გერმანული", რომლის მიხედვითაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითად მონაწილეებად სწორედ ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები გვევლინებიან. ეს საკითხი მეტად აქტუალურია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კომერციული ბანკების მონაწილეობის შესაძლებლობისა და ფორმის განსაზღვრისას. გავრცელებული აზრის მიხედვით, ამ ორ მოდელს შორის განსხვავება თანდათანობით იშლება. ჩვენი მოსაზრებით, საუბარი უნდა იყოს არა იმდენად განსხვავების წაშლაზე, არამედ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობის მოთხოვნების უნიფიცირების შესაძლებლობებზე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან.

თანამედროვე ეტაპზე ამ მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავდა საქართველოში კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", რომელიც ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბროკერო ფირმების, ანუ იგივე საინვესტიციო ბანკების პირდაპირ მონაწილეობას, ხოლო კომერციული ბანკების ჩართვას ამ პროცესში შვილობილი საწარმოების მეშვეობით. აღნიშნული მოდელი, ჩვენი აზრით, სავსებით მისაღებია საქართველოსთან ერთად იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას დაადგენენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული პრობლემა წლების განმავლობაში აქტუალური იყო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საფინანსო სფეროში საქმიანობის დროს, მარეგულირებელი ორგანოები ხშირად აწყდებოდნენ წინააღმდეგობებს იმ საწარმოთა რეგულირებისას, რომლებიც ერთდროულად დაკავებული იყვნენ ორ ან რამდენიმე სხვადასხვა სფეროში საქმიანობით. კერძოდ, იგულისხმება საფინანსო დაწესებულება, რომელიც დაკავებულია ერთდროულად ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით, საკრედიტო-საბანკო, აგრეთვე სადაზღვევო საქმიანობით.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს პირობებში დღეს ეს პროცესი უცილობლად აღმოჩნდებოდა სამი უწყების რეგულირების სფეროში: როგორც საბანკო დაწესებულება — ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროში; როგორც სადაზღვევო ორგანიზაცია — საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სფეროში, ხოლო როგორც ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებით დაკავებული ორგანიზაცია — საქართველოს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის დაქვემდებარებაში. რეგულირების დროს წარმოშობილი წინააღმდეგობები, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეული იქნებოდა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სალიცენზიო მოთხოვნისა და კონტროლის ფორმების აუცილებლობით.

ჩვენი აზრით, აღნიშნული საქმიანობის შეთავსება ერთი ორგანიზაციის მიერ შეუძლებელია, შეთავსების შედარებით მოხერხებულ ფორმად ჰოლდინგი მიგვაჩნია, რომელიც, თავის მხრივ, განახორციელებდა სამი სხვადასხვა პროფილის — სადაზღვევო, საბანკო და საფონდო საწარმოთა მართვას. მისაღებ ფორმად მიგვაჩნია ასევე სხვადასხვა სახის საქმიანობის წარმართვა შვილობილი საწარმოების მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბანკო დაწესებულებას სურს საბანკო საქმიანობის პარალელურად, აწარმოოს ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და სადაზღვევო ბიზნესშიც, ეს შესაძლებელია ბანკის

მიერ დაფუძნებული შვილობილი საწარმოების – საბროკერო ფირმისა და სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით. თავის მხრივ, საბროკერო ფირმასაც ანალოგიური გზით შეუძლია საბანკო და სადაზღვევო საქმიანობის შეთავსება.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციით შესაძლებლად მიგვაჩნია საქართველოს კომერციული ბანკების მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შვილობილი საწარმოების მეშვეობით. ამ შემთხვევაში თვით ბანკის მარეგულირებელ ორგანოს შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო ბანკის მიერ ჩამოყალიბებული საბროკერო ფირმის მარეგულირებელ ორგანოს – ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების სახელმწიფო კომისია.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფოს მოქმედების პრინციპებისა და ფუნქციონირების განსაზღვრა. ამ შემთხვევაში, ბაზრის ხელშეწყობასთან ერთად, აუცილებელია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევისა და ბაზრის თვითრეგულირების პრინციპის აღიარება-განხორციელება. აღნიშნულისათვის კი საჭიროდ მიგვაჩნია: <u>ჯერ ერთი,</u> სახელმწიფოს მხრიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა; <u>მეორე,</u> ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო უზრუნველყოფის პროცესის დაჩქარება; <u>მესამე</u> ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება; <u>მეოთხე,</u> ფასიანი ქაღალდების მასის ზრდა სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვებითა და პრივატიზაციის პროცესის განხორციელებით; <u>მეხუთე,</u> საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების ხელშეწყობისათვის ღონისძიებების შემუშავება.

გასატარებელ ღონისძიებათა შორის, რაღა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო უზრუნველყოფა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნა და პრაქტიკულად ამოქმედება. ამიტომ ორივე ღონისძიება მიმართული უნდა იყოს როგორც უცხოე-

ლი ინვესტორების, ასევე მოსახლეობის ნდობის ასამაღლებლად, მაგრამ ერთიცა და მეორეც უნდა განხორციელდეს იმ სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, რომელშიც აისახება ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის განვითარების კონცეფცია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მართალია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის არქონა ამ ბაზრის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების დამამუხრუჭებელი ფაქტორია, მაგრამ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი გვიჩვენებს, ფასიანი ქაღალდების ბაზარი კანონის გარეშე დაახლოებით 150 წელი ფუნქციონირებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ ნორმატიული ბაზის შექმნის მეორე დღეს ბაზრის ინფრასტრუქტურა აშენებული დაგვხვდება. ბაზრის ინფრასტრუქტურის რგოლები დირექტიული გადაწყვეტილებით კი არ უნდა შეიქმნას, არამედ იგი ბაზრის მოთხოვნილებით ფორმირდება.

ამის მაგალითად შეიძლება უზბეკეთის სახელმწიფო საფონდო ბირჟის მოყვანა, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნა სახელმწიფოს დაახლოებით სამი მილიონი დოლარი დაუჯდა, ის პრაქტიკულად ვერ ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარეობს, რომ, პირველ რიგში, უნდა გაჩნდეს ვაჭრობის ობიექტი, ინვესტირებისათვის საინტერესო ფასიანი ქაღალდები. ეს როლი ნაწილობრივ უნდა შეასრულოს სახაზინო ვალდებულებებმა, როდესაც ისინი მეორად ბაზარზე დაიწყებენ მიმოქცევას. ამ პროცესში კომერციულმა ბანკებმა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავონ.


საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ობიექტურად მოითხოვს კომერციული ბანკის, როგორც საფინანსო ბაზრის, განსაკუთრებული ეკონომიკური სუბიექტის როლის განსაზღვრას.

საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ და სამართლებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროში მოითხოვს შესაბამისი ინსტიტუტების შექმნასა და ფორმირებას. ეს სისტემაც არაა გამონაკლისი, ამ სისტემის თავისებურებაა ის, რომ მართვის სისტემაში შემოდის

ისეთი გავლენის მქონე ელემენტები, როგორიცაა: ფინანსური ბაზარი, სახელმწიფო მარეგულირებელი ინსტიტუტები და სპეციალიზებული არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები. სქემატურად ეს შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:

სქემა №1

საბანკო სფეროს მართვის სისტემა



სსსი — საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები;
სებ — საქართველოს ეროვნული ბანკი;
სრი — სახელმწიფო რეგულირების ინსტიტუტები;
სასსი — სპეციალიზებული არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები.

როგორც სქემიდან ჩანს, ეროვნული ბანკი ურთიერთკავშირშია საფინანსო სისტემის ყველა ელემენტთან და ასრულებს მთლიანად სისტემის მთავარი კოორდინატორის როლს, რომელიც ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც სახელმწიფო ინტერესები, ასევე იმ საერთაშორისო საფინანსო-ინსტიტუტების მოთხოვნები, რომლებიც რეკომენდაციებს გვაძლევენ საფინანსო სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულების შესახებ. თავის მხრივ, ფინანსური ბაზრის მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რომლებსაც დგამს ეროვნული ბანკი, რათა შეინარჩუნოს საბანკო სისტემის სტაბილურობა.

ეროვნული ბანკი საბანკო სისტემის ფარგლებში ახორციელებს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ფულად-საკრედიტო სისტემასა და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკაზე. კომერციულ ბანკებზე კი ზემოქმედებას ახდენს ის გარემო, რომელშიც მათ უწევთ მუშაობა – იქნება ეს ქვეყანაში წარმოებისა და ვაჭრობის სფეროს მდგომარეობა, ინვესტიციების დონე თუ სხვა. ყველა ეს ფაქტორი ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მმართველი სუბიექტის (სახელმწიფო რეგულირების ინსტიტუტების წარმომადგენლები) მიერ და აისახოს მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საკრედიტო სისტემა, როგორც მართვის ობიექტი, მუდმივ ზემოქმედებას ახდენს საფინანსო ბაზარზე და იგი არის ამ ბაზრის უმნიშვნელოვანესი რგოლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია: 1) ბანკების, როგორც ფინანსური ბაზრის ძირითადი რგოლის, არსის, ფუნქციების, დანიშნულებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრა. 2) განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ბანკების მუშაობის თეორიული ასპექტების გაცნობა და სათანადო დასკვნების გაკეთება.

ბანკის არსის განსაზღვრისათვის აუცილებელია,რომ შესწავლილ იქნეს ის გარემო, სადაც იგი ფუნქციონირებს, ანუ საკრედიტო სისტემა. თავის მხრივ, საკრედიტო სისტემა ეს არის საბანკო და

სპეციალიზებული ორსაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ერთობლიობა.

ასხვავებენ ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან საბანკო სისტემას. ერთსაფეხურიან საბანკო სისტემას ახასიათებს ბანკებს შორის ჰორიზონტალური კავშირი. ამასთან, ყველა ბანკი, ცენტრალური ბანკის ჩათვლით, ერთ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება და ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს. საბანკო სისტემის აგების ასეთი პრინციპი დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურის ქვეყნებისათვის, ასევე ტოტალიტარული, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მმართველობის მქონე ქვეყნებისათვის.

ორსაფეხურიან საბანკო სისტემას ახასიათებს ბანკებს შორის როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური კავშირი. ვერტიკალური კავშირი არსებობს ცენტრალურ ბანკს, როგორც ხელმძღვანელ და მმართველ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის, ხოლო ჰორიზონტალური კავშირი კი – თვით კომერციულ ბანკებს შორის.

ორსაფეხურიან საბანკო სისტემაში ცენტრალური ბანკი, როგორც სახელმწიფოს აგენტი, ახორციელებს საბანკო დაწესებულებების მართვას, ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ: *პირველი* – კომერციული ბანკი უნდა იყოს საბანკო სისტემის ნაწილი (ჰქონდეს ბანკის სტატუსი, ლიცენზია საბანკო ოპერაციების წარმოებაზე); *მეორე* – თავისი ფუნქციები განახორციელოს საერთო და სპეციფიკური კანონებიდან და საზოგადოების იურიდიული ნორმებიდან გამომდინარე; *მესამე* – ურთიერთკავშირი დაამყაროს საბანკო სისტემის სხვა ელემენტებთან; *მეოთხე* – ჰქონდეს თვითრეგულირების (რეგულირებისა და გარესამყაროსთან შერწყმის) განვითარებისა და სრულყოფის უნარი; *მეხუთე* – თავის მხრივ, ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმის მართვა და რეგულირება მიმართულ იქნეს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისაკენ დესტაბილიზაციის ტენდენციების განეიტრალების საფუძველზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ

კომერციული ბანკები ფუნქციონირებენ ისეთ გარემოში, სადაც ხდება, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის, როგორც სახელმწიფო აგენტის, მიერ მათი საქმიანობის რეგულირება და, მეორე მხრივ, არსებობს მძაფრი კონკურენცია სპეციალიზებული არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების მხრიდან.

ჩვენი აზრით, კომერციული ბანკების არსის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ არა იმ ფუნქციების განმარტებით, რომლებსაც ისინი ახორციელებენ ფულადი რესურსებით ოპერირებისას ცალკეულ ეტაპზე, არამედ უნდა დავადგინოთ მათი ერთიანი კომპლექსური ნიშნები.

ამ მიზნით განვიხილოთ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებული ბანკების სახეობა, ფუნქციები, ოპერაციები და მათი განვითარების ტენდენციები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი კომერციული ბანკების კლასიფიკაციის გაცნობა (სქემა №2) საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ ბანკების სახეობა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. მაგალითად, საკუთრების ფორმის მიხედვით ბანკი შეიძლება იყოს: სახელმწიფო, კერძო, კოოპერატიული და შერეული; კაპიტალის კუთვნილების მიხედვით — ეროვნული, უცხოური, ერთობლივი; ტერიტორიული ჭრილით — რეგიონალური (ადგილობრივი, მუნიციპალური), რეგიონთაშორისო, საერთაშორისო და უცხოური; სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის მიხედვით — წილობრივი და სააქციო; დამოუკიდებლობის ხარისხის მიხედვით — დამოუკიდებელი, შვილობილი, სატელიტი, უფლებამოსილი და კონსორციული; საქმიანობის ხასიათის მიხედვით — უნივერსალური და სპეციალიზებული; სამეურნეო სპეციფიკაციიდან გამომდინარე — სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სატრანსპორტო, ხოლო ფუნქციონალური სპეციალიზაციის მიხედვით — ინოვაციური, საინვესტიციო, საშემნახველო; საქმიანობის მასშტაბები განასხვავებს მსხვილ, საშუალო და მცირე ბანკებს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების კომერციული ბანკების კლასიფიკაცია

1. საკუთრების ფორმის მიხედვით	– სახელმწიფო – კერძო – კოოპერაციული – შერეული
2. კაპიტალის კუთვნილების მიხედვით	– ეროვნული – უცხოური – ერთობლივი
3. ტერიტორიული ნიშნის მიხედვით	– რეგიონალური (ადგილობრივი) – რეგიონთაშორისო – საერთაშორისო – უცხოური
4. სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის მიხედვით	– წილობრივი – სააქციო
5. დამოუკიდებლობის ხარისხის მიხედვით	– დამოუკიდებელი – შვილობილი – სატელიტი – უფლებამოსილი – კონსორციალური
6. საქმიანობის ხასიათის მიხედვით – დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით – ფუნქციონალური სპეციალიზაციის მიხედვით	– უნივერსალური – სპეციალიზებული – სამრეწველო – სასოფლო-სამეურნეო – სამშენებლო – სატრანსპორტო – ინოვაციური – საინვესტიციო – საშემნახველო
7. საქმიანობის მასშტაბების მიხედვით	– მსხვილი – საშუალო – მცირე

ბანკების მრავალსახეობიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ კლიენტებს სხვადასხვა სახის მომსახურება გაუწიონ და მიაწოდონ მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტი (იხილეთ სქემა №3). მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს,რომ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ კლიენტებს სხვადასხვა სახის მომსახურება გაუწიონ. სქემაზე აღნიშნული კომერციული ბანკების მიერ კლიენტების მომსახურების სახეებიდან გამომდინარე, საქართველოში მათი გამოყენება შემდეგი თავისებურებების განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით, ბანკი საკრედიტო ორგანიზაციაა, რომელიც ფლობს განსაკუთრებულ უფლებას – ერთობლივად განახორციელოს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების (საკრედიტო რესურსების) მოზიდვის, სხვადასხვა სახის კრედიტის გაცემის, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის, საშემოსავლო მომსახურებისა და სხვა სახის ოპერაციები, კერძოდ:

– როგორც პროცენტიანი, ისე უპროცენტო ფულადი ანაბრების (ვადიანი ანაბრები, ანაბრები მოთხოვნამდე და სხვა) ან გადახდის სხვა საბუთების მოზიდვა;

– კრედიტის გაცემა, (სამომხმარებლო, საიპოთეკო, საბლანკო და სხვა კრედიტების ჩათვლით), ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, ფორფეტირების ჩათვლით;


– ყიდვა-გაყიდვა თავიანთ ან კლიენტთა ხარჯზე (მათ შორის, როგორც გარანტის): ფულადი საბუთების (ჩეკების, გადასაყვანი თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით); ფიუჩერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტებისა და სავალო საბუთების;

– ფულადი გადარიცხვებისა და სალაროს ოპერაციების განხორციელება;

– უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, მათ შორის, ფიუჩერ-

სქემა №3

კომერციული ბანკების მიერ კლიენტების მომსახურების სახეები



სული კონტრაქტების ფარგლებში, ამასთან, მხოლოდ ცენტრალური ბანკის ლიცენზიით;

– ფასეულობის შენახვა და აღრიცხვა (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით);

– ინვესტორთა ფასიანი ქაღალდების, პორტფელის მართვა და მომსახურება როგორც მრჩევლის, საფინანსო აგენტის ან კონსულტანტის;

– საკრედიტო საცნობარო მომსახურება;

– ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

ზემოთ აღნიშნული მომსახურების სახეების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ კომერციული ბანკების შემდეგი ძირითადი ფუნქციები: შუამავლობა კრედიტების გაცემის დროს, მეურნეობაში თანხების დაგროვების სტიმულირება, შუამავლობა გადახდების განხორციელების პროცესში, სატრასტო-საკონსულტაციო მომსახურება და მთავრობის (ეროვნული ბანკის სახით) პოლიტიკის გატარება.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული საბანკო სისტემა არ მოიცავს მეურნეობებისა და მოსახლეობის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდების სტიმულირების მექანიზმს. ამიტომ კომერციული ბანკები, გამოდიან რა საფინანსო ბაზარზე საკრედიტო რესურსების მოთხოვნით, უნდა უზრუნველყონ არსებული დანაზოგების მაქსიმალური მობილიზება მიმდინარე მოთხოვნების შეზღუდვის საფუძველზე. დანაზოგების სტიმულირება უნდა მოხდეს მოქნილი სადეპოზიტო პოლიტიკის საფუძველზე. მაღალი საპროცენტო განაკვეთების გარდა, კომერციულმა ბანკებმა უნდა უზრუნველყონ მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა და საბანკო სისტემაში შესაძლო ნეგატიური პროცესების მინიმუმამდე დაყვანა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დაწესების მექანიზმი არ არსებობს, მაშინ, როდესაც განვითარებული

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფუნქციონირებს დეპოზიტების დაზღვევის სპეციალური ფონდი, რომელშიც კომერციული ბანკები თავისი შემოსავლის გარკვეულ პროცენტს რიცხავენ, ასევე არსებობს დეპოზიტების სახელმწიფო დაზღვევის მექანიზმიც. გარდა ამისა, კომერციული ბანკები დეპოზიტების დასაზღვევად, რისკის განაწილების თვალსაზრისით, კერძო სადაზღვევო კომპანიებთან დებენ ხელშეკრულებას [1]. საზღვარგარეთის აღნიშნული გამოცდილების დანერგვა, ვფიქრობთ, აუცილებელი და მიზანშეწონილია ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დღეისათვის საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ ის ძირითადი ფინანსური რესურსები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას უნდა მოხმარდეს, ანაბრების სახით უნდა იქნეს მობილიზებული, ამისათვის უნდა შეიქმნეს რისკის დაზღვევის ქმედითი მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს თავისუფალი ფულადი სახსრების ანაბრებზე (დეპოზიტებზე) მოზიდვას.

ფინანსური ბაზრის ფუნქციონირებაში, კერძოდ, მისი მნიშვნელოვანი რგოლის — ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირების პროცესში დიდ მნიშვნელობას იძენს კომერციული ბანკების ისეთი ფუნქცია, როგორიცაა ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით. ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად, საბანკო დაწესებულებებს უფლება აქვთ საფონდო ბაზარზე განახორციელონ ისეთი ოპერაციები, როგორიც საინვესტიციო ფონდებმა და საბროკერო და სადილინგო კომპანიებმა. თუ ბანკი ასრულებს საინვესტიციო კომპანიის ფუნქციებს, მას შეუძლია ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზაცია მესამე პირის სასარგებლოდ და მათ განთავსებაზე გარანტიების გაცემა, იყიდოს და გაყიდოს ფასიანი ქაღალდები თავისი სახელით და თავის ხარჯზე, მათ შორის ფასიანი ქაღალდების კოტირების მეშვეობით ანუ განსაზღვრულ ფასიან ქაღალდებზე

---

[1] ერიკ ნ. კომპტონი. კომერციული საბანკო სისტემის ახალი პორიზონტები. თარგმანი ინგლისურიდან, თბ., გამომცემლობა „ლურჯა ცხენები". 1993. გვ. 23-28.

გამოაცხადოს გამყიდველისა და მყიდველის ფასი. გამოდის რა საბროკერო კომპანიის როლში, ბანკი ახორციელებს შუამავლობას ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის დროს კლიენტების დავალებითა და საკომისიო გასამრჯელოს გადახდის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. ბანკს, როგორც საინვესტიციო კონსულტანტს, ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებით შეუძლია საინვესტიციო კონსულტაციების გაწევაც.

ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნელი ტემპებით მიმდინარეობს, ამიტომ ბანკებს ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების განხორციელებაში შუამავლის ფუნქციის სრულად რეალიზაციის საშუალება ჯერჯერობით არა აქვთ.

კომერციული ბანკების ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბანკი, როგორც საფინანსო ბაზრის უმნიშვნელოვანესი რგოლი, დიდ როლს თამაშობს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო საბანკო საქმიანობაში მიმდინარე ცვლილებებს, შეიძლება, დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს როლი ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვასთან ერთად ზრდის ტენდენციებით ხასიათდება.

ბანკების მიერ მიწოდებული ახალი სახის მომსახურებას მიეკუთვნება: სადაზღვევო პოლისებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, სადაზღვევო სააგენტოების მართვა, ფასიანი ქაღალდებისა და ურთიერთფონდების ინვესტიციების მართვა, საკონსულტაციო მომსახურება (დაბეგვრის, კერძო და კორპორაციული ფინანსური დაგეგმვის, საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით), ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის კრედიტების გამოყოფა და ა. შ.

ამრიგად, ბანკის ცნების, არსის, სახეებისა და ფუნქციების გამოკვლევამ და განვითარების ტენდენციების შესწავლამ დაგვანახა ბანკის, როგორც საფინანსო ბაზრის მნიშვნელოვანი ეკონომიკური

სუბიექტის სახე. ამ გამოკვლევამ ცხადყო ბანკის გარე სახე სხვა ეკონომიკური სუბიექტების თვალსაზრისით და გვიპასუხა კითხვაზე, თუ რა არის ბანკი მაკროეკონიმიკისათვის. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკის ეფექტური საქმიანობა დამოკიდებულია არა მარტო მის მაკროეკონომიკურ არსზე, არამედ შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ბანკის შიგნით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში იმის გაგება, თუ როგორ ხდება მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება პრაქტიკულად ბანკის მართვის პროცესში, შეუძლებელია მისი საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებების ანალიზის გარეშე.

§3. საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში

საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობა და მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელია ფულად-საკრედიტო სისტემის რადიკალური გარდაქმნისა და შესაბამისი თეორიული დებულებების დამუშავების გარეშე. ამ ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის საბანკო სისტემის საქმიანობის ისეთი მოდელია საჭირო, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული სისტემის ანალოგი იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულად-საკრედიტო სისტემის რადიკალური გარდაქმნის მთავარი მიმართულება, საბანკო სისტემის სრულყოფასთან ერთად, უნდა გახდეს მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

დღეს საქართველოს მეტწილ ბანკებს თითქმის იდენტური პრობლემები აქვთ და ამის ძირითადი მიზეზი მათი საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურისა და სტრატეგიის სრულყოფის საკითხებია, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ევოლუციურ ცვლილებებს განიცდის.

თანამედროვე ეტაპზე საბანკო სისტემის განვითარება თვისებრივად ახალ ფაზაში შედის. გამოიყო კონკურენტუნარიანი ბანკები, რომლებმაც წამყვანი ადგილი დაიკავეს საბანკო სისტემაში, ნაწილი ბანკებისა გაერთიანდა, წარმოიშვა ახალი ბანკები, ხოლო ნაწილს კი ჩამოერთვა საქმიანობის გაგრძელების შესახებ ლიცენზია და შეწყვიტა მუშაობა. თუ ცოტა ხნის წინათ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი ბანკი იყო და უპირველეს აუცილებლობას ლიდერისა და აუტსაიდერის გამიჯვნა წარმოადგენდა, დღეს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მონდომებით ეს პრობლემები თითქმის გადაწყვეტილია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბანკო სისტემაში წამყვანი ბანკების საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა აუცილებელია ბაზარზე დარჩენისა და პოზიციების განმტკიცებისა-

თვის, ვინაიდან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მათი ფინანსური მდგომარეობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად შეფასდეს შემდეგ გარემოებათა გამო: – *ჯერ ერთი,* საბანკო სისტემაში შემავალი ბანკების ნაწილი ლიკვიდობის კრიზისის წინაშე დგას, საკრედიტო პორტფელის მდგომარეობა უარესდება, ქვეყნის ბიუჯეტის მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო ამცირებს ფულადი ნაკადების ბრუნვადობის ხარისხს; *მეორე* – მოქალაქეები კვლავაც ამჯობინებენ დანაზოგის სახლში, უცხოურ ვალუტაში შენახვას, ამიტომაც საბანკო სისტემის აქტივებში იმობილიზებული სახსრების წილი კვლავაც დიდია და მისი მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია არ შეინიშნება; *მესამე* – მართალია, რამდენიმე ბანკი თავის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, ჯერ კიდევ ახერხებს ფულადი ნაკადების ზრდას, ახალი საკრედიტო ხაზების მოზიდვითა და მათი არასრულყოფილად გაანალიზებულ პროექტებში განთავსებით, მაგრამ ასეთი მიდგომა დიდი კითხვის ქვეშ აყენებს ბანკების სტაბილურ მდგომარეობას და ხელს უწყობს გაკოტრების პირობების შექმნის დაჩქარებას; *მეოთხე* – მნიშვნელოვან სრულყოფას საჭიროებს ტექნოლოგიური სისტემები, ვინაიდან ბანკების გარკვეული ნაწილი დიდ სახსრებს ფართოდ რეკლამირებული სისტემების შესყიდვაზე ხარჯავს, მაშინ, როდესაც ვერ ახერხებენ სანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათ სრულყოფილ დატვირთვას და შესაბამისად მცირდება აღნიშნულ სისტემებში დაბანდებული სახსრების უკუგების პერიოდი; *მეხუთე* – ხშირ შემთხვევაში სუსტია ფინანსური მართვის სისტემები, მართვის ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, საკადრო რესურსების მართვის პროცედურები, ბანკებს არა აქვთ განვითარების მკაფიოდ ფორმულირებული და დოკუმენტირებული სტრატეგია, კაპიტალის, აქტივების, კადრებისა და სხვა რესურსების მართვის ქმედითი პოლიტიკა და თვით ამ პოლიტიკის ფორმირებისა და მართვის სისტემები, თითქმის არ არსებობს კადრების საქმიანობის ობიექტური შეფასების მეთოდები, ბანკების საქმიანობა არ არის გათვლილი და გაანალიზებული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციისათვის.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის უპირველესი მიზეზი, ჩვენი აზრით, არასრულყოფილი მართვის სისტემებია, სადაც არ არის გათვალისწინებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებანი. სახელმწიფო საბანკო სისტემის საქმიანობის ორგანიზაციას ახორციელებს ეროვნული ბანკის მეშვეობით, ხოლო, თავის მხრივ, ეროვნული ბანკი ამ პროცესის მართვისათვის იყენებს მსოფლიოში მიღებულ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა: სააღრიცხვო განაკვეთი, სავალდებულო რეზერვების ნორმა, ოპერაციები ღია ბაზარზე და სხვა.

თანამედროვე პირობებში საქართველოში უკვე არსებობს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები, მაგრამ რამდენადაც საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და მისი შემდგომი სრულყოფის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, ამიტომ არსებული, მოქმედი საკანონმდებლო ბაზა ძირითადად მიმართულია სახელმწიფოს მიერ ფისკალური ფუნქციების დასაკმაყოფილებლად.

2001 წლის დაწყებასთან ერთად ქართული საბანკო სისტემა განვითარების ახალ ფაზაში შედის. ბანკებს შორის კონკურენტული ბრძოლის მეთოდები იხვეწება, უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, მომსახურების ხარისხის ამაღლებასთან ერთად ვითარდება ბანკების საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობის მიმართულებები, ისინი სულ უფრო კონკრეტულ სახეს ღებულობენ დამატებითი სახსრების მობილიზაციის მიზნით, რაც, თავის მხრივ, მისაღები ხდება საქართველოში მოქმედი ეკონომიკური სუბიექტებისათვის, განსაკუთრებით მოსახლეობისათვის. შესაბამისად სრულყოფას განიცდის ბანკების მართვის სისტემები, რასაც თან სდევს ქვეყანაში მობილიზებული შედარებით იაფი კაპიტალის მეშვეობით აქტივების მომგებიანობის განაკვეთების შემცირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკების რენტაბელობის შემცირების გამო, ისინი იძულებული არიან ეძიონ ოპერაციების მოცულობის ზრდისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების გზები. აქვე აღსანიშნავია ისიც,

რომ უკანასკნელ ხანს საბანკო სისტემა მაქსიმალურად ეფექტიანად იყენებს განვითარების როგორც ინტენსიურ, ასევე ექსტენსიურ გზებს თავიანთი კაპიტალის მოცულობის გაზრდისათვის.

აღნიშნულ პროცესებს ემატება ისიც, რომ ეროვნული ბანკის მიერ მინიმალური საწესდებო ფონდის მოთხოვნის აუცილებელი დაცვა კომერციული ბანკების მხრიდან, ქმნის ქვეყნის წამყვანი ბანკებისათვის პირობებს იაფად შეიძინონ ან შეიერთონ საწესდებო ფონდის შევსების პრობლემის წინაშე მდგარი ბანკები, რაც მათ ასევე მოქმედების გეოგრაფიული არეალის გაფართოების საშუალებას აძლევს. აღნიშნული პროცესის შემდგომი განვითარება ქმნის წინამძღვრებს, რომ არარენტაბელური ბანკების გაერთიანება დაიწყოს, მის საფუძველზე მოხდეს ბანკების გამსხვილება, წარმოიშვას კონკურენტუნარიანი ბანკები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის სტაბილურობის განმტკიცებასა და საბანკო საქმიანობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას.

საქართველოში 1995 წლის დასაწყისში მოქმედებდა 229 კომერციული ბანკი, ხოლო აქედან 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 37 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. კომერციული ბანკების ოდენობის მასობრივი შემცირება განაპირობა ეროვნული ბანკის 1995 წლის დადგენილებამ, რომელიც ითვალისწინებდა მინიმალური საწესდებო კაპიტალის 5 მილიონ ლარამდე გაზრდას და ახლად შესაქმნელი ბანკებისთვისაც აღნიშნული მოთხოვნის უცილობელ დაცვას ლიცენზიის გაცემისათვის. საწესდებო კაპიტალის მოცულობის გაზრდით საქართველოს კომერციული ბანკები მიუახლოვდნენ საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობის დონეს, რადგანაც საწესდებო კაპიტალის ასეთი ოდენობა ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების მოთხოვნითაა განპირობებული.

აქვე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის, რომ ეროვნული ბანკის მიერ საწესდებო კაპიტალის გაზრდის ღონისძიებებს გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია კომერციული ბანკების გარკვეულმა ჯგუფმა, ეროვნულმა ბანკმა გაითვალისწინა რა აღნიშნული, შესაძლებლად

მიიჩნია საწყის ეტაპზე 3 მილიონ ლარამდე დაეყვანა საწესდებო კაპიტალის ოდენობა. ამ გადაწყვეტილების შედეგად, 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყანაში საბანკო საქმიანობის წარმოებაზე ლიცენზიის მქონე 36 ბანკიდან მხოლოდ 8 ბანკს აქვს 3 მლნ ლარიდან 5 მლნ ლარამდე, ხოლო 6 ბანკს – 5 მლნ ლარზე მეტი საწესდებო კაპიტალი. ეს ციფრები ნათლად მეტყველებს ბანკების კაპიტალიზაციის დაბალ დონეზე.

საბანკო სისტემის საქმიანობის მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ ბანკების გაერთიანება უფრო პერსპექტიული პროცესია, ვიდრე მათი საქმიანობის შეწყვეტა ან დიდი ბანკების მიერ მცირე ბანკების შთანთქმა.

საქართველოში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა კომერციული ბანკების რეორგანიზაციის, შერწყმა-გაერთიანების ზოგადი სტრატეგიისა და წესების სახელმძღვანელო დოკუმენტები [1]. მიუხედავად ამისა, ასეთი პროცესი არ იწყება, რასაც გარკვეული მიზეზები აქვს.

აღნიშნულის უპირველეს მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ, ჯერ ერთი, ბანკებს არა აქვთ ინფორმაცია, თუ როგორ იგეგმება და ხორციელდება ასეთი პროექტები, მეორე, ისინი ხშირ შემთხვევაში ცდილობენ თვითონ შექმნან გაერთიანების ორგანიზაციული სქემა, სტრუქტურა, მოამზადონ ძირითადი დოკუმენტები და გაანგარიშებები ისე, რომ არ გაუხდეთ საძებარი დეტალური ინფორმაცია მსოფლიოში უკვე განხორციელებული ანალოგიური პროცესების შესახებ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნული ამუხრუჭებს ხელოვნურად ბანკების გაერთიანების ობიექტურ პროცესს, საბოლოო ჯამში, უარყოფითად მოქმედებს ასეთი ბანკების საქმიანობაზე, აჩქარებს მათი გაკოტრების პროცესს, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მთელი საბანკო სისტემის ფუნქციონირებას და ქმნის ბანკების გაერთიანების შეუძლებლობის ილუზიას, რაც,

[1] რ. კაკულია, გ. ხელაია. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000, გვ. 199.

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემის განვითარებაში მიულებელია.

მსოფლიოში ბანკების გაერთიანების ბუმი 80-იანი წლებიდან დაიწყო. ბანკების გაერთიანება რთული და რისკიანი ოპერაციაა, იგი მოითხოვს აღნიშნული პროცესის დეტალურად დაგეგმვას. ბანკების გაერთიანების მსოფლიო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც გაერთიანების შემდეგ ერთ-ერთ ბანკს აღმოაჩნდა ისეთი აქტივი ან ვალდებულება, რომელიც გაერთიანებული ბანკის გაკოტრების მიზეზი გახდა. ამიტომ გაერთიანების პროცესი მეტად ფრთხილ მიდგომასა და ბანკების საფინანსო მდგომარეობის ყოველმხრივ სილრმისეულ ანალიზს მოითხოვს. ეს უკანასკნელი უნდა დაედოს საფუძვლად გაერთიანების ძირითად ეტაპებს: გადაწყვეტილების მიღებას, შეთანხმებას, პროექტის დაგეგმვასა და პროექტის დასრულების განსაზღვრას.

გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად უნდა ჰქონდეს გაერთიანების თეორიული ანალიზი. აღნიშნული ანალიზისას უნდა გაირკვეს და შეფასდეს გაერთიანების შედეგად მოსალოდნელი უკუგება, რაც გამოიხატება თითოეული ბანკის აქციაზე მოსალოდნელი ნამეტის შედარებაში არსებულ მაჩვენებელთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაერთიანება მიზანშეწონილია მაშინ, თუ გაერთიანებული ბანკის აქცია უფრო მომგებიანია, ვიდრე გაერთიანებამდე ცალ-ცალკე აღებული თითოეული ბანკის აქცია. ამ ეტაპზე გაერთიანების თეორიული ანალიზის მიზანია შეაფასოს თითოეული ბანკის მომავალი ფულადი ნაკადების დონე, მომდევნო წლის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები, ჩამოაყალიბოს იმავე პერიოდისათვის გაერთიანებული ბანკის შესაძლო საფინანსო შედეგების ყველა სახის მოდელირება, განსაზღვროს გაერთიანებით მიღებული ეფექტი მასზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით. ასეთი შეფასება აუცილებელია დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მიზანს ემსახურება ბანკების გაერთიანება.

გაერთიანების მოსალოდნელი ეფექტის განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია გაერთიანების შესახებ მოლაპარაკების წარმოება

უკვე საწყის ეტაპზე. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გაერთიანების ყველა მონაწილე გაერკვევა გაერთიანების მიზანშეწონილობაში, თითოეულის ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება დაიწყოს შეთანხმების ორგანიზაცია.

აუცილებელია, რომ შეთანხმება მიღწეულ იქნეს ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორიცაა: გაერთიანებული ბანკის მიზნები და პირველი რიგის ამოცანები, ბანკების ღირებულების დათვლის მეთოდიკისა და თარიღის განსაზღვრა; უნდა განისაზღვროს აქტივების კატეგორიები და მათი დისკონტირების განაკვეთები, გარესაბალანსო ვალდებულებების კატეგორიები, მომავალი ფინანსური ნაკადების დისკონტირების განაკვეთი, პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელმძღვანელთა საბჭო, მისი სამუშაო გეგმა, ანგარიშგების თარიღები თითოეული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოებიდან, ასევე გაერთიანებული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის წესი, კადრების თანრიგებისა და აუდიტორული, საკონსულტაციო და სხვა პროფილის დამხმარე კომპანიების რაობა და ა.შ.

მას შემდეგ, როდესაც მოხდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ძირითად საკითხებზე შეთანხმება, კეთდება ოფიციალური განცხადება გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. აღნიშნული შეთანხმების მიღწევის შემდეგ იწყება პროექტის დაგეგმვის ეტაპი. სწორედ ამ ეტაპზე უნდა განხორციელდეს ყველა შესაძლო პრობლემის გააზრება.

გაერთიანების დროს ცვლილებების განხორციელების პროცესში პროექტის დაგეგმვის მთავარი საკითხია ორგანიზაციული სტრუქტურის თითოეული რგოლის საქმიანობის განსაზღვრა, მათი მუშაობის დეტალური გეგმის შედგენა. პროექტის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელია ორგანიზაციული სტრუქტურის თითოეული რგოლის მუშაობის დეტალური გეგმის რევიზია და შეთანხმება. უნდა დამტკიცდეს ანგარიშგების თარიღები პროექტის დირექტორთან და ახალ სამეთვალყურეო საბჭოსთან.

ყველა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ პროექტის

დირექტორი და კომისიის ხელმძღვანელები აკეთებენ დეტალურ ანალიზს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსათვის. ეს უკანასკნელი აანალიზებს მიღწეულ შედეგებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ არსებითი ცვლილებები უკვე გატარდა და ახლად ჩამოყალიბებული სამსახურები მზად არიან ცვლილებების დამოუკიდებლად განხორციელებისთვის, მიიღება გადაწყვეტილება პროექტის დასრულების შესახებ და კეთდება შემაჯამებელი ანგარიში აქციონერებისათვის.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბანკების გაერთიანების პროცესი რთული და შრომატევადია. მისი განხორციელება დაკავშირებულია სერიოზულ რისკებთან. გაერთიანების არასრულმა ანალიზმა და არაზუსტმა დაგეგმვამ შეიძლება გაახანგრძლივოს პროცესი ან გააუარესოს ბანკის ფინანსური მდგომარეობა.

ბანკების გაერთიანების პროცესი საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა. იგი შეეხო თითქმის ყველა ქვეყნის სხვადასხვა სიდიდის ბანკს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან უნდა აღინიშნოს ყაზახეთი, ბალტისპირეთის ქვეყნები და, რა თქმა უნდა, რუსეთი, სადაც ბანკების გაერთიანების პროცესმა მასშტაბური ფორმები მიიღო. აღნიშნულ ქვეყნებში ბანკებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ის შესაძლებლობები, რომელსაც გაერთიანება იძლევა. მხედველობაში გვაქვს გაერთიანების შედეგად საიმედობისა და პრესტიჟის ზრდა, მენეჯმენტის ხარისხის ამაღლება, ოპერაციების სპექტრისა და საქმიანობის გეოგრაფიული არეალის გაფართოება, საგადასახადო და სხვა კუთხით შეღავათიანი პირობების მოპოვება სახელმწიფოს მხრიდან, პოპულარიზაციის ამაღლებასთან ერთად ფიზიკური გადარჩენის უზრუნველყოფა. ეს არის გაერთიანების მიზნების ის მოკლე ჩამონათვალი, რაც ხშირ შემთხვევაში ამ პროცესის განვითარების გარეგნული საფუძველი ხდება. თუმცა ყოველი გაერთიანების მიზეზი აქციაზე მომავალი უკუგების, მომავალში მისაღები მოგებისა და წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა ან ამავე მაჩვენებლების არსებულ დონეზე შენარჩუნებაა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბანკების გაერთიანების აპრო-

ბირებული მეთოდებისა და სქემების შეჯერება, საქართველოსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, განაპირობებს ბანკების გაერთიანების პროცესის გარკვეული სახით სტრუქტურირებას.

შეიძლება ითქვას, რომ კომერციული ბანკების ორგანიზაციული სტრუქტურა დამოკიდებულია ბანკის სიდიდეზე, საკუთრების ფორმაზე, ფუნქციებზე, მიზნებსა და ამოცანებზე, განსახორციელებელი ოპერაციების სახეობებზე და ა.შ.

თუ საქართველოში მოქმედი ბანკების ორგანიზაციულ სტრუქტურას განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ბანკების სტრუქტურას შევადარებთ, დავინახავთ მსგავსებას. საქართველოს საბანკო სისტემა უმეტესწილად ევროპის ქვეყნების მსგავსად ვითარდება. საქართველოს კანონის – „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" მეორე მუხლის მიხედვით, საკრედიტო დაწესებულება შეიძლება შეიქმნას სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით [1].

ევროპის ქვეყნების საბანკო დაწესებულებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სააქციო საზოგადოების სახით არის წარმოდგენილი, ვინაიდან სააქციო საზოგადოებებს საწესდებო კაპიტალი დიდი ოდენობით აქვთ, რაც განაპირობებს ბანკების საიმედობასა და ლიკვიდობის უზრუნველყოფას, ამასთან, საქართველოსაგან განსხვავებით, ევროპაში საკრედიტო დაწესებულებები შეიძლება იყოს არა მარტო სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, არამედ ამხანაგობებისა და სხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე საქართველოში აქციონერთა კრებაა, რომელსაც ჰყავს გამგეობა, სამეთვალყურეო საბჭო. ცალკეულ ქვეყანაში არსებობს ბანკების ხელმძღვანელობის სხვა ფორმებიც.

ხელმძღვანელობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

---

[1] საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ". საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბ., 1998. გვ. 59.

— გამგეობა და პრეზიდენტი — გენერალური დირექტორი (საფრანგეთი, აშშ);

— სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა — დირექტორატი (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საქართველო).

განსხვავება ხელმძღვანელობის ამ ორ ფორმას შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ერთ პირს — პრეზიდენტს (გენერალურ დირექტორს) ეკისრება, მეორე შემთხვევაში კი კოლექტიურ ორგანოს — დირექტორატს.

აშშ-სა და საფრანგეთში გამგეობას, 3-დან 12 კაცამდე შემადგენლობით, 6 წლის ვადით ირჩევს აქციონერთა კრება, გამგეობა კი, თავის მხრივ, — პრეზიდენტს — გენერალურ დირექტორს.

გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც საქართველოში, იყენებენ მართვის კოლექტიურ ფორმას — სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის სახით. გერმანიისა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია ერთი და იმავე პირის მონაწილეობა ორივე მართვის ორგანოში. ორიკე ქვეყანაში სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედის 3-დან 21-მდე პირი, სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორატს, რომლებსაც ნიშნავენ 5 წლის ვადით, გადარჩევის უფლებით. საზღვარგარეთის კომერციულ ბანკებს, ისევე როგორც საქართველოს ბანკებს, შეუძლიათ გახსნან წარმომადგენლობები, ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბანკო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ ლიტერატურის შესწავლამ და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ზოგიერთ კომერციულ ბანკებში სტაჟირების პრაქტიკამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა ამ ქვეყნების საბანკო დაწესებულებების დამახასიათებელი ორგანიზაციული სტრუქტურები, რაც საშუალებას მისცემს ბანკის ხელმძღვანელობას, დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ამოირჩიოს ორგანიზაციული სტრუქტურის ესა თუ ის ვარიანტი.


ქვემოთ მოყვანილ სქემაზე წარმოდგენილია საზღვარგარეთის

საბანკო დაწესებულებების საქმიანობის განმაზოგადოებელი ორგანიზაციული სტრუქტურა.

საკრედიტო დაწესებულებების მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამსახურები, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებიან ბანკის მმართველს და უშუალო მონაწილეობას იღებენ ბანკის სტრატეგიის გამომუშავებაში. აშშ-ში ეს არის რევიზორი, რომელიც ბანკის მმართველის უშუალო დაქვემდებარებაშია, საფრანგეთში კი — კონტროლისა და ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის სამსახურები, მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილებები, საქართველოში — სარევიზიო კომისია.

როგორც ქვემოთ მოყვანილი სქემიდან (№4) ჩანს, საზღვარგარეთის ბანკებში უმეტესწილად გვხვდება შემდეგი ქვეგანყოფილებები: საფინანსო, საკრედიტო, სააღრიცხვო-სასესხო, სავალუტო, სატრასტო ოპერაციებისა და სხვა დეპარტამენტები.

სქემა №4



უმეტეს შემთხვევაში, განვითარებული ქვეყნების ბანკებს გააჩნიათ ფილიალების ფართო ქსელი, რომელთაც სათაო ბანკის შესაბამისი განყოფილებები აკონტროლებენ.

საქართველოში მოქმედი 36 ბანკიდან მხოლოდ 4 ბანკს გააჩნია ფილიალების ფართო ქსელი, დანარჩენი ბანკების ფილიალების რიცხვი საშუალოდ 3-7-მდე მერყეობს. ამასთან, მხოლოდ ორ უცხოურ ბანკს აქვს ფილიალები თბილისში.

მთლიანობაში, ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის საბანკო სტრუქტურა ძირითადად აშშ საბანკო სტრუქტურის ნიმუშზეა აგებული, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენ მიერ განხილული ქვეყნებისთვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებანი.


ამ ქვეყნების საბანკო სტრუქტურები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ცენტრალიზაციის ხარისხის, ეკონომიკის პირობებთან ადაპტირების უნარისა და ბიუროკრატიულ პრინციპებზე აგებული ორგანიზაციული სტრუქტურების მიხედვით (იხილეთ ქვევით მოყვანილი სქემა ორგანიზაციული სტრუქტურების კლასიფიკაციის შესახებ).

მეტად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რითი ხელმძღვანელობენ საბანკო დაწესებულებები ორგანიზაციული სტრუქტურის არჩევისას.

ქვემოთ მოყვანილ სქემაზე (№5) მოცემულია ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კომერციული ბანკების მიერ ამა თუ იმ ორგანიზაციული სტრუქტურის არჩევაზე.

სქემა №5

ორგანიზაციული სტრუქტურების კლასიფიკაცია



აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებიც საფუძვლად ედება საბანკო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურის შერჩევას. ორგანიზაციულ სტრუქტურაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებად მიგვაჩნია: 1. ეკონომიკური და პოლიტიკური, რომელიც განსაზღვრავს მისგან გამომდინარე სხვა ფაქტორებს; 2. საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები; 3. შიდა პოლიტიკური ფაქტორები; 4. სამართლებრივი ფაქტორები; 5. შიდა საბანკო ფაქტორები.

ორგანიზაციული სტრუქტურის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ბაზრის სპეციფიკაზე.

ბევრ საბანკო დაწესებულებას გააჩნია ქვედანაყოფი, რომელსაც ევალება საერთაშორისო ოპერაციების განხორციელება. აქ უკვე გაითვალისწინება საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები.

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანკის სტრუქტურა ძირითადად დამოკიდებულია მის სპეციალიზაციაზე, ეკონომიკური ფაქტორები კი განსაზღვრავენ უნივერსალური უნდა იყოს ბანკი თუ სპეციალიზებული. შესაბამისად, სტრუქტურული ორგანიზაციაც განსხვავებული იქნება.

სამართლებრივი ფაქტორები ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოში მიღებულ საკანონმდებლო აქტებით. მაგალითად, საქართველოს კანონი ,,კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ'' განსაზღვრავს, რომ კომერციული ბანკი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით, ამიტომ მმართველობითი ორგანოებიც კანონთან შესაბამისი უნდა იყოს [1].

ესა თუ ის ორგანიზაციული სტრუქტურა მოითხოვს სხ-

---

[1] საქართველოს კანონი ,,კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ'', საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბ., 1998, გვ. 61.

ვადასხვა დონის კომპიუტერულ ტექნოლოგიასა და სათანადო აღჭურვილობას, საბანკო კონტროლის ახალი საზეობების დანერგვას, რასაც, თავის მხრივ, სჭირდება შესაბამისი ქვედანაყოფები.

ყველა, ჩვენ ზიერ ზემოთ აღნიშნული ფაქტორი, საბოლოო ჯამში, აყალიბებს ბაზრის სპეციფიკას, რომლის შესაბამისადაც იქმნება კომერციული ბანკების ორგანიზაციული სტრუქტურა.

ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა უშუალოდ ყალიბდება ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე და თავის მხრივ სტრატეგია ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის განმსაზღვრელი ფაქტორია. „ბანკის სტრატეგიის რეალიზაციისათვის აუცილებელია ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ბანკის საქმიანობის დინამიკური მართვის საშუალებას იძლევა და რომელიც უზრუნველყოფს ფონდების უსაფრთხოებას და ოპერაციათა მომგებიანობას“ [1].

ამგვარად, ეჭვგარეშეა ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და ბანკის სტრატეგიას შორის არსებული ურთიერთკავშირი. „სტრატეგიული მიზნებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების შერწყმა საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკს იყოს რენტაბელური, საიმედო და ლიკვიდური“ [2].

კომერციული ბანკების სტრატეგია გამოხატულებას პოულობს მათი ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა, როგორიცაა ბანკის აქტივების ზრდის ტემპი, ვერ უზრუნველყოფს ბანკების მოგების ზრდას. ამერიკული საინვესტიციო ბანკის „SOLOMON BROTHERS“-ის გამოკვლევების მიხედვით, საუკეთესო მაჩვენებელი, რომელიც მიგვითითებს ბანკის აქტივების ხარისხის გაუარესებაზე, არის აქტივების ზრდის ტემპი [3].

---

[1] გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ფინანსების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 1999. გამომცემლობა „ფინანსები“. გვ. 133.

[2] Панова Г.С. Кредитная политика коммерческого банка. М. ИКЦ. ДИС, 1997 г. ст.78.

[3] Панова Г.С. Анализ финансового состояния коммерческого банка М. Финансы и статистика, 1997 г. ст.98.

კომერციული ბანკის სტრატეგია ბანკის პერსონალის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ კომერციული ბანკების სტრუქტურის ხარისხობრივ მაჩვენებლებს მისი აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობა წარმოადგენს. ბანკის გენერალურმა დირექტორმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა კოორდინაცია, მათი ფუნქციების ისეთი განაწილება, რომლითაც შესაძლებელი იქნება დასახული მიზნების მიღწევა.

მარტო ფუნქციების სწორი განაწილება ვერ უზრუნველყოფს სასურველ შედეგს. აუცილებელია მმართველობითი საქმიანობის შედეგის გაანალიზება. ეს ანალიზი როგორც მმართველობის დადებითი მხარეების, ასევე შეცდომებისა და მათი მიზეზების გამოაშკარავების საშუალებას იძლევა. ამასთან, მმართველობითი საქმიანობა პროგნოზირების აუცილებლობასაც მოიცავს, რომელიც შესაძლებელია მონიტორინგის მეშვეობით, კერძოდ, ოპერატიული მონაცემების, დინამიკური ტენდენციების, მათემატიკური მოდელირებისა და პროფესიონალთა გამოცდილების გამოყენებით.

ამრიგად, კომერციული ბანკების ეფექტური ფუნქციონირებისათვის, მისი სტრუქტურა უნდა იყოს დინამიკური და შესაბამისად ადაპტირებულიც იქნება საბაზრო მოთხოვნებთან.

კომერციული ბანკების სტრუქტურის დინამიკურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გაერთიანებული ქართული ბანკის მაგალითზე. მარტო 1998 წლის განმავლობაში მისი სტრუქტურა სამჯერ შეიცვალა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მან განიცადა 1999 წელს.

ძირითადი პრინციპი, რითაც ხელმძღვანელობდნენ გაერთიანებული ქართული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებისას, ეს იყო ლიკვიდობის ეფექტური მართვა ფუნქციებისა და კონტროლის სწორი განაწილების მეშვეობით. მაგალითად, 1999 წლის ივნისში არსებულ სტრუქტურაში ოპერაციები, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ უკავშირდებოდა ნაღდ ფულს, ნაწილდებოდა რამდენიმე დეპარტამენტს შორის. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს არ ახორციელებდა ის დეპარ-

ტამენტი, რომელიც მართავდა ინვესტიციებსა და ფინანსურ ოპერაციებს; არ არსებობდა იერარქიული კავშირი აქტივ-პასივების მართვის დეპარტამენტსა და ფულის მიმოქცევის დეპარტამენტს შორის, რომელიც იღებს ფილიალების განაცხადებს, აკონტროლებს მათ და ახორციელებს გადარიცხვებს.

1999 წლის დეკემბერში გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა შექმნა ახალი სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ფუნქციონალურ-ოპერატიული მოთხოვნების კონსოლიდაცია. ბანკის ახალი სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს ისეთი სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია იმ ფუნქციონალურ-ოპერატიული მოთხოვნების კონსოლიდაცია, რომლებიც წარმოებს ბანკის ურთიერთდაკავშირებულ ქვედანაყოფებს შორის. ამასთან, ახალი სტრუქტურა ხასიათდება გადაწყვეტილების მიღების საკმარისი დეცენტრალიზაციით, ე.წ. საშუალო დონის მენეჯერების კვალიფიკაციით, შესაბამისი ვერტიკალური, ჰორიზონტალური და შიდა კომუნიკაციებით, საკრედიტო და საინვესტიციო რეგლამენტაციით და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, მკვეთრი ორგანიზაციული სტრუქტურით.

როგორც პრაქტიკულმა და თეორიულმა ანალიზმა გვიჩვენა, ბანკის მიერ დასახული მიზნების ეფექტურობა უშუალო კავშირშია მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს არჩეული სტრატეგიის შესრულებისა და რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობებს.

თავი II

კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით

§1. კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის კონცეფტუალური საფუძვლები

განვითარებულ საბაზრო ურთიერთობების ქვეყნებში კომერციული ბანკების რესურსების ბაზის თანამედროვე სტრუქტურა, როგორც წესი, ხასიათდება საკუთარი საშუალებების უმნიშვნელო წილით. ამ ქვეყნებში საკუთარი საშუალებების ხვედრითი წილი რესურსების შემადგენლობაში განისაზღვრება 15-20%-მდე, რაც უზრუნველყოფს ბანკების საკმარის სტაბილურობასა და სიმტკიცეს. ბანკების რესურსების ძირითადი ნაწილის ფორმირება ხორციელდება დამატებით მოზიდულ ფულად საშუალებათა ჩართვით, რომლებიც ფარავენ ბანკების აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო რესურსებზე მთელი მოთხოვნის 80-90%-ს. მოზიდული საშუალებების მაქსიმალური ოდენობა ბანკის საკუთარი კაპიტალის მოცულობაზეა დამოკიდებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნის საბანკო რესურსების სტრუქტურაში საკუთარ კაპიტალსა და მოზიდულ საშუალებებს შორის თანაფარდობაში სხვადასხვანაირი ნორმატივები არსებობს. ეს ნორმატივები მერყეობს 1:10 თანაფარდობიდან 1:100-მდე. მაგალითად, შვეიცარიაში საბანკო რესურსების სტრუქტურაში საკუთარ კაპიტალსა და მოზიდულ საშუალებებს შორის თანაფარდობა შეადგენს 1:12, ხოლო იაპონიაში – 1:83.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, განვითარებულ ქვეყნებში საბანკო რესურსების შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დეპოზიტური სერტიფიკატები, რომლებიც ვადიანი შენატანების ნაირსახეობაა და ზუსტად დაფიქსირებულ დროში თანხის მოზიდვას ითვალისწინებს. პირველად იგი შემოიღო 1961 წელს

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ბანკმა. ამ შემთხვევაში ანგარიშების მფლობელებს ეძლევათ სპეციალური სახელობითი მოწმობა (სერტიფიკატი), სადაც მითითებულია მისი უკან აუცილებელი გამოსყიდვის ვადა და გადასახდელი დანამატის ოდენობა. დეპოზიტური სერტიფიკატი წერილობითი ვალდებულებაა მსხვილი ფულადი თანხის ბანკში დეპონირების შესახებ, რომელშიც მითითებულია ბანკის მიერ მისი უკან აუცილებელი გამოსყიდვის დრო და გადასახადელი დანამატის სიდიდე. ასე მაგალითად, აშშ-ის ბანკების მუშაობის პრაქტიკაში დეპოზიტური სერტიფიკატის გამოშვება დაშვებულია არანაკლებ 100 ათასი დოლარის ღირებულებისა, ხოლო დიდ ბრიტანეთში – 50 ათასიდან 250 ათას ფუნტ სტერლინგამდე თანხის ღირებულების. რუსეთის კომერციულმა ბანკებმა სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება 1991 წლიდან დაიწყეს, ხოლო საქართველოში ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, არაფერი გაკეთებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ შემთხვევაში წინასწარი სამუშაოების ჩატარების პროცესს.

დეპოზიტები წარმოადგენს რა კომერციული ბანკების რესურსების შევსების მნიშვნელოვან წყაროს, მათი სტრუქტურა ბანკში ცვალებადია და დამოკიდებულია ფულადი ბაზრის კონიუნქტურაზე. აქედან გამომდინარე, იგი მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ფულადი საშუალებების მოზიდვასთან დაკავშირებით ბანკის მნიშვნელოვანი მატერიალური და ფულადი ხარჯები, ცალკეული რეგიონის ფარგლებში თავისუფალი ფულადი საშუალებების შეზღუდვა. გარდა ამისა, იგულისხმება ისიც, რომ საშუალებების მობილიზაცია, დეპოზიტების მოცულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კლიენტების (მეანაბრეების) ხარისხზეც. ამასთან, საკრედიტო რესურსების ბაზარზე ბანკებს შორის კონკურენცია აიძულებს ბანკებს მიიღონ ზომები მომსახურების გაფართოებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დეპოზიტების მოზიდვას.

თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკები დამატებითი

ფულადი საშუალებების ოპერატიულად მოსაზიდად რესურსების ბანკთაშორის ბაზარს იყენებენ, სადაც ხდება სხვა საკრედიტო დაწესებულებების მიერ მობილიზებული ფულადი საშუალებების გაყიდვა. როგორც წესი, ბანკთაშორისი დაკრედიტება ხორციელდება საკორესპონდენტო ურთიერთობის ჩარჩოებში, მათ შორის პირდაპირი მოლაპარაკების საფუძველზე ან ფინანსური შუამავლების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკები თვითონვე შეთანხმდებიან, ბანკთაშორის კრედიტზე ფორმდება სპეციალური ხელშეკრულება.

კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო რესურსების კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენს მათ მიერ ცენტრალიზებული საკრედიტო რესურსების მიღება. ამ კრედიტებს ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს აძლევს კონკურსის (აუქციონის) საფუძველზე რეფინანსირების წესით, ასევე ლომბარდული კრედიტების ფორმით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში რეფინანსირების განაკვეთი ფუნქციონირებს არსებითად სხვა ხასიათით, როცა საქმე გვაქვს ცენტრალიზებულ კრედიტთან, რომელიც ნაწილდება კომერციულ ბანკებს შორის. მთავარი პრობლემაა ის, რომ ცენტრალიზებული კრედიტი მომავალში, ალბათ, არ უნდა გაანაწილოს ეროვნულმა ბანკმა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმჯობესი იქნებოდა სახელმწიფოს გაენაწილებინა ცენტრალიზებული კრედიტი და, ამასთანავე, გარანტია გაეწია კომერციულ ბანკებში ასეთი კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფოს მიერ შეღავათიანი კრედიტის გაცემის შემთხვევაში, მას შეუძლია, რომ სუბსიდირება მოახდინოს შესაბამის საკრედიტო განაკვეთზე, მაშინ ბანკები მიიღებენ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, ხოლო კრედიტორები გადაიხდიან ნაკლებს მთავრობის სუბსიდიების ხარჯზე. ყოველივე მოხსნიდა წინააღმდეგობებს ეროვნულ და კომერციულ ბანკებს შორის, რაც, საერთო ჯამში, ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესებასთან ერთად ხელს შეუწყობდა წარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, წარმოების ამოქმედებისათვის კრედიტების მიზნობრივ

გამოყენებას. რასაკვირველია, ასეთი ვარიანტის რეალიზაცია დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობებთან და ამიტომ ერთი შეხედვით მოგვეჩვენება, რომ უმჯობესია ფული გაიცეს მხოლოდ ეროვნული ბანკიდან. მაგალითად, ჩეხეთმა და სლოვაკიამ უარი თქვა ეროვნული ბანკიდან ცენტრალიზებული კრედიტის გაცემაზე. მათ გამოიყენეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც ჩვენთან ინერგება მეტად დაბალი ტემპით და, ამასთანავე, მხოლოდ ნაწილობრივად. მხედველობაში გვაქვს ეროვნული ბანკის მიერ აუქციონის წესით ფულის გაყიდვა კომერციულ ბანკებზე. პოსტსოციალისტური სახელმწიფოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია სრული ზომით გამოყენებულ იქნეს ფულის მიწოდების რეგულირება კლასიკური მექანიზმებით და იძულებულნი არიან შემოიღონ ახალი ინსტრუმენტები. ამიტომაა, რომ ეროვნული ბანკის მიერ ფულის აუქციონის წესით გაყიდვა დღევანდელობისა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დაკმაყოფილების სპეციფიკური რეალობაა.

კომერციული ბანკების საქმიანობის წარმატების საწინდარია პერსპექტიული პროგრამის შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედება კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირებას საზღვარგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით, მათი ფუნქციონირების თავისებურებების განსაზღვრას და ამ მიმართულებით რეზერვების შექმნის მეთოდოლოგიური ბაზის მდგომარეობიდან გამომდინარე, რესურსებით უზრუნველყოფის გზების ძიებას.

ამჟამად, ჩვენთან სავალდებულო რეზერვების მოქმედი ნორმა არაეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნორმა საკმაოდ მაღალი 16%-დან 14%-მდე შემცირდა, ბანკები მაინც ზოგჯერ თავისი ინიციატივით აჩერებენ რეზერვში მნიშვნელოვნად მეტ ფულად საშუალებებს დაწესებულ ნორმასთან შედარებით და საბანკო სისტემაში წარმოიშობა ზელიკვიდობის მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკისათვის.

ბევრი უცხოელი მკვლევრის აზრით, ასეთ ვითარებაში ყველაზე ეფექტურია გამოყენებულ იქნეს ფართო მასშტაბით ფულის მიწოდების რეგულირების მეთოდი. საქმე ეხება სახელმწიფო სავალო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვას. აღნიშნულს მოწმობს იმ ქვეყნების გამოცდილებაც, რომლებსაც არ გააჩნიათ თავისი ბიუჯეტის დაფინანსების სხვა გზები, ღია ბაზარზე შესაბამისი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გარდა. ჩვენს ქვეყანაში ასეთი ბაზარი მეტად ნელა ვითარდება და ამიტომ რამდენადმე არსებითი მნიშვნელობა ფისკალური, საფინანსო პოლიტიკისა და ფულის მიმოქცევის რეგულირების თვალსაზრისით არ გააჩნია. ერთადერთი ქვეყანა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის, სადაც ასეთი ბაზარი სათანადოდ არის განვითარებული და ბიუჯეტის დეფიციტი ფინანსირდება კლასიკური ფორმით, ეს უნგრეთია.

საბანკო რესურსების შევსების კიდევ ერთ მეთოდს წარმოადგენს შეთანხმება შემდგომი გამოსყიდვის შესახებ (რეპო ოპერაცია). ამ შემთხვევაში ეს შეთანხმება იდება ბანკსა და ფირმას, ან ბანკსა და ცენტრალურ ბანკს შორის, ასევე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დილერებს შორის. ასეთი ფორმის ხელშეკრულებები, როგორც მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, მნიშვნელოვანი არხია დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების დამატებით რესურსებად მოზიდვაში, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ყურადღება არ ექცევა და მომავალში მაინც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ იქნა „რეპო“ და „ლომბარდული კრედიტების“ მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები, ხოლო 2000 წლის მაისიდან ტარდება რეპო ოპერაციები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით.

ისტორიულად პასიურ ოპერაციებს აქტივებთან შედარებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან აქტიური ოპერაციების განხორციელების აუცილებელი პირობაა ამისათვის საკმარისი რესურსების არსებობა. ბანკების მიერ პასიური ოპერაციების

მეშვეობით ხდება მათი რესურსების ფორმირება. საბანკო რესურსების ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ასევე ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების განხორციელების მეშვეობით მიღებული მოგება, რომლის მოცულობის ზრდა უშუალოდ არის დამოკიდებული საბანკო საქმის მაღალ შემოსავლიანობაზე, რენტაბელობის ზრდაზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კომერციული ბანკების საქმიანობაში წარმატებებს განაპირობებს სამი ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი: 1. საბანკო საქმის მაღალი შემოსავლიანობა (რენტაბელობა), რომელიც აქციონერთა დივიდენდების გადახდის, მისი კაპიტალის მოცულობის გადიდების, აუცილებელი დაზღვევის რეზერვების შექმნის, განვითარების ფონდების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა; 2. ლიკვიდობა, ე.ი. შესაძლებლობა სწრაფად, დიდი დანაკარგების ან დამატებითი ხარჯების გარეშე აქტივების გარდაქმნა საგადამხდელო საშუალებად, იმისათვის, რომ თავისდროულად დაიფაროს სავალო ვალდებულება; 3) გადახდისუნარიანობა, ე.ი. უნარი ნებისმიერ დროში, სრული თანხით მზად იყოს კრედიტორის – სახელმწიფოს, მეანაბრეებისა და სხვათა მიმართ დაფაროს თავისი ვალდებულება.


საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბანკების რესურსების ბაზრის ფორმირებისას კომერციულმა ბანკებმა აუცილებლად უნდა დაისახონ გრძელვადიანი მიზნები, განსაზღვრონ მათი მიღწევის ხერხები, ე.ი. შეიმუშაონ რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგია.

კომერციულმა ბანკმა რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში ძირითად სტრატეგიულ მიზნად უნდა დაისახოს, რესურსების პოტენციალის ზრდა. ლიკვიდობისა და რენტაბელობის შენარჩუნებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის სტრატეგიული მიზნის ასეთი ფორმულირებით შეიძლება სამგვარი ამოცანის გადაწყვეტა (იხილეთ ქვემოთ მოყვანილი სქემა №6).

სქემა №6

ბანკის სტრატეგიული მიზნის სამი ამოცანის ურთიერთკავშირი

რაოდენობრივი მაჩვენებელი



საბანკო საქმის თეორია გვიჩვენებს, რომ სქემაზე მოცემული კატეგორიები (რესურსების პოტენციალი, ლიკვიდობა და რენტაბელობა) შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სამი საყრდენი, რომლებზეც აგებულია მთელი საბანკო საქმიანობის მექანიზმი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს კატეგორიები არა მარტო ეკონომიკური მაჩვენებლებით განსხვავდებიან, არამედ გარკვეულწილად ურთიერთსაწინააღმდეგოცაა, რადგან საბანკო საქმიანობას სხვადასხვა კუთხით ახასიათებენ. კერძოდ, რესურსების პოტენციალი ასახავს ბანკის საბაზრო პოზიციის ხარისხს, შესაძლე-

ბლობებს, რომელიც მას კომერციული საქმიანობისთვის გააჩნია. რესურსების პოტენციალი, როგორც მნიშვნელოვანი რაოდენობრივი მაჩვენებელი, განსაზღვრავს ბანკის განკარგულებაში არსებული სახსრების ჰოცულობას.

ლიკვიდობა და რენტაბელობა, როგორც ხარისხობრივი მაჩვენებელები, განსაზღვრავენ ბანკის საქმიანობის ეფექტურობას (მომგებიანობას), კლიენტებისა და პარტნიორების ნდობას.

საბანკო რესურსების განსაკუთრებულ ფორმას ბანკის საკუთარი საშუალებები (კაპიტალი) წარმოადგენს. საკუთარ კაპიტალს აქვს რა მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივ-უფლებრივი საფუძველი და ფუნქციონალური განსაზღვრულობა, იგი ბანკის განვითარების ფინანსურ ბაზასაც წარმოადგენს. საკუთარი სახსრები შესაძლებლობას იძლევა, რომ, ერთი მხრივ, მეანაბრეთა და კრედიტორთა კომპენსაციური გადახდები განხორციელდეს ბანკის ზარალიანობისა და გაკოტრების შემთხვევებში და, მეორე მხრივ, დასახული ამოცანებიდან გამომდინარე ხელი შეუწყოს ბანკების მიერ განსახორციელებელი ოპერაციების უზრუნველყოფას.

ბანკების საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში გამოყოფენ: საწესდებო, სარეზერვო და სხვა სპეციალურ ფონდებს, ასევე წლის განმავლობაში გაუნაწილებელ მოგებას. ბანკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, საწესდებო ფონდი ყალიბდება მის მონაწილეთა, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შენატანებისაგან და ემსახურება მათი ვალდებულებების უზრუნველყოფას (იხილეთ ცხრილი №1), რაც შეეხება სარეზერვო ფონდს, იგი გამოიყენება ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციების დროს შესაძლებელი ზარალის პირობებში. მისი სიდიდე საწესდებო ფონდთან პროცენტული თანაფარდობით განისაზღვრება და ფორმირების წყაროდ მოგებიდან ანარიცხები გვევლინება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ფულად-საკრედიტო რეგულირების მიზნით კვლავ გამოიყენებოდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, რომლის ნორმაც 1999 წლის განმავლობაში უცვლელი იყო და შეადგენდა 16%-ს.

ცხრილი N 1

საქართველოს კომერციული ბანკების პასიების სტრუქტურა 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარებში)

ბანკის დასახელება	საწესდებო ფონდი	სხვა ფონდები	საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი)	სხვა ბანკების ანგარიშები	ნაშთები ბანკების და მიმდინარე ანგარიშზე	ვადიანი დეპოზიტები	სხვა ბანკის კრედიტები	სხვა კრედიტორები	მოქ-ის ანგარიში	გადახ. მოგება	სხვა პასუხები	საერთაშ. სახსრები	სულ აქტივები
1 სს „ფინანსბანკი"	21000,000	3,637,225	14,242,138	503,417	6,018,622	592,968	33,327,679	1,435,507	9 930,850	2,779,645	2,481,547	486,749	96,436,350
2 სს „საქართველოს ბანკი"	5730,200	18,841,812	6,813 277	1,400,550	6,505,751	5,725,797	10,769,112	288,625	17,585,662	4,792,229	1,128,898	345,525	79,927,438
3 სს „ფინკონტრესტბანკი"	5,093,323	3,367,445	2,060,557	–	1,777,977	17,966	2,316,000	409,509	323,325	– 182,937	485,670	1,993,509	17,662,254
4 სს „შვეიც ზვეის საერთაშ."	3,874,365	261,558	264,038	–	296	–	6,423,281		125,166	– 1,155,620	–	–	9,793,084
5 სს „ა&ბ"	4,630,500	2,683,758	8,564,471	595,561	1,111,150	1,872,565	5,355,000	623,171	7,636,155	– 683,167	–	–	32,389,364
6 სს „თბილისკრედიტბანკი"	4,505,369	2,167,678	7,994,900	965,470	950,842	163,827	21,113,987	266,843	494,530	943,867	–	–	39,567,313
7 სს „რ უ ქ ბ"	2,001,301	404,093	1,070,906	1,352,976	129,314	248,265	1,243,803	4,783	83,709	238,680	–	–	6,777,830
8 სს „ბანკ ქოლ"	18,035,000	3,179,667	1,670,611	706,618	360,845	212,300	146,901	178,049	1,186,863	6,169,056	–	–	31,845,910
9 სს „ფუნდამენტ"	3,004,550	148,957	2,241	–	76,808	331,240	–	579,673	38,600	45,699	–	–	4,227,768
10 სს „თბილ კრედიტ"	2,005,810	931,945	143,331	–	365,799	7,529	10	289,648	407,330	133,222	–	–	4,284,624
11 სს „კრედობანკი"	2,334,777	182,102	443	–	80,388	–	–	28,720	347,696	17,482	–	–	2,991,608
12 სს „თბილკრედბანკი"	4,000,000	4,637,696	1,854,275	970,236	407,006	510,183	16,544,283	93,916	1,359,090	2,353,137	115,750	101,823	32,947,395
13 შპს „ბენერა"	3,011,278	551,559	73,804	823,672	79,988	–	236,906	95,527	4,805	51,822	–	–	4,825,717
14 შპს „ფინსტილი"	3,561,045	3,797,681	4,933,671	–	2,492,368	3,290,104	3,044,691	40,831	2,147,047	29,725	883	37,054	23,375,203
15 შპს „თიბისი ბანკი"	3,009,926	221,141	2,355	–	43,844	–	–	67,954	56,419	239,602	–	1,300	2,642,541
16 შპს „ინკო"	3,003,986	1,592,320	5,105	5,573	25,210	374,400	578,921	59,174	331	– 348,144	–	–	5,269,876
17 სს „ეკონომ-სტანდარტ ბანკი"	2,000,000	198,907	87,075	–	111,444	300	–	31,637	269,596	– 216,217	–	–	2,482,742
18 სს „ალიანსბანკი"	2,000,025	399,285	380,772	–	164,503	–	–	220,170	111,940	159,723	–	–	3,436,418
19 შპს „ინკო"	3,006,750	162,534	63,322	424	17,877	–	–	15,355	97,768	179,268	–	–	3,543,404
20 სს „თბილკრედბანკი"	5,001,532	633,887	2,544,864	201,639	391,175	32,810	132,833	714,055	378,197	– 1,014,421	–	–	9,016,571
21 სს „თიბისი-ბანკი"	3,000,000	7,597,724	15,221,816	2,868,645	2,457,876	4,131,362	20,523,458	321,733	8,957,595	3,059,737	–	–	68,139,946
22 სს „ლისორტ-ბანკი"	2,009,019	371,893	55,336	337	55,234	19,300	–	155,771	111,075	– 34,915	–	–	2,954,050
23 შპს „ქართული ბანკი"	3,000,000	210,469	31	3,042	98,445	–	85,000	154,046	965	114,503	–	–	3,666,501
24 შპს „ვეი-ბანკი"	3,086,768	214,274	120,227	200	242,195	–	–	11,952	130,827	97,433	–	–	3,903,876
25 სს „საქკრედიტბანკი"	3,000,000	259,783	638,294	–	74,518	–	1,500	136,613	664,725	306,114	1	–	4,469,320
26 სს „საქ ნავთობგაზის ბანკი"	5,000,000	206,761	160,977	–	20,966	–	5,610,596	9,151	105,375	136,148	–	–	10,977,678
27 სს „ფინკლუბბანკი"	4,066,923	2,554,278	7,237,316	94,848	2,972,121	6,590,182	4,003,399	360,779	5,909,478	331,242	818	7,284	34,129,168
28 სს „ტრანსკრედიტ"	2,084,849	293,752	–	–	50,480	–	121,290	14,851	193,577	38,330	-	-	2,797,129
29 სს „პაშაბანკი"	3,050,000	268,560	324,708	265	215,656	89,513	–	2,998	1,132,428	249,524	–	–	5,333,652
30 სს „საქ სოფლის ბანკი"	3,173,859	2,649,495	1,236,295	10,845	4,621,051	197,368	889,845	152,075	1,001,342	–	1,351,255	232,950	15,516,380
31 შპს „თიბისი ინვესტიციბანკი"	3,001,024	431,490	857,462	911	268,699	201,989	1,688,064	468,083	971,146	159,653	–	–	8,048,821
32 სს „ინკო"	2,238,228	285,591	–	–	1,504	–	–	88,273	766,139	– 39,312	–	–	3,340,423
33 სს „ბანკ ქოლეჯი კახეთი"	3,020,139	363,175	291,177	234	76,283	985,265	992,027	52,789	637,927	88,032	800	–	6,507,848
34 სს „ლიბერტი"	2,639,829	396,932	830,040	80	23,583	1,930	–	9,597	904,487	– 823,517	–	–	3,982,961
35 სს „საქ სახელო ბანკი"	3,601,910	1,388,140	1,592,371	2,639	3,814,923	669,416	–	254,941	1,892,843	86,266	1,696	758,367	14,063,512
36 სს „შვეიც ზვეის ტუნეზანი"	4,048,572	1,114,684	2,503	–	497,515	–	–	290,447	188,992	– 2,434,283	1,988,967	31	5,697,428
37 „ცესკ ბანკი" თბილისის ფილ.	–	465,566	6,460,643	3,683	72,007	–	–	–	6,130	– 1,431,925	5,019,600	–	10,595,704
სულ	150,830,864	67,073,823	87,801,352	10,511,865	36,685,263	26,239,579	135,148,586	7,927,246	66,360,246	13,447,713	12,575,885	3,965,092	685,567,603

2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე დეპონირებული თანხების ოდენობამ 29,7 მლნ ლარი შეადგინა. ამ მოთხოვნის შესრულება გაუტოლდა მოზიდული სახსრების თანხიდან ნორმით განსაზღვრული თანხის 92,8%-ს. მისი შეუსრულებლობა რამდენიმე კომერციული ბანკის ლიკვიდობის პრობლემით იყო განპირობებული. ინფლაციისა და გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენით ბანკებისათვის დანაკარგების აცილებისა და დეპოზიტების მოზიდვის სტიმულირებისათვის 1999 წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე რიცხულ ნაშთებზე პროცენტის დარიცხვა წლიურად 10 პროცენტის ოდენობით. პროცენტის დარიცხვა წარმოებდა მხოლოდ იმ ბანკების სასარგებლოდ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დადგენილი ნორმის დაცვას.

1999 წლის განმავლობაში მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ანგარიშზე დარიცხული და გადახდილი პროცენტის თანხამ 5,1 მლნ ლარი შეადგინა.

რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია შესაძლებელია საბანკო მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის გამოყენებით. საბანკო მენეჯმენტის მოდელის ელემენტებია: დაგეგმვა, ლიკვიდობისა და რენტაბელობის მართვა, აქტივებისა და პასივების, ასევე რისკების მართვა.

ბანკის რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია შესაძლებელია შემდეგი ტაქტიკური გადაწყვეტილებების მეშვეობით: *ჯერ ერთი,* საჭიროა ბანკის კაპიტალის იმ ოდენობით დაცვა, რაც აუცილებელია ბანკის საიმედობის (სტრატეგიული მიზანი – ლიკვიდობა) უზრუნველსაყოფად, ასევე აქტიური ოპერაციების გასაფართოებლად (სტრატეგიული მიზანი – მომგებიანობა, რენტაბელობა); *მეორე,* აუცილებელია დამატებითი რესურსების გამოძებნა ვალდებულებების დასაფარავად (სტრატეგიული მიზანი – ლიკვიდობა) და ბანკის აქტიური ოპერაციების გასაფართოებლად (სტრატეგიული მიზანი – მომგებიანობა ან

ლიკვიდობა); *მესამე,* ბალანსის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად ვადიანი დეპოზიტების მოზიდვა და მოთხოვნამდე დეპოზიტებით ანუ ე.წ. „იაფი“ რესურსების მოზიდვით მოგების ძიღება.

საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ აქვე საბანკო მენეჯმენტის პოზიციებიდან განვიხილოთ შესასწავლი კატეგორიები, სადაც მართვის ობიექტებს წარმოადგენენ ბანკის აქტივები და პასივები.

აქტივებისა და პასივების მართვის არსი მდგომარეობს სტრატეგიის ფორმირებასა და იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც ერთმანეთს შეუფარდებენ ბანკის ბალანსის სტრუქტურასა და სტრატეგიულ პროგრამას.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განვითარებულ ქვეყნებში ბალანსის მართვის სტრატეგია მართვის შემდეგ პრინციპებს მოიცავს:

1. თავდაპირველად საჭიროა ბანკის სტრატეგიული მიზნების დადგენა, შემდეგ ზრუნვა მათი განხორციელებისათვის ისე, რომ მართვის იარაღად გამოყენებულ იქნეს აქტივებისა და პასივების მართვის სტრატეგია, რაც განაპირობებს ბანკის აქციონერთა კუთვნილ აქციათა მაქსიმალურად შესაძლებელ საბაზრო ფასების მისაღები დონის მიღწევას.

2. აქტივებისა და პასივების მართვას საფუძვლად უნდა დაედოს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა საბანკო მომსახურების ახალი გზების დასახვა ან ფასების ცვლა, რაც ხელს შეუწყობს საბანკო მოგების გაზრდას, აგრეთვე სხვა მიზნების მიღწევას.

3. აქტივებისა და პასივების მართვამ შეიძლება ერთდროულად შეიტანოს მაქსიმალური წვლილი ბანკის მარჟისა და სპრედის (შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის) ზრდის შესანარჩუნებლად.

ბანკის აქტივებისა და პასივების მართვა რამდენიმე ინსტრუმენტითაა შესაძლებელი. ესენია: წმინდა საპროცენტო მარჟა, საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების დისბალანსი (გეპი), შემოსავლიანობის მრუდი, ხანგრძლივობა (დიურაცია) [1]. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი მიზანია, რისკის დასაშვები დონის ფარგლებში, ბანკის მარჟის (სხვაობა საპროცენტო შემოსავლებსა და საპროცენტო დანახარჯებს შორის) მაქსიმუმამდე გაზრდა და სტაბილიზაცია. აღნიშნული სიდიდე უნდა განვასხვაოთ სპრედისაგან (ფასის მაჩვენებლისაგან), რომელიც განთავსებულ და მოზიდულ თანხებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობით ხასიათდება.

თუ ბანკის ხელმძღვანელობას აკმაყოფილებს წმინდა საპროცენტო მარჟის მოცულობა, მაშინ იგი მისი ფიქსირებისთვის მიმართავს პროცენტული განაკვეთების რისკის ჰეჯირების სხვადასხვა მეთოდებს, რითაც ხელს უწყობს წმინდა შემოსავლის სტაბილიზაციას.

იმისთვის, რომ ბანკის მოგება დაცულ იქნეს პროცენტული განაკვეთების ცვალებადობის ნეგატიური გავლენისგან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბანკის პორტფელის იმ ნაწილს, რომელიც მგრძნობიარეა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მიმართ (პორტფელის აქტიურ ნაწილში ჩვეულებრივ იგულისხმება კრედიტები და ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, პასიურ ნაწილს კი წარმოადგენს – დეპოზიტები და სესხები ფულად ბაზარზე).

ბალანსის ყველა მუხლი, რომელიც პროცენტული განაკვეთების ცვლილებათა რისკს ექვემდებარება, შეიძლება ორ ჯგუფად წარმოვადგინოთ: პირველი – პროცენტული განაკვეთებისადმი მგრძნობიარე (მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, მოკლე ვადაში დასაფარავი ან არამგრძნობიარე ბალანსის მუხლები (უფასო პასივები და უმოქმედო აქტივები), გასაახლებელი სესხები); მეორე – პროცენტული განაკვეთების ცვლილებების გეპის სიდიდე გამოითვლება საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე აქტივებსა (RSA/Risk sensitiv Assets) და საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე პასივებს (RSL/Risk sensitiv Liabilities) შო-

[1] Е. Рид. Ф. Коттер, Е. Гилл Р. Смит Коммерческие банки. М. Космополис,1991 г. стр. 54.

რის დროის ყოველი შუალედისათვის არსებული სახეობით.

$$\text{გეპი (გარღვევა)} = \mathbf{RSA} - \mathbf{RSL}.$$

გეპის გარღვევის პროგნოზისა და ანალიზისათვის, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია შევაფასოთ დროის გარკვეულ პერიოდში ბანკის აქტივებისა და პასივების სტრუქტურების ცხრილები.

თუ წარმოდგენილი ცხრილების მონაცემების ანალიზის დროს თავს იჩენს გარღვევა, მაშინ მისი მართვისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შეტევითი, ისე დაცვითი სისტემა.

შეტევითი ანუ აგრესიული მართვის სტრატეგია გულისხმობს: 1.საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა ტენდენციის პროგნოზს; 2.აქტივებისა და პასივების სტრუქტურათა ცვლას პროგნოზირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილებიდან მოგების მიღების მიზნით.

თუ პროგნოზი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთების ზრდას, ბანკი დადებითი გარღვევის შემთხვევაში მიიღებს დამატებით მოგებას. თუ პროგნოზი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის ვარდნას (დაწევას), დამატებითი მოგების მისაღებად ბანკს უნდა ჰქონდეს უარყოფითი გარღვევა.

გეპის მართვის დაცვითი სტრატეგია მიმართულია იქითკენ, რომ შეასუსტოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის გავლენა ბანკის მომგებიანობაზე.

ეს სტრატეგია არ მოითხოვს მომავალი საპროცენტო განაკვეთების პროგნოზს და, აქედან გამომდინარე, მისი გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა ძნელია საპროცენტო განაკვეთების ცვლილების წინასწარი დადგენა ან საპროცენტო განაკვეთები ქაოსურად მერყეობს. აღნიშნული სტრატეგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებული არ არის ანალიტიკური განყოფილების ან კონტრაგენტების მიერ მიღებული ინფორმაციის სისწორეში.

დაცვითი სტრატეგია არ ნიშნავს საბანკო რესურსების მართვისადმი პასიურ მიდგომას. პირიქით, იგი მოითხოვს მეტად მაღალ აქტიურობას როგორც აქტივების სტრუქტურის მართვაში, ისე საბანკო სახსრების წყაროების გამოძებნაში.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლამდე შეინიშნებოდა გეპის დადებითი ტენდენცია, თანამედროვე პირობებში კი, როდესაც ძალზე რთულია ვადიანი ანაბრებისა და დეპოზიტების მოზიდვა და მოზიდული თანხების მნიშვნელოვან წყაროს მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთები წარმოადგენს, მეტად ძნელია საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე აქტივებისა და პასივების დაბალანსება. ასეთ პირობებში შესაძლებელია მხოლოდ გეპზე კონტროლის დაწესება.

ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანია არა ის ინფორმაცია, რომელიც გვამცნობს, თუ რამდენი ხანი იმყოფება მიმოქცევაში ესა თუ ის ფასიანი ქაღალდი, არამედ ის, თუ როდის მოუტანს იგი (ფასიანი ქაღალდი) ბანკს შემოსავალს და რამდენს – ყოველ თვეში, კვარტალსა თუ წელიწადში ანუ იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც იგი ბანკის საკუთრებაში იმყოფება.

ჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქტივ-პასივების ანალიზის ჩატარება დაფარვის ვადის საშუალო შეწონილის (დიურაციის) მეშვეობით. „დიურაცია, ხანგრძლივობის ანალიზი გამოიყენება იმ ნაღდი თანხების ნაკადის საშუალო შეწონილი ხანგრძლივობის გამოსათვლელად, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად“ [1].

დიურაცია, აქტივ-პასივების სხვა ფასში გადაანგარიშების მონაცემებზე დაყრდნობითა და შერჩეული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, იძლევა საპროცენტო განაკვეთების რისკის უფრო ზუსტი შეფასების შესაძლებლობას. დიურაციის მეშვეობით აღირ-

[1] კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა – რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემლობა, 1999. გვ. 95.

იცხება ის, თუ როგორ იცვლება ბანკის სახსრების ღირებულება გარკვეული დროის მონაკვეთში, რისთვისაც გამოითვლება მომავალი ფულადი ნაკადის ახლანდელი ღირებულება, რის საშუალებითაც შესაძლებელია სწორად შეჯამდეს შეუსაბამობა აქტივ-პასივების სხვა ფასში გადაანგარიშებისას, ანუ გეპი. დიურაციის დროს უშვებენ, რომ ბანკის სხვა ფასებში გადასაანგარიშებელი აქტივებისა და პასივების სტრუქტურა უცვლელი რჩება, გარდა ამისა, დიურაციის დროს სავალდებულოა ინფორმაცია ფულადი ნაკადის შესახებ.

აქტივებისა და პასივების დაფარვის ვადის გაწონასწორება ბანკს შეუძლია მოსალოდნელი შემოსატანი და გასაცემი თანხების საშუალო ვადის დაბალანსებით იმ შემთხვევაშიც კი, როცა აქტივებისა და პასივების საპროცენტო განაკვეთები არათანაბრად იცვლება.

ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დიურაცია გამოითვლება ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადამდე გადასახდელი თანხის დისკონტირებითა და დაფარვისას გადასახდელი თანხის დისკონტირებით. ამ პროცედურის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ფორმულა [1]:

$$D = \sum_{t}^{n} \frac{PV(CFt) \times t}{P},$$

სადაც **D** არის დიურაცია, **CFt** – **t** პერიოდის განმავლობაში მიღებული თანხები; **PV** – მიმდინარე ღირებულება.

$$PV = CFt \times 1/(1+PR)t .$$

სადაც **1/(1+PR)** არის დისკონტირების კოეფიციენტი; **PR** –

[1] Н. Бакстер., Т. Беррелл. Банковское дело – стратегическое управление. М. изд. АО Консалбанкир. 1998 г. стр. 179.

მიმდინარე საპროცენტო განაკვეთი, **P** — ობლიგაციის ღირებულება, რომელიც განისაზღვრება როგორც ობლიგაციების დაფარვის ვადამდე მომავალი ფულადი ნაკადის მიმდინარე ღირებულება; **t** — ფულადი სახსრების მიღების პერიოდი.

დიურაციის შეფასებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო რისკის მართვისას. ამასთან, დიურაციის ანალიზი საპროცენტო განაკვეთების მიმართ მგრძნობიარე პასივებისა და აქტივების გარღვევის შეფასების სრულყოფის საშუალებას იძლევა.

რესურსების მართვის თვალსაზრისით ზემოთ წარმოდგენილ მეთოდებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ბანკის საკუთარი კაპიტალის (სააქციო კაპიტალი, რეზერვები და გაუნაწილებელი მოგება) საკმარისობის საკითხის განხილვა.

საკუთარი კაპიტალის მიზანმიმართული მართვა ბანკის მომგებიანობისა და ანაბრების რისკისგან დაზღვევის საშუალებას იძლევა.

უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობის ბანკების გაკოტრებამ და გადავადებული სესხების არსებობამ წარმოშვა ბანკების საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის პრობლემა. ბანკის საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს საბანკო საქმიანობის განხორციელებისა და მისი სტაბილურობის ზრდის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად ბაზას და ამიტომ ეროვნული ბანკი მოითხოვს ბანკის საკუთარი კაპიტალის ზრდას, რაც უფრო საიმედოდ დაიცავს მეანაბრეებს და უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურობას.

ჩვენს ქვეყანაში მდგრადი საბანკო სისტემის დასამკვიდრებლად აუცილებელია ცენტრალური ბანკის მიერ პრუდენციული ნორმების სრულყოფის მეშვეობით კომერციული ბანკების შერწყმა-გაერთიანების პროცესის მართვა და ამ მიმართულებით საბანკო ზედამხედველობის საქმიანობის გაუმჯობესება. სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ ჯერ კიდევ 1998 წლის ბოლოს ქვეყანაში არსებული ფისკალური და სავალუტო კრიზისის მიუხედავად, საბანკო სისტემამ მთელი 1999 წლის განმავლობაში შეძლო პოზიციების გამყარება და პოზიტიური შედეგების მიღწევა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საწე-

სდებო და მთლიანი კაპიტალის ზრდითაა განპირობებული.

1999 წლის განმავლობაში საქართველოს კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 34,4 მლნ ლარით და შეადგინა 150,8 მლნ ლარი. ამავე პერიოდისათვის კომერციული ბანკების მთლიანი კაპიტალი გაიზარდა 46,5 მლნ ლარით და 170,8 მლნ ლარი შეადგინა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მთლიანი კაპიტალის ზრდის ტემპი უსწრებს საწესდებო კაპიტალის ზრდას. ბანკირები უპირატესობას ანიჭებენ კაპიტალის მცირე ნორმატივებს, რათა გაზარდონ მოგება და აქტივები. საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებით ნათლად ჩანს ეროვნული და კომერციული ბანკების ინტერესთა დაპირისპირება.

ბანკისთვის აუცილებელი კაპიტალის ოდენობა დამოკიდებულია იმ რისკზე, რომელსაც იგი თავის თავზე იღებს. მაგალითად, თუ ბანკის მიერ გაცემული თანხა დიდ რისკთან არის დაკავშირებული, ბანკს ესაჭიროება იმაზე მეტი კაპიტალი, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა იგი „ფრთხილ“ საკრედიტო პოლიტიკას ატარებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქვეყნის კომერციული ბანკების აქტივები 1999 წლის განმავლობაში 140 მლნ ლარით გაიზარდა, რომლის ნახევარზე მეტი (77 მლნ ლარი) კრედიტების ზრდით არის განპირობებული. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პერიოდში კომერციული ბანკების პორტფელური ინვესტიციები და სხვა აქტივები.

კომერციული ბანკების აქტივების ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკების სესხების პორტფელის ფორმირება ძირითადად უცხოური ვალუტებით გაცემულის სესხებით ხდება და შესაბამისად უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით ვადაგადაცილებული დავალიანება რამდენადმე აღემატება ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ვადაგადაცილებულ დავალიანებას, რომლის ოდენობაც 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 12,9 მლნ ლარს და 4,7 მლნ ლარს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ კომერციული ბანკების სესხების პორტფელის სტრუქტურიდან 74% მოკლევა-

დიან კრედიტებზე მოდის, 18% – გრძელვადიან სესხებზე, ხოლო დანარჩენი 8% – ვადაგადაცილებულ სესხებზე.

კომერციული ბანკების მიერ 1999 წლის განმავლობაში (როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით) გაცემულ სესხებზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი 1999 წლის ბოლომდე თანმიმდევრულად მცირდებოდა. ამასთან, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე, რამდენადმე აღემატებოდა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს (იხილეთ ცხრილები №№ 2,3).

ცხრილი № 2

კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ბანკის დასახელება	საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე სარგებლობის ვადების მიხედვით				
	30 დ-ზე ნაკლები	30 დ-დან 90 დ-მდე	90 დ-დან 180 დ-მდე	180 დ-დან 1 წ-მდე	1 წ-ზე მეტი
1 ქ. თბ., სს კბ „აბსოლუტი“	23	23	24	22	21
2 ქ თბ. სს „ბანკ ქროული კაპტალ“		27	38	19	63
3 ქ. თბ., სს კბ „თბილკრედიტბანკი“		36	24	23	23
4 ქ. თბ., სს „რ გ ქ ბ“	16	16			31
5 ქ. თბ., სს კბ „ბანკი ქართუ“		15	18		23
6 ქ. თბ., სს „აგრომრეწბანკი“		47	46	37	29
7 ქ. თბ., სს „საქართველოს ბანკი“	71	53	34	36	37
8 ქ. თბ., სს „გაერთ. ქართ. ბანკი“		34	24	33	23
9 ქ. თბ., სს კბ „კავკასიონი“		8	9	20	
10 ქ. თბ., სს კბ „ბანკი კრედიტი“		66			
11 ქ. თბ., სს „ენერგობანკი“	60	40	22	20	60
12 ქ. თბ., სს „თბილკომბანკი“	38	30	35	18	31
13 ქ. თბ., შპს კბ „რესპუბლიკა“			7	15	
14 ქ. თბ., შპს კბ „თბილბიზნესბანკი“	35	18	23	26	24

15 ქ. თბ., შპს კბ „აგორა“	38	31	23		
16 ქ თბ„ სს „ექსპორტ-იმპორტის ბანკი“	31		18	18	
17 ქ. თბ., სს კბ „არაგვისბიზნესბანკი“				18	
18 ქ. თბ., შპს კბ „თეთრი“	23	23	22	27	
19 ქ. თბ., სს „თბილინტერტბანკი“		3			
20 ქ. თბ., სს „თიბისი-ბანკი“	16				36
21 ქ თბ„ „ეჩლაქ ბანკის“ თბილისის ფილი					13
22 ქ. თბ., სს კბ „დისკონტ-ბანკი“			23	19	23
23 ქ. თბ., შპს კბ „ქართული ბანკი“	48	12	12	12	
24 ქ. თბ., შპს „კბ „გამა-ბანკი“		23	25	24	
25 ქ ობ„ „ეა ბანკ საქკო საზოგადება“		38			
26 ქ თბ„ სს „საქ მიკროსაფინანსო ბანკ“			25	25	24
27 ქ. თბ., სს „ინტელექტბანკი“	56	34	56	37	
28 ქ. თბ., სს კბ „ტრანსკავკასია“	60	18			
29 ქ. თბ., სს კბ „ბაზისბანკი“	37		32	22	
30 ქ. თბ., სს „საქ. საფოსტო ბანკი“	38	33	29	14	20
31 ქ. თბ., შპს „თბილუნივერსალბანკი“		48		19	20
32 ქ. ქუთაისი, სკბ „რიონი“	76	48	15	28	
33 ქ. ბათუმი, სს „საქ. საზღვაო ბანკი“	60	61	60	59	
34 ქ ბათუმი, სს „შუა ზღვის აუქციონის ბანკ“			23	23	23
საშუალო შეწონილი	35	24	25	26	23

შემცირების ტენდენციის მიუხედავად, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები სესხებზე სარგებლობის ვადების მიხედვით საკმაოდ მაღალი იყო – ეროვნულ ვალუტაში 35-23, ხოლო უცხოურ ვალუტაში – 46-23 პროცენტის დონეზე, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად ამცირებს ეკონომიკური აგენტების მიერ კრედიტების მოთხოვნას, აბრკოლებს სამეწარმეო საქმიანობისა და თვით ბანკების განვითარებას, რასაც მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

1999 წელს კვლავ შეზღუდული იყო საბანკო სისტემის როლი საშუამავლო ოპერაციების განხორციელებაში, რაც ჩვენი აზრით, განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

ცხრილი № 3

კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე სარგებლობის ვადების მიხედვით				
	30 დ-ზე ნაკლები	30 დ-დან 90 დ-მდე	90 დ-დან 180 დ-მდე	180 დ-დან 1 წ-მდე	1 წ-ზე მეტი
1 ქ თბ. სს „მეტრო ჩეკის სერთ კბ“ (საქალო)		17			8
2 ქ. თბ., სს კბ „აბსოლუტი“	28	36	31	36	25
3 ქ. თბ., სს „ბანკი ქართული კაპიტალი“	37	30	22	17	
4 ქ. თბ.. სს კბ „თბილკრედიტბანკი“	28	27	26	24	23
5 ქ. თბ., სს „რ გ ქ ბ“	37	23	23	24	38
6 ქ. თბ., სს კბ „ბანკი ქართუ“	48	35	30	26	28
7 ქ. თბ., სს „აგრომრეწვბანკი“	84	55	61	40	28
8 ქ. თბ., სს „საქართველოს ბანკი“	49	44	34	31	24
9 ქ. თბ., სს „გაერთ. ქართ. ბანკი“	42	47	31	17	17
10 ქ. თბ., სს კბ „კავკასიონი“		18	34	9	
11 ქ. თბ., სს კბ „ბანკი კრედიტი“		66			
12 ქ. თბ., სს „ენერგობანკი“		50	66	21	27
13 ქ. თბ., სს „თბილკომბანკი“	55	56	34	28	21
14 ქ. თბ., შპს კბ „მერკური“			19	16	
15 ქ. თბ., შპს კბ „რესპუბლიკა“	36	24	35	26	24
16 ქ. თბ., შპს კბ „თბილბიზნესბანკი“	36	38	30		
17 ქ. თბ., შპს კბ „აგორა“		14			
18 ქ. თბ., სს „ექსპორტ-იმპორტის ბანკი“	41			38	
19 ქ. თბ., სს კბ „არაგვიბიზნესბანკი“	120	120			
20 ქ. თბ., შპს კბ „თეთრი“	20	35	23		
21 ქ. თბ., სს „თბილინტერტბანკი“	53	36		71	
22 ქ. თბ., სს „თიბისი-ბანკი“	32	33	23	25	24
23 ქ. თბ., „ეშლაქ ბანკის“ თბილისის ფილი		22	35	20	30
24 ქ. თბ., სს კბ „დისკონტ-ბანკი“	80	36	60		96

25 ქ. თბ., შპს კბ „ქართული ბანკი“		25	38		
26 ქ. თბ., შპს კბ „გამა-ბანკი“	38	49	39	38	18
27 ქ. თბ., „ეი ბანკ საქართველო“		48	36	27	24
28 ქ. თბ., სს „ინტელექტბანკი“	45	42	40	39	20
29 ქ. თბ., სს კბ „ტრანსკავკასია“	74	39			
30 ქ. თბ., სს კბ „ბაზისბანკი“	46	38	32	38	20
31 ქ. თბ., სს „საქ საფოსტო ბანკი“		33	34	34	
32 ქ. თბ., შპს „თბილუნივერსალბანკი“	42	36	43	31	24
33 ქ. ქუთაისი, სკბ „რიონი“	73	81	82	28	28
34 ქ. ბათუმი, სს საკონსტრუქციობანკი კბ „ლიბერტი“	72	72	68	72	
35 ქ. ბათუმი, სს „საქ. საზღვაო ბანკი“	60	60	56	60	59
36 ქ. ბათუმი, სს „შავი ზღვის აუქციონის ბანკი“		96	23		
საშუალო შეწონილი	46	40	32	26	23

ჯერ ერთი, მეურნე სუბიექტების დანაზოგების ბანკებს გარეთ განთავსების ალტერნატიული საშუალების არსებობამ; მეორე, კომერციული ბანკების საერთო რაოდენობაში მცირე (4 მლნ ლარამდე) კაპიტალის მქონე ბანკების მაღალმა ხვედრითმა წილმა, რის გამოც შეზღუდული იყო მათი ოპერაციების მოცულობა; მესამე, მოსახლეობის დაბალმა ნდობამ ეროვნული ვალუტის მიმართ. აღნიშნული გარემოება ნათლად აისახა ფართო ფულის და დეპოზიტების სტრუქტურაში. ფართო ფულის ზრდამ უცხოური ანაბრების გარეშე (M2) 25 მლნ ლარი, ხოლო უცხოური ანაბრების ჩათვლით (M3) 76 მლნ ლარი შეადინა.

უცხოური ანაბრების გარეშე ფულის მასის ზრდა მთლიანად განპირობებული იყო ბანკებს გარეთ არსებული ფულის 32 მლნ ლარით ზრდით, ეროვნულ ვალუტით დეპოზიტების 7 მლნ ლარით შემცირების გათვალისწინებით.

კომერციული ბანკი საჭირო კაპიტალის მოცულობის განსაზღვრისას ალტერნატივის წინაშე დგას: თავისი კაპიტალი მეტი რისკის ხარჯზე გაზარდოს, თუ თავი აარიდოს დიდ რისკს და თანხა ნაკლებრისკიან აქტივებში დააბანდოს.

როგორც აღვნიშნეთ, კომერციული ბანკის კაპიტალის მთავარი დანიშნულებაა დაიცვას მეანაბრეები დანაკარგისაგან. ბანკის ბალანსის სხვა აქტივები კი ხასიათდება სხვადასხვა ხარისხის რისკით. ამიტომ ბაზელის შეთანხმების საფუძველზე, კაპიტალის ოდენობის უფრო ზუსტი განსაზღვრის მიზნით, გათვალისწინებულია რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შესაბამისი კოეფიციენტების დადგენა.

აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით ჩვენს ქვეყანაში 1999 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესები". ამ წესების შემოღებამ სრულყოფილი გახადა ზედამხედველობის მიზნით განსაზღვრული კაპიტალი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. დანერგვის პროცესშია სრულიად ახალი „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების" ცნება, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კომერციული ბანკების აქტივების მგრძნობელობის დადგენას საკრედიტო რისკის მიმართ. ეს ორი ეკონომიკური პარამეტრი სრულყოფილად წარმოაჩენს კომერციული ბანკებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს — კაპიტალის საკმარისობას. აღნიშნული მექანიზმის შექმნით, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განხორციელდება ქვეყანაში მთლიანად საბანკო სისტემის და თითოეული კომერციული ბანკის საიმედობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით საზედამხედველო მოთხოვნების გამკაცრება და, პარალელურად, კომერციული ბანკების მიერ წარმოსადგენი აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანგარიშგების ახალი ფორმების შემოღებით დეტალურად გამოვლინდება ბანკის საქმიანობის საფინანსო შედეგები.

ხშირად ბანკები მეანაბრეთა რიცხვის ზრდისა და მათი ანაბრების რისკის დონის შემცირების გამო დამატებითი კაპიტალის მოზიდვის აუცილებლობის წინაშე დგებიან. დამატებითი კაპიტალის საჭიროების გაზრდილი მოთხოვნილება გამოწვეულია როგორც სახელმწიფო რეგულირებით, ასევე სასესხო კაპიტალის ბაზარზე არსებული მკაცრი კონკურენციით.

კაპიტალის ძირითად წყაროდ ყოველთვის გვევლინება გაუნაწილებელი მოგება, ე.ი. აქციონერებზე გაცემული კი არა, ბანკში დარჩენილი კაპიტალი. გაუნაწილებელი მოგებით რესურსების პოტენციალის ზრდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში. რომ *ჯერ ერთი*, თანხების მოზიდვისას ბანკი დამოკიდებული არ არის ღია ბაზარზე, *მეორე*, ანაბართა განთავსებასთან დაკავშირებით ბანკს დანახარჯები არ ექნება, *მესამე*, ეს რესურსი საფრთხეს არ უქმნის აქციონერთა კონტროლს ბანკზე ანუ გამორიცხავს როგორც მათი საკუთარი წილის, ასევე აქციების შემოსავლების შემცირებას. ამასთან, აღსანიშნავია კაპიტალის შიდა წყაროებიდან მოზიდვის ნაკლოვანებაც. კერძოდ, ეს კაპიტალი მთლიანად ექვემდებარება დაბეგვრასა და საპროცენტო განაკვეთების ზემოქმედებას, რისი მართვის საშუალებაც ბანკს არ გააჩნია.

კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის მართვისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გაუნაწილებელი მოგების სიდიდეს. როცა ძალზე დიდია დივიდენდების წილი, მოგების მოცულობა კლებულობს. მოგების მეტად დაბალ დონეზე დაწევას თან სდევს კაპიტალის შიდა წყაროების ნელი ზრდა, ამასთან, იზრდება გაკოტრების რისკიც, რაც თავისებურად ამუხრუჭებს ბანკის შემოსავლების მომტანი აქტივების მოცულობის ზრდას.

ბანკის ოპტიმალური სადივიდენდო პოლიტიკაა ისეთი პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც მაქსიმალურად გაიზრდება აქციონერთა ინვესტიციის საბაზრო ფასი. ბანკი ახალ აქციონერებს მოიზიდავს იმ შემთხვევაში, თუ აქციონერთა კაპიტალის შემოსავლიანობა იმავე ხარისხის რისკის მქონე სხვა ინვესტიციების შემოსავლიანობაზე მეტი თუ არა, ტოლი მაინც იქნება.

ჩვენი აზრით, ბანკისთვის მეტად მნიშვნელოვანია სტაბილური სადივიდენდო პოლიტიკის გამომუშავება. თუ ბანკის დივიდენდების დონე შედარებით მდგრადია, ინვესტორები მათ განიხილავენ, როგორც საკმაოდ სტაბილურ შემოსავალს და ბანკი მათ უფრო მიმზიდველი მოეჩვენებათ კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით. ამრიგად, ბანკის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით საკუთარი

კაპიტალის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოგების ზრდის თვალსაზრისით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, რესურსებზე მოთხოვნების დაკმაყოფილება საკუთარი სახსრებით შეუძლებელია. ამიტომ ბანკი იძულებულია მოიზიდოს თანხები ე.წ. „საგარეო“ წყაროებიდან. ამისათვის მას გააჩნია რამდენიმე ალტერნატივა. კერძოდ: ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციების გამოშვება და გაყიდვა, გრძელვადიანი ვალდებულებების ემისია, აქტივების გაყიდვა და უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

უკანასკნელ პერიოდში ბევრმა ბანკმა იმისთვის გაყიდა თავისი აქტივები, რომ გაეუმჯობესებინა კაპიტალისა და აქტივების თანაფარდობა. გარდა ამისა, მათ უმეტეს შემთხვევაში შეამცირეს მეტად სარისკო აქტივების ზრდა და გადაანაწილეს აქტივები ნაკლებად რისკიან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში და სხვა ინვესტიციებში, რითიც, თავის მხრივ, შეამცირეს რისკის მიმართ შეწონილი აქტივების მოცულობა.

რესურსების მოზიდვის ზემოთ აღნიშნული ხერხებიდან ბანკის მიერ ერთ-ერთის არჩევა დამოკიდებულია ისეთ საკვანძო ფაქტორებზე, როგორიცაა:

– თითოეული კაპიტალური სახსრების წყაროსთან დაკავშირებული დანახარჯები (საპროცენტო გადასახადები, ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან დაკავშირებული საკომისიო გასამრჯელოები და სხვა);

– სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც გამოითვლება 1 აქციაზე მიღებული მოგებით;

– კაპიტალის ყველა წყაროსთან დაკავშირებული რისკი;

– ბანკის მიდრეკილება რისკისადმი (რომელიც აისახება ისეთ მონაცემებში, როგორიცაა: გაცემული კრედიტების ერთობლივი მოცულობა, ან ბანკის აქტივების, დეპოზიტების, კაპიტალის შემოსავლიანობა);

– იმ კაპიტალის ბაზრების სიძლიერე და სისუსტე, რომელზეც ახალი კაპიტალური სახსრების მოზიდვა უნდა განხორციელდეს;

– საბანკო კაპიტალის მოცულობისა და სტრუქტურის მარეგულირებელი დებულებები.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფინანსურ ბაზარზე აქტივებისა და პასივების ვადების დაბალანსება ბანკის მყარი პოზიციის გარანტიაა. იგი განაპირობებს ბანკის მიმზიდველობას როგორც კერძო, ასევე კორპორაციული კლიენტებისათვის.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით გაცემული კრედიტების გარკვეული ნაწილი მსესხებლისგან ბანკებს უკან არ უბრუნდება, რის გამოც საბანკო აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაუფასურდა. ზოგიერთი მსხვილი ბანკი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა ლიკვიდობის დაკარგვა სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს უქმნის, რამაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება ბანკი გაკოტრებამდე ან ლიცენზიის ჩამორთმევამდე მიიყვანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე, აუცილებელია ქვეყნის კომერციული ბანკების რესურსების ფორმირების რეგულირების სრულყოფის გზებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.

§2. საქართველოს კომერციული ბანკების რესურსების რეგულირების თავისებურებანი საზღვარგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით

კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის კონცეფტუალური საფუძვლების გამომუშავებისას მეტად მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის პრაქტიკა ამ სფეროში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე რესურსების რეგულირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების კრედიტებზე სააღრიცხვო განაკვეთების დადგენა, სავალდებულო რეზერვების ფონდების ფორმირება, ცენტრალიზებული საკრედიტო რესურსების ოდენობის რეგულირება.

საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 22 მაისს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის შესახებ დებულების საფუძველზე შეწყვიტა ცენტრალიზებული კრედიტების გაცემა და ბანკთაშორისო საკრედიტო აუქციონი გახდა რესურსების ძირითადი ბაზარი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ბანკების ლიკვიდობის გაუმჯობესება და რეალური საპროცენტო განაკვეთების დადგენა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მეშვეობით საშუალება გვაქვს გავაანალიზოთ 1995-1999 წლებში ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე გარიგებათა მოცულობა და საპროცენტო განაკვეთების დინამიკა (იხილეთ ცხრილი №4).

ცხრილი №4

ბანკთაშორისო საკრედიტო რესურსების აუქციონებზე გარიგებათა მოცულობა და საპროცენტო განაკვეთები

თარიღი	ბრუნვა, მლნ ლარი				საშ. წლიური საპროცენტო განაკვეთი			
	7დღე	30 დღე	60 დღე	90 დღე	7 დღე	30 დღე	60 დღე	90 დღე
1995	2,4	X	X	X	48	X	X	X
1996	21,7	10,9	0,2	6,3	17	41	47	37
1997	24,7	23,8	11,2	0,7	19	31	31	22
1998	13,5	28,4	4,5	2,5	40	40	31	35
1999	29.4	1.6	0.8	0	29	34	30	X

წყარო: ეროვნული ბანკის მასალები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1995 წლის განმავლობაში საკრედიტო რესურსების აუქციონზე გამართულ გარიგებებზე გაიყიდა 2,4 მლნ ლარის საკრედიტო რესურსი, რაც საბანკო სისტემის აქტივების 1%-ს შეადგენდა.

საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა საკრედიტო აუქციონზე 1995 წელს შეადგინა 48% წლიურად, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 26 აპრილს – 88%, ხოლო მინიმალური 12 დეკემბერს – 22%. აღსანიშნავია, რომ საკრედიტო აუქციონის ჩამოყალიბების დროს არ არსებობდა ვადების მიხედვით დიფერენცირებული სისტემა და გარიგებები იდებოდა მხოლოდ 7 დღემდე ვადით.

1996 წელს საკრედიტო ბაზრის განვითარების დადებითი ტენდენციები შეინიშნებოდა. მნიშვნელოვნად იმატა აუქციონში მონაწილე ბანკების რაოდენობამ, აგრეთვე გაყიდული საკრედიტო

რესურსების ოდენობამ. განხორციელდა რესურსებით სარგებლობის ვადების დივერსიფიცირება და ბანკები ვაჭრობდნენ როგორც 7-დღიან, ასევე 30, 60 და 90-დღიან აუქციონებზე.

1996 წელს 7-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 21,7 მლნ ლარის ფულადი რესურსი, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ 9,2 მლნ ლარი, რაც საერთო თანხის 42%-ს შეადგენდა. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 25 მარტს – 51%, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 13%, ოქტომბრის დასაწყისში, რომელიც წლის ბოლომდე აღარ შეცვლილა. აუქციონებზე, თითოეულ საკრედიტო ვაჭრობებში მონაწილეობდა 10-მდე ბანკი, რაც საბანკო დაწესებულებების მხოლოდ 16%-ს შეადგენდა. 7-დღიან საკრედიტო აუქციონებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 17%-ის დონეზე.

30-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 10,9 მლნ ლარის ფულადი რესურსი, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ 6,0 მლნ ლარი, რაც საერთოდ გარიგებების 55%-ს შეადგენდა. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 15 თებერვალს – 71%-ის ოდენობით, ხოლო მინიმალური 17 ოქტომბერს – 21%-ის დონეზე. საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 41%. თითოეულ საკრედიტო ვაჭრობაში მონაწილეობდა 10-მდე ბანკი, რაც, ჩვენი აზრით, ძალზე დაბალი მაჩვენებელია. ეს გამოწვეულია როგორც ბანკების საკრედიტო რესურსების მენეჯმენტის დაბალი დონით, ასევე მთლიანად საბანკო სისტემაში სერიოზული ფინანსური დეფიციტითაც.

60-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 0,2 მლნ ლარი, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 11 აპრილს, წლიური 60%-ის ოდენობით, ხოლო მინიმალური 35%-ის ოდენობით – 26 სექტემბერს. საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 47%. სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობდა მხოლოდ ორი ბანკი, რაც ძალზე დაბალ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

90-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 6,3 მლნ ლარის საკრედიტო რესურსი, რომელიც მთლიანად კომერციულ ბანკებს შორის ხორციელდებოდა. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 7 მარტს და შეადგინა 70%, ხოლო მინიმალური განაკვეთი 25%-ის ოდენობით – 26 დეკემბერს. საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 37%. სავაჭრო გარიგებებში 5-მდე ბანკი მონაწილეობდა.

ჯამში ყველა ვადიან საკრედიტო აუქციონზე გაიყიდა 39,1 მლნ ლარის რესურსი, რაც 36,7 მლნ ლარით ანუ 16-ჯერ აღემატება 1995 წლის სავაჭრო გარიგებების მოცულობას. 1996 წელს ეროვნული ბანკის მიერ გაიყიდა მთელი ფულადი რესურსის 52%.

7-დღიანი რესურსების აუქციონზე გაიყიდა მთელი სავაჭრო გარიგების – 56%, 30-დღემდე საკრედიტო რესურსების აუქციონზე – 28%, 60-დღიანი რესურსების აუქციონზე მთელი სავაჭრო გარიგებების – 0,5%, ხოლო 90-დღიან აუქციონებზე – 16%.

1996 წელს ეროვნულმა ბანკმა საკრედიტო რესურსების აუქციონზე შეიძინა 4,1 მლნ ლარი, რაც მთელი რესურსის 10%-ს შეადგენდა, ხოლო საბანკო სისტემის დაკრედიტება – 17,6 მლნ ლარს.

1997 წელს 7-დღიან საკრედიტო აუქციონზე გაიყიდა 24,7 მლნ ლარის ფულადი რესურსი, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ გაიყიდა 13,2 მლნ ლარი, ანუ მთელი სავაჭრო გარიგების 53%. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 30 დეკემბერს 43%-ის ოდენობით, ხოლო 9 სექტემბერს მინიმალურმა განაკვეთმა შეადგინა 9%. საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 7-დღიან საკრედიტო აუქციონზე შეადგენდა 19%-ს. თითოეულ სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობდა 8 ბანკი, რაც კომერციული ბანკების რაოდენობის 15% იყო.

30-დღიანი საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 23,8 მლნ ლარი, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ 9,8 მლნ ლარი,

ანუ მთელი ფულადი რესურსის 41%. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 25 დეკემბერს და შეადგინა 48%, ხოლო მინიმალური – 19 მარტს, 19%-ის დონეზე. საშუალო წლიურმა განაკვეთმა 30-დღიან საკრედიტო აუქციონზე შეადგინა 31%. სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობდა მაქსიმუმ 11 ბანკი.

60-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონზე სავაჭრო გარიგებების მოცულობამ შეადგინა 11,2 მლნ ლარი, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ გაიყიდა 11,0 მლნ ლარი, ანუ მთლიანი გარიგებების 98%. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 23 დეკემბერს – 31%-ის ოდენობით, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 27 თებერვალს, 19%-ის ოდენობით. საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 31%. სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობდა 6 ბანკი.

90-დღიან საკრედიტო გარიგებაზე, რომელიც 1997 წელს სულ 2-ჯერ გაიმართა, გაიყიდა 0,7 ათასი ლარი, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 16 ნოემბერს, 32%-ის ოდენობით, ხოლო მინიმალურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 30%, 14 აგვისტოს, სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობას ღებულობდა ორად-ორი ბანკი.

1997 წელს ყველა ვადიან საკრედიტო აუქციონზე სავაჭრო გარიგებების მოცულობამ შეადგინა მთლიანად 60,4 მლნ ლარი, რაც წინა წლის მოცულობასთან შედარებით 21,3 მლნ ლარით, ანუ 65%-ით აღემატება 1996 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

7-დღიან საკრედიტო აუქციონზე გაიყიდა მთელი ფულადი რესურსის 41%, 30-დღიან აუქციონებზე – 39%, 60-დღიანზე – 19%, ხოლო 90-დღიან საკრედიტო აუქციონებზე – 1%.

ეროვნულმა ბანკმა ბირჟაზე გაყიდა 33,9 მლნ ლარის რესურსი, ხოლო შეიძინა 8,4 მლნ ლარის, ე.ი. კომერციული ბანკების წმინდა დაკრედიტებამ ეროვნული ბანკის მიერ შეადგინა 24,6 მლნ ლარი.

1998 წელს დადებითად ვითარდებოდა საკრედიტო რესურსების აუქციონი. 7-დღიან საკრედიტო აუქციონზე წლის განმავლო-

ბაში გაიყიდა 13,5 მლნ ლარის ფულადი რესურსი, ამასთან, ეროვნულ ბანკს საკრედიტო რესურსები არ გაუყიდია. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 8 სექტემბერს, ხოლო მაქსიმალური განაკვეთი – 85%, 11 ოქტომბერს, როდესაც ქვეყანაში უკიდურესად გამწვავდა საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისი. საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა 7-დღიან საკრედიტო აუქციონზე შეადგინა 40%. აუქციონზე მონაწილე ბანკების რაოდენობა 8-მდე შემოიფარგლა, რაც კომერციული ბანკების რაოდენობის 18%-ს შეადგენს.

30-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 28,4 მლნ ლარის რესურსი. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 11 ნოემბერს 85%-ის ოდენობით, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 25 ივნისს 22%-ის ოდენობით. საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა 40%-ის დონეზე. სავაჭრო გარიგებებში მაქსიმუმ 11 ბანკი მონაწილეობდა.

1998 წელს 60-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 4,5 მლნ ლარის რესურსი, რომელიც კომერციულ ბანკებს შორის ანგარიშსწორებით შემოიფარგლებოდა. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 37%-ის ოდენობით დაფიქსირდა 27 აგვისტოს, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 23%-ის დონეზე დაფიქსირდა 25 ივნისს. საშუალო წლიურმა განაკვეთმა 1998 წელს 60-დღიან აუქციონზე შეადგინა 31%. სავაჭრო გარიგებებში მაქსიმუმ 5 ბანკი იღებდა მონაწილეობას.

90-დღიან საკრედიტო აუქციონზე გაიყიდა 2,5 მლნ ლარის რესურსი, სადაც ძირითადად კომერციული ბანკები იღებდნენ მონაწილეობას. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 48%-ის ოდენობით დაფიქსირდა 3 მარტს, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 24%-ის დონეზე, 28 მაისს. საშუალო წლიური განაკვეთი შეადგენდა 35%-ს. სავაჭრო გარიგებებში მაქსიმუმ 5 ბანკი მონაწილეობდა.

1998 წელს ჯამში გაიყიდა 48,8 მლნ ლარის რესურსი, რაც 11,6 მლნ ლარით ნაკლები, ანუ წინა წლის 81%-ია. ეროვნული

ბანკის წმინდა დაკრედიტება კომერციული ბანკების მხრიდან შეადგენდა 13,0 მლნ ლარს.

7-დღიან აუქციონზე გაიყიდა მთელი სავაჭრო გარიგებების 28%, 30-დღიან აუქციონებზე – 58%, 60-დღიან საკრედიტო აუქციონზე მთელი გარიგებების თანხის – 9%, ხოლო 90-დღიან აუქციონზე – 5%.

1999 წელს 7-დღიან საკრედიტო რესურსების აუქციონზე გაიყიდა 29.4 მლნ ლარის რესურსი. საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 29%. 30-დღიან საკრედიტო აუქციონზე გაიყიდა 1,6 ათასი ლარი, რომლის საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 34%. 60-დღიან აუქციონზე გაიყიდა 0,8 ათასი ლარის რესურსი, რომლის საშუალო წლიურმა განაკვეთმა 30% შეადგინა, ხოლო 90-დღიანი საკრედიტო რესურსების აუქციონი არ გამართულა.

1999 წელს ჯამში სავაჭრო გარიგებების მოცულობამ შეადგინა 31,8 მლნ ლარი. ამასთან, 7-დღიან გარიგებებზე გაიყიდა მთელი მოცულობის 93%, ხოლო 60-დღიან საკრედიტო აუქციონებზე კი – 5%.

როგორც ვხედავთ, ბანკების ლიკვიდობის ძირითადი რეგულატორი განხილული პერიოდის განმავლობაში იყო ბანკთაშორისო საკრედიტო რესურსების აუქციონი, ასევე აუქციონის გარეშე მოქმედი ბანკთაშორისო ბაზარი. აღნიშნულის მიუხედავად, 1999 წლის განმავლობაში ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონებზე ბრუნვა რამდენადმე აღემატებოდა აუქციონის გარეშე ბანკთაშორის ბაზარზე ბრუნვას, რაც აუქციონის წესებიდან გამომდინარე გამყიდველი ბანკების რისკებისგან დაცვით იყო განპირობებული.

1999 წლის განმავლობაში ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე ბრუნვა 31,8 მლნ ლარს შეადგენდა, რაც 17 მლნ ლარით ნაკლებია 1998 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. ამასთან, სხვაობა აღინიშნება ვადიანობის მიხედვით საკრედიტო რესურსების სტრუქტურაშიც, სახელდობრ, 1999 წელს 1998

წელთან შედარებით აღინიშნება 7 დღემდე ვადის მქონე საკრედიტო რესურსით ბრუნვის ზრდა 15,9 მლნ ლარით, სამაგიეროდ საგრძნობლად შემცირდა 30-დღიანი ბრუნვები, ხოლო 90 დღემდე რესურსით ბრუნვა საერთოდ არ განხორციელებულა.

აღნიშნული განაპირობა 1998 წლის ბოლოს ლარის დევალვაციის გავლენით კომერციული ბანკების მიერ აქტივების ძირითადად უცხოური ვალუტით განთავსებამ.

1999 წლის განმავლობაში 7 დღემდე ვადით საკრედიტო რესურსების აუქციონების ჩატარების 50 შესაძლებლობიდან იგი შედგა 41-ჯერ. აუქციონზე გაყიდული 29,4 მლნ ლარიდან 23,8 მლნ ლარი ანუ გარიგებათა საერთო თანხის 81% იყიდა ეროვნულმა ბანკმა. 7-დან 90 დღემდე ვადით საკრედიტო რესურსების აუქციონების ჩატარების 51 შესაძლებლობიდან აუქციონი შედგა 15-ჯერ. გაყიდული 2,4 მლნ ლარიდან 33% ეროვნულმა ბანკმა შეისყიდა.

აუქციონებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები 1999 წლის განმავლობაში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და ბოლო სამი თვის განმავლობაში ვადების მიხედვით რესურსებზე 27-30 პროცენტით განისაზღვრა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს შიდასავალუტო ბაზარი სხვა ფინანსურ ბაზრებთან შედარებით მაღალი ლიკვიდობით გამოირჩევა, რაც განაპირობებს მის აქტიურობას. იგი მოიცავს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟას, მის მიღმა მოქმედ პირდაპირ ბანკთაშორის ბაზარსა და ბანკებს გარეთ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს.

მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამუშაოები ბანკებს გარეთ მოქმედი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ლეგალიზაციისა და ამ სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში წარმოებულ ოპერაციათა მოცულობის ზუსტი აღრიცხვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. შესაბამისად შიდასავალუტო ბაზარზე ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მოცულობაში არ არის

ასახული ბანკებს გარეთ მოქმედი ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში განხორციელებული ოპერაციების ოდენობა.

კურსწარმოქმნა შიდასავალუტო ბაზრის ყველა სეგმენტზე თითქმის მთლიანად საბაზრო მექანიზმს ემყარება და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1998 წლის 7 დეკემბერს ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა ინტერვენციები აშშ დოლარის მიმართ.

კვლავ მნიშვნელოვანია თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის როლი შიდასავალუტო ბაზრის კონიუნქტურის ჩამოყალიბებაში. მის წილად მოდიოდა 1999 წელს ოფიციალურ სავალუტო ბაზარზე განხორციელებულ გაყიდვათა 10% (იხილეთ ცხრილები №№ 5,6).

სავალუტო ბირჟაზე ყოველდღიურად ჩამოყალიბებული კურსი სავალუტო ბაზრის სუბიექტების მიერ მიიჩნევა ძირითად ორიენტირად, რომელზე დაყრდნობითაც ხდება უცხოური ვალუტების მიმართ ლარის კურსის განსაზღვრა. სავალუტო ბაზრის სხვა სეგმენტებზე სავალუტო ბირჟის ბრუნვამ 1999 წელს 76,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1999 წელს, ეროვნულ ბანკს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საერთოდ არ გაუყიდია უცხოური ვალუტა, პირიქით, 1999 წელს საბირჟო სესიებზე მან 14,7 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, რითაც შეივსო საერთაშორისო რეზერვები. შეიძლება ითქვას, რომ 1999 წელს სავალუტო ბაზარმა შეძლო გამოემუშავებინა ერთგვარი თვითრეგულირების მექანიზმი, რომლის ეფექტიანობაც ეროვნული ბანკის ინტერვენციების გზით პირდაპირი ჩარევის გარეშე ლარის სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნებით გამოიხატა. ამასთან, 1999 წელს სავალუტო ბირჟაზე გამოიკვეთა დაახლოებით 10 მსხვილი კომერციული ბანკი, რომლებზეც მოდიოდა ბირჟაზე დადებულ გარიგებათა დიდი ნაწილი.


პირდაპირი ბანკთაშორისო ბაზარი ბრუნვის მოცულობით თითქმის უტოლდება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე განხორციელებულ ოპერაციათა მოცულობას. მის წილად მოდის

ცხრილი № 5

თბილისის ბანკთაშორისის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარით ვაჭრობის 1999 წლის შედეგები

(ათას აშშ დოლარებში)

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გაყიდული აშშ დოლარები	2,664	3,446	3,831	3,078	5,405	5,232	7,080	9,233	10,997	7,363	7,320	10,472
მათ შორის:												
კომერციული ბანკების მიერ გაყიდული	2,664	3,446	3,831	3,078	5,405	5,232	7,080	9,233	10,997	7,363	7,320	10,472
ვალუტის ბანკის მიერ გაყიდული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ნაყიდი აშშ დოლარები	2,664	3,446	3,831	3,078	5,405	5,232	7,080	9,233	10,997	7,363	7,320	10,472
მათ შორის:												
კომერციული ბანკების მიერ ნაყიდი	2,664	3,446	3,630	2,400	4,005	4,365	2,978	4,655	8,712	6,957	7,190	10,422
ვალუტის ბანკის მიერ ნაყიდი	0	0	201	679	1,401	867	4,102	4,578	2,284	406	130	50
აშშ დოლარის ლარზე გაცვლის საშუალო თვიური კურსი	2.066	2.268	2.263	2.164	2.028	1.983	1.907	1.854	1.865	1.875	2.023	1.954




ცხრილი №6

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარით ვაჭრობის 2000 წლის შედეგები

(ათას აშშ დოლარებში)

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გაყიდული აშშ დოლარები	6,976	9,385	9,355	8,887	11,273	15,292	20,808	14,994	10,954	12,873	9,950	18,516
ესედან შეძენის												
კომერციული ბანკების მიერ გაყიდული	6,976	9,385	9,355	8,887	11,273	15,292	20,808	14,991	10,954	12,873	9,950	18,516
ბროკერული ბანკის მიერ გაყიდული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ნაყიდი აშშ დოლარები	6,976	9,385	9,355	8,887	11,272	15,292	20,808	14,994	10,954	12,873	9,950	18,516
ესედან შეძენის												
კომერციული ბანკების მიერ ნაყიდი	6,726	8,383	7,356	8,427	8,261	5,023	4,242	5,618	4,308	6,534	6,837	6,101
ბროკერული ბანკის მიერ ნაყიდი	250	1,002	1,999	460	3,011	10,269	16,566	9,376	6,646	6,339	3,113	12,415
აშშ დოლარის ლარზე გაცვლის საშუალო თვიური კურსი	2.066	2.080	2.000	1.970	1.980	1.983	1.907	1.854	1.865	1.875	2.030	2.050



1999 წელს ოფიციალურ სავალუტო ბაზარზე განხორციელებულ გაყიდვათა 8-10 %. გარიგებათა დარჩენილი ნაწილი უშუალოდ საბანკო დაწესებულებებსა და მათ კლიენტებს (იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) შორის წარმოებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 1997 წლის აგვისტოში სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით საფუძველი ჩაეყარა საბანკო რესურსების შევსების მნიშვნელოვან წყაროს — ფასიანი ქაღალდების ბაზარს. სახაზინო ვალდებულებების გამოშვებას თავდაპირველად საკმაო ინტერესით შეხვდნენ როგორც კომერციული ბანკები, ისე არასაბანკო ფიზიკური და იურიდიული პირები.

სახაზინო ვალდებულებათა ბაზარზე კომერციული ბანკები თავიდანვე დიდი აქტიურობით მონაწილეობდნენ, ცდილობდნენ რა სახელმწიფოს შეცდომები გამოეყენებინათ და აეღოთ სახაზინო ვალდებულებები მაღალი საპროცენტო განაკვეთით. აღნიშნულმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ 1997 წელს სახაზინო ვალდებულებებმა 5,8 მილიონით ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვასთან ერთად 6,4 მილიონი ლარის შიდავალდებულება წარმოქმნა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქვეყანაში არსებულმა ფისკალურმა კრიზისმა, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა მთავრობის ფასიანი ქაღალდებისადმი ინვესტორების დამოკიდებულებაზე. შესაბამისად გართულდა 1998 წლის ოქტომბერში შემწყდარი სახაზინო ვალდებულებების აუქციონების აღდგენა.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, რაც უმთავრესად სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის, ასევე სხვა ნორმატიულ აქტებში კომერციული ბანკების დასაინტერესებლად გარკვეული სტიმულის მიცემის თაობაზე ცვლილებების შეტანით გამოიხატება, შესაძლებელი გახდა 1999 წლის აგვისტოდან სახაზინო ვალდებულებების აუქციონებ-

ის აღდგენა. 1999 წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების აუქციონები 7-ჯერ გაიმართა, გამოშვებულ იქნა 28-დღიანი და 31-დღიანი სახაზინო ვალდებულებები საერთო თანხით 4,8 მლნ ლარის ოდენობით, რომლიდანაც განთავსდა 3,9 მლნ ლარი, ანუ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების 81,2%. ამ თანხიდან 2,2 მლნ ლარი ადრე გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების, ხოლო 1,7 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყარო გახდა.

სახაზინო ვალდებულებების აუქციონებზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთები საფინანსო ბაზრის სხვა სეგმენტებზე ჩამოყალიბებულ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით რამდენადმე ნაკლები იყო და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთების სიდიდე 14,11%-ს შეადგენდა, ხოლო მისი მინიმალური და მაქსიმალური სიდიდე შესაბამისად – 12,98% და 15,95%.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მოწყობილია მეორად ბაზარზე ფასიანი ქაღალდებით გარიგებისათვის სავაჭრო სისტემა და შესაბამისად არსებობს ვაჭრობის წესები, იგი არ ფუნქციონირებს პირველადი ბაზრის მოცულობის სიმცირის გამო.

განვლილი აუქციონების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი სახის დასკვნა:

<u>ჯერ ერთი</u>, სახელმწიფოს მხრიდან დისკონტის (სადისკონტო განაკვეთის) ზედა ზღვრის დონე არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, დისკონტის მერყეობა საერთაშორისო სტანდარტებით საოცრად დიდია.

<u>მეორე</u>, სახელმწიფო აკონტროლებს ფასიანი ქაღალდების ბაზარს არაპირდაპირი მეთოდით: სავალუტო კურსი; საკრედიტო აუქციონები; სავალდებულო რეზერვის წილი.

<u>მესამე</u>, არც ერთ ბანკს არ გააჩნია საკმარისი საკუთარი სახსრები, რათა მთლიანად „აიღოს“ ემისია, ამიტომ აუქციონიდან აუქციონამდე, ძირითადად, რამდენიმე მსხვილი ბანკი „ადგენს“ დისკონტს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 1998 წლის დეკემბრის მისიის რეკომენდაციების თანახმად, „საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ბიუჯეტის დეფიციტის 9.1 მლნ ლარით შევსება სახაზინო ვალდებულებების ემისიებით დაიგეგმა, მაგრამ საქართველოს საფინანსო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ღრმა ანალიზს, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო 1998 წელს საქართველოში შექმნილი ფისკალური კრიზისით, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციაში მძვინვარე ფინანსური კრიზისის გავლენით.

აღნიშნულისა და სხვა საკითხების შესწავლის მიზნით, 1999 წლის 16 აპრილს საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისა და უცხოელი ექსპერტის შემადგენლობით შეიქმნა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების მარეგულირებელი ერთობლივი მუშა ჯგუფი, რომლის მთავარ მიზანს ქვეყნის ფინანსური ბაზრის მდგომარეობის შესწავლა, აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტისადმი პოტენციურ ინვესტორთა დაინტერესება და სახაზინო ვალდებულებების ემისიის განახლება წარმოადგენდა.

მთი რეკომენდაციით სახაზინო ვალდებულებების მარეგულირებელ ნორმატიულ დოკუმენტებში შევიდა ცვლილებები, კერძოდ: მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დეკადურად გამოანგარიშებისა და გადახდის წესში, სადაც ჩამატებულ იქნა მუხლი შემდეგი რედაქციით „დასაშვებია სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე განთავსებული თანხის გამოყენება სახაზინო ვალდებულებების შესაძენად, ამასთან სავალდებულო რეზერვების ანგარიშიდან აღნიშნული მიზნით გამოყენებული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის მიერ მოზიდული სახსრების 2%-ს. ამასთან, ფასიანი ქაღალდების პორტფელის 10% კომერციულ ბანკებს ლიკვიდურ აქტივებად ჩაეთვლებათ, ნაცვლად ადრე განსაზღვრული 5%-ისა“.

ამასთანავე, არასაბანკო ინვესტორების დაინტერესების მიზნით ცვლილება შევიდა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის,

აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულებაში“ და ერთი პირის არაკონკურენტული განაცხადის ლიმიტი გაიზარდა 100-დან 200 ცალ ფასიან ქაღალდამდე. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს პოტენციური ინვესტორების დაინტერესებას ამ ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 1999 წლის ოქტომბრის თვის ტექნიკური მისიის რეკომენდაციების შესაბამისად, ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულებაში“ მომზადდა ცვლილებათა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ფასიანი ქაღალდების აუქციონში კომერციული ბანკებისათვის არაკონკურენტულ ნაწილში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ის კომერციული ბანკი, რომელიც არაკონკურენტული ნაწილით დაკმაყოფილდება, ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკურენტულ ნაწილში. გარდა ამისა, აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად, მიმდინარეობდა საკითხის დამუშავება ფინანსთა სამინისტროზე გაცემული სესხების მცირე ნაწილის სახაზინო ვალდებულებებით უზრუნველყოფის თაობაზე.

კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფისა და მთლიანად საბანკო სისტემის მდგრადობის განმტკიცების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკას.

ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა 1999 წელს მიზნად ისახავდა ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ-ის დოლარის მიმართ ინტერვენციების გარეშე. ამასთან, ეროვნული ბანკი აშშ-ის დოლარების ჭარბი მიწოდების შემთხვევაში, ახორციელებდა მათ შესყიდვას, რათა თავიდან აეცილებინა ეროვნული ვალუტის კურსის გაუმართლებელი გამყარება, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა ქვეყნისათვის უარყოფითი საგარეო-ეკონომიკური შედეგები, კერძოდ, იმპორტის წახალისება და ექსპორტის შემცირება.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა იყო 1998 წელს კრიზ-

ისის პერიოდში შემცირებული საერთაშორისო რეზერვების აღდგენა (ნაწილობრივ მაინც), რაც ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროების ნაკლებობის პირობებში, ღია ბაზარზე ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის ყიდვით უნდა განხორციელებულიყო. ჭარბი უცხოური ვალუტის შეძენას ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკი ახდენდა იმის გათვალისწინებით, რომ არ მომხდარიყო მიმოქცევაში ფულის მასის ფორსირებული ზრდა, რომელსაც შეიძლებოდა ინფლაციური ეფექტი მოჰყოლოდა.

თავისუფლად მცურავი საკურსო რეჟიმისა და მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში შესაძლებელი გახდა უკვე 1999 წლის პირველი კვარტლის ბოლოს ლარის კურსის რყევის ამპლიტუდის მაქსიმალური შემცირება და შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ლარის სტაბილური კურსის შენარჩუნება.

1999 წლის 16 აპრილს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების დივერსიფიკაციის შესახებ“. ამ დადგენილებით საქართველოს ეროვნული ბანკის დილერებს დაევალათ სარეზერვო პორტფელის დივერსიფიკაცია ნასესხობის სპეციალური უფლებების (ნსუ) კალათაში შემავალ ვალუტებში. კერძოდ, აშშ დოლარში, ევროში, იაპონურ იენსა და გირვანქა სტერლინგში. ამასთან, თითოეული ვალუტისათვის ფაქტობრივი ზღვრული გადახრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილიდან განისაზღვრა 5%-ით.

საერთაშორისო რეზერვების ასეთი სახის დივერსიფიკაცია რეზერვების მართვის ოპტიმალური ვარიანტია, რომელიც სარეზერვო პორტფელს იცავს, ერთი მხრივ, საერთაშორისო ბაზარზე სავალუტო კურსების არასახარბიელო ცვლილებებისაგან, მეორე მხრივ კი, ხდება ნასესხობათა სპეციალურ უფლებებში დენომინირებული უცხოური ვალდებულებების ოპტიმალური მართვა.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არაადეკვატური ფისკალური პოლიტიკის გავლენით საქართველოს ეროვნული ბანკი

1999 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების მიმართ არ ასრულებდა ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლს.

1999 წლის განმავლობაში სესხი მხოლოდ ერთხელ გაიცა, 0,5 მლნ ლარის ოდენობით ლომბარდული ოპერაციის განხორციელებით, სესხით სარგებლობისათვის წლიური 17,5 საპროცენტო განაკვეთით.

2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომერციული ბანკების დავალიანება ეროვნული ბანკის მიმართ შეადგენდა 1,8 მლნ ლარს, რაც 4,7 მლნ ლარით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 72%-ის ფორმირება ხდებოდა 1998 წლამდე კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხებით წარმოშობილი ვადაგადაცილებული დავალიანებით და ერიცხებოდა ლიცენზიაჩამორთმეულ 4 ბანკს.

CAMEL-ის რეიტინგული სისტემით კომერციული ბანკების საქმიანობის ანალიზიდან გამომდინარე, 1999 წლის დასაწყისთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა I და II კატეგორიაში მომუშავე ბანკების რაოდენობა. ამასთან, მნიშვნელოვნად შემცირდა IV, V კატეგორიებს მიკუთვნებული ბანკების რაოდენობა ძათთვის ლიცენზიის ჩამორთმევის ან მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად მათი III კატეგორიისათვის მიკუთვნების გამო.

1999 წლის ბოლოს, წლის დასაწყისთან შედარებით, აღინიშნა ბანკების საერთო აქტივებში CAMEL-ის რეიტინგული სისტემით შეფასებული I და II კატეგორიის ბანკების აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა, რომელთა ხვედრითი წილიც საერთო აქტივებში განისაზღვრა 67,3 %-ით, რაც 31,8 პუნქტით აღემატება 1999 წლის დასაწყისის შესაბამის მაჩვენებელს.

ზემოთ განხილული საკრედიტო და სახაზინო ვალდებულებათა აუქციონების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები:

1) ფულადი რესურსების ბაზრებზე დაფიქსირებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები მიუთითებს საბანკო სისტემის ნაკლებლიკვიდურობასა და ფინანსური რესურსების სიმწირეზე.

2) მძიმე სოციალ-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე მოსახლეობის ნდობა საბანკო სისტემის მიმართ ნაკლებია და, ამასთან, რადგან საარსებო მინიმუმის დონე მნიშვნელოვნად (2-3-ჯერ) აღემატება მინიმალურ ხელფასს ქვეყანაში, აქედან გამომდინარე, დანაზოგების სისტემა არ არის განვითარებული და ბანკებს უჭირთ შიდა ბაზარზე რესურსების მოზიდვა;

3) უცხოელი ფიზიკური თუ იურიდიული პირების დაინტერესება საქართველოს ეკონომიკით, კერძოდ, მისი საფინანსო ბაზრით, ნაკლებია, რაც გამოწვეულია არამდგრადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემითა და ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით;

4) მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ერთი მხრივ, ხელს უშლის ბანკებს შორის რესურსების მოძრაობას, ხოლო, მეორე მხრივ, ართულებს სამრეწველო საწარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარებას;

5) ეროვნული ბანკის პოლიტიკა საკრედიტო რესურსების ბაზრის სავაჭრო განვითარებასთან დაკავშირებით შეიძლება არადამაკმაყოფილებლად შეფასდეს. ბაზრის განვითარების ტენდენცია გვიჩვენებს, რომ აქცენტი ძირითადად გადატანილია 7-დღიან საკრედიტო აუქციონებზე და ეროვნული ბანკიც ძირითადად აღნიშნულ სეგმენტზე აკეთებდა აქცენტირებას;

6) სავაჭრო გარიგებების 50%-ზე მეტი მოდის სწორედ მცირევადიანი კრედიტების ბაზრის განვითარებაზე კომერციულ ბანკებს შორის და ეს ძირითადად სპეკულაციურ და ნაკლებეფექტურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ეს რესურსები ძირითადად მხოლოდ მინიმალური სავალდებულო რეზერვების ან საწესდებო ფონდის შევსებისათვის გამოიყენება.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გავეცნოთ კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირებას ახორციელებენ საყოველთაოდ

ცნობილი ინსტრუმენტების გამოყენებით, კერძოდ, ოპერაციები ღია ბაზარზე, ბანკების სააღრიცხვო განაკვეთების ცვლილება, სავალდებულო რეზერვების მიმართ მოთხოვნების შეცვლა.

აშშ-ში ყველაზე მეტად არის განვითარებული რესურსების რეგულირების ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა ფედერალური სარეზერვო სისტემის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები ღია ბაზარზე. ამ ოპერაციებით, რომლებიც შეადგენს წლიური ბრუნვის 4/5-ს, ფედერალური სარეზერვო სისტემა აქტიურ ზეგავლენას ახდენს ფასიანი ქაღალდების მიწოდების მოცულობასა და კურსზე. ფასიანი ქაღალდების გაყიდვების მოცულობის გაზრდით ფედერალური სარეზერვო სისტემა ნაღდი ფულის მოზიდვით ამცირებს, M_1-ს, ფასიანი ქაღალდების შესყიდვით კი ზრდის მიმოქცევაში ფულის მასას.

მთელი ომის შემდგომი პერიოდიდან დღემდე აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა და გერმანიის ფედერალური ბანკი კომერციული ბანკების ფინანსურ რესურსებზე ზემოქმედებას ახორციელებენ ღია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ოპერაციების მეშვეობით.

ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია რესურსების მობილური განაწილება. იმ ბანკებს, რომლებსაც აქვთ ფინანსური რესურსების დროებითი დეფიციტი, საშუალება ეძლევათ, აიღონ სესხი თამასუქების, აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ, ხოლო იმ ბანკებს, რომლებსაც უცხოური კაპიტალის მოზღვავების გამო ჭარბი რესურსები გააჩნიათ (როგორც ეს მოხდა 80-იან წლებში გერმანიაში), საშუალება ეძლევათ ამ სახსრების ინვესტირება მოახდინონ ფასიან ქაღალდებში. ამ მიზნით ფედერალური ბანკი უშვებდა მიმოქცევაში თავის მოკლევადიან სახაზინო ვალდებულებებს, რომელთა გამოსყიდვის უფლებაც ემიტენტს ნებისმიერ მომენტში ჰქონდა. ამგვარად, ფედერალური ბანკი ახორციელებდა ჭარბი თანხების ამოღებას ცალკეული ბანკისაგან და აძლევდა მათ სხვა ბანკებს. აღსანიშნავია, რომ ფასიანი ქაღალდების ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ არასაბანკო ინსტიტუტებიც.

საგარეო-ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გავლენით რესურსებით უზრუნველყოფის სფეროში სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში, ფედერალური ბანკი საკმაოდ სწრაფად ყიდულობდა სახაზინო ვალდებულებებს და სხვა ფასიან ქაღალდებს, რომლებიც კომერციული ბანკების განკარგულებაში იყო (ეს მოხდა, მაგალითად, 80-იანი წლების ბოლოს ქვეყნიდან ვალუტის გადინების კომპენსაციისათვის. საწინააღმდეგო ოპერაციები განხორციელდა 1992-1993 წლებში, როდესაც ფედერალურმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების საკმაოდ დიდი პაკეტი მიჰყიდა კომერციულ ბანკებს.)

აღსანიშნავია ასეთი ოპერაციების ზოგიერთი თავისებურებანი. უპირველეს ყოვლისა, ფედერალური ბანკის ანაბრები გაიცემოდა მხოლოდ განსაზღვრული ვადით, ისინი მოკლევადიანი, ბრუნვადი იყო, ე.ი. ბანკს შეეძლო მათი გამეორება. ამასთან, ამ ოპერაციების მოცულობა და განაკვეთები იცვლებოდა, მთლიანობაში რესურსებით უზრუნველყოფის მდგომარეობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ობლიგაციების შესყიდვასთან შედარებით, ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ სესხების გაცემის ოპერაციები გავლენას არ ახდენენ სხვა მტკიცე განაკვეთიანი ფასიანი ქაღალდების კურსზე. ამიტომაც, ეს ოპერაციები უფრო მიმზიდველი იყო ფულადი ბაზრის რეგულირებისთვის.

80-იან წლებში ლიკვიდობის მართვის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოპერაციებს თამასუქებისა და ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ. ეს ოპერაციები გამოიყენებოდა ბანკების მოთხოვნების შუალედური დაფინანსებისათვის, რომელთა შევსება აგრეთვე ხდებოდა ხელახალი ალრიცხვის ლიმიტის გაზრდით, მინიმალური სარეზერვო განაკვეთების შემცირებითა და სხვა ღონისძიებებითაც.

რესურსების რეგულირების მეთოდს, რომელიც აგებულია, უწინარეს ყოვლისა, სააღრიცხვო და ლომბარდულ პოლიტიკაზე, თავისი ნაკლოვანებებიც ჰქონდა. ბანკები, 70-იანი წლებიდან 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე, დამოკიდებული იყვნენ ფედერალური ბანკის ლომბარდულ კრედიტზე და განიხილავდნენ მას,

როგორც დაფინანსების ყოველთვის ხელმისაწვდომ წყაროს.

ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების გაფართოების გამო ფულად ბაზარზე რყევები მნიშვნელოვნად ნიველირებული იყო და გამოიწვია ლომბარდულ კრედიტზე მოთხოვნილების შემცირება. ამ მიზნით თამასუქებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ სესხების გაცემასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციები ხორციელდებოდა ლომბარდულ განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ამან საშუალება მისცა რეფინანსირებაზე მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ რესურსებით უზრუნველყოფის მოცულობის ცვლილების გარეშე და უფრო მოქნილად გამოყენებინათ ლომბარდული კრედიტი.

ამ პირობებში გამორიცხული არ იყო ის ფაქტი, რომ დიდი მოცულობის ლიკვიდური სახსრების ფულადი ბაზრის განაკვეთებზე დაბალი განაკვეთით გაცემას, შეიძლება მთლიანობაში გამოეწვია ფულადი ბაზრის კონიუნქტურის რყევა. ამიტომ ფედერალურმა ბანკმა 1985 წელს პროცენტულად უფრო მიმზიდველი თამასუქებისა და ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ ოპერაციები ლომბარდული განაკვეთების 6%-მდე ზრდას დაუკავშირა. ამავე დროს, მან ერთდღიან სესხებზე განაკვეთების შემცირების თავიდან ასაცილებლად, საკრედიტო ინსტიტუტებს შესთავაზა სახაზინო ვალდებულებები 5,5%-ით და სამი დღის ვადით.

ასეთმა პოლიტიკამ ფედერალურ ბანკს ერთდღიანი სესხების მოქნილი მართვის საშუალება მისცა. ერთდღიან სესხებზე განაკვეთების შეზღუდვა ხდება ზევიდან (ზედა 'ხღვარი) ლომბარდული განაკვეთით, ქვევიდან კი (ქვედა ზღვარი) — სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთებით, რომელიც ჭარბი ფინანსური რესურსების არსებობისას ქვედა ზღვარია. თამასუქებისა და ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ სესხების გაცემის გარიგებები იმითაც არის მიმზიდველი რომ, მათი დაფარვა ან განახლება ხორციელდება მოკლე დროში და შესაბამისად

ადვილია მათი შეთანაწყობა საბაზრო რყევებთან.

მართალია, ამ ოპერაციებმა ლომბარდული კრედიტის მთლიანი განდევნა ვერ მოახერხა, მაგრამ მნიშვნელოვნად შეამცირა მათი მოცულობა. ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების განხორციელებისას ბანკები უპირატესობას ანიჭებდნენ ერთ და ორთვიან გარიგებებს. ფედერალური ბანკი მოქნილად რეაგირებდა საერთო სიტუაციაში და ცვლიდა თავის წინადადებებს სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე.

შეიძლება ითქვას, რომ ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების მოცულობის ზრდას, მის ზეგავლენას საპროცენტო განაკვეთებზე, ასევე კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირებას რთული ურთიერთკავშირი აქვთ. ამასთან, ეჭვგარეშეა ის ფაქტიც, რომ კომერციული ბანკების მიერ ფედერალური ბანკის სახაზინო ვალდებულებებით და თამასუქებზე გირაოთი სესხების გაცემა და მიღება, რესურსებით უზრუნველყოფის ბაზას წარმოადგენდა და ამიტომაც ეს იყო ძირითადი წყარო, რომლის მეშვეობითაც რეფინანსირების 1/3 ხორციელდებოდა.

ამრიგად, ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებაზე. ამიტომ ეს ოპერაციები, ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო პოლიტიკის გატარებისას, შეიძლება რეგულირების ძირითად მეთოდად ჩაითვალოს (სავალდებულო რეზერვების მიმართ მოთხოვნების შეცვლასთან ერთად). ამ უკანასკნელზე უფრო დაწვრილებით შემდეგ თავებში ვისაუბრებთ.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ ფედერალური ბანკი ამ ოპერაციების მეშვეობით მოქნილად მართავს ფულადი ბაზრის განვითარების ტენდენციებს, ასევე კომერციული ბანკებისა და არასაბანკო ინსტიტუტების ფინანსურ რესურსებს, რაც, ჩვენ აზრით, საქართველოს საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

§3. კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირებასა და საკრედიტო რისკების შეფასებას შორის ურთიერთკავშირი

კომერციული ბანკების ფუნქციონირების ნებისმიერი სამეცნიერო თუ პრაქტიკული პრობლემის გამოკვლევას თან სდევს რისკების შესწავლა. ასეთი მიდგომა მით უფრო მიზანშეწონილია, თუ გამოკვლევის საგანია კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი.

რესურსების რეგულირებისა და რისკების შეფასების სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ მოგების ზრდა და ბანკების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა გარკვეულწილად ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია.

ეს წინააღმდეგობა თანამედროვე პირობებში შემდეგნაირად აისახება: ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშებზე დარჩენილი ნაშთი (ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბანკის ლიკვიდობას) საკმარისი უნდა იყოს კლიენტის მიმდინარე გადასახდელების დასაფარად. ამავე დროს, აქტიური ოპერაციების ეფექტიანობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტი ფულადი სახსრებია გაცემული კრედიტის სახით. ეს პირობა კი მოითხოვს საკორესპოდენტო ანგარიშებზე თავისუფალი სახსრების შემცირებას.

თანამედროვე პირობებში საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის უკიდურესად აქტუალურია მათ მიერ შესრულებული ოპერაციებისა და რისკების ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკრედიტებისას, რადგან ეკონომიკის საერთო არასტაბილურობის გამო, მხოლოდ მცირერიცხოვანი სამეურნეო სუბიექტები შეიძლება ჩაითვალოს საიმედო პარტნიორებად, ეს მაშინ, როცა ბანკების მიერ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის დაკრედიტება ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ძირითადი ფაქტორია.

ამ სიტუაციაში მდგომარეობიდან გამოსავალი ბანკებმა პარტნიორების ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის გაანალიზებაში უნდა ეძებონ, კერძოდ კი, ყოველი გასაცემი კრედიტის დივერსიფიცირებული მიდგომის ბაზაზე.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება ორ მომენტზე უნდა გამახვილდეს. ერთი მხრივ, დღეს საქართველოში საკრედიტო ოპერაციების საკანონმდებლო რეგულირების საკითხი საფუძვლიანად არ არის დამუშავებული. ეს ერთნაირად შეეხება როგორც საკრედიტო-სამართლებრივ ურთიერთობებს, ასევე საქართველოს საბანკო კანონმდებლობას. საქართველოს ეროვნული ბანკის 1998 წლის 28 დეკემბრის 127 ბრძანებულებით მიღებულია „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო", რომელიც განსაზღვრავს საკრედიტო პორტფელის რისკების შეფასების თანმიმდევრობას, საეჭვო და ვადაგადაცილებული სესხებისთვის სარეზერვო ფონდების შექმნას. რაც შეეხება საბანკო ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის საკითხებს, ისინი ასახულია 1997 წელს მიღებულ საგადასახადო კოდექსში. ეს საკანონმდებლო აქტები კი სრულყოფილად ვერ განსაზღვრავს საბანკო-საკრედიტო ოპერაციებისადმი საერთო მიდგომის წესს.

განვითარებული ქვეყნების საბანკო ლიტერატურა, აუდიტორული ცნობარები შეიცავს საკმაოდ დაწვრილებით ინფორმაციებს საკრედიტო პროცესების განხორციელებისა და საბანკო პრაქტიკაში საკრედიტო რისკების შესახებ, მაგრამ მათი გამოცდილებიდან ყველაფრის გადმოღება ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია, ამასთან, უდავოა, რომ დაკრედიტების პრინციპების შესწავლამ, ანალიზის მეთოდიკისა და საკრედიტო რისკების მართვის პირობების გაცნობამ შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს კომერციული ბანკების დაკრედიტების მიმდინარე პროცესების გაუმჯობესებაზე.

განვითარებულ ქვეყნებში არსებობს საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდიკები, რომელთა გამოყენება ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის, ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

როგორც ცნობილია, 80-იან წლებში აშშ-ს რამდენიმე მსხვილმა ბანკმა კრახი განიცადა. მისი გამომწვევი მიზეზები ფართოდ გაშუქდა ეკონომიკურ ლიტერატურაში. ამ მოვლენათა ანალიზის შედეგად ძირითადად წარმოდგენილი იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა შესაძლებელი საბანკო ოპერაციებზე მმართველობითი კონტროლის მეშვეობით, საბუღალტრო აღრიცხვის საერთო წესებთან (GAAP) შესაბამისად, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის საფუძველზე, კრედიტების დაუბრუნებლობის შემთხვევაში წარმოქმნილი ჯაჭვური რეაქციით გამოწვეული ტალღის ბანკზე „დარტყმის“ შერბილება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1975 წლიდან არსებული პრაქტიკის მიხედვით, კომერციული ბანკების ხელმძღვანელობას ევალება, საკრედიტო პორტფელის ანალიზის საფუძველზე, სესხის შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის გამოანგარიშება და შექმნა.

ამ შემთხვევაში მთავარია ის ფაქტი, რომ ბანკის მიერ გაცემულ ყველა კატეგორიის სესხებზე შექმნილია სესხის შესაძლო დანაკარგების საკმარისი რეზერვი. რეზერვის მოცულობას ბანკის ხელმძღვანელობა საკმარისად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია დაფაროს კრედიტების სახით გაცემული თანხების დაუბრუნებლობით გამოწვეული ბანკის პოტენციური დანაკარგები.

ბანკის პოტენციის ზრდას თან სდევს საკრედიტო ოპერაციების ოდენობისა და სახეობების გადიდება. საკრედიტო ანალიზი შეიძლება არასრული აღმოჩნდეს ან მცდარ მონაცემებს ეყრდნობოდეს, ან კიდევ ექსპერტებმა ვერ შენიშნონ მსესხებელთა საქმიანობიდან გამომდინარე რეალური მდგომარეობა. თუ ბანკ-

ის ხელმძღვანელობა მხოლოდ სესხების გაცემიდან შესაძლო დანაკარგების თავიდან აცილების საფუძველზე კრედიტების გაცემას შეწყვეტს, ბანკს შეუმცირდება მოგება და სასესხო რესურსებზე კლიენტების მოთხოვნები დაუკმაყოფილებელი დარჩება. ბანკი ვერ შეძლებს სესხების გაცემას დანაკარგების, ასე ვთქვათ, გვერდის ავლით, ანუ გაცემულ სესხებზე რისკის მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, ბანკის მიზანია მიაღწიოს მოგებასა და რისკებს შორის თანაფარდობის ოპტიმალურ დონეს.

როგორც წესი, საკრედიტო რისკი უნდა შეფასდეს კრედიტის გაცემამდე ან მანამდე, სანამ გაცემული კრედიტის პირობები გადახედინჯება, აქვე უნდა მოხდეს სესხების გადაფასება გაცემული კრედიტების მონიტორინგის პროცესში. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს რისკის ჯგუფი, რომელსაც სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვუწოდოთ საკრედიტო, მაგრამ მათ ირიბი დამოკიდებულება ახასიათებთ ზემოაღწერილი სესხის დაუბრუნებლობის რისკთან. ეს გახლავთ საფინანსო ანგარიშგების დამახინჯების რისკი, რომელიც ყველა ბანკისთვის არის დამახასიათებელი და აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბანკის საქმიანობის ფინანსური შედეგების შეფასებისას. ბანკის მიერ რისკის ეს ჯგუფი შეფასდება საკრედიტო პოლიტიკის გამომუშავების დროს.

პრაქტიკაში საკრედიტო ოპერაციების სახეობებთან დაკავშირებით ასხვავებენ ფინანსური ანგარიშგების შესაძლო დამახინჯების შემდეგი სახის რისკებს (იხილეთ სქემა №7).

სქემა №7

ფინანსური ანგარიშგების შესაძლო დამახინჯებები

საკრედიტო ოპერაციის სახეობა	რა შეიძლება დამახინჯდეს
კრედიტის გაცემა	— ანგარიშგება და ფაქტობრივი მდგომარეობა — უფლება — სისრულე — აკურატულობა
პროცენტების დარიცხვა და მიღებული შემოსავლის გამოანგარიშება	— არსებობა — სისრულე
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა	— აკურატულობა — შეფასება

საქართველოს ბანკებისთვის ამ პრობლემის განსაკუთრებული აქტუალობის გამო ეროვნულმა ბანკმა შეამოწმა კომერციული ბანკების ანგარიშები, რის შედეგადაც გამოვლინდა ოპერაციების არასწორი ასახვის ფაქტები.

ცხადია, რომ ამის მიზეზად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბანკების ხელმძღვანელების მიზანმიმართული (მაგალითად, გადასახადების გადახდისგან თავის არიდება) პოლიტიკა, ბანკში აღრიცხვიანობის წარმართვის ინსტრუქციების არასრულყოფილება, საღრიცხვო-საფინანსო დარგის მუშაკთა არასაკმარისი პროფესიულობა და სხვა.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების პრაქტიკულმა გამოკვლევამ და სამამულო გამოცდილებათა განზოგადებამ საშუალება მოგვცა განვიხილოთ საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდიკა, რომელიც მოიცავს საკრედიტო პროცესის ყველა ეტაპს.

ეს მეთოდიკა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოდელი იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაონ ბანკებმა კლიენტებთან სესხების გაცემის პროცესში დასაშვები რისკების შემცირების თვალსაზრისით.

პირველი ეტაპი. მიზანი — ბანკის საწყისი მდგომარეობის წინასწარი შეფასება; საფუძველი — მოცემული მომენტისათვის არსებული საკრედიტო პორტფელის რისკების შეფასება.

მეორე ეტაპი. მიზანი — შესაძლო რისკების ანალიზი იმის დასასაბუთებლად, თუ რამდენად სწორია სესხის გაცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება; საფუძველი — მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი ფინანსური მდგომარეობის შესწავლისა და კოეფიციენტთა გამოანგარიშების მეშვეობით, ასევე მსესხებლის ფულადი ნაკადისა და კრედიტის უზრუნველყოფის ანალიზის საშუალებით.

მესამე ეტაპი. მიზანი — ყველა გაცემული სესხის მიხედვით რისკის ჯგუფის განსაზღვრა (გაცემული კრედიტების იდენტიფიკაცია, კლასიფიკაცია). საფუძველი — გაცემული თანხების მონიტორინგი.

მეოთხე ეტაპი. მიზანი — გაცემული კრედიტების მიხედვით იდენტიფიცირებული რისკების დაფარვის უზრუნველყოფა; საფუძველი — სესხის მისედვით დანაკარგების დასაფარავად რეზერვის შექმნა.

მეხუთე ეტაპი. მიზანი — საკრედიტო რისკების დონის გადაფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს; საფუძველი — რეზერვების მოცულობის კორექტირება მსესხებლის მდგომარეობისა და მისი ვალისადმი დამოკიდებულების შესახებ მონიტორინგის მონაცემების საფუძველზე.

მეექვსე ეტაპი. მიზანი — რეზერვებისა და საკრედიტო რისკების ადეკვატურობის შემოწმება; საფუძველი — საკმარისობის ნორმატივებისა და საკრედიტო რისკების დასაფარავი რეზერვების ეფექტურობის ანალიზი.

ზეპოთ მოყვანილი რისკების საფუძველზე ბანკმა, პირველ ყოვლისა, უნდა შეაფასოს თავისი საკრედიტო პორტფელი მთლიანობაში.

ახლა შევეცდებით წარმოვადგინოთ მეთოდოლოგიური მიდგომები ზემოთ აღნიშნული მოდელის გამოსაყენებლად.

ბანკის რესურსებით უზრუნველყოფის ფორმირებისას მეტად მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს განხილული ის მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც არსებობს კონკრეტული მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზისთვის. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი ისახავს შემდეგ მიზნებს: ჩატარდეს დამოუკიდებელი გამოკვლევა, რათა დადგინდეს მისი ფინანსური მდგომარეობა და დაზუსტდეს, თუ რამდენად რეალური იქნება კლიენტისათვის ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება; მსესხებლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი და პროგნოზი; შეფასდეს კრედიტის უზრუნველყოფის ადეკვატურობა, ასევე საკრედიტო რისკის დონე და მიღებულ იქნეს ღონისძიება, სესხის გაცემამდე მისი შემცირებისათვის; განისაზღვროს გაცემული კრედიტის გავლენა მთლიანად საკრედიტო პორტფელზე ან მის სეგმენტზე; დადგინდეს გაცემული კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის ხარისხი; საკრედიტო რისკის ბაზაზე შეიქმნას ადეკვატური რეზერვი.

მსესხებლის ფინანსური ანალიზი გულისხმობს საფინანსო ანგარიშგების შედარებასა და სამეურნეო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრების ოდენობის განსაზღვრას. ამასთან, აუცილებელია შესწავლილ იქნეს ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში. ეს შესაძლებელს გახდის განისაზღვროს მოთხოვნილი სესხის ოდენობა, ნასესხები თანხის დანიშნულება, სესხის დაფარვის ხერხები და ვადები, აგრეთვე უზრუნველყოფის რეალურობა. ეს მონაცემები ექსპერტს დაეხმარება განსაზღვროს, ეტევა თუ არა მისაღები სესხის მოთხოვნა ბანკისათვის დასაშვები რისკის ფარგლებში.

ჩატარებული ანალიზის შემდეგ ექსპერტებს გამოაქვთ დასკვნა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და კრედიტის მიწოდების შესაძლებლობის შესახებ. მიიღება გადაწყვეტილება — გაიცეს თუ არა კრედიტი.

კრედიტის გაცემისა და მინიმალური რეზერვის შექმნის შემდეგ იწყება საკრედიტო პროცესის ახალი ეტაპი — საკრედიტო მონიტორინგი. მისი გამოყენების მეთოდიკა შესაძლებელობას იძლევა განისაზღვროს, თუ როდის ეცემა სესხის ხარისხი, რათა დაისახოს ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. სესხთა უმეტესობა ბანკმა ისე უნდა წარმართოს, რომ დრო მოიგოს მანამ, სანამ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორდება. ბანკის საკრედიტო მუშაკები განუწყვეტლად ადევნებენ თვალს მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას, ცდილობენ განსაზღვრონ ნეგატიური ტენდენციები, ვიდრე პროცესი შეუქცევადი გახდება.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის საფუძველზე ხდება ადეკვატური რეზერვის გადაანგარიშება. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის გზა, რომელსაც ბანკი დაისახავს სესხების შესაძლო დანაკარგებისათვის და გაუფასურებული ფასიანი ქაღალდების დასაფარავად რეზერვების შესაქმნელად.

საბანკო საქმის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მსგავსი რეზერვების ფორმირება უნდა მოხდეს დაუბეგრავი მოგებიდან, რასაც მკაცრად ეწინააღმდეგება საგადასახადო სამსახური და ფინანსთა სამინისტრო.

მიუხედავად ამისა, მრავალ ბანკს მიაჩნია, რომ ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული სესხების კატეგორიებად დაყოფის სისტემა ძალზე მკაცრია და მასში არ არის გათვალისწინებული ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის საკრედიტო საქმეში ასახვაც შეუძლებელია. ამიტომ ბანკები თავიანთი სესხების შესა-

ფასებლად უფრო რბილ კლასიფიკაციას მიმართავენ და, შესაბამისად, ნაკლები რეზერვის შექმნას ცდილობენ.

ეს იმით აიხსნება, რომ უიმედო სესხებით გამოწვეული დანაკარგების დასაფარავად შექმნილი რეზერვები შედის თვითღირებულებაში, ე.ი. ბანკის ხარჯებში. მოცემული რეზერვი ბანკის საკუთარ კაპიტალში არ შედის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეზერვის შექმნის საფუძველზე ადგილი აქვს რესურსების გაყინვას. მსოფლიო საფინანსო პრაქტიკის მიხედვით, კერძოდ, ბაზელის შეთანხმების საფუძველზე, უიმედო სესხების დასაფარავად შექმნილი სარეზერვო თანხა ბანკის საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში შედის, უფრო ზუსტად — მის არა ძირითად, არამედ დამატებით ნაწილში, ე.ი. რეზერვის ჯამი იგულისხმება კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშებისას, ამიტომ საზღვარგარეთის აუდიტები, ნორმატივების დაცვის შემოწმებისას, დიდ ყურადღებას აქცევენ სესხის შესაძლო დანაკარგების დასაფარავად განკუთვნილი რეზერვების სწორ გაანგარიშებას. ხშირ შემთხვევაში, ინსპექტორებს უხდებათ თავიანთი სამართლიანობის დამტკიცება, ბანკებს კი — რეზერვების შესავსებად დამატებითი სახსრების გამოყოფა.

ბანკის მიერ დაუფარავად მიჩნეული სესხები, როგორც ბანკისათვის უიმედო აქტივები, პრაქტიკულად იწოდებიან უიმედო დავალიანებად (შშ). ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული აქტივების ჯგუფს არ გააჩნია ლიკვიდური ფასეულობა ანუ მათი ამოღება შეუძლებელია, ე.ი ბანკი თავისთვის მიზანშეუწონლად მიიჩნევს რეზერვის სარჯზე სესხის ჩამოწერის გადავადებას იმ პერიოდში, როცა იგი უიმედოდ იქნა ცნობილი. ამავე დროს, ბანკი აღიარებს, რომ სესხის ნაწილობრივ დაფარვა მხოლოდ მომავალ პერიოდებში არის შესაძლებელი.

ჩვენ განვიხილეთ რისკის მიხედვით სესხების დაყოფის ძირითადი პრინციპი. რეზერვის გამოანგარიშების შემდგომ ეტაპად გვევ-

ლინება მსესხებლის საფინანსო-ეკონომიური მდგომარეობის ანალიზი.

შემდეგ ეტაპზე განისაზღვრება ვალის მომსახურების მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც მსესხებელები სამ კატეგორიად იყოფა:

– კარგი – მსესხებელი, რომელიც ვალის გასტუმრებას არ გადააცილებს 10 დღეს, მთლიანობაში, კრედიტზე გადასახდელების 90%-ით დროულად სრულდება;

– სუსტი – როცა მსესხებელი ვალს გადაავადებს 10-დან 30 დღემდე, საკრედიტო გადასახადების არანაკლებ 90% დროულად სრულდება, დანარჩენებზე ნებადართულია გადასახადის 10 დღით დაგვიანება;

– მიუღებელი – ის მსესხებელია, რომელიც ძირითად ვალს 30 დღის დაგვიანებით იხდის, 40%-ზე მეტი გადასახდელები შეჩერებულია 10-30 დღით. ბანკი თხოვნით მიმართავს საკრედიტო ხელშეკრულების პროლონგირებისათვის.

მას შემდეგ, რაც ზემოთ ჩამოთვლილი შეფასების პრინციპები რომელიმე ვადასთან (თვის ბოლო, კვარტლის ბოლო, ნახევარი წელი, მთელი წელი) შეჯერდება, ბანკი შეაფასებს თავისი აქტივების საკრედიტო რისკებს და გამოიანგარიშებს იმ რეზერვების ოდენობას, რომელიც სესხების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად არის საჭირო.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები (№№7,8) საშუალებას იძლევა მოხდეს კრედიტების კლასიფიკაცია რისკების დონის მიხედვით (მსესხებლის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და მის მიერ ვალის მომსახურეობის შესაძლებლობიდან გამომდინარე) და ამ კლასიფიკაციის საფუძველზე შეიქმნას შესაბამისი რეზერვი.

ცხრილი №7

კრედიტების კლასიფიკაცია რისკების დონის მიხედვით მსესხებელის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობებისა და ვალის მომსახურების შესაძლებლობების ბაზაზე

მსესხებელის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა	მსესხებელის მიერ ვალის მომსახურება		
	კარგი	სუსტი	მიუღებელი
VG	PASS	WATCH	არასტანდარტული
G-Avg	WATCH	არასტანდარტული	არასტანდარტული
Avg	არასტანდარტული	არასტანდარტული	საეჭვო
P-Avg	არასტანდარტული	საეჭვო	LOSS
U	საეჭვო	LOSS	LOSS

ცხრილი №8

საკრედიტო რისკის ჯგუფის მიხედვით შექმნილი რეზერვების დონე

კრედიტების კლასიფიკაცია	შექმნილი რეზერვი (%-ში კრედიტის ჯამთან)	
	რეზერვის სახეობა	რეზერვის დონე
PASS	საეროო	2-დან 5%-მდე
WATCH	საერთო	5-დან 10%-მდე
არასტანდარტული	სპეციალური	10-დან 30%-მდე
საეჭვო	სპეციალური	50%
LOSS	სპეციალური	100%

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბანკისათვის ყველაზე რთულია სესხის შესაფერისი ჯგუფისთვის მიკუთვნება, იმდენად, რამდენადაც პრაქტიკულად მუდამ არსებობს უამრავი „კი“ და „არა“ საკრედიტო საქმის ამა თუ იმ ფაქტორის შესაფასებლად. რეზერვის სათანადო ოდენობის დადგენა ისევე რთულია, როგორც იწინასწარმეტყველო არგადახდები საკრედიტო ვალდებულებების მიხედვით. ამ საკითხთან დაკავშირებით აუდიტორებისა და ბანკის ხელმძღვანელების აზრი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. შემმოწმებლებისათვის ხელსაყრელია ის ფაქტი, როდესაც ბანკებს ეშლებათ და აჭარბებენ პოტენციური დანაკარგების გამოანგარიშებისას. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ აქტივების გადაფასებით მიღებული რეზერვები მეტი იქნება ფაქტობრივ დანაკარგებზე. შემმოწმებლების საწინააღმდეგოდ, ბანკები უპირატესობას ანიჭებენ მინიმალურად შესაძლებელი რეზერვების გაცხადებას, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით საკმარისია.

ბანკის ხელმძღვანელებმა უნდა გამოიყენონ ისეთი კოეფიციენტები, რომლებსაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ბანკებისთვის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შესაქმნელად. ეს კოეფიციენტები გამოიყენება ბანკის აქტივების ხარისხის შესაფასებლად. ისინი მოიცავენ სამ ჯამობრივ და რამდენიმე დამატებით მაჩვენებელს. ეს კოეფიციენტები მიგვანიშნებენ იმაზე, თუ როგორ პოლიტიკას (კონსერვატორულსა თუ აგრესიულს) ატარებს ბანკი კრედიტების გაცემისას და, აქედან გამომდინარე, ახასიათებენ ბანკის საკრედიტო პორტფელს.

კრედიტების ჩამოწერის კოეფიციენტი გაცემული კრედიტების საერთო ჯამთან = კრედიტების მიხედვით დანაკარგების თანხა, რომელიც ჩამოწერილია შექმნილი რეზერვის ხარჯზე / გაცემული კრედიტების საერთო ჯამი

ეს კოეფიციენტი მიუთითებს, თუ რომელ ეტაპზე ხდება ბანკის მიერ პრობლემური კრედიტების იდენტიფიცირება. იგი გამოიყენება ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის მიმდინარე გაუარესების ან გაუმჯობესების ანალიზისთვის.

$$\text{გაცემული კრედიტების მიხედვით დარაკარგების მარეგულირებელი} = \frac{\text{სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი}}{\text{გაცემული კრედიტების საერთო ჯამი}}.$$

ამ კოეფიციენტების სიდიდე მიგვითითებს გაცემული სესხების მიხედვით საკრედიტო პორტფელის ცუდ ხარისხზე ან ბანკის კონსერვატიულ პოლიტიკაზე.

$$\text{აქტივების „მუშაობის“ მარეგულირებელი} = \frac{\text{აქტივები, რომლებსაც შემოსავალი არ მოაქვთ}}{\text{შემოსავლის მომტანი აქტივების საშუალო შეწონილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში}}.$$

აქტივებს, რომლებსაც შემოსავალი არ მოაქვს, მიეკუთვნება არამოგროვებადი სესხები, უძრავი ქონება, რომელიც ბანკმა მიიღო სესხის უზრუნველსაყოფად, კრედიტები, რომლებზეც მოხდა ხელშეკრულების გადასინჯვა და ასევე 90 დღეზე მეტი ხნით გადავადებული კრედიტები. ეს ნორმატივი გვიჩვენებს ბანკის აქტივების „მომგებიანობას“ და ორ ზემოთ მოცემულ ნორმატივებთან ერთად საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ საკრედიტო პორტფელის არა მარტო ხარისხი, არამედ პოტენციური მომგებიანობა.

$$\text{დანაკარგების რეზერვებით დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{სესხების შესაძლო დანაკარგის რეზერვი}}{\text{კრედიტები, რომლებსაც შემოსავალი არ მოაქვს}}.$$

$$\text{გადავადებული სესხების ჩამონერის კოეფიციენტი} = \frac{\text{წლის დასაწყისისათვის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი}}{\text{სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯზე დაფარული ზარალის ნეტო ჯამი}}.$$

ამ ნორმატივის მნიშვნელობა დამოკიდებულია ბანკის მიერ დადგენილი გადავადებული სესხების ზარალის სახით ჩამოწერასა და მის დაფარვაზე სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ხარჯზე. ცხადია, რომ საბუღალტრო შემოწმების შედეგად უიმედო სესხების კოეფიციენტის მნიშვნელობა შეიცვლება და ბანკისათვის აუცილებელია განიხილოს კოეფიციენტის მაჩვენებელი დინამიკაში წლის დასაწყისიდან უიმედო სესხების ჩამოწერის თარიღამდე.

საანგარიშო პერიოდში შექმნილი რეზერვების საკმარისობისა და ეფექტურობის ნორმატივების განხილვა ბანკს შესაძლებლობას აძლევს შეაფასოს თავისი საკრედიტო პორტფელის ხარისხი, გააანალიზოს უიმედო კრედიტების ჩამოწერის დინამიკა და შეცვალოს რეზერვის დონე გაცემული სესხების საკრედიტო რისკის დონესთან დამოკიდებულების მიხედვით.

ყველა ამ ფაქტორმა უნდა მიანიშნოს ბანკის ხელმძღვანელობას, რომ გააძლიეროს გაცემული სესხების მონიტორინგის პროცედურა, რათა უფრო ადრე გამოავლინონ „პრობლემური“ კრედიტები და მოახდინონ მათი სანაცია, ასევე რისკების კონსერვატიული შეფასება და გაცემული სესხებისათვის მაქსიმალური რეზერვების შექმნა, აგრეთვე მინიმუმამდე დაიყვანონ ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საკრედიტო პორტფელი არ ექვემდებარება გადაფასებას, ე.ი. მოახდინონ ინტენსიური გადაფასება (არა კვარტალში ერთხელ, არამედ თვეში ერთხელ).

რეზერვების მოცულობა ბანკის შესაბამისი სამსახურების მიერ რეგულარულად უნდა გადაისინჯოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობა შეიძლება დაეყრდნოს დამოუკიდებელი აუდიტების აზრს, რომლებსაც „გვერდითი ხედვიდან“ შეუძლიათ იმ პრობლემის იდენტიფიცირება, რომლებსაც ბანკებში აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ, რომლებიც ასუსტებდნენ ანალიზის ხარისხსა და მონიტორინგს.

ჩვენი აზრით, საქართველოს ბანკირებისა და ფინანსისტებისათვის უახლოესი წლების ამოცანაა ზემოთ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის გამოსაყენებლად შესაძლებელი გზების მოძიება. ეს საშუალებას მოგვცემს გაუმჯობესდეს დღეს არსებული საკრედიტო რისკების ანალიზის მეთოდები და შესაძლებელია (საერთოდ) შეიცვალოს დაკრედიტებისადმი მიდგომაც.

დაბოლოს, საჭიროა ხაზი გაესვას კიდევ ერთ ასპექტს — საკრედიტო რისკების დასაფარავი რეზერვის ეკონომიკურ შინაარსს. სესხის გაცემისას ბანკი ოპერირებს არა თავისი საკუთარი სახსრებით (პასივების სახით), არამედ ფულით, რომელიც მას მეანაბრეებმა მიანდეს. მათ ბანკის მიერ შექმნილი რეზერვების საფუძველზე გარანტირებული უნდა ჰქონდეთ დაბანდებული სახსრების უკან დაბრუნება.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სესხების შესაძლო დანაკარგებისათვის შექმნილი რეზერვი ასრულებს სამი მიმართულების სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას: 1) მიმართულია ბანკის საკრედიტო რისკის დასაფარავად; 2) არის მეანაბრეთა თანხის გარანტი; 3) უზრუნველყოფს ბანკის აქტივების (საკრედიტო ოპერაციების) მჭიდრო კავშირს მის საკუთარ კაპიტალთან, ე.ი. რესურსების მთელ ბაზასთან. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის გზების სრულყოფასთან ერთად, ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების მდგრადობისა და საიმედოობის განმტკიცებას.

თავი III

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის გაუმჯობესების საკითხები

§ 1. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობები და ფაქტორები

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისა და შიდა პრობლემების მოსაგვარებლად დასახული კონკრეტული ამოცანებიდან, უპირველეს ყოვლისა, მთავარი და აუცილებელია საიმედო და მდგრადი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება.

ამ მიზნის მისაღწევად დღის წესრიგში უნდა დადგეს უკვე ჩამოყალიბებული საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის პირობებისა და ფაქტორების განსაზღვრა და მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, კონკრეტული გზების ძიება.

წარმოდგენილ ამოცანათა გადაწყვეტისათვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რაც გულისხმობს ღონისძიებათა მთელ პაკეტს, კერძოდ, საჭიროა: ჯერ ერთი, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების შესწავლა; მეორე, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის განსაზღვრის მაჩვენებლებისა და მეთოდების ჩამოყალიბება და მესამე, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველმყოფი ნორმატივების სისტემის ანალიზი, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ქვეყანაში მათი პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმების შემუშავება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და პირობების გამოკვლევის აქტუალობა გამოწვეულია მათი სტრატე-

ვიისა და ტაქტიკის შემუშავების აუცილებლობით, რაც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის ურთიერთქმედების ზეგავლენა მთელი საბანკო სისტემის მდგრადობაზე.

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის ფაქტორების ანალიზის კომპლექსური მიდგომიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი შემდეგნაირი მეთოდოლოგიური დაჯგუფება (იხილეთ სქემა №8): 1) საერთო ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ ბანკის საქმიანობაზე; 2) სახელმწიფო და სამართლებრივი ფაქტორები; 3) საბანკო სისტემაში სახსრების მოდინების წყაროების მიხედვით; 4) საბანკო რესურსების განთავსების წყაროების მიხედვით; 5) შიდა საბანკო საქმიანობის ფაქტორები. ასეთი მიდგომა აუცილებელია იმიტომ, რომ ავამაღლოთ, ერთი მხრივ, მოსახლეობის მიმართ ნდობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები და, მეორე მხრივ, მინიმუმამდე შევამციროთ რისკის ფაქტორი და შევზღუდოთ კორუფციის შესაძლებლობა საბანკო საქმიანობაში.


განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საერთო ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბანკების საიმედოობასა და მდგრადობაზე, ეს, უწინარეს ყოვლისა, ის ფაქტორებია, რომლებიც ზემოქმედებენ ეკონომიკური სისტემის დინამიკურ წონასწორობაზე. ისინი შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: ა) ეკონომიკის განვითარების დინამიკა (ზრდის ან ვარდნის ტემპები, ინფლაციის ტემპები, ვალუტის კურსი, საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარება და სხვა); ბ) პოლიტიკური (მთავრობის შეცვლა, ხელმძღვანელი მუშაკების კვალიფიკაცია, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის სიდიდე, სამეწარმეო სტრუქტურების დაცვის უზრუნველყოფა და სხვა); გ) ფსიქოლოგიური (ფინანსური სტრუქტურების მიმართ ნდობის ფაქტორი, ინფლაციური მოლოდინი).

კომერციული ბანკების ეფექტური საქმიანობისათვის საჭიროა

სქემა №8

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველმყოფი ფაქტორების ურთიერთკავშირი



სტაბილური ეკონომიკა ისევე, როგორც ეკონომიკის სტაბილურობისათვის აუცილებელია სტაბილური საბანკო სისტემა.

საქართველოში საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების თავდაპირველ პროცესში, კერძოდ, 90-იან წლებში შეიქმნა არამდგრადი კონიუნქტურის მქონე კომერციული ბანკები, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებული, თავიანთ საქმიანობას უკანონოდ წარმართავდნენ და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მასთან ერთად მრავალი კრედიტორი დააზარალა. ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ კომერციული ბანკების საიმედო და მდგრადი ფუნქციონირებისათვის გასათვალისწინებელია კრიმინალური ფაქტორებიც, რომელთა მიმართ ხელისუფლების მხრიდან ყურადღების შესუსტებამ ჩვენს ქვეყანაში კორუფციის განვითარებას ხელშეწყობი პირობები შეუქმნა.

მართალია, უკანასკნელ ხანს არასაიმედო აქტივების მქონე ბანკებში ჩატარებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა და ისეთი ბანკების დახურვამ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალის შექმნა, ეკონომიკური ნორმატივების შესრულება, ხელი შეუწყო საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცებას, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში ბანკების საქმიანობის კონტროლის სისტემა ჩვენს ქვეყანაში ჯერაც სრულად არ არის ჩამოყალიბებული და რაც არის, ისიც სრულყოფას მოითხოვს. ბანკების საქმიანობის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან ერთად უნდა დაჩქარდეს ახალი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნის პროცესი.

საბანკო სისტემაში არსებული დარღვევების ხარისხის გათვალისწინებით გამოიყენება შესაბამისი სანქციები, კერძოდ, ბანკებს ეგზავნებათ წერილობითი გაფრთხილება, აგრეთვე ინსტრუქციები შემდგომში დარღვევების დაუშვებლობის მოთხოვნებით, ასევე ფართოდ გამოიყენება ცალკეული კომერციული ბანკის დაჯარიმების ფორმა.

აქვე უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ ქვეყნის ფისკალურ სფეროსა და მთლიანად ეკონომიკაში არსებულმა კრიზისმა, რომლის გამოვლენაც დააჩქარა რუსეთის ეკონომიკურმა კრიზისმა, საქართველოს საბანკო სისტემაში გამოიწვია სირთულეები და პრობლემები. კერძოდ, საბანკო დაწესებულებებში განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების ფულად სახსრებზე მოთხოვნილების ზრდამ, მსესხებლების მიერ სესხების დაბრუნების საქმეში შექმნილმა პრობლემებმა, ლარის კურსის დაცემის გამო პირდაპირი და არაპირდაპირი დანაკარგების ზრდამ და სხვა მიზეზებმა გამოიწვია ბანკების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

დღის წესრიგში დადგა ჩვენს ქვეყანაში საბანკო სისტემის ყოფნა-არყოფნის საკითხი: უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ეროვნულმა ბანკმა მიიღო სწორი ოპერატიული გადაწყვეტილება „საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის“ და „კომერციული ბანკების შესახებ კანონის“ თანახმად განეხორციელებინა თავისი, როგორც უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის, უფლებამოსილება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს იყო ეროვნული ბანკის მხრიდან იძულებითი ღონისძიება, ვინაიდან მას არ გააჩნდა და არც ჰქონდა შესაძლებლობა ფინანსური დახმარება გაეწია, თანადგომა აღმოეჩინა ყველა კომერციული ბანკისათვის. ამიტომ შემუშავდა ფინანსური დახმარების აღმოჩენისათვის კომერციული ბანკების შერჩევის გარკვეული კრიტერიუმები. განსაზღვრული კრიტერიუმებით შეირჩა 13 საბანკო დაწესებულება, რომლებიც ერთად საბანკო სისტემის აქტივებისა და მოქალაქეთა ანაბრების დაახლოებით 80%-ს ფლობდნენ.

იმისათვის, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან კრედიტების გაცემა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი, ხოლო, მეორე მხრივ, კომერციული ბანკების შესაძლებლობები და შიდა რეზერვები მაქსი-

მალურად გამოყენებულიყო დასაშვებ რისკებთან ერთად, მიზანშეწონილად ჩაითვალა მემორანდუმის გაფორმება ეროვნულ ბანკსა და შესაბამის კომერციულ ბანკს შორის. მემორანდუმის თანახმად, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი იღებდა ვალდებულებას, რომ გაზრდიდა საწესდებო ფონდს, შეამცირებდა საკრედიტო დაბანდებებს, ნაღდი ფულის მობილიზაციის მიზნით მოახდენდა უძრავი ქონების დაგირავებასა და ინვესტიციების რეალიზაციას. ამ პრინციპების გამოყენებით ლიკვიდობის გასაუმჯობესებლად მოკლევადიანი სესხი მიეცა ორ კომერციულ ბანკს ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის–4 მილიონი ლარის ოდენობით.

მოქმედ კომერციულ ბანკებთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე განთავსებულ თანხებზე, ლარის კურსის ცვლილების შესაბამისად, პროცენტების დარიცხვას. საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესებზე ოპერატიული ზემოქმედების მიზნით სისტემატური კონტროლი დაუწესდა 10 მსხვილ კომერციულ ბანკს.

საბანკო სისტემის სტაბილურობისა და საიმედოობის, ასევე კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ზედამხედველობის ამაღლების მიზნით საჭიროა ნორმატიული ბაზის შემდგომი სრულყოფის სამუშაოების დაჩქარება მიმართულ იქნეს კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების წესების სრულყოფისაკენ. მხედველობაში გვაქვს ისეთი დოკუმენტის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს განსაზღვრულ კაპიტალზე ზედამხედველობას, მის სრულ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. სრულყოფას მოითხოვს ზედამხედველობის მიზნით განსაზღვრული „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“, რაც საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად დადგინდეს კომერციული ბანკების აქტივების მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ. ამ ორი ეკონომიკური პარამეტრის ერთმანეთთან შედარება სრულყოფილად განსაზღვრავს კომერციული ბანკებისათვის ერთ-

ერთ ყველაზე მთავარ მაჩვენებელს — კაპიტალის საკმარისობას.

აღნიშნული მიდგომით სრულყოფილი იქნება თითოეული კომერციული ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საზედამხედველო მოთხოვნები, საერთო ჯამში, მასზე კონტროლის გაძლიერების სისტემა. ასევე საჭიროა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის სრულყოფა, როგორიცაა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის წესი, ასევე ლიცენზიაჩამორთმეული ბანკების ლიკვიდაციის წესი, რომლებიც ამჟამად მოქმედი წესებისგან განსხვავებით უზრუნველყოფენ საბანკო აქტივების უფრო სრულყოფილად შეფასებას, ლიკვიდაციის პროცესზე კონტროლის მექანიზმის გაძლიერებას, რაც, საბოლოო ჯამში, შეამცირებს კანონდამრღვევი ბანკების რიცხვს (იხილეთ ცხრილი №9).

ცხრილი №9

1999 წელს საბანკო ოპერაციების წარმოების ლიცენზიაჩამორთმეული ბანკების სია 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

№	ბანკების დასახელება	ლიცენზიის გაცემის თარიღი	ლიცენზიის ნომერი	ლიცენზიის ჩამორთმევის თარიღი
1	შპს „თბილინვესტბანკი“	14.09.93	163	04.03.99
2	აზერბაიჯანის ერთობლივი კბ „კავკასიის განვითარების ბანკის“ ქ. თბილისის ფილიალი	01.07.98	232-1	04.03.99
3	შპს „ელდორადო“	22.03.93	114	14.04.99
4	შპს ქართულ-იტალიური „ინდრუსტრიაბანკი“	31.08.93	157	14.04.99
5	შპს „მონოლითი“	20.01.93	83	23.04.99

6	შპს „საინვესტიციო-სავაჭრო ბანკი“	13.06.96	227	30.04.99
7	სს „ოლიმპი“	29.03.94	199	30.04.99
8	სს „მაგისტრალბანკი“	15.05.92	31	29.06.99
9	შპს „ჯორჯიანინვესტბანკი“	03.04.93	120	01.07.99

თანამედროვე ეტაპზე საბანკო სისტემის შემდგომი განვითარება, მისი საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ამაღლება დღის წესრიგში აყენებს მეანაბრეების, კრედიტორებისა და მათი გაერთიანებების მხრიდან კომერციული ბანკების საქმიანობაზე თანმიმდევრული კონტროლის განხორციელების აუცილებლობას. ამ მიზნით სასურველად მიგვაჩნია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებითა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მკაცრად დაცვის საფუძველზე მისი საბანკო საქმიანობაში დანერგვა.

მაგალითად, გერმანიაში კომერციული ბანკების საქმიანობა სხვადასხვა კანონით რეგულირდება, რასაც საფუძვლად უდევს ბანკების სპეციალიზაცია. კერძოდ, ცალკეული ბანკი ექვემდებარება სპეციალურ კანონებს (მაგალითად, კანონებს შემნახველი სალაროების შესახებ). საბანკო კანონმდებლობის საფუძველზე ბანკებზე ზედამხედველობას, გარდა ფედერალური ბანკისა, ახორციელებს ზედამხედველობის ფედერალური უწყება, რომლის ნებართვის გარეშე არც ერთ ბანკს არა აქვს ფუნქციონირების უფლება. ბანკები ვალდებულნი არიან თავიანთი საქმიანობის შესახებ რეგულარულად წარადგინონ ანგარიშები სპეციალური ფორმებით. ეს უწყება ახორციელებს ბანკების რევიზიასაც. ზედამხედველობის ფედერალური სისტემა გერმანიის ფედერალურ ბანკთან ერთად ამუშავებს სხვადასხვა დადგენილებას (მაგალითად, ბანკის საკუ-

თარი კაპიტალისა და კრედიტების თანაფარდობის შესახებ).

ბანკი ვალდებულია დაიცვას საიდუმლოება ყველა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მისი და კლიენტის ურთიერთობებს. მაგრამ კანონის ძალით აქ არსებობს გამონაკლისები. 1993 წლის ნოემბრიდან გერმანიაში მოქმედებს კანონი, რომელიც კრძალავს არალეგალურად მიღებული მოგების ლეგალურ ბრუნვაში დაბანდებას. ეს კანონი გერმანიის მთავრობამ მიიღო ევროკავშირის 1991 წლის დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიმართულია „ფულის გასუფთავების" წინააღმდეგ. ამ კანონის თანახმად ყველა ფირმა, რომელიც იღებს კლიენტებისგან ნაღდ ფულს, ფასიან ქაღალდებს ან ძვირფასეულობას 20000 გერმანული მარკის ან მეტის ფარგლებში, ვალდებულია დაადგინოს კლიენტის ვინაობა და ჩაიწეროს მისი პირადობის დამადასტურებელი მონაცემები [1]. ეს კანონი ავალდებულებს ადვოკატებს, რევიზორებსა და საგადასახადო საკითხების კონსულტანტებს, რომლებიც კლიენტების დავალებით მოქმედებენ, წარმოადგინონ ზემოთ აღნიშნული მონაცემები.

აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბანკების საიმედოობასა და მდგრადობაზე. ეს არის მსხვილი საზღვარგარეთული ბანკების კაპიტალის კონცენტრაცია საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალების გახსნის მეშვეობით და, თავის მხრივ, საქართველოს ბაზრების მსოფლიო სასესხო კაპიტალის ბაზარზე გასვლა.

აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი, საბედნიეროდ, ჩვენთან ნელა მიმდინარეობს და თანაც არაერთგვაროვანი შედეგებით, რაც მომავალში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მათი საქმიანობის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და ლიცენზიის მიღების პროცესის გამარტივებით.

ყველაზე სერიოზული ფაქტორი, რომელიც ნეგატიურ ზეგავ-

[1] The banking System in Gemani.-Cologne.1989.p.98.

ლესას ახდენს კომერციული ბანკების მდგრადობაზე, არის ჩვენს ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა და მიღებული კანონების პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმების არარსებობა. კერძოდ, ეს ეხება საგადასახადო კანონმდებლობას, გაკოტრების შესახებ კანონს, ანტიმონოპოლიურ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საფინანსო სფეროს რეგულირების ახალი ნორმატიული აქტების მიღების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ბანკების საქმიანობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორიცაა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მნიშვნელოვანი ცვლილებები ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ კანონებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კანონი კომერციული ბანკების შესახებ, ეროვნული ბანკის შესახებ), ასევე ქვეყანაში საფინანსო ბაზრის განვითარების თვალსაზრისით, მიღებული კანონები ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საფონდო ბირჟის შესახებ და სხვა.

მიუხედავად ამისა, ბანკების ეფექტურ ფუნქციონირებას ხელს უშლის ისეთი ნორმატიული აქტების არარსებობა როგორიცაა — იპოთეკის მარეგულირებელი კანონი. საბანკო საქმიანობაში იპოთეკის გამოყენებას კი ხელს უშლის უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის კანონის არარსებობა, მიწის კანონმდებლობის არასრული მდგომარეობა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარანტია ვერ უზრუნველყოფს გარანტიის მფლობელის უფლებებს, რადგან მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობით, გარანტიის მოქმედებამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს, საგადასახადო სამსახურისა და სხვა ორგანოების მოთხოვნები და მხოლოდ ამის შემდეგ გარანტიის მფლობელის მოთხოვნები, რაც, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, ზღუდავს ამ დოკუმენტის მოქმედების სფეროს.

საკანონმდებლო აქტების ნაკლოვანებებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სხვადასხვა აქტში არსებული ურთი-

ერთგამოძრიცხავი დებულებებიც. ეს უმეტესწილად ეხება საგადასახადო კანონმდებლობას. გარდა ამისა, მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში განზოგადოებული არ არის ზოგიერთი ძნშვნელოვანი საკითხი, რაც საგადასახადო სამსახურს საშუალებას აძლევს ეს გაურკვევლობა თავის სასარგებლოდ, გადასახადის გადამხდელის ინტერესების საზიანოდ გამოიყენოს.

სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების სამეურნეო სუბიექტების საიმედო ფუნქციონირებაზე არასრულყოფილი ზემოქმედების ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობა, მაშინ, როდესაც მსოფლიო პრაქტიკაში საგადასახადო სისტემის სტაბილურობა მიჩნეულია საინვესტიციო აქტივობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად.

მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების პროექტები მიმართულია ისეთი საბანკო სისტემის შექმნისაკენ, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკის ფინანსური მხარდაჭერა. აღნიშნული პროექტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ამ პროცესში ეროვნული ბანკის მარეგულირებელი როლის ზრდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტების განხორციელებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბანკო ჰოლდინგური კომპანიების, იპოთეკისა და საიპოთეკო საქმიანობის, სამომხმარებლო კრედიტების, ბანკების გაკოტრების, საფინანსო კომპანიებისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის შესახებ კანონების რეალობასთან კავშირში მიღება, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს მათი ამოქმედების მექანიზმების შემუშავებაში ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების არსებობის აღმოფხვრას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სისტემა თანამედროვე ეტაპ-

ზე ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელია და ფაქტობრივად ჩამოყალიბების პროცესშია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამუშავების პროცესში მყოფი საკანონმდებლო რეგულირების ბაზამ ორი მთავარი მიზანი უნდა დაისახოს: პირველი – მოსახლეობის, ბანკის კლიენტურის გარანტიების სისტემის შექმნით ბანკებისადმი ნდობის აღდგენა და მეორე – საბანკო სისტემის კონტროლის გაძლიერებით მისი მდგრადობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა.

ამ მიზნების მისაღწევად, ბანკების, მოსახლეობის, სახელმწიფო ინტერესებისა და საერთოდ მთელი ეკონომიკური ინტერესების სისტემაში ჯერ კიდევ არსებული წინააღმდეგობების თანდათანობითი აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა, ეროვნული ბანკის ორგანული კანონის საფუძველზე შექმნილი ეროვნული ბანკის მმართველთა საბჭოს თითოეული წევრის კონკრეტული მოვალეობებისა და უფლებების განსაზღვრა, მათი საქმიანობის ეროვნული ეკონომიკის ფულადი რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემებთან უფრო მეტად, უშუალოდ დაკავშირება.

ამასთანავე, ჩვენი აზრით, ქვეყნის საბანკო სისტემის ფუნქციონირების პრობლემების ანალიზის საფუძველზე, მომწიფდა აუცილებლობა ერთიანი საბანკო კოდექსის მიღებისა, რომელიც გააერთიანებს საბანკო სისტემის ყველა საკანონმდებლო ნორმებს. კერძოდ, საბანკო სისტემის სტრუქტურის, ხელისუფლების ორგანოების უფლების, ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობის გარანტიის და საბანკო ოპერაციების მარეგულირებელ იურიდიულ-სამართლებრივ ნორმატიულ აქტებსა და წესებს.

ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ბანკების ფინანსური რესურსების მდგომარეობა და მათი ზრდის დინამიკა გვევლინება. საბანკო სისტემაში, როგორც ცნობილია, თანხების მოზიდვა ხორციელდება წყაროებიდან, რომლებშიც მთავარ როლს თამაშობენ: კომერციუ-

ლი ბანკების საკუთარი სახსრები, მეურნე სუბიექტების სახსრები, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის დანაზოგები, ორგანიზაციებისა და ფონდების სახსრები.

ბანკების საკუთარი კაპიტალი ეფუძნება დამფუძნებლებსა და აქციონერებს. შორის აქციებისა და წილების მოზიდვასა და გავრცელებას. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კომერციულმა ბანკებმა აქციების განთავსებასთან ერთად, ობლიგაციების განთავსებითაც გაზარდონ საკუთარი კაპიტალის მოცულობა.

როგორც მსოფლიო პრაქტიკამ დაგვანახა, კომერციული ბანკების რესურსების ბაზის გამაგრება, ეს არა მარტო სხვადასხვა კატეგორიების მეანაბრეების დეპოზიტების მოცულობის გაზრდაა, არამედ მოზიდული სახსრების, ვალდებულებების, განვითარების პრიორიტეტების საიმედოობის უზრუნველყოფა. უცხოელი ბანკირების თვალსაზრისით სადეპოზიტო სერტიფიკატებს ვადიან ანაბრებზე სახსრების აკუმულაციასთან შედარებით ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა მაინც გააჩნია — ეს არის იმის გარანტია, რომ დეპონირებული თანხები განსაზღვრული, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იქნება მოთხოვნილი.

სადეპოზიტო სერტიფიკატები ინვესტორებისთვისაც მიმზიდველია, ვიდრე ჩვეულებრივი ვადიანი ანაბრები, რადგან მათ ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ ამ სერტიფიკატების ფულად გადაქცევა. ეს შესაძლებელია სერტიფიკატის განაღდების ვადამდე გაყიდვით. სადეპოზიტო და შემნახველი დეპოზიტები შეიძლება იყოს რამდენიმე სახის: მომგებიანი საშემნახველო სერტიფიკატები უპროცენტო სესხის მიღების უფლებით, საშემნახველო და დეპოზიტური სერტიფიკატები უცხოურ ვალუტაში.

საზღვარგარეთის საბანკო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მომსახურების ისეთი ფორმა, როგორიცაა ორგანიზაციებსა და კერძო პირებთან კონტოკორენტული ანგარიშების გახსნის შეს-

ახებ ხელშეკრულების გაფორმება (ხელფასებისა და სხვა გადახდების გადასარიცხად), ასევე იყენებენ ოვერდრაფტებს შეღავათიანი პირობებით.

კომერციული ბანკები სახსრების ნაკლებობის შესავსებად ,,ყიდულობენ ფულს'' თავისუფალ ბაზარზე. საქართველოში ეს ბაზარი ძირითადად წარმოდგენილია ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების ბაზრის სახით (იხილეთ ცხრილი №10).

საკრედიტო რესურსების ახალი ბაზრის ორგანიზაციისათვის და მასზე განხორციელებული ოპერაციების გაფართოების მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა საბროკერო კომპანიების მიერ ფულადი სახსრების აუქციონების ჩატარება, ასევე ბანკთაშორის საფინანსო სახლების შექმნა.

ბანკში სახსრების მოზიდვის გადამწყვეტი ფაქტორია ასევე ბანკის რეპუტაცია, მისი ავტორიტეტი და ოპერატიულობა მომსახურეობის მრავალსახეობებთან ერთად.

საბანკო საქმიანობის მნიშვნელოვანი სფეროა ფინანსური რესურსების ეფექტური დაბანდება. ბანკის განკარგულებაში არსებული თანხების განთავსება ხდება ძირითადად შემდეგი სახის ოპერაციებში: საკრედიტო ოპერაციები, ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, სხვა აქტიური ოპერაციები. ყველა ეს ოპერაცია აქტიურია და მათი დინამიკის ფორმირება ხდება ბანკის ლიკვიდობის ფაქტორების გავლენით.

ცხრილი № 10

ბანკთაშორისო საკრედიტო აუქციონი — ყიდვა-გაყიდვა

(ათასი ლარი)

	ჯამური	7 დღიანი	30 დღიანი	60 დღიანი	90 დღიანი
სულ გაყიდული საკრედიტო რესურსები					
1995 წელს	2,440,700	2,440,700			
1996 წელს	39,104,718	21,797,100	10,906,618	186,700	6,304,300
1997 წელს	60,369,400	24,654,000	23,797,050	11,218,350	700,000
1998 წელს	48,784,050	13,457,300	28,371,700	4,450,000	2,505,050
1999 წელს	31,757,000	29,350,000	1,595,000	812,000	
მათ შორის:					
ეროვნული ბანკის მიერ					
1995 წელს	542,600	542,600			
1996 წელს	21,320,018	9,227,000	6,011,018	33,700	6,048,300
1997 წელს	33,886,100	13,163,000	9,750,550	10,972,550	
1998 წელს					
1999 წელს					
კომერციული ბანკების მიერ					
1995 წელს	1,898,100	1,898,100			
1996 წელს	17,784,700	12,480,100	4,895,600	153,000	256,000
1997 წელს	26,483,300	11,491,000	14,046,500	245,800	700,000
1998 წელს	48,784,050	13,457,300	28,371,700	4,450,000	2,505,050
1999 წელს	31,757,000	29,350,000	1,595,000	812,000	
სულ ნაყიდი საკრედიტო რესურსები					
1995 წელს	2,440,700	2,440,700			
1996 წელს	39,104,718	21,797,100	10,906,618	186,700	6,304,300
1997 წელს	60,369,400	24,654,000	23,797,050	11,218,350	700,000
1998 წელს	48,784,050	13,457,300	28,371,700	4,450,000	2,505,050
1999 წელს	31,757,000	29,350,000	1,595,000	812,000	
მათ შორის:					
ეროვნული ბანკის მიერ					
1995 წელს	271,100	271,100			
1996 წელს	4,110,300	2,813,300	1,297,000		
1997 წელს	8,414,000	4,484,000	3,930,000		
1998 წელს	12,962,600	4,453,200	7,611,400	898,000	
1999 წელს	24,623,000	23,780,000	843,000		
კომერციული ბანკების მიერ					
1995 წელს	2,169,600	2,169,600			
1996 წელს	34,994,418	18,893,800	9,609,619	186,700	6,304,300
1997 წელს	51,955,400	20,170,000	19,867,050	11,218,350	700,000
1998 წელს	35,821,450	9,004,100	20,760,300	3,552,000	2,505,050
1999 წელს	7,134,000	5,570,000	752,000	812,000	

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების აქტივების სტრუქტურა 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასეთია [1]: ეკონომიკის დავალიანება – 48%, ბანკების დავალიანება – 1%, ფასიანი ქაღალდები, აქციები – 1%, ძირითადი საშუალებები – 16%, სხვა აქტივები – 1%, სალარო – 2%, სავალდებულო რეზერვები – 4%, სავალდებულო ანგარიშები – 5%, ანგარიშები ბანკ-კორესპონდენტებთან – 18%, დებიტორები – 3%. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კომერციული ბანკების აქტივები ზრდის ტენდენციით ხასიათდება (მხოლოდ 1999 წლის განმავლობაში აქტივები 140 მლნ ლარით გაიზარდა), მაინც მცირეა ამ აქტივებში როგორც გრძელვადიანი დაკრედიტების წილი, ასევე ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების წილი, საერთოდ არ ხდება იპოთეკური კრედიტის გამოყენება.

კომერციული ბანკების მდგრადობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია ისეთი შიდასაბანკო ფაქტორები, როგორიცაა: მენეჯმენტისა და პერსონალის კომპეტენცია; კომერციული ბანკის პოლიტიკა; მიმდინარე, ოპერატიული დაგეგმვა; ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა; სპეციალისტების მომზადების სისტემა; საკვალიფიკაციო მოთხოვნები; მუშაობის სტილი და მეთოდები; ბანკის ტექნიკური ბაზა; ინფორმაციული უზრუნველყოფის დონე; მარკეტინგული საქმიანობა; მუშაობის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის ხარისხი.

ბანკის მმართველის კომპეტენტურობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების სტრატეგიული გეგმების განხორციელება შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნის, მარკეტინგული გამოკვლევების, გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღების, საერთაშორისო სტანდ-

[1] ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 1999წ. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ. 2000 წ. გვ. 34.

არტების დანერგვის, კვალიფიციური კადრების შერჩევისა და მომზადების საფუძველზე.

თანამედროვე პირობები ბანკის წინაშე აყენებს ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია ახალი კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის გარეშე.

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განსაზღვრული პირობებისა და ფაქტორების განხილვა ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებითა და საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. საბანკო სისტემის საიმედოობა და მდგრადობა, როგორც კომერციული ბანკების ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პირობა, განხილულ უნდა იქნეს არა სტატიკაში ,,ეკონომიკური წონასწორობის'' შესაფასებლად, არამედ საბაზრო ეკონომიკაში მათი ფუნქციონირების დინამიკაში. ამასთან, ეს დინამიკური მდგრადობა მნიშვნელოვანია არა მარტო კონიუნქტურის გაუარესების, საქმიანი აქტივობის დაცემის პირობებში, არამედ როგორც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის ძირითადი პირობა;

2. საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა გულისხმობს არა მარტო ამა თუ იმ ბანკის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვას, არამედ, ამასთანავე, კლიენტებისა და მეანაბრეების, მთლიანად საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიდგომის საფუძველზე, ქვეყნის საბანკო სისტემის საქმიანობის სტაბილიზაციისა და განმტკიცების აუცილებლობას;

3. პრაქტიკულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ კომერციული ბანკების მდგრადობა, რომელიც კორექტირებულია თავისი საიმედოობის მიხედვით, შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. ამიტომ საიმე-

დოობის განსაზღვრის დროს იქმნება ობიექტური მიზანშეწონილობა, რომ შემოღებულ იქნეს „მდგრადობის ხარისხის" ცნება ამ ხარისხის სამი ვარიანტით: 1) მდგრადობა უცვლელი სტაბილური პარამეტრების პირობებში; 2) მდგრადობა ბანკის ოპერაციების მოცულობის შემცირების შემთხვევაში და 3) მდგრადობა ბანკის საქმიანობის მუდმივად მზარდი მასშტაბების შემთხვევაში (აქტივებისა და რენტაბელობის ზრდა).

რა თქმა უნდა, ყველაზე საუკეთესოა მესამე ვარიანტი, მაგრამ სოლიდური კომერციული ბანკის მმართველობამ ბანკის საქმიანობის განვითარების გრძელვადიან, სტრატეგიულ გეგმაში წინასწარ უნდა გაითვალისწინოს მოსალოდნელი თითოეული ვარიანტის პირობებში აუცილებელი რეზერვების შექმნით, უზრუნველყოფის განმსაზღვრელი მაჩვენებლებისა და ნორმატივების სისტემის გამოყენებით მდგრადობის შენარჩუნება.

§ 2. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის განსაზღვრის მაჩვენებლები და მეთოდიკა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის განსაზღვრის მაჩვენებლებისა და მეთოდიკის ჩამოყალიბება, ხოლო შემდგომ მისი ანალიზი რთული და, ამასთანავე, წინააღმდეგობრივი ხასიათის პროცესია. კომერციული ბანკების მდგრადობის შეფასება ხორციელდება იმ მიზნით, რომ პასუხი გაეცეს შემდეგ მთავარ კითხვებს: როგორია ბანკის საკუთარი კაპიტალის მონაწილეობის ხარისხი მის მიერ ჩატარებულ ოპერაციებში; როგორია ლიკვიდობის დონე, ანუ მისი შესაძლებლობა აქტივების რეალიზაციით დაფაროს თავის ვალდებულებები; რა მდგომარეობაშია მაღალი რისკის მქონე ოპერაციებში ბანკის დაბანდება. აღნიშნულს რომ პასუხი გავცეთ ქვეყანაში საბანკო სისტემის ფუნქციონირების ანალიზის საფუძველზე, საჭიროდ მიგვაჩნია, ჯერ განვიხილოთ ამ მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობა, აღვნიშნოთ დადებით ძვრებთან ერთად უარყოფითი მოვლენები და შემდეგ საზღვარგარეთის გამოცდილების გაანალიზების შედეგად გადმოვიტანოთ იგი საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საქართველოში გარდამავალი ეკონომიკის პირობებში თანამედროვე საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის გარეშე სამეწარმეო საქმიანობა ვერ განვითარდება და, აქედან გამომდინარე, მეწარმეობისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის სტიმულირება, ფულადი სახსრებით მათი მხარდაჭერა შეუძლებელი იქნება. საბანკო სისტემა წარმოადგენს რა ეკონომიკის ღერძს, მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა განაპირობებს იმას, რომ მომავალში საქართველოს საბანკო სისტემა, მასში შემავალი კომერ-

ციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების მეშვეობით, ამერკავკასიის საბანკო სისტემის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად გადაიქცეს (იხილეთ ცხრილი №11).

ამისათვის აუცილებელია ისეთი საბანკო სისტემის დამკვიდრება, რომელიც ინვესტორებისა და ადგილობრივი ბიზნესმენებისათვის გაზრდის ქართული ეკონომიკის სანდოობას და შექმნის ბანკირთა ქვეყნად გადაქცევის პირობებს.

ცხრილი № 11

2001 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი კომერციული ბანკების ნუსხა

	ბანკის დასახელება	ლიცენზიის გაცემის თარიღი	ლიცენზიის ნომერი	ფილიალების რაოდენობა
1	შპს „მერკური“	22.01.92	2	1
2	შპს „რესპუბლიკა“	04.02.92	5	2
3	შპს „თბილბიზნესბანკი“	21.02.92	9	1
4	სს „კავკასიონი“	25.02.92	10	1
5	სს „საკონტინენტთაშორისო კომერციული ბანკი ლიბერტი“	04.05.92	25	3
6	სს „ბანკი კრედიტი“	11.05.92	28	1
7	სს „ენერგობანკი“	30.05.92	34	3
8	სს „თბილკომბანკი“	25.08.92	57	7
9	შპს „თეთრი“	12.01.92	76	
10	სს „თიბისი-ბანკი“	20.01.93	85	7

11 სს „საქართველოს ბანკი“	15.12.94	86	33
12 სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“	29.01.93	87	4
13 სს „აგრომრეწვბანკი“	10.02.93	96	61
14 სს „ქართული ბანკი“	18.02.93	102	
15 სს „აბრეშუმის გზა“	13.03.00	238	1
16 შპს „გამა-ბანკი“	15.06.93	133	
17 სს „ეაბანკი“	17.08.93	151	1
18 სს „ინტელექტბანკი“	04.11.93	172	14
19 სს „ბაზისბანკი“	04.11.93	173	
20 სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“	31.01.94	186	36
21 შპს „ობილუნივერსალბანკი“	19.02.94	188	
22 სს „რიონი“	12.05.94	216	
23 სს „ობილკრედიტბანკი“	20.05.94	220	5
24 სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“	05.07.95	226	20
25 სს „აბსოლუტბანკი“	27.01.94	236	3
26 სს „ბანკი ქართული კაპიტალი“	27.09.96	228	
27 სს „ქართუ“	09.01.97	229	1
28 სს „შავი ზღვის საერთაშორისო კომ. ბანკი“ (საქაროველო)	23.04.97	230	

29	სს „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი“	13.05.99	233	3
30	სს „საქართველოს ავრობიზნესბანკი“	10.12.99	235	
	უცხოური ბანკის ფილიალები			
1	თურქეთის „ემლაქ ბანკის“ ქ. თბილისის ფილიალი	31.03.98	231-1	
2	კბ „კავკასიის განვითარების ბანკის“ ქ. თბილისის ფილიალი	02.12.99	234-1	

საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საკრედიტო პორტფელი. აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბანკების მიერ ადეკვატური საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რომელიც თავის მხრივ, საკრედიტო პორტფელის სწორ მონიტორინგსა და მართვას გულისხმობს. საკრედიტო პოლიტიკით უნდა განისაზღვროს, თუ რა ტიპის სესხების გაცემა არის მიზანშეწონილი. ამას კი გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ბანკის საქმიანობაში, რადგან საკრედიტო დაწესებულება მოგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული (იხილეთ ცხრილები №№ 13,14). ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახური მუდმივად აკონტროლებს, თუ რა მდგომარეობაა კომერციულ ბანკებში და აფასებს მათ საქმიანობას CAMEL-ის რეიტინგის მიხედვით.

როგორც ზემოთ, კომერციული ბანკების რესურსების რეგულირების თავისებურებებთან დაკავშირებით უკვე აღვნიშნეთ (გვ.116), კომერციული ბანკების საქმიანობის CAMEL-ის რეიტინგული სისტემის ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1999 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა I და II კატეგორიაში მომუშავე ბანკების რაოდენობა.

ცხრილი № 12

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებით დავალიანება 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	ვალუტაზე გაცემული სესხები	მათ შორის				ანგარიშიდან გაცემული სესხები (ოვერდრაფტი)		სულ
		მოკლევადიანი სესხები		გრძელვადიანი სესხები				
		ლარი	უცხოური ვალუტა	ლარი	უცხოური ვალუტა	ლარი	უცხოური ვალუტა	სესხებით დავალიანება (სტ.2+სტ.7+ სტ.8)
01.01.99	277,132	63,283	109,256	3,652	100,941	5,252	4,473	286,857
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
ზრდა წინა თვესთან შედარებით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
01.02.99	325,345	57,790	130,874	4,156	132,525	5,699	4,802	335,846
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	117.4	91.3	119.8	113.8	131.3	108.5	107.4	117.1
ზრდა წინა თვესთან შედარებით	117.4	91.3	119.8	113.8	131.3	108.5	107.4	117.1
01.03.99	344,745	59,322	150,962	2,853	131,708	6,299	6,501	357,545
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	124.4	93.7	138.1	78.1	130.5	119.9	145.3	124.6
ზრდა წინა თვესთან შედარებით	106.0	102.7	115.3	68.6	99.4	110.5	135.4	106.5
01.04.99	345,165	61,632	145,981	3,340	134,212	3,834	4,074	353,073
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	124.5	97.4	133.6	91.5	133.0	73.0	91.1	123.1
ზრდა წინა თვესთან შედარებით	100.1	103.9	96.8	117.1	101.9	60.9	62.7	98.7
01.05.99	315,156	59,605	134,583	3,434	117,534	2,427	2,796	320,379
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	113.7	94.2	123.2	94.0	116.4	46.2	62.5	111.7
ზრდა წინა თვესთან შედარებით	91.3	96.7	92.2	102.8	87.6	63.3	68.6	90.7
01.06.99	353,585	99,031	132,723	3,762	118,069	2,962	2,754	359,301
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	127.6	156.5	121.5	103.0	117.0	56.4	61.6	125.3
ზრდა წინა თვესთან შედარებით	112.2	166.1	98.6	109.6	100.5	122.0	98.5	112.1
01.07.99	385,914	111,515	152,517	4,657	117,225	2,438	2,518	390,870
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	139.3	176.2	139.6	127.5	116.1	46.4	56.3	136.3
ზრდა წინა თვესთან შედარებით	109.1	112.6	114.9	123.8	99.3	82.3	91.4	108.8
01.08.99	387,655	113,648	158,392	4,576	111,039	18,840	2,416	408,951
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	139.9	179.6	145.0	125.3	110.0	359.5	54.0	142.6
ზრდა წინა თვესთან შედარებით	100.5	101.9	103.9	98.3	94.7	774.4	95.9	104.6
01.09.99	373,577	92,990	160,723	3,437	116,427	1,230	3,660	378,467
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	134.8	146.9	147.1	94.1	115.3	23.4	81.8	131.9
ზრდა წინა თვესთან შედარებით	96.4	81.8	101.5	75.1	104.9	6.5	151.5	92.5
01.10.99	422,244	138,371	162,443	3,435	117,995	1,923	3,454	427,621
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	129.8	239.4	124.1	82.6	89.0	33.7	71.9	127.3
ზრდა წინა თვესთან შედარებით	113.0	148.8	101.1	99.9	101.3	156.3	94.4	113.0
01.11.99	436,593	146,300	165,192	3,270	121,831	1,575	3,666	441,834
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	157.5	231.2	151.2	89.5	120.7	30.0	82.0	154.0
ზრდა წინა თვესთან შედარებით	103.4	105.7	101.7	95.2	103.3	81.9	106.1	103.3
01.12.99	458,871	137,642	182,353	3,701	135,175	1,080	3,410	463,361
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	165.6	217.5	166.9	101.3	133.9	20.6	76.2	161.5
ზრდა წინა თვესთან შედარებით	105.1	94.1	110.5	113.2	111.0	68.6	93.0	104.9
01.01.00	447,320	139,327	171,522	8,736	127,735	840	3,020	451,180
ზრდა წლის დასაწყისთან შედარებით	161.4	220.2	157.0	239.2	126.5	16.0	67.5	157.3
ზრდა წინა თვესთან შედარებით	97.5	101.2	94.1	236.0	94.5	77.8	88.6	97.4

ცხრილი № 13

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებით დავალიანება 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	კორესპონდენტ ბანკებზე გაცემული სესხები	მათ შორის				ბანკებისათვის გაცემული სესხები (ფილიალები)		სულ
		მოკლევადიანი სესხები		კომერციული სესხები				სესხები დავალიანება (ხაზ 2+ხაზ 7+ ხაზ)
		ჯამი	ვადაგადაცილებული ვალები	ჯამი	ვადაგადაცილებული ვალები	ჯამი	ვადაგადაცილებული ვალები	
01 01 00	447,320	139,327	171,522	8,736	127,735	840	3,020	451,180
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
%-ში წინა თვესთან შედარებით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
01 02 00	373,577	51,807	182,599	8,498	130,673	1,050	894	375,521
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	83.5	37.2	106.5	97.3	102.3	125.0	29.6	83.2
%-ში წინა თვესთან შედარებით	83.5	37.2	106.5	97.3	102.3	125.0	29.6	83.2
01 03 00	369,447	50,570	179,049	8,532	131,296	5,000	1,235	375,682
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	82.6	36.3	104.4	97.7	102.8	595.2	40.9	83.3
%-ში წინა თვესთან შედარებით	98.9	97.6	98.1	100.4	100.5	476.2	138.1	100.0
01 04 00	370,701	54,495	171,298	9,042	135,866	3,690	2,863	377,254
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	82.9	39.1	99.9	103.5	106.4	439.3	94.8	83.6
%-ში წინა თვესთან შედარებით	100.3	107.8	95.7	106.0	103.5	73.8	231.8	100.4
01 05 00	392,822	53,394	194,212	8,931	136,285	2,660	2,551	398,033
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	87.8	38.3	113.2	102.2	106.7	316.7	84.5	88.2
%-ში წინა თვესთან შედარებით	106.0	98.0	113.4	98.8	100.3	72.1	89.1	105.5
01 06 00	397,921	55,026	191,843	9,314	141,738	3,275	1,233	402,429
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	89.0	39.5	111.8	106.6	111.0	389.9	40.8	89.2
%-ში წინა თვესთან შედარებით	101.3	103.1	98.8	104.3	104.0	123.1	48.3	101.1
01 07 00	433,562	73,093	202,667	9,868	147,934	2,275	3,055	438,892
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	96.9	52.5	118.2	113.0	115.8	270.8	101.2	97.3
%-ში წინა თვესთან შედარებით	109.0	132.8	105.6	105.9	104.4	69.5	247.8	109.1
01 08 00	447,643	77,686	209,039	10,416	150,502	2,610	1,685	451,938
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	100.1	55.8	121.9	119.2	117.8	310.7	55.8	100.2
%-ში წინა თვესთან შედარებით	103.2	106.3	103.1	105.6	101.7	114.7	55.2	103.0
01 09 00	457,467	76,796	219,026	11,011	150,634	4,749	2,876	465,092
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	102.3	55.1	127.7	126.0	117.9	565.4	95.2	103.1
%-ში წინა თვესთან შედარებით	102.2	98.9	104.8	105.7	100.1	182.0	170.7	102.9
01 10 00	470,076	77,247	228,642	10,717	153,470	4,353	2,963	477,392
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	105.1	55.4	133.3	122.7	120.1	518.2	98.1	105.8
%-ში წინა თვესთან შედარებით	102.8	100.6	104.4	97.3	101.9	91.7	103.0	102.6
01 11 00	486,760	76,352	234,864	13,924	161,620	6,550	3,122	496,432
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	108.8	54.8	136.9	159.4	126.5	779.8	103.1	110.0
%-ში წინა თვესთან შედარებით	103.5	98.8	102.7	129.9	105.3	150.5	105.4	104.0
01 12 00	487,424	79,011	229,973	13,616	164,824	7,764	2,248	497,436
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	109.0	56.7	134.1	155.9	129.0	924.3	74.4	110.3
%-ში წინა თვესთან შედარებით	100.1	103.5	97.9	97.8	102.0	118.5	72.0	100.2
01 01 01	471,210	60,276	219,376	14,861	176,697	3,113	3,982	478,305
%-ში წლის დასაწყისთან შედარებით	105.3	43.3	127.9	170.1	138.3	370.6	131.9	106.0
%-ში წინა თვესთან შედარებით	96.7	76.3	95.4	109.1	107.2	40.1	177.1	96.2

ამასთან, მნიშვნელოვნად შემცირდა IV, V კატეგორიებს მიკუთვნებული ბანკების რაოდენობა მათთვის ლიცენზიის ჩამორთმევის ან მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად III კატეგორიისათვის მიკუთვნების გამო.

1999 წლის ბოლოს წლის დასაწყისთან შედარებით, აღინიშნა ბანკების საერთო აქტივებში CAMEL-ის სისტემით შეფასებული I და II კატეგორიის ბანკების აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლის ხვედრითი წილიც საერთო აქტივებში განისაზღვრებოდა 67,3 პროცენტით და 31,8 პუნქტით აღემატებოდა საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის შესაბამის მაჩვენებელს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, კომერციული ბანკების აქტივები 1999 წლის განმავლობაში 140 მლნ ლარით გაიზარდა, რომლის ნახევარზე მეტი (77 მლნ ლარი) კრედიტების ზრდით არის განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით გაიზარდა პორტფელური ინვესტიციებისა და გრძელვადიანი სესხების მოცულობა, მათი წილი აქტივების სტრუქტურაში მაინც მცირეა. აღსანიშნავია ისიც, რომ კომერციული ბანკების სესხების პორტფელი ძირითადად უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით იყო ფორმირებული. შესაბამისად, უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით ვადაგადაცილებული დავალიანება რამდენადმე აღემატებოდა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებით ვადაგადაცილებულ დავალიანებას, რომლის ოდენობაც 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 12,9 მლნ ლარი და 4,7 მლნ ლარი [1].

ბანკის საკრედიტო პორტფელის მონიტორინგში უნდა გამოიყოს ორი საკითხი: მთლიანი პორტფელისა და ცალკე აღებული თითოეული სესხის მონიტორინგი. მთლიანი პორტფელის მონიტორინგი ეფუძნება ცალკეული სესხის მონიტორინგიდან

[1] ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 1999წელს საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2000. გვ. 34.

მიღებულ ინფორმაციას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სესხის მდგომარეობა გავლენას ახდენს მთლიანი პორტფელის მდგომარეობაზე, ამ უკანასკნელის ანალიზი და პერიოდული შეფასება მაინც ცალკე უნდა ხდებოდეს.

ოპერაციულ ეტაპზე უნდა დაჩქარდეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის მიმართულებით მუშაობის ჩატარება. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნა მნიშვნელოვანი ელემენტია საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცებისათვის. რეალობაა, რომ საქართველოში საბანკო სისტემისადმი ნდობა არც ისე მაღალია. ჯერჯერობით მოქმედი ბანკების ერთ ნაწილს ფინანსური რესურსების მოზიდვა ძალიან უჭირთ. ზოგიერთი ბანკისათვის სესხის უზრუნველყოფის შემთხვევაშიც კი თანხების მოზიდვა პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან დღევანდელ პირობებში გირაოს ინსტიტუტი პრაქტიკულად ქვეყანაში არ მოქმედებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობისაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილი ბანკები დეპოზიტების დაზღვევის ფონდის საფუძველზე სხვა ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტური სახსრებით უპრობლემოდ ფუნქციონირებენ. ამერიკელებთან შედარებით, საქართველოს საბანკო სისტემაში მთლიანი კაპიტალის მთლიან ვალდებულებებთან შეფარდების პარამეტრი მაღალია. აშშ-ში მთლიანი კაპიტალის მთლიან ვალდებულებებთან შეფარდების 15%-იანი მაჩვენებელი გადახდისუუნარობისაგან დაცვის საშუალებაა. მაგალითად, 100-მილიონიანი ანაბრის მქონე ბანკს 15 მილიონამდე კაპიტალი უნდა ჰქონდეს. ამასთან, 15 მილიონიანი აქტივების დაკარგვის შემთხვევაში ბანკი შესაძლებელია გადახდისუნარიან დაწესებულებად დარჩეს.

აღნიშნულს ადასტურებს აშშ-ის დეპოზიტების დაზღვევის ფედერაციული კორპორაციის გამოცდილება და საქმიანობა. კერ-

ძირ, დაახლოებით სამოცდაათი წლის წინ ამერიკის მთავრობამ ანაბრების დაზღვევის ფონდის შესაქმნელად თითქმის 30 მლნ დოლარის კრედიტი გაიღო. მთავრობა საჭიროებისამებრ მზად იყო გაეღო კიდევ ამდენივე თანხა. მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ დეპოზიტების დაზღვევის ფონდს მხოლოდ მთავრობის პირველი სესხი დასჭირდა და ის 7-8 წელიწადში დაიფარა.

როგორც წესი, აშშ-ის დეპოზიტების დაზღვევის ფონდი კომერციული ბანკის კლიენტის ანაბრის მთელ მოცულობას არ აზღვევს. 100000 დოლარის ზევით ანაბარი აღარ დაიზღვევა. ამერიკულ ბანკებს ფონდში ყოველწლიური შესატანი შეაქვთ და მისი ოდენობა თითოეულისთვის დაზღვეული ანაბრების 1%-ის 1/12-ს შეადგენს. ამასთან, ბანკებს უფლება აქვთ აღნიშნული შენატანები აშშ-ის მთავრობის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში დააბანდონ. ეს კი მთავრობის ირიბ დაკრედიტებას ნიშნავს.

ამრიგად, თუ დავეყრდნობით უცხოური ბანკების გამოცდილებას, შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლება ანაბრების დაზღვევის სისტემის შექმნით მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგანაც იგი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ობიექტური მოთხოვნაა და მთავრობის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

რასაკვირველია, ბანკის კაპიტალის მაჩვენებელი მისი მდგრადობის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია. იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად, როგორიცაა საკრედიტო პორტფელის რისკი.

საქართველოს სინამდვილეში მოქმედებს კომერციული ბანკების საქმიანობაში რისკების დადგენის სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგ პარამეტრს: მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, მომავლის პროგნოზი, მენეჯმენტის დონე, სასესხო ისტორია, გირაოს ხარისხი. თითოეული ფასდება ცალ-ცალკე და შემდეგ გამოდის შეჯამებული პარამეტრი, რასაც ჰქვია სესხის რისკის კატეგო-

რია. პერიოდულად ხდება მისი გადახედვა და შესაძლოა გადავიდეს უფრო დაბალ კატეგორიაში. ამ ინფორმაციის საფუძველზე ასევე დგინდება შესაძლო დანაკარგების მოცულობა. არსებობს ამ საქმეში ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, რომელსაც ემყარებიან კომერციული ბანკები სესხის გაცემის რეგულირების პროცესში.

სამწუხაროდ, ეს ინსტრუქცია ჯერჯერობით ეფუძნება მხოლოდ ერთ პარამეტრს – სესხის დაფარვის ვადას. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი და მოითხოვს სრულყოფას, ვინაიდან სესხის მდგომარეობის ცვლილება შეიძლება მოხდეს ვადის გასვლამდე. ამიტომ საჭიროა კომპლექსური შეფასება, რისკების რეიტინგის სისტემის გამოყენება და შესაბამისად განსაზღვრული თანხის დარეზერვება.

საბანკო სიტემის საიმედოობასა და მდგრადობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის ზრდა, ამიტომ ვადაგადაცილებულ სესხებთან დაკავშირებით ბანკის საქმიანობაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წინასწარ განისაზღვროს გადავადების მოსალოდნელი შესაძლებლობა. სესხის გაუარესება თავისთავად არ ნიშნავს ვადაგადაცილებას, მაგრამ პრობლემური სესხების ნაწილი ვადაგადაცილებული სესხებია. ამ შემთხვევაში ბანკმა სესხის ვადაგადაცილების შემდეგ უნდა დაიწყოს გირაოს რეალიზაციის გზების ძიება ან უნდა შეეცადოს მოიძიოს რეზერვები თავად მსესხებელთან. სასურველია მეორე გზა, კერძოდ, მსესხებლის არსებული მდგომარეობის ღრმა შესწავლის საფუძველზე მაქსიმალურად უნდა ამოწუროს რეზერვები, რათა სესხი დაბრუნდეს. მხოლოდ ამის შემდეგ სასურველია მიმართოს ბანკმა სასამართლოს გირაოს რეალიზაციისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქვეყნის საბანკო სისტემაში ბანკის ვადაგადაცილებული კრედიტები შეადგენენ პორტფელის დაახლოებით 10-15% (იხილეთ ცხრილები №№ 14,15).

ცხრილი № 14

კომერციული ბანკების სექტორი — ვადაგადაცილებული სესხებით დავალიანება 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	ადრიბაზე გადარიცხული სესხები	მათ შორის				ბანკებისთვის გადარიცხული სესხები (რეზიდენტები)		გადარიცხული საბანკო გარანტიები	სულ სესხები დავალიანება (სტ 2+სტ 7+სტ 8+სტ 9)
		მიმდინარე სესხები		გადაუდებელი სესხები					
		ღირ.	ვადაგადაც. კალდ.	ღირ.	ვადაგადაც. კალდ.	ღირ.	ვადაგადაც. კალდ.		
01.01.99	13,630	5,705	6,422	30	1,473	1,498	216	1,002	16,346
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
% ათ წინა თვესთან შედარებით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
01.02.99	16,136	5,247	9,143	30	1,716	1,498	254	1,134	19,022
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	118.4	92.0	142.4	100.0	116.5	100.0	117.6	113.2	116.4
% ათ წინა თვესთან შედარებით	118.4	92.0	142.4	100.0	116.5	100.0	117.6	113.2	116.4
01.03.99	16,046	5,304	8,839	30	1,873	1,498	282	1,224	19,050
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	117.7	93.0	137.6	100.0	127.2	100.0	130.6	122.2	116.5
% ათ წინა თვესთან შედარებით	99.4	101.1	96.7	100.0	109.1	100.0	111.0	107.9	100.1
01.04.99	13,522	4,786	6,918	22	1,796	1,496	345	1,197	16,560
% ათ წლის დასაწ.თან შედარებით	99.2	83.9	107.7	73.3	121.9	99.9	159.7	119.5	101.3
% ათ წინა თვესთან შედარებით	84.3	90.2	78.3	73.3	95.9	99.9	122.3	97.8	86.9
01.05.99	14,657	6,701	6,562	22	1,372	1,467	383	1,115	17,622
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	107.5	117.5	102.2	73.3	93.1	97.9	177.3	111.3	107.8
% ათ წინა თვესთან შედარებით	108.4	140.0	94.9	100.0	76.4	98.1	111.0	93.1	106.4
01.06.99	15,183	6,174	7,632	22	1,355	1,461	315	1,116	18,075
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	111.4	108.2	118.8	73.3	92.0	97.5	145.8	111.4	110.6
% ათ წინა თვესთან შედარებით	103.6	92.1	116.3	100.0	98.8	99.6	82.2	100.1	102.6
01.07.99	14,424	5,207	7,920	22	1,275	1,461	892	1,046	17,823
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	105.8	91.3	123.3	73.3	86.6	97.5	413.0	104.4	109.0
% ათ წინა თვესთან შედარებით	95.0	84.3	103.8	100.0	94.1	100.0	283.2	93.7	98.6
01.08.99	14,366	5,146	7,359	22	1,839	1,461	837	965	17,629
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	105.4	90.2	114.6	73.3	124.8	97.5	387.5	96.3	107.8
% ათ წინა თვესთან შედარებით	99.6	98.8	92.9	100.0	144.2	100.0	93.8	92.3	98.9
01.09.99	14,836	5,064	8,074	34	1,664	1,461	930	971	18,198
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	108.8	88.8	125.7	113.3	113.0	97.5	430.6	96.9	111.3
% ათ წინა თვესთან შედარებით	103.3	98.4	109.7	154.5	90.5	100.0	111.1	100.6	103.2
01.10.99	14,329	4,910	7,496	267	1,656	1,459	907	934	17,629
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	105.1	86.1	116.7	890.0	112.4	97.4	419.9	93.2	107.8
% ათ წინა თვესთან შედარებით	96.6	97.0	92.8	785.3	99.5	99.9	97.5	96.2	96.9
01.11.99	15,047	4,476	8,316	594	1,661	1,416	949	943	18,355
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	110.4	78.5	129.5	1,980.0	112.8	94.5	439.4	94.1	112.3
% ათ წინა თვესთან შედარებით	105.0	91.2	110.9	222.5	100.3	97.1	104.6	101.0	104.1
01.12.99	15,487	4,479	8,955	589	1,464	1,459	916	951	18,813
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	113.6	78.5	139.4	1,963.3	99.4	97.4	424.1	94.9	115.1
% ათ წინა თვესთან შედარებით	102.9	100.1	107.7	99.2	88.1	103.0	96.5	100.8	102.5
01.01.00	17,646	4,134	11,010	589	1,913	1,459	2,605	970	22,680
% ათ წლის დასაწყისთან შედარებით	129.5	72.5	171.4	1,963.3	129.9	97.4	1,206.0	96.8	138.7
% ათ წინა თვესთან შედარებით	113.9	92.3	122.9	100.0	130.7	100.0	284.4	102.0	120.6

ცხრილი № 15

კომერციული ბანკების სექტორი - ვადაგადაცილებული სესხებით დავალიანება 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	საერთაშორისო გადაცემული სესხები	მათ შორის				ბანკთაშორისო გადაცემული სესხები (რეზიდენტები)		გადაცემული საბანკო გარანტიები	სულ
		მოკლევადიანი სესხები		გრძელვადიანი სესხები		ლარი	უცხოური ვალუტა		სესხები დავალიანება (სვ 2+სვ 7+ სვ 8+სვ 9)
		ლარი	უცხოური ვალუტა	ლარი	უცხოური ვალუტა				
01.01.00	17,646	4,134	11,010	589	1,913	1,459	2,605	970	22,680
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
01.02.00	18,884	3,729	12,316	648	2,191	1,459	2,659	929	23,931
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	107.0	90.2	111.9	110.0	114.5	100.0	102.1	95.8	105.5
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	107.0	90.2	111.9	110.0	114.5	100.0	102.1	95.8	105.5
01.03.00	21,269	5,441	13,019	650	2,159	1,459	2,185	994	25,907
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	120.5	131.6	118.2	110.4	112.9	100.0	83.9	102.5	114.2
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	112.6	145.9	105.7	100.3	98.5	100.0	82.2	107.0	108.1
01.04.00	21,323	5,743	12,891	654	2,035	1,459	2,130	972	25,884
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	120.8	138.9	117.1	111.0	106.4	100.0	81.8	100.2	114.1
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	100.3	105.6	99.0	100.6	94.3	100.0	97.5	97.8	99.9
01.05.00	20,924	5,567	12,698	654	2,005	1,459	2,280	912	25,575
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	118.6	134.7	115.3	111.0	104.8	100.0	87.5	94.0	112.8
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	98.1	96.9	98.5	100.0	98.5	100.0	107.0	93.8	98.8
01.06.00	21,667	5,369	13,472	620	2,206	1,382	2,264	781	26,094
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	122.8	129.9	122.4	105.3	115.3	94.7	86.9	80.5	115.1
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	103.6	96.4	106.1	94.8	110.0	94.7	99.3	85.6	102.0
01.07.00	22,730	5,553	14,265	620	2,292	1,381	2,249	375	26,735
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	128.8	134.3	129.6	105.3	119.8	94.7	86.3	38.7	117.9
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	104.9	103.4	105.9	100.0	103.9	99.9	99.3	48.0	102.5
01.08.00	22,533	5,063	14,867	612	1,991	1,381	105	345	24,364
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	127.7	122.5	135.0	103.9	104.1	94.7	4.0	35.6	107.4
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	99.1	91.2	104.2	98.7	86.9	100.0	4.7	92.0	91.1
01.09.00	23,021	4,776	15,598	603	2,044	1,381	105	343	24,854
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	130.5	115.5	141.7	102.4	106.8	94.7	4.0	35.4	109.6
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	102.2	94.3	104.9	98.5	102.7	100.0	100.0	99.4	102.0
01.10.00	17,885	3,818	11,668	11	2,388	1,381	105	292	19,663
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	101.4	92.4	106.0	1.9	124.8	94.7	4.0	30.1	86.7
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	77.7	79.9	74.8	1.8	116.8	100.0	100.0	85.1	79.1
01.11.00	19,311	4,249	12,508	17	2,537	1,381	105	289	21,086
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	109.4	102.8	113.6	2.9	132.6	94.7	4.0	29.8	93.0
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	108.0	111.3	107.2	154.5	106.2	100.0	100.0	99.0	107.2
01.12.00	31,712	4,275	18,987	12	8,438	1,381	105	341	33,539
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	179.7	103.4	172.5	2.0	441.1	94.7	4.0	35.2	147.9
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	164.2	100.6	151.8	70.6	332.6	100.0	100.0	118.0	159.1
01.01.01	30,273	4,998	16,876	17	8,382	2,486	112	550	33,421
ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით	171.6	120.9	153.3	2.9	438.2	170.4	4.3	56.7	147.4
ცვლილება წინა თვესთან შედარებით	95.5	116.9	88.9	141.7	99.3	180.0	106.7	161.3	99.6

საბანკო სისტემის საიმედოობასა და მდგრადობაზე ზემოქმედებას ახდენს კრედიტის ფასის დადგენის მექანიზმი, მხედველობაში გვაქვს კრედიტის ფასის დადგენაში ორგვარი მიდგომა: თვითღირებულებისა და საბაზრო კონკურენტული პრინციპით. პირველი გულისხმობს იმას, თუ რა უჯდება რეალურად ბანკს თითოეული სესხი. მეორე მიდგომა კი განსაზღვრავს, თუ როგორ მასშტაბებში უნდა ვიმოძრაოთ ბაზარზე არსებული განაკვეთების შესაბამისად (იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი №16). ამ ორ მიდგომას შორის კომპრომისი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია რისკის დონე.

სესხების ტიპების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთები გრძელვადიან სესხებზე 20-დან 30%-მდე მერყეობს, ხოლო მოკლევადიანზე 24-დან 36%-მდე. საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება რისკების შეფასების შემდეგ. თუ რისკი იზრდება, პროცენტიც მატულობს და, პირიქით. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, თუ როგორ პოლიტიკას ახორციელებს ბანკი – აგრესიული პოლიტიკის დროს უფრო მეტ დათმობებზე მიდის, ვიდრე კონსერვატიული პოლიტიკის გატარების დროს. ამდენად, სესხის ფასის დადგენა საკმაოდ კომპლექსური მომენტია და მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის შენარჩუნება.

ქართული ბანკების რეალობაში ჯერჯერობით არსებული ტრადიციის მიხედვით, გრძელვადიან სესხებზე 24% საყოველთაოდ მიღებულად და შეთანხმებულად ითვლება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებში სესხის თვითღირებულების დათვლა ან რეალურად რისკების შეფასება, სესხის მართვის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ სერიოზულ სრულყოფას მოითხოვს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული კომერციული ბანკისათვის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის

ცხრილი № 16

კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ბანკის დასახელება	საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე სარგებლობის ვადების მიხედვით				
	30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 90 დღემდე	90 დღიდან 180 დღემდე	180 დღიდან 1 წლამდე	1წელზე მეტი
1 ქ თა_ სს „შუა ზღვის საერთ კ“ (საქ.ლიკ)		17			8
2 ქ თბ_ სს კ „ალიანსბანკი“	28	36	31	36	25
3 ქ თბ_ სს „ბანკ ქართული კაპიტალი“	37	30	22	17	
4 ქ თბ_ სს კ „თბილკრედიტბანკი“	28	27	26	24	23
5 ქ ოა_ სს „რ გ ქ ბ“	37	23	23	24	38
6 ქ თბ_ სს კ „ბანკ ქართუ“	48	35	30	26	28
7 ქ თა_ სს „ავრომრეწბანკი“	84	55	61	40	28
8 ქ თბ_ სს „საქართველოს ბანკი“	49	44	34	31	24
9 ქ თბ_ სს „ვაერთ ქარდ ბანკი“	42	47	31	17	17
10 ქ თბ_ სს კ „კავკასიონი“		18	34	9	
11 ქ თა_ სს კ „ბანკ კრედიტ“		66			
12 ქ თბ_ სს „ერგობანკი“		50	66	21	27
13 ქ თბ_ სს „თბილკომბანკი“	55	56	34	28	21
14 ქ ოა_ შპს კ „მერკური“			19	16	
15 ქ თბ_ შპს კ „რესპუბლიკა“	36	24	35	26	24
16 ქ. თბ.. შპს კ „თბილბიზნესბანკი“	36	38	30		
17 ქ. თბ.. შპს „კ „აგორა“		14			
18 ქ თა., სს „ექსპორტ-იმპორტის ბანკ“	41			38	
19 ქ თბ_ სს კ „არაგვბიზნესბანკი“	120	120			
20 ქ თბ_ შპს კ „თერი“	20	35	23		
21 ქ. თბ_ სს „თბილინვესტბანკი“	53	36		71	
22 ქ. თბ_ სს „თიბისი-ბანკ“	32	33	23	25	24
23 ქ თა_ „ეფექტ ბანკის“ თბილისის ფილი		22	35	20	30
24 ქ თბ_ სს კ „ლიბერთი-ბანკ“	80	36	60		96
25 ქ თბ_ შპს კ „ქართული ბანკი“		25	38		
26 ქ თბ_ შპს კ „ფინა-ბანკი“	38	49	39	38	18
27 ქ თა_ „ე ბარე საქართ საზოგდება“		48	36	27	24
28 ქ თბ_ სს „არქიტექტბანკი“	45	42	40	39	20
29 ქ თბ_ სს კ „ტრანსკაპიტალ“	74	39			
30 ქ თბ_ სს კ „პირველბანკი“	46	38	32	38	20
31 ქ თბ_ სს „საქ. საფონდო ბანკი“		33	34	34	
32 ქ თბ_ შპს „თბილუნივერსალბანკი“	42	36	43	31	24
33 ქ ქუთაისი, სკ „რიონი“	73	81	82	28	28
34 ქ ბათუმი, სს საკონტინენტაშორისო კ „ლიბერტი“	72	72	68	72	
35 ქ ბათუმი, სს „საქ. საზღვაო ბანკი“	60	60	56	60	59
36 ქ ბათუმი, სს „შავი ზღვის აუქციონის ბანკი“		96	23		
საშუალო შეწონილი	46	40	32	26	23

მაჩვენებლების განსაზღვრა, მათი ანალიზი მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის გარკვევასა და პერსპექტივაში მისი მოსალოდნელი შედეგების დანახვაში დიდი როლი ენიჭება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ ქვეყნებში ბანკის საქმიანობის განზოგადოებულ მაჩვენებლად მიჩნეულია:

1) რენტაბელობა, რომელიც გამოითვლება როგორც წმინდა მოგების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან (ROE – return on equity), რაც მეტად მნიშვნელოვანია მისი მესაკუთრეების თვალსაზრისით; 2) აქტივების მომგებიანობა (მოგების შეფარდება აქტივების საერთო თანხასთან). საბანკო საქმიანობის რენტაბელობა პირდაპირ არის დამოკიდებული აქტივების მომგებიანობაზე (ROA – return on assets) და უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფება კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტთან. პრაქტიკულად ბანკისთვის უფრო სარფიანია რისკის ზღვარზე ფუნქციონირება ანუ უფრო მისაღებია აქტივების საკუთარი კაპიტალით ნაკლები უზრუნველყოფა, ვიდრე საიმედოობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის დიდი ოდენობის დეპოზიტები, რომელიც გარანტირებულ უნდა იქნეს საკუთარი კაპიტალით. უცხოეთის გამოცდილების შესწავლამ დაგვანახა, რომ ბევრ ბანკს მკაცრი კონკურენციისა და საკრედიტო რესურსების გაძვირების პირობებში არ შეუძლია ოპტიმალურ დონემდე დაიყვანოს აქტივების თანაფარდობა საკუთარ კაპიტალთან. ამიტომ რენტაბელობის გაზრდის რეზერვად აქტივების მომგებიანობა გვევლინება (აქტივების „უკუგების“ ხარისხი).

ჩვენს ქვეყანაში ხარჯების შემცირების რეალური რეზერვი უნდა ვეძებოთ საპროცენტო ხარჯების დონის ანუ საკრედიტო რესურსებზე გადახდილი პროცენტების შემცირებაში. აქვე უნდა

შევნიშნოთ, რომ საპროცენტო ხარჯების შემცირებას ხელს უწყობს რესურსების ბაზის განვითარება ანუ საწარმოთა, ორგანიზაციათა, მოქალაქეთა ანგარიშსწორებისა და დეპოზიტების ანგარიშების წილის ზრდა, ასევე მოთხოვნამდე ანგარიშების გადიდება და ძვირადღირებული ინსტრუმენტების (მაგალითად, ბანკთაშორისი კრედიტები) წილის შემცირება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბანკო საქმიანობაში არასაპროცენტო შემოსავლების შემცირებას ფრთხილად უნდა მივუდგეთ, არ უნდა დავარღვიოთ ბანკის საიმედოობა და მდგრადობა.

როგორც ცნობილია, ბანკის რენტაბელობის მთელი ანალიზი აგებულია აქტივების მომგებიანობისა და შემოსავლიანობის, კაპიტალის საკმარისობის, შემოსავლებში მოგების წილის მჭიდრო ურთიერთკავშირზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანაბარი შესაძლებლობის მქონე ბანკებმა შეიძლება საქმიანობის სხვადასხვა შედეგს მიაღწიონ და, პირიქით, ერთნაირი რენტაბელობის დონე ჰქონდეთ ბანკებს, რომლებსაც სხვადასხვა შემოსავლიანი აქტივები და საკუთარი კაპიტალის განსხვავებული მოცულობები გააჩნიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში კომერციული ბანკის ფუნქციონირების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასებისთვის მეტად მნიშვნელოვანია უცხოური გამოცდილების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი სქემებისა და მეთოდიკების გამოყენება.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში კომერციული ბანკის მდგომარეობის შეფასებას ახორციელებენ, ჯერ ერთი, შესაბამისი ზემდგომი ორგანოები საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მეორეც, არსებობს სპეციალიზებული ანალიტიკური სააგენტოების, კერძო ფირმების ქსელი, რომელთაც შეუძლიათ კვალიფიცირებული ანალიზის ჩატარებასთან ერთად, სათანადო რეკომენდაციების მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკების მდგომარეობის შეფასების მეთოდიკის საერთო სქემა უმეტეს შემთხვევაში შემდეგნაირად გამოიყურება: ირჩევენ რიგ მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლებს და აქედან გამოითვლიან მათ საერთოშეწონილ მაჩვენებელს – მდგრადობისა და საიმედოობის თავისებურ ინდექსს, შემდეგ რამდენიმე ბანკისთვის გამოითვლება ამ ინდექსის კონკრეტული მნიშვნელობა და ხდება მათი რანჟირება.

ეს სქემა ლოგიკურია და სხვადასხვა ვარიაციით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ იგი პრაქტიკულად მისაღებად. აღნიშნული სქემის საფუძვლად აღებულია შეწონილი კოეფიციენტების შერჩევა, რადგანაც მხოლოდ შეწონილი ოპერაციების მეშვეობით არის შესაძლებელი ბანკისათვის ნებისმიერი, მისთვის სასურველი შედეგების მიღება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „კომპანიების შესაძლო გაკოტრების პროგნოზირების ანალიტიკოსების სკოლის“ (Distress Predictors School) ცნობილმა წარმომადგენელმა ედუარდ ალტმანმა სტატისტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით, ე.წ. „ზეტ ანგარიშის“ თავისი მოდელი ააგო, კერძოდ, დისკრიმინალური ანალიზის (Multiple-discriminant analysis – MDA)[1] მისეული მეთოდიკის მეშვეობით განიხილება კომპანიების ორი ჯგუფი: კომპანიები, რომლებიც გაკოტრდნენ და მათი მსგავსი (მაგალითად, საწესდებო ფონდით, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, საქმიანობის სახეობით) კარგად ფუნქციონირებადი კომპანიები. მსგავსების გამოსავლენად გამოითვლება დიდი ოდენობის ფინანსური მაჩვენებლები მათი ისეთი კომბინაციით, რომელიც უფრო მეტად გამოავლენს პოტენციურ ბანკროტებსა და წარმატებულ საქმიანობას. ამგვარი მიდგომის უპირატესობა, ერთი მხრივ,

[1] Altman E.I.Corporate Financial Distress.-New York: John Wiley, 1983.p.93.

იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ოდენობის მაჩვენებლებიდან აირჩევა ძირითადი, მეორეც, ხშირად უკანა პლანზე გადადის შეწონილი კოეფიციენტების მნიშვნელობა. ეს მოდელი პრაქტიკულად აპრობირებულია, იგი დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა და კრიტიკული შემოწმების შემდეგ სრულყოფილ სახეს ღებულობდა და ამიტომ, ამჟამად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის მდგომარეობის შესაფასებლად.

ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შესაფასებლად, ზემოთ აღნიშნული მეთოდის გარდა, გამოიყენება საკმაოდ რთული „საინფორმაციო მეთვალყურის“ მეთოდი, რომელიც დაამუშავეს ინგლისელმა ეკონომისტებმა მაიკლ ბრაუნმა და სტიუარტ ლავერიკომ. „საინფორმაციო მეთვალყურის“ მეთოდის ფუნქციონირებაში ავტორები გამოყოფენ 8 მაჩვენებელს, რომელთა მდგომარეობასაც თვალყური უნდა ადევნოს ბანკმა. კერძოდ, მართვის ხარისხი, ფინანსური მდგრადობა, მომსახურების ხარისხი, ტალანტების მოზიდვისა და შენარჩუნების შესაძლებლობა, გრძელვადიანი ინვესტიციების მოცულობა, ინოვაციების დანერგვის შესაძლობა, საზოგადოებრივი და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა.

ამ მაჩვენებლების უმეტესობა არაფორმალიზებულია და ამიტომ მათი შეფასებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ექსპერტული პროცედურა. კერძოდ, ამ მეთოდიკის პრაქტიკული დანერგვის სქემის არსი შემდეგში გამოიხატება: გამოყოფენ 10 მსხვილ კომერციულ ბანკს. თითოეული მათგანისთვის ირჩევენ ექსპერტს – „საინფორმაციო მეთვალყურეს“, რომელიც აფასებს თითოეულს 8 მაჩვენებლით ან 0-დან 10 ქულით. შემდეგ გამოითვლება დაგროვებული ქულების საერთო ჯამი და ჯამობრივი რანგი (რეიტინგი). „საინფორმაციო მეთვალყურის“ მე-

თოდიკა"ში მიღებული შეფასებები ძირითადად ბანკისთვის გამოიყენება. საფინანსო ბაზრებზე კონკურენციის ზრდის პირობებში, მიზანშეწონილია, რომ კომერციულმა ბანკებმა ყურადღება მიაქციონ თავის კონკურენტუნარიანობას, შეადარონ თავისი საქმიანობა სხვა ბანკების საქმიანობას, რომ გაიგონ, რატომ მიაღწიეს სხვა საკრედიტო დაწესებულებებმა უფრო მეტ წარმატებებს (იგულისხმება უფრო მაღალი რეიტინგი) მათთან შედარებით.

ცნობილია საფინანსო ანალიზის სხვადასხვა სკოლა. ერთნი (ტაფფლერი, ბეტორი, სკოტი), ისევე როგორც ალტმანი, ავითარებენ და სრულყოფენ რაოდენობრივ ანალიზს, სხვები (არგენტი, კისი, უოტსონი) კი – ხარისხობრივ ანალიზს[1]. ზოგი ავტორიტეტული სარეიტინგო სააგენტო – „Standard and Poor,s" „Moody,s Investor Service", და „Thomson BankWatch" იყენებს ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრის საკუთარ მეთოდიკას. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობენ ამგვარი დამოუკიდებელი სარეიტინგო დაწესებულებები, რომელთა შექმნა მომავალში ხელს შეუწყობს უცხოეთის გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდიკის დამუშავებასა და ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკულად დანერგვას.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ პერიოდში პრესაში გამოქვეყნებული კომერციული ბანკების რანჟირების მასალებმა, მათ შორის საიმედოობისა და მდგრადობის შესახებ ინფორმაციამ, შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საკრედიტო და საფინანსო ბაზრების კლიენტები. ამ რეიტინგული შეფასებე-

[1] Sinkey J.F.JR., Commercial Bank Management, Fifth Edition, Prentice Hall.USA 1998. p.128.

ბის მიავარი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეთოდოლოგია არასრულყოფილია და მოწყვეტილია, ჩვენი აზრით, ბანკების საქმიანობის რეალურ სინამდვილეს. ჩვეულებრივ მაჩვენებლებად გამოიყენება ბალანსის მონაცემები: აქტივების მოცულობა, აქტივებში სესხების წილი, საწესდებო კაპიტალი, მოგება და შემოსავლიანობა კაპიტალზე. გარეგნულად ეს მაჩვენებლები თითქოს წააგავს ბანკების შეფასების საერთაშორისო რეიტინგული სისტემის მაჩვენებლებს, მაგრამ უყურადღებოდ რჩება ისეთი საერთაშორისო სტანდარტის მაჩვენებელი, როგორიცაა კაპიტალის საკმარისობა ანუ საკუთარი კაპიტალის მოცულობა მისი აქტიურ და პასიურ ოპერაციებთან დამოკიდებულებაში. მაგალითად, თუ ბანკს გააჩნია გიგანტური საწესდებო ფონდი და, ამასთან, მისი რესურსები დაბანდებულია საეჭვო ოპერაციებში, მაშინ ამ მაჩვენებლის საიმედოობა, საწესდებო კაპიტალის რეალობა საეჭვო ხდება. ამიტომ აუცილებელია, რომ ბანკის კაპიტალი შეესაბამებოდეს საბანკო რისკების მიხედვით შეწონილ მაჩვენებლებს (იგულისხმება როგორც საბალანსო, ასევე ბალანსგარეშე მუხლები).

ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით აქტივების შეფასებისას, რომელთა მოცულობა, თავისთავად არ არის საკრედიტო დაწესებულების საქმიანობის შეფასების ობიექტური მაჩვენებელი, ვინაიდან, პირველ რიგში, აუცილებელია შეფასდეს აქტივების ხარისხი და არა მოცულობა. ბალანსის აქტიური მუხლების შეფასების ამოცანაა აგრეთვე უიმედო, პრობლემური, დაუბრუნებადი აქტივების მოცულობების განსაზღვრა. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის განსაზღვრულ მაჩვენებლებში არანაკლებ მნიშვნელოვანია მოგების ოდენობის შეფასება და მისი გამოყენების მაჩვენებლის დახასიათება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბანკის მდგრადობა განისაზღვრება მოგებისა და გადახდილი დივიდენდების ოდენობით, დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, მოგება უნდა განიხილებოდეს საბანკო კაპიტალის ზრდის საკმარისობის პოზიციიდან და ამიტომაც ბანკმა თავი უნდა შეიკავოს მოგების სამომხმარებლო მიზნებით გამოყენებისაგან. ამასთან, აუცილებელია მოგების შედარება არა მარტო ბანკის საკუთარი კაპიტალის მოცულობასთან, არამედ იმ აქტივების საშუალო ოდენობასთანაც, რომელთა მეშვეობითაც მოგება იქნა მიღებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ნორმების მიხედვით მოგების შეფარდება აქტივებთან მერყეობს 0,6-დან 1,4 %-ის ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეიტინგული სისტემის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ბანკების განხილვა არა მათი სიდიდის მიხედვით, არამედ მათი მდგრადობისა და საიმედოობის განმსაზღვრელი მაჩვენებლების ობიექტური შეფასებით.

ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო საქმიანობაში აქტივების ხარისხის შეფასებისთვის გამოიყენება კლასიფიკაციის ზუსტი სისტემა, რომელიც შეუცვლელად მოქმედებს უკანასკნელი 50 წლის მანძილზე. ამ მეთოდიკის შესაბამისად კლასიფიცირებული კრედიტების საფუძველზე იქმნება დამატებითი რეზერვები, რომელიც გამსესხებლებისთვის თანხის დაბრუნების გარანტად გვევლინება. ანალიზის შედეგად აქტივების დივერსიფიცირება და ერთ მსესხებელზე რისკის ხარისხის შეფასება გვევლინება საერთაშორისო საბაზრო ზედამხედველობის აუცილებელ ელემენტად.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების მეთოდიკის სრულყოფა ობიექტურად გულისხმობს აღრიცხვისა და

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით ანალიზისა და აღრიცხვის ახალი ფორმების დამუშავების აუცილებლობას.

საქართველოს კომერციულ ბანკებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აუცილებლობის მრავალ მიზეზთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია, ერთი მხრივ, ის, რომ არსებული სისტემისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ბალანსი უმეტესწილად სახელმწიფო ორგანოებში წარსადგენად მზადდებოდა და შესაბამისად ვერ აკმაყოფილებდა აქციონერებისა და ინვესტორების ინტერესებს, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია გასაგები ხდება ყველა დაინტერესებული პირისათვის; მეორე მხრივ კი, ის, რომ უცხოელი ინვესტორები კაპიტალს აბანდებენ მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელთა სტანდარტები გარკვეულ დონეზე შეესაბამება მათთვის ცნობილ სტანდარტებს.

ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოქმედ საკანონმდებლო ბაზასთან ადაპტაციის საკითხი. ამგვარი მდგომარეობა ბანკირთა და მეწარმეთა ნაწილში გარკვეულ ეჭვებსა და დაუცველობის განცდას იწვევს [1].

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მეთოდიკის საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეხედულება აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში (მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში) გატარებული საბანკო რეფორმის შესახებ. მათი აზრით,

---

[1] მიშელ ეანდე ველდე. საერთაშორისო საალრიცხვო სტანდარტების (ბასს) დანერგვა საქართველოს კომერციულ ბანკებში. ჟურნალი „ბანკი", №1, თბ., 2000.

ექვსი წლის განმავლობაში ამ რეგიონის უმრავლეს ქვეყანაში არ ჩამოყალიბებულა ბოლომდე საიმედო საბანკო სისტემა, სრულყოფილი ფინანსური ბაზარი, ჯანსაღი კონკურენცია, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ნორმებთან მიახლოებული პრუდენციალური საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის ნორმები [1]. აღნიშნულ შეფასებას ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, ვინაიდან იგი ნათლად გამოხატავს ამ ქვეყნებში კომერციული ბანკების ფუნქციონირების რეალურ სურათს, რაც საშუალებას გვაძლევს სწორი დასკვნები გავაკეთოთ მდგომარეობის გამოსწორების მიმართულებით.

ჩვენი აზრით, რეიტინგული შეფასებისთვის კრიტერიუმების შერჩევა უნდა მოხდეს საბანკო, სადაზღვევო, სამრეწველო კავშირების მონაწილეობით, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ ინიციატივას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია როგორც ცალკეული ბანკის, ისე მთელი საბანკო სისტემის საფინანსო მდგომარეობის შეფასება. ამ მიმართულებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი კრიტერიუმების გამოყენება, როგორიცაა: კომერციული ბანკების შესაძლებლობა, შეინარჩუნოს როგორც თავისი პოტენციალი, ასევე რესურსები, განახორციელოს ახალ შესაძლებლობებთან ადაპტირება, კონტაქტი დაამყაროს ეკონომიკის სხვა სექტორებთან.

ამრიგად, საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებში არსებული კომერციული ბანკების საქმიანობის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო რეიტინგული სისტემების შესწავლამ და ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვესაბუთებინა ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის შესაფასებლად ახალი ნორმატივების სისტემის შემოღების აუცილებლობა.

[1] დ.ჯოუნს კ. საბანკო და საფინანსო რეფორმები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ბენკერი. 1996.გვ. 39-42.

§ 3. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველმყოფი ნორმატივების სისტემა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციულმა ბანკებმა, თავიანთი სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანი საქმიანობა უნდა განახორციელონ საბუღალტრო ანგარიშების ანალიზისა და ეკონომიკის განვითარების პროგნოზების დამუშავების სრულყოფის მიმართულებით.

კომერციული ბანკის ოპერატიული მართვის პირობებში იქმნება შესაძლებლობები მოსალოდნელი ფინანსური სიტუაციების პროგნოზირებისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად საჭირო გზების დასახვისათვის. ბანკის სტრატეგიული მართვისათვის, როგორც წესი, საჭიროა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორებს შორის კომპრომისის გამონახვა. ასე მაგალითად, ლიკვიდობის მაჩვენებლების ანალიზისათვის აუცილებელია ბანკის აქტივების მობილურობისა და ვალდებულებების დროულად დაფარვის უზრუნველყოფის პროგნოზირება, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორისა და მაჩვენებლის (რენტაბელობა, საიმედოობა) ცვლილებების ანალიზით გაკეთებულ დასკვნებს.

ბანკის ლიკვიდობის დონის განსაზღვრის დროს ძირითად ფაქტორებად გვევლინება: აქტიურ-პასიური ოპერაციების ვადები, მოცულობა და სახეები, კონტრაგენტთა კატეგორიები, დაბანდებების დაბრუნების გარანტიები, მათი წყაროების სტაბილურობა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბანკო საქმიანობის პრაქტიკიდან გამომდინარე, კერძოდ, აქტივების რისკის დონისა და საიმედოობის ხარისხის დინამიკურობის გამო, ლიკვიდობის მუდმივი კოეფიციენტებისა და ნორმატივების გამოყენება საბანკო პრაქტიკაში გაუმართლებლად მიგვაჩნია. აღსანიშნავია ისიც,

რომ ანალიტიკური მუშაობის პროცესი შესაბამისი ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია, რადგან, ამ შემთხვევაში ანალიზის შედეგი რეალური გარემო პირობებისაგან იქნება მოწყვეტილი. ამიტომ აუცილებელია კომერციული ბანკის ორგანიზაციულ-ეკონომიკური საიმედოობის მექანიზმის შექმნა ინტეგრალური მაჩვენებლების შეფასების ანალიტიკური მოდელის სახით.

ასეთი ამოცანის დასმის საფუძველზე აუცილებელია განზოგადოებული ამოცანის ამოხსნა და გადაწყვეტილების იმ კონკრეტული ვარიანტის შერჩევა, რომელიც შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას და ასევე საგარეო მაკროეკონომიკური ფაქტორებით განპირობებულ დამატებით პირობებს. აღსანიშნავია ისიც, რომ შეფასებათა ურთიერთკავშირის ასეთი ერთობლიობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონსტრუქციულად უფრო საერთო კრიტერიუმების ფონზე, სადაც ლიკვიდობა, შემოსავლიანობა და საიმედოობა გამოდიან როგორც ურთიერთდამოკიდებული მაჩვენებლები.

ამრიგად, განზოგადოებული ამოცანის ამოხსნისათვის კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს რისკის შეფასების ფაქტორი. საკითხის ამგვარი დაყენების სიახლე იმაში კი არ არის, რომ ჩვენ ბანკის რისკს განვიხილავთ მხოლოდ როგორც ანალიზის ელემენტს, არამედ იმაში, რომ ვაყენებთ ბანკის რისკის, როგორც განზოგადებული კრიტერიუმის მაჩვენებლის, გამოყენების საკითხს ბანკის საქმიანობის მდგრადობის განმსაზღვრელ ინტეგრალურ მაჩვენებელთა რიგში.

საბანკო პრაქტიკაში რისკი გვევლინება როგორც განსაზღვრული მოვლენების ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგი. ეს მოვლენები დაკავშირებულია შიდა საბანკო მიზეზებთან (საკრედიტო, სადეპოზიტო, საფონდო და სავალუტო რისკი, ლიკვიდობის დაუბალანსებლობის, საბანკო ბოროტმოქმედების

რისკი) ან გარე საბანკო მიზეზებთან (საბაზრო რისკი, რომელიც დაკავშირებულია საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებების გაუთვალისწინებლობასთან, სტიქიური უბედურების რისკი და სხვა).

საბანკო საქმიანობა, თავის მხრივ გარკვეულწილად, საპროცენტო განაკვეთების, კურსებისა და ფასების ცვლილებებს გულისხმობს. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად საგანგებო დამცავი ღონისძიებების გატარება საშუალებას იძლევა, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს რისკების მოცულობა და, ამასთანავე, მოსალოდნელი მოგების დაგეგმვის მაჩვენებელი რეალურთან იყოს მიახლოებული. ასეთი მიდგომით იქმნება ასევე შესაძლებლობა, რომ ლიკვიდობის, შემოსავლიანობისა და საიმედოობის მაჩვენებლები შეივსოს განზოგადოებული მახასიათებლებით, რომლებიც ორგანულად შეერწყმიან მათ. აქედან გამომდინარე, მაჩვენებელთა სქემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

— ლიკვიდობის რისკი (რისკის ფასი);

— შემოსავლიანობის რისკი (რისკის ფასი);

— საიმედოობის რისკი (რისკის ფასი);

და განმაზოგადოებელი მაჩვენებელი:

— ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობის რისკი (რისკის ფასი) მიღებულ განმაზოგადოებელ მაჩვენებელთან ერთად.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მაჩვენებელთა სქემის სტრუქტურა მიზნად ისახავს, საპროგნოზო-ანალიტიკური ფუნქციის განვითარებით ბანკის ხელმძღვანელობა უზრუნველყოს ბანკის სტრატეგიული განვითარებისათვის ინფორმაციითა და რეკომენდაციებით, ამასთანავე, მოახდინოს სტრატეგიული ინტერესების მიმდინარე საქმიანობასთან შერწყმა, ბანკის ქვეგანყოფილებების მოქმედების, მიღებული გადაწყვეტილებისა და მათი შესრულების ღონისძიებათა კოორდინაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამგვარი საპროგნოზო-ანალიტიკური ფუნქციის რეალიზაციით შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ განისაზღვროს შემდეგი მთავარი ამოცანები, კერძოდ, ძირითადი მაკროეკონომიკური ტენდენციების, საქმიანი აქტივობისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკის განვითარების საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზი; ბანკის კონკურენტების პოზიციებისა და საბანკო სფეროს ძირითადი ტენდენციების შეფასება (პროგნოზი) და იმ ტენდენციების გამოვლენა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ბანკის საიმედოობასა და მდგრადობას; კონკურენტების საქმიანობის განვითარების ანალიზის საფუძველზე ბანკის ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება; გამოვლენილ საშიშ ტენდენციებსა და მოვლენებზე სწრაფი რეაგირების ეკონომიკური ღონისძიებების დამუშავება, მათი პრაქტიკულად განხორციელების წესის დასაბუთება; ბანკის მიმდინარე საქმიანობის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, კონკურენტუნარიანობის პროგნოზის ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, ბანკის საქმიანობის (ლიკვიდობის, რენტაბელობის, საიმედოობის) თვიური და წლიური გეგმების საკონტროლო მაჩვენებლების დასაბუთება, საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებით რეკომენდაციების დამუშავება-მომზადება, ბანკის საქმიანობისათვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ეფექტურობის შეფასება და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაც არ უნდა საინტერესო ამოცანები დაისახოს, იგი განუხორციელებელი დარჩება, თუ არ ჩატარდა შესაბამისი პირობების შესაქმნელად მათი ხელშემწყობი საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობა. აღნიშნულისათვის კი საჭიროა: ჯერ ერთი, შეიქმნას მაჩვენებელთა ბაზა, რომელიც მათი ცვალებადობის დინამიკის ამსახველი ინფორმაციის დაგროვების საშუალებას მოგვცემს; მეორე, საბუღალტრო ბალან-

სის მონაცემთა ანალიტიკური განხილვის საფუძველზე დამუშავდეს ინტეგრირებული მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკა, ასევე მაჩვენებლების დინამიკის, მათი პროგნოზირებისა და საიმედოობის შეფასების მეთოდიკა; მესამე, შეიქმნას ბანკის საქმიანობის მდგომარეობის ცვლილებების გამომხატველი ტენდენციების, საიმედოობის შეფასების განმაზოგადოებელ მაჩვენებელთა განსაზღვრის მეთოდიკა; დაბოლოს მეოთხე, საინფორმაციო-ანალიტიკური მუშაობის ზემოთ აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად ასევე აუცილებელია მისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფაც.

კომერციული ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის ეკონომიკური შინაარსის ქვეშ იგულისხმება კონკურენციის პირობებში, არასასურველი საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბანკის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა.

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ასევე მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, ვინაიდან განვითარებულ ქვეყნებში დაგროვილი კომერციული ბანკის მართვის მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, სამწუხაროდ, თანამედროვე ეტაპზე, ბანკის გაკოტრებისაგან დამცავი, საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკა არ არსებობს. აღნიშნული კი, უპირველეს ყოვლისა, საბანკო საქმიანობის წარმართვის, მართვის პერსპექტიული დაგეგმვის აწყობილი მექანიზმების დამუშავების აუცილებლობას მოითხოვს.

ბანკების გაკოტრების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს საბანკო საქმიანობის პერსპექტიული დაგეგმვის ორგანიზაციის სისტემულე წარმოადგენს. ამიტომ საბანკო საქმიანობის პერსპექტიული დაგეგ-

მვის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს როგორც მაკრო, ასევე მიკრო მაჩვენებლები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა დამანგრეველი ძალით იმოქმედოს ბანკის საქმიანობაზე. პერსპექტიული დაგეგმვა, ერთი მხრივ, მოითხოვს ბანკის ხელმძღვანელობისაგან სპეციალურ კვალიფიკაციას, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ცოდნას და მათემატიკური მეთოდების ეკონომიკურ გამოკვლევებში განხორციელების სპეციალური ჯგუფის საშტატო ერთეულის შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, სშირად კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას. ორივე პირობა, რასაკვირველია, პრაქტიკულად ძნელი შესასრულებელია და ამიტომაც არის, რომ არ არსებობს მდგრადობის მოქმედი სისტემები. აღნიშნული მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ასევე მდგრადობის შეფასებებისა და გადაწყვეტილებების თვალსაზრისით ერთიანი კრიტერიუმების არარსებობა.

ჩვენი აზრით, ასეთ პირობებში კომერციულმა ბანკებმა თავისი საქმიანობა უნდა ააგონ რაოდენობრივი მაჩვენებლების მინიმუმ ოთხ ჯგუფზე დაყრდნობით. ესენია: შემოსავლიანობა (მომგებიანობა), ლიკვიდობა, საიმედოობა და დამატებითი კაპიტალის ზრდის ტემპები (კაპიტალის საკმარისობა).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამჟამად არ არსებობს პირველი სამი ჯგუფის ისეთი მაჩვენებლები, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა რეკომენდაციების ფორმით პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგალითად, ლიკვიდობის გამოანგარიშება ხდება ზოგი მაჩვენებლის მეშვეობით. ბანკის საიმედოობა და მდგრადობა შედარებით ახალი ცნებებია და მათი შეფასება შეთანხმებული დადგენილი მაჩვენებლებით არ ხდება. ჩვენი აზრით, ისინი უფრო ახლო არიან მდგრადობასთან ან ბანკის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. სამამულო ეკონომიკურ

ლიტერატურაში მოცემულია მხოლოდ ხელოვნურად ინტეგრალური განუზომელი მაჩვენებელი – მდგრადობის რეიტინგი, რაც საბანკო საქმიანობის მდგრადობის ყოველმხრივ დასაბუთების სრულ სურათს ვერ ასახავს.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში მდგრადობის შესაფასებლად გამოიყენება მთელი რიგი მაჩვენებლები, რომელთაგანაც მთავარს კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი წარმოადგენს. შემოსავლიანობის, ლიკვიდობისა და საიმედოობის გამომხატველი როგორი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც არ უნდა გამოვიყენოთ, ისინი მაინც ურთიერთწინააღმდეგობაში იქნებიან.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არ არის გამორიცხული, რომ შემოსავლიან (მომგებიან) ოპერაციებს თან სდევდეს ლიკვიდობისა და საიმედოობის შემცირება. მართალია, ლიკვიდობის ზრდა ხელს უწყობს ბანკის იმიჯის აწევასა და მოკლევადიან საიმედოობის გადიდებასაც, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში იგი იწვევს მოგების შემცირებას, ხანგრძლივი დროის მანძილზე საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპების ვარდნას და, აქედან გამომდინარე, ბანკის კონკურენტუნარიანობის შემცირებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მომგებიანობა და კაპიტალის ზრდის ტემპები ურთიერთგანმსაზღვრელი კატეგორიებია, ვინაიდან, რაც უფრო მეტია მოგება, მით უფრო მეტია ბანკის კაპიტალი, და მით მეტია მოგების შესაძლებლობა მომავალში და პირიქით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის მართვის პოლიტიკა რომელიმე ერთ მაჩვენებელზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ მაჩვენებელთა სისტემურ ანალიზს უნდა ემყარებოდეს.

ამისათვის კი საჭიროდ მიგვაჩნია, რომ შეიქმნას შიდა ნორმატივების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს კომერციული

ბანკის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლის მაქსიმალურად მაღალ და დაბალ ნორმატივებს. ასეთი ნორმატივების სისტემაში, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩავრთოთ შემდეგი მაჩვენებლები:

1. საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდე; 2. საკუთარი კაპიტალის მინიმალური საკმარისობა; 3. ლიკვიდობის მაჩვენებლები; 4. რისკის ოდენობა; 5. კრედიტების ლიმიტები; 6. მოსახლეობისგან მოზიდული სახსრების ოდენობა; 7. საკუთარი სახსრების გამოყენების ნორმატივები სხვა იურიდიული პირების აქციათა (წილის) შესაძენად; 8. თამასუქების გირაოს ქვეშ დაკრედიტების დასაშვები ოდენობა; 9. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობა; 10. ეკონომიკის რეალურ სექტორსა და ფასიან ქაღალდებში ბანკების დაბანდებების თანაფარდობა; 11. საწესდებო კაპიტალის საიმედო ნაწილის ზღვრული ოდენობა; 12. მაღალი რისკიანი აქტივებისთვის შექმნილი რეზერვების ოდენობა; 13. კომერციული ბანკების რეფინანსირების განაკვეთი და სხვა.

ზემოთ აღნიშნული ნორმატივების სისტემის საკითხის განხილვისას ჩვენ ვეყრდნობოდით როგორც ეროვნული ბანკის მიერ რეგლამენტირებულ, ისე ფაქტობრივად არსებულ მაჩვენებლებს, რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდეს მოქმედი ნორმატივების პრაქტიკულად წარმოდგენილ რეკომენდაციებში (იხილეთ ნორმატიული სისტემის სქემა №9).

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნორმატივების სისტემა პრაქტიკული ხასიათის მოდელია, სადაც გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, მოქმედი ნორმატივების გამოყენების გაუმჯობესების რეკომენდაციები და, მეორე მხრივ, ახალი ნორმატივების შემოღება და მათი ამოქმედების მექანიზმის შემუშავება. მოქმედი ნორმატივები ყოვ-

ელთვის შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შეფარდებითი მაჩვენებლების კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის ხარისხს. იგი გულისხმობს იმ მეთოდების მოძიებას, რომელებიც მნიშვნელოვანია საბანკო საქმიანობაში არაკლასიკური ოპტიმიზაციის ამოცანების რაციონალური გადაწყვეტისათვის.

სქემა №9

კომერციული ბანკების საიმედო და მდგრადი ფუნქციონირებისათვის ეკონომიკური პირობების უზრუნველმყოფი შიდა სტანდარტები (ნორმატივების სისტემა)

მაჩვენებლები	მოქმედი და დასანერგი ნორმატივები	რეკომენდაციები
1. საქართველოს კომერციული ბანკების საკუთარი სახსრების მინიმალური ოდენობა	ეროვნულმა ბანკმა დაადგინა საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა: მოქმედი კომერციული ბანკებისთვის 1999 წ. 30 ივნისისთვის – 2 მლნ ლ.; 1999 წ. 31 დეკემბრისთვის – 3 მლნ ლ.; 2000 წ. 30 ივნისისთვის – 4 მლნ ლ.; 2000 წ. 31 დეკემბრისთვის – 5 მლნ ლ.	მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობის დიფერენციაცია უნდა მოხდეს შემდეგი პოზიციების მიხედვით: ა) უნივერსალური, სპეციალიზებული ბანკები, საკრედიტო დაწესებულებები; ბ) სპეციალიზაცია და ბანკის რეგიონი; გ) ბანკის ძირითადი კლიენტების თავისებურებანი და პარამეტრები.

2. ეროვნული ბანკის რეფინანსირებისა და ფულადი ბაზრის სხვა ძირითადი განაკვეთები	დასანერგი ნორმატივები: ეროვნული ბანკის მიერ უნდა დადგინდეს: ა) რეფინანსირების წლიური განაკვეთი; გ)overnight კრედიტის განაკვეთი. არსებული ნორმატივები: ეროვნული ბანკის მიერ ლომბარდული კრედიტის სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება უმცირესი მიმოქცევის ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებების ბოლო აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, გაზრდილი 5 პუნქტით.	რეფინანსირების განაკვეთი უნდა იცვლებოდეს ლომბარდული კრედიტების აუქციონების მიხედვით განაკვეთების შეცვლასთან ერთად. ამასთან, ეს განაკვეთები მიახლოვებულ უნდა იქნეს ბანკთაშორის საკრედიტო ბაზრის განაკვეთებთან, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კაპიტალის ფინანსური სტრუქტურებიდან საწარმოო სფეროში გადადინებას. ლომბარდული კრედიტების და overnight-ის კრედიტების განაკვეთები დიფერენცირებულ უნდა იქნეს და გამოიყენებოდეს როგორც ეროვნული ბანკის სტრუქტურული პოლიტიკის ინსტრუმენტი.
3. კომერციული ბანკების საკუთარი კაპიტალის საკმარისობის ნორმატივები	ეროვნულმა ბანკმა დაადგინა: ა) პირველადი კაპიტალის შეფარდება რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კ1>12%; ბ)მთლიანი კაპიტალის შეფარდება რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კ>15.	საერთაშორისო საბანკო სტანდარტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის 10%-მდე დაყვანა და, ამასთან, უნდა გაფართოვდეს კაპიტალის საკმარისობის ცნება.

ბანკის ლიკვიდობის ნორმატივები	არსებული ნორმატივები ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია: ა)საშუალო თვიური ლიკვიდობა 30%; ბ) ლიკვიდური აქტივების შეფარდება მთლიან ვალდებულებებთან 30%; გ)მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან 100% +/-10%.	საფინანსო ბაზრის არამდგრადობის პირობებში უმეტესი კომერციული ბანკებისთვის მინიმალური ლიკვიდობა უნდა შეადგენდეს 40%. მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგიური მაჩვენებლის დონე განისაზღვრება 20-დან 50%-ის ფარგლებში; მეტად მნიშვნელოვანი იქნება გრძელვადიანი დაბანდებების თანხების გრძელი ვადით მოზიდული სახსრების თანხებთან შეთანაწყობა, ანუ დაბალანსების პოზიციის გაფართოება.
5. რისკის ოდენობა	ეროვნული ბანკის დადგენილებით: ა)უმსხვილესი კრედიტორის საერთო თანხა შეფარდებული ბანკის მთლიან ვალდებულებებთან არ უნდა აღემატებოდეს 20%; ბ) ათი უმსხვილესი მსესხებლისთვის გაცემული კრედიტების თანხა შეფარდებული მთლიან კაპიტალთან არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.	ყველა, განსაკუთრებით საერთო-ეროვნული მნიშვნელობის მქონე საწარმო-მონოპოლისტებისათვის, ბანკისთვის, ინდივიდუალურად დადგინდეს ლიმიტები ამ მაჩვენებლების მიხედვით. ადგილობრივი მნიშვნელობის ბანკებისათვის ეს მაჩვენებლები უნდა დადგინდეს სებ-ის ფილიალებისა და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლების მიერ. გაფართოვდეს რისკის კრიტერიუმები, დაემატოს აქტივები, მსესხებლის კაპიტალი, პროექტის ღირებულება.

6. ინსაიდერებისა და აუტსაიდერებისთვის გასაცემი კრედიტების ლიმიტები	ეროვნული ბანკის დადგენილებით: ა) ერთი ინსაიდერისათვის გაცემული კრედიტების ოდენობა მთლიან კაპიტალთან შეფარდებით არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს; ბ)ყველა ინსაიდერისათვის გაცემული კრედიტების ოდენობა მთლიან კაპიტალთან შეფარდებით არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს; გ)ერთი აუტსაიდერისათვის გაცემული კრედიტების ოდენობა მთლიან კაპიტალთან შეფარდებით არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს.	ეს შეზღუდვები უნდა მოეხსნას იმ ბანკებს, რომლებიც ოფიციალურად არიან სამრეწველო-საფინანსო გაერთიანების წევრები. ეს ნორმატივები უნდა დაწესდეს საბანკო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალთან ინტეგრაციის სხვა ფორმების გათვალისწინებითაც. კრიტერიუმის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფარული რისკებიც, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებში ფართოდ არის გამოყენებული.
7. ბანკების მიერ სხვა იურიდიული პირების წილის (აქციების) ფლობის ოდენობის განსაზღვრა	ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია: კომერციულ ბანკს უფლება აქვს ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის არა უმეტეს 20%-ის შესაბამის წილს. ამასთან, ეს წილი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის კაპიტალისა და რეზერვების ჯამური ოდენობის 15%-ს.	გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამრეწველო-საფინანსო ჯგუფის წევრთა განსაკუთრებული მდგომარეობა, ასევე დაფინანსების პროექტების სქემების თავისებურებანი და საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთინტეგრაციის ფორმები.

8. საწესდებო კაპიტალის არასაიმედო ნაწილის ზღვრული ოდენობა	უნდა განისაზღვროს საწესდებო კაპიტალის არასაიმედო ნაწილის ზღვრული მოცულობა.	აუცილებელია ყოველკვარტალური კონტროლი (პრაქტიკა ცხადყოფს რომ გაკოტრებული ბანკები კაპიტალდაბანდებების უმეტეს ნაწილს აბანდებდნენ უძრავ ქონებაში).
9. სავალდებულო რეზერვების ოდენობა ეროვნული ბანკის მიერ	დადგენილია სავალდებულო რეზერვების განაკვეთი 14%-ის ოდენობით.	აუცილებელია მოხდეს განაკვეთების დიფერენციაცია დეპოზიტების, ანაბრების ოდენობის ვადებისა და მსესხებლების თავისებურებების გათვალისწინებით.
10. საკუთარი სათამასუქო ვალდებულებების დასაშვები რისკის ოდენობა	კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული სათამასუქო ვალდებულებების დასაშვები რისკის ოდენობის მოცულობა საწყის ეტაპზე უნდა შეადგენდეს საწესდებო კაპიტალის 100%.	შემდგომში ნორმატივის შემცირება უნდა მოხდეს მხოლოდ თამასუქების გამოშვების სრული, რეალური კონტროლის შემდეგ, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს სპეკულაციური თამასუქების მიმოქცევიდან ამოღებას.

11. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობა	საჭიროა ბაზარზე მიწოდება — მოთხოვნის კანონის მოქმედებიდან გამომდინარე, განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების შემოსავლების კოტირება მოქმედი კანონების მოთხოვნათა გათვალისწინებით.	კომერციული ბანკების მდგრადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობა უნდა მცირდებოდეს და უტოლდებოდეს ბანკთაშორისო კრედიტების საშუალო განაკვეთებს. ასევე აუცილებელია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დიფერენციაცია მათი რეალური რისკის ხარისხის მიხედვით.
12. ბანკების მიერ ეკონომიკის რეალურ სექტორში და ფასიან ქაღალდებში დაბანდებების ურთიერთშეფარდება	რეალობიდან გამომდინარე, უნდა დამუშავდეს ბანკების მიერ ეკონომიკასა და ფასიან ქაღალდებში დაბანდებების ურთიერთშეფარდების ეკონომიკური მაჩვენებელი.	აუცილებელია შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ კომერციულმა ბანკებმა განახორციელონ დაბანდებები ეკონომიკის რეალურ სექტორში, ამასთან, უნდა დადგინდეს საგადასახადო შეღავათები და დიფერენციაცია დაბანდების ობიექტების მიხედვით.
13. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების მიზნობრივი	არსებული რეალობიდან გამომდინარე, კომერციული ბანკები კრედიტებს გასცემენ მოკლე ვადით და მაღალი საპროცენტო	შემუშავდეს კონკრეტული პროექტები მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად ეროვნული ბანკისა და ბიუჯეტის ფონდების გარანტიით. პრაქტიკაში

პროგრამების დასაფინანსებელი კრედიტები	განაკვეთებით.	დაინერგოს გრძელვადიანი კრედიტები (3-10 წლამდე) ინფლაციის პროცენტზე დაბალი განაკვეთით და კრედიტის დაბრუნება მოხდეს პროდუქციის სახით, სახელმწიფო შეკვეთის ანგარიშზე.

თუ საქართველოს კომერციული ბანკების ხელმძღვანელები გაითვალისწინებენ ბანკის საქმიანობის შეფასებისას საიმედოობისა და მდგრადობის კომპლექსურ მაჩვენებელთა უცხოეთში უკვე გამოცდილ სისტემას, ვფიქრობთ, შეძლებენ ლიკვიდობისა და მომგებიანობის პრინციპების თანაბარ დაცვას, ლიკვიდობა-მომგებიანობის წინააღმდეგობრივი პრობლემების გადაწყვეტას, რაც გავლენას მოახდენს ცალკეული კომერციული ბანკისა და მთელი საბანკო სისტემის სტაბილურ განვითარებაზე. ძლიერი საბანკო სისტემა კი ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცების საფუძველი უნდა გახდეს, თავის მხრივ, საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება უფრო მძლავრს გახდის ქვეყნის საბანკო სისტემას, გაზრდის ეკონომიკაში საკრედიტო დაბანდებების მოცულობას, მათი მიზნობრივი გამოყენების საფუძველზე უკუგების მაჩვენებლებს და, საერთო ჯამში, შექმნის პირობებს ლიკვიდობა-მომგებიანობის წინააღმდეგობრივი პრობლემის გადაწყვეტაში.

თავი IV

კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების პრობლემები

§1. კომერციული ბანკების ლიკვიდობის კრიტერიუმის ფორმირება

ბანკის ლიკვიდობა ეს არის აქტივების გადახდის საშულებად გამოყენებისა და მისი ნომინალური ღირებულების შენარჩუნების შესაძლებლობა. ბანკი ითვლება ლიკვიდურად, თუ მის განკარგულებაში არსებული თანხები საკმარისია პასივების მიხედვით ვალდებულებების დროულად და სრულად დასაფარავად [1].

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ლიკვიდობის ცნების შინაარსის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ეკონომისტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ლიკვიდობის ცნების ქვეშ იგულისხმება: ბანკის უნარი, შეასრულოს სასესხო ვალდებულებები შესაბამის დროსა და შესაბამისი მოცულობით [2]; უნარი ნაღდი სახსრების შეძენისა ხელსაყრელი ფასით [3]; ბანკის შესაძლებლობა დროულად და სრულად შეასრულოს თავისი სასესხო ვალდებულებები ყველა კონტრაგენტის წინაშე [4]. მეორე ნაწილს ეკონომისტებისა მიაჩნიათ, რომ კომერციული ბანკის ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პირობა ლიკვიდობის დაცვაა ანუ მოზიდული სახსრების მფლობელების მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება, ასეთი ვალდებულე-

---

[1] И. Ковзанадзе. Контроль за деятельностью коммерческих банков, журналь Финансы, №10 Москва, 2000. ст.71.

[2] Матук Ж.Финсовые системы Франций и других стран. В 2-х тт. Пер.с фр. Т.1. в 2 кн. /Кн./. АО Финстатинформ, М.1994. ст.326.

[3] Т. Кох, Управление банком: Пер.с англ. в 5 кн. 6-и частях .Уфа., Спектр, 1993. ст.224.

[4] Банковкое дело: Учебник /Под ред. В.И.Колесникова, проф.Л.П. Кроливецкой М. Бизнес и банки, 1995. ст. 480.

ბების მიხედვით ანგარიშის დროულად გასწორება[1]; საბანკო ლიკვიდობის მართვა განხილულ უნდა იქნეს, როგორც სახსრების შექმნის პროცესი, რათა მას ჰქონდეს სახელშეკრულებო ან ტრადიციული ვალდებულებების გადახდის საშუალება მისაღები ფასით ნებისმიერ დროს [2].

ისმება კითხვა: ლიკვიდობის ცნების რომელი განმარტებაა სწორი? ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ და განვსაზღვროთ საკუთარი პოზიცია, განვიხილოთ ეს შეხედულებები.

ყველა ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ემყარება ლიკვიდობის ცნების განსაზღვრის შესახებ საერთო საფუძველს, კერძოდ, კომერციული ბანკების მიერ ვალდებულებების მიხედვით გადახდის უზრუნველყოფას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტიმოთი უ. კოხის მიერ ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისას, მართალია, არ არის ვალდებულებათა მიხედვით გადახდაზე ყურადღება უშუალოდ გამახვილებული, მაგრამ მთლიანად კონტექსტს თუ კარგად დავუკვირდებით, ნათლად ჩანს, რომ ნაღდი ფულის შეძენის უნარი აუცილებელია არა ბანკის სალაროს შესავსებად, არამედ „სასესხო ვალდებულებების ანგარიშსწორების განსახორციელებლად“ (ხაზგასმა ჩვენია, — ი.კ.).

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ საკითხის შესწავლამ ასევე დაგვანახვა, რომ კვლევაში ხშირად იყენებენ ლიკვიდობის გამომხატველ ისეთ ურთიერთდაკავშირებულ ცნებებს, როგორიცაა: ლიკვიდური აქტივები, აქტივის (ქონების) ლიკვიდობა, საწარმოს ლიკვიდობა. ლიკვიდურ აქტივებში იგულისხმება სალაროს ნაღდი ფული და ზოგიერთი სხვა აქტივი, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაიქცევა ნაღდ ფულად, კერძოდ, სახსრები ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე, სახსრე-

[1] Ямполский М.М Ликвидность банков и кредитная политика.. М. Дело, 1992. ст. 11.

[2] Синки Д.Ж. (мл) Управление финансами в коммерческих банках: Пер. с англ. 4-ое изд. М.Catalaxy, 1994. ст. 947.

ბი ანგარიშსწორების ანგარიშზე პირველი კლასის ბანკებში, ასევე ყველაზე ცნობილი საიმედო კომპანიების საფინანსო ბაზარზე კოტირებადი ფასიანი ქაღალდები. „ლიკვიდური აქტივების“ ცნება უკავშირდება სტაბილურად პროგნოზირებადი ფასით სწრაფად რეალიზაციის შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს არსებითი დანაკარგების გარეშე მათი სწრაფად შეძენის ფართო ბაზარს.

აქტივების ლიკვიდობა გვევლინება როგორც შეფარდებითი სიდიდე, ვინაიდან მათი გაყიდვა ბოლოს და ბოლოს ყოველთვის შესაძლებელია. მაგრამ მთავარია რა ფასად? აქტივების ლიკვიდობის ცნებების მთავარი შინაარსი აქტივის ფულად გადაქცევის ფასშია, საყოველთაოდ მიღებულია, რომ ყველაზე არალიკვიდური აქტივია უძრავი ქონება, ვინაიდან მას გააჩნია მაქსიმალური ოდენობის ინდივიდუალური მახასიათებლები და პრაქტიკულად არ ექვემდებარება სტანდარტიზაციასა და უნიფიცირებას. რაც მეტია მახასიათებელი, მით უფრო ძნელდება მყიდველის მოძებნა, რომელსაც დააკმაყოფილებს ყველა თავისი პარამეტრებით. აქტივის ფულად გადაქცევის ფასში ვლინდება აქტივსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ყველა აქტივის განლაგებას ლიკვიდობის კიბეზე ზრდადობის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად საშუალებებს, აღჭურვილობას, ტექნიკას, დაუმთავრებელ წარმოებას, სასაქონლო მარაგებს, მზა პროდუქციას (საწარმოებისათვის), ბანკის სხვადასხვა კრედიტს, რომლებიც განსხვავდებიან უზრუნველყოფითა და დაბრუნების ვადებით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ბანკებისა და საწარმოების აქტივების მუხლებში. ეს აქტივები საშუალო ლიკვიდურად ითვლება იმიტომ, რომ ბალანსში მათ დომინირებული ადგილი უკავიათ და ფაქტობრივად იმასაც გან-

საზღვრავენ, თავად ბანკის ლიკვიდობის რომელ ჯგუფთან არიან უფრო ახლოს, კერძოდ, დაბალი ლიკვიდობის თუ მაღალი ლიკვიდობის აქტივებთან? ამ კითხვაზე პასუხს თავად ლიკვიდობის არსის ეკონომიკური შინაარსი განსაზღვრავს. ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისია მოვიყვანოთ კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა – რეგულირების შესახებ სახელმძღვანელოში ლიკვიდობის ცნების განმარტება, სადაც აღნიშნულია, რომ „ლიკვიდობა წარმოადგენს ბანკის უნარს გაითვალისწინოს ვალდებულებების შემცირება და უზრუნველყოს აქტივების ზრდა“ [1].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე გვხვდება ლიკვიდობის ორგვარი განმარტება-გაგება, კერძოდ, „ლიკვიდობა შეიძლება გავიგოთ, როგორც მარაგი ან როგორც ნაკადი“ [2]. ასეთივე გაგებით განიხილავს ლიკვიდობის არსს ლ. არისიც [3]. ლიკვიდობის შესახებ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს არა ლიკვიდობის სხვადასხვა გაგებასთან, არამედ ლიკვიდობის ორი განსხვავებული სახის გამოყოფასთან. ლიკვიდობა ორივე შემთხვევაში განიხილება ერთნაირი თვალსაზრისით, როგორც გადახდისუნარიანობა, მაგრამ განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან გადახდისუნარიანობის შეფასების მეთოდებით.

აქედან გამომდინარე, ლიკვიდობა შეიძლება ორი მეთოდით განისაზღვროს: საბალანსო ანგარიშის „მარაგის“ და „ნაკადის“ თვალსაზრისით („შენატანების პროგნოზისა“ და „ლიკვიდური

---

[1] „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო“. თბ., საქართველოს ეროვნული ბანკის გამომცემლობა, 1999. გვ. 74.

[2] Рид Э, Коттер Р, Гилл Э., Смит Р.Коммерческие банки Пер. англ.-М.: Космополис,1991. ст.501.

[3] Харрис Л.Денежная теория: Пер с-англ.- М.: Прогрес, 1990. ст.750.

აქტივების“ გადინების გათვალისწინებით). აღნიშნული ორი მეთოდი განსაზღვრავს ასევე ლიკვიდობის ორ განსხვავებულ სახესაც: სტატიკურსა და დინამიკურს. აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ისიც, რომ (როგორც ეს წინა თავებში ზოგადად აღინიშნა) ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსების მიუხედავად, აუცილებელია მათ შორის განსხვავების დანახვაც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ლიკვიდობა, ჩვენი აზრით, ვალდებულებების დროული დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ლიკვიდობის დროებითი არარსებობის შემთხვევაში ბანკს შეუძლია არ გასცეს დეპოზიტი დღეს და გადაიხადოს ჯარიმა დაყოვნებისათვის, ხოლო ბანკში სახსრების შემოსვლის შემდეგ გასცეს დეპოზიტი, აღადგინოს ლიკვიდობა. ამ შემთხვევაში გადახდისუნარიანობა დარჩება ისეთივე, როგორიც იყო იგი ვალდებულების ვადაში შესრულებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუნარიან ბანკად იგულისხმება ის ბანკი, რომელსაც შეუძლია ადრე თუ გვიან შეასრულოს ვალდებულებები. ლიკვიდურია ბანკი, რომელიც ვადაში ასრულებს ყველა ვალდებულებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკური ფენომენის „პირამიდის“ შემთხვევაშიც ხორციელდება მოზიდული სახსრების მეშვეობით ვალდებულებების დაფარვა გადახდის ვადის დადგომისთანავე. ამასთან, „პირამიდული“ სისტემა ლიკვიდურია, მაგრამ არაგადახდისუნარიანი. ფულადი სახსრების ნაკადის შეწყვეტის შემთხვევაში ასეთი სისტემა არალიკვიდური ხდება.

როგორც ვხედავთ, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირია. არალიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის სიტუაციის შეუსაბამობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან შეუსრულებელ ვალდებულებე-

ბზე ჯარიმების მოცულობა ყოველდღიურად გაიზრდება. განსაზღვრული ზღვარის მიღწევის შემდეგ არალიკვიდობა მიგვიყვანს გადახდისუუნარობამდე, ვინაიდან ვალდებულებები უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება, ვიდრე აქტივები. ამ შემთხვევაში, თუკი ბანკმა შეძლო ლიკვიდობის აღდგენა ამ ზღვრამდე მისვლამდე, მაშინ ლიკვიდობის კრიზისი დროებითი ხასიათის მატარებელი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ლიკვიდობის კრიზისიდან გადახდისუუნარობის კრიზისში გადავა. ლიკვიდობის კრიზისის დროს გადახდისუნარიანობის აღდგენა უფრო ძნელია, ვიდრე ლიკვიდობის აღდგენა გადახდისუნარიანობის დროს.

ბანკის ლიკვიდობის განმსაზღვრელი შიდა ფაქტორებია: ბანკის აქტივების ლიკვიდობა და შემოსავლიანობა, მენეჯმენტის ხარისხი, კადრების კვალიფიკაცია, ბანკის კარგი სახელი (GOODWILLS), ბანკის პასივების სტრუქტურა ვადიანობის მიხედვით.

ლიკვიდური ბანკის აქტივების სტრუქტურა ოპტიმალური სახით უნდა შეესაბამებოდეს ლიკვიდურ და შემოსავლიან აქტივებს (იხილეთ ცხრილი №17).

როგორც ცხრილის მონაცემები მოწმობს, საქართველოს კომერციული ბანკების აქტივებში ლიკვიდური აქტივები მეტის-მეტად დიდი ხვედრითი წილით ხასიათდებიან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბანკის მომგებიანობას, ვინაიდან ლიკვიდურ აქტივებს ჩვეულებრივ შემოსავალი არ მოაქვთ. ერთერთი ყველაზე ლიკვიდური აქტივები – სალაროში არსებული ნაღდი ფული და ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკში საკორესპოდენტო ანგარიშზე არსებული სახსრებია. ბანკი მოიზიდავს სახსრებს დეპოზიტების სახით, თუ ამ მოზიდულ სახსრებს ბანკი დატოვებს სალაროში ნაღდი ფულის სახით და საკორე-

ცხრილი №17

საქართველოს კომერციული ბანკების აქტივების სტრუქტურა
2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარებში)

ბანკის დასახელება	სალარო	სარეზ. ანგარიში	სალარო და ანგარიშზე ვალუტაში	ანგარიში ბანკთაშორის ოპ.	დებიტორები	ტერიტორიის დაწესებულებები	ბანკების დებიტორები	დამატებით ქვედებები	ძირითადი საშუალებები	სხვა აქტივები	სულ აქტივები
1 სს „ავრორა-კრედიტი"	2,346,607	4,774,316	2,560,998	23,088,298	794 081	38,007,648	383,409	2,058,345	19,856,018	2,616 130	96,436 350
2 სს „საქართველოს ბანკი"	1,161,391	6,132,082	3,246,371	8,215,781	864 712	44,066,570	-	883,442	12,942,888	111 98	79,027,438
3 სს „თიბისი ბანკი"	593,526	13,681	163,285	5,181,190	81,241	3,124,752	2,167	23,198	9,652,183	826,741	17,862,254
4 სს „ბაზა ბანკი"	4,497	39,020	9,076	1,659,024	1,751	862 459	-	4,825,000	2,264,322	128,935	9,794,084
5 სს „ბანკი ფინანსური"	1,032 729	3,210 241	3,557,690	2,100 907	1,136,014	13,411,170	280,939	252,930	21455[98]	4,941,363	52,389,161
6 სს „თბილისის ბანკი"	509 735	973,000	2,481,014	2,640 089	840,202	23,110,092	-	407,575	4,301,167	193,309	39,567,313
7 სს „ლიბერთი"	41,056	381,805	1,495,721	1,770,233	7,795	2,556,849	421,984	495	85,637	16,255	6,727,830
8 სს „ბანკი ქართუ"	357,001	476 442	817,699	8,423,861	16,976	9,205,420	-	180	1,222,612	11,525,719	32,845,910
9 სს „ინვესტბანკი"	314 067	106,436	41,696	487,322	193,414	2,273,512	-	-	814 047	7 454	4,237,708
10 სს „ბანკი კონსტრუქცია"	189, 324	114,654	212,701	212,119	132,251	2,097,833	-	7,875	737,831	551,025	4,284,613
11 სს „ფინკრედიტბანკი"	13,797	73,623	97	98,350	45,094	2,673,219	-	900	80,585	6,113	2,991,608
12 სს „ინტერბანკი"	236,629	670,245	1,169,316	5,656,126	299,121	21,085[07]	-	33,400	3,515,328	281,959	32,947,395
13 შპს „ბანკი ფინანსი"	13,005	16,841	2,519	639,056	999	3,871,742	-	-	246,625	34 930	4,825,717
14 შპს „ბანკი ფინანსური"	1,232,102	1,859,154	1,610,483	1,954,304	230,001	12,103,204	289,500	279,068	1,512,457	4,629	23,375,203
15 შპს „თანამედროვე ბანკი"	95,163	17 709	277 483	31,536	-	3,177,860	-	-	42,490	-	3,642,541
16 შპს „ბანკი"	2,577	90,000	271	20,165	22,228	1,059,892	-	4,031,842	38,744	4,157	5,269,876
17 სს „ევროპულ-აზიური ბანკი"	1,591	82,960	556	8,747	2,700	1,395,390	-	-	971,848	18 950	2,487,742
18 სს „ბანკი ფინანსური"	1,224	126,343	11,600	2,484	1,147	3,062,961	-	17 589	125,953	87,10"	3,436,468
19 შპს „ბანკი"	1,331	17,319	17,326	755,617	9,482	2,139 903	-	-	280,251	2,125	3,513,404
20 სს „ბანკი ფინანსური"	86	74,167	313,925	31,147	192,142	2,550,646	-	3,100,110	335,886	2,418,412	9,016 571
21 სს „ბანკი ალფა"	9,48,833	4,018,555	1,974,440	14,056,850	1,167,803	48,465,601	965,000	2,633,122	3,433,069	486 663	88,139,936
22 სს „ბანკი ფინანსი"	36,643	82 768	66	86,489	1,436	2 353,334	-	-	264,462	129 852	2,954 050
23 შპს „ბანკი ბანკი"	170,077	1,286	408,899	88	-	2,934 969	-	-	150,856	324	3,666,501
24 შპს „ბანკი ბანკი"	820,739	76,337	474,916	91,626	-	2,289,046	-	-	149,212	-	3,903,876
25 სს „ბანკი ფინანსი"	48,446	171,475	47,035	851,894	158,156	1,677 574	-	893,686	593,398	27,756	4,469,420
26 სს „ბანკი ინვესტიციური ბანკი"	127,303	57,127	324,280	3,156 142	28,206	6,036,493	482,500	-	747,260	18,067	10,977,678
27 სს „ბანკი ბანკი"	847,767	3,141,591	1,341,324	5,719,995	1,482,307	19,761,812	-	1,363,117	2,176,970	284,255	34,729 165
28 სს „ბანკი ფინანსი"	81,009	43 471	13,890	1,136	401,947	1,941,261	-	-	111,225	1,300	2,707,129
29 სს „ბანკი ბანკი"	1,915,828	227,199	11,116	478 342	589,181	2,738,498	-	48,750	41,074	3,804	5,333,652
30 სს „ინვესტიციური ბანკი"	581,763	573,809	291,665	1,910,332	518,819	8,917, 61	-	518,961	1,65[,075	549,525	15,516,380
31 შპს „თანამედროვე ბანკი"	67,926	427,965	326,791	964,531	26,459	4,825,458	868,500	6,917	483,021	48,253	8,038,821
32 სს „ბანკი"	202,438	123,502	283,891	177,660	27,292	2,354,008	96,200	-	10,613	64 819	3,110,423
33 სს „ბანკი ქართული კაპიტალი"	29,935	335,071	1,455,550	1,729,760	20,130	2,715,645	-	57,409	118,386	45,962	6,507,848
34 სს „ბანკი"	58,237	279 523	117,148	728,018	352,145	1,229,053	-	-	1,218 207	400	3,982,961
35 სს „ინვესტიციური ბანკი"	127,579	1,005,522	237,618	1,600,324	50,304	6,305,725	-	411,540	3,426 505	895,386	14,063,512
36 სს „ბაზა ბანკი ინვესტბანკი"	16,801	293	-	90,046	405,439	1,629,893	-	589,170	2,335,680	630,106	5,697,428
37 „ფინექს ბანკი" ობლიგების ფული	73,198	73,198	1,080,038	21532,021	238,569	4,000,000	2,316,000	-	158,472	19,853	30,595,704
სულ	15,774,173	30,044,188	26,368,785	93,252,221	10,429,763	306,736,134	6,076,199	22,144,657	80,750,591	27096976	618,967,637

სპოდენტო ანგარიშზე, მაშინ ეს იქნება ყველაზე საიმედო დაბანდება და ბანკს ექნება ლიკვიდური აქტივების დიდი ხვედრითი წილი, მაგრამ განსაზღვრული პერიოდის შემდეგ აუცილებელია არა მარტო დეპოზიტის, არამედ მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნება. ბანკი დააბრუნებს დეპოზიტს, მაგრამ ვერ გასცემს პროცენტს, რადგანაც ბანკს არავინ გადაუხდის პროცენტს სალაროში ნაღდი ფულის შენახვისათვის და არც საკორესპოდენტო ანგარიშზე არსებული თანხებისთვის ბანკი ვერ შეძლებს შეასრულოს სადეპოზიტო ხელშეკრულების პირობები და გადაიხადოს პროცენტები ანუ ის გახდება არალიკვიდური ბანკი.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ბანკის ლიკვიდური აქტივების გაზრდა ავტომატურად არ იწვევს თვითონ ბანკის ლიკვიდობის ამაღლებას. ამავე დროს, შემოსავლიანი აქტივების დიდ ხვედრით წილს პასივების მიხედვით ვალდებულების შესრულების პირობით, მივყავართ ბანკის მაქსიმალურ ლიკვიდობამდე. მაგალითად, ბანკმა პასივში მიიღო მხოლოდ საკუთარი სახსრები. იმისთვის, რომ მან მიაღწიოს მაქსიმალურ ლიკვიდობას, ყველა სახსარი უნდა მიმართოს აქტიური შემოსავლიანი ოპერაციებისაკენ, სალაროსა და საკორესპონდენტო ანგარიშის ნულამდე დაყვანით. ამით ლიკვიდური აქტივების ხვედრითი წილი ნულის ტოლი იქნება. თუმცა ამ დროს ბანკს ექნება ყველაზე მაღალი ლიკვიდობა და საიმედოობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბანკის ლიკვიდობა დამოკიდებულია არა აქტივების ან პასივების სტრუქტურაზე, არამედ მათ შესაბამისობაზე. ამ შემთხვევაში საჭიროა გამოვიკვლიოთ ურთიერთკავშირი ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის. ამ ორ ცნებას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მჭიდრო კავშირი აქვთ გადახდისუნარიანობასთან.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი რომ, ლიკვიდობა არ შეესაბამება მომგებიანობას. როგორც წესი, ისინი თანხვედრნი არიან, აძლიერებენ ერთმანეთს, მაგრამ ხანდახან შორდებიან კიდეც. სიტუაცია „ლიკვიდობა-არამომგებიანობა“ ანალოგიურია ჩვენ მიერ განხილული „ლიკვიდობა-გადახდისუუნარობის“ სიტუაციისა, როცა ვალდებულებების შესრულება ხდება ახლად მოზიდული სახსრებით.

საინტერესოა „არალიკვიდობა-მომგებიანობის“ სიტუაცია. მომგებიანობის განსაზღვრებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლების ფორმირება შესაძლებელია ქონების ერთი ფორმით, ხოლო გასავლებისა და სხვა ვალდებულებების შესრულება აუცილებელია სხვა ქონებით. ერთი ფორმის მეორედ კონვერტაციისათვის აუცილებელია დრო და ამ დროის განმავლობაში ბანკი იქნება არალიკვიდური, მაგრამ მომგებიანი. მოვიყვანოთ მაგალითი, კრედიტის დაუფარაობისას ბანკი მიმართავს იძულებით ანაზღაურებას – გირაოს, მაგალითად, შენობის მეშვეობით. შესაბამისი ბუღალტრული გატარებებით იფარება თვითონ კრედიტი და საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტები, ძირითადი საშუალებების ანგარიშზე აისახება შენობის შეფასების თანხა. კრედიტის გაცემით მიღებული პროცენტები შემოსავალში აისახება და წარმოიშობა მოგება. თუმცა, ბანკმა დეპოზიტის დაბრუნება, ხელფასის გაცემა და მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოახდინოს ლიკვიდური ფულადი საშუალებებით და სანამ იგი შენობის რეალიზაციას განახორციელებს, ადგილი აქვს ერთდროულად არალიკვიდობისა და მომგებიანობის პერიოდს.

საქართველოს ბანკები, რომლებიც მოზიდულ რესურსებს განათავსებენ ვალუტაში, რეგულარულად აწყდებიან კონვერტაციის ამ პრობლემას. ამ ბანკებს შემოსავალი უმთავრესად

უცხოურ ვალუტაში აქვთ, ხოლო გადასახადების გადახდა აუცილებელია ლარებით. რესურსები მოიზიდება უცხოურ ვალუტაში, ხოლო სავალდებულო რეზერვების ფონდში გადარიცხვები ლარებით ხორციელდება.

ასეთ ბანკებში ლიკვიდობის დროებითი კრიზისი განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს სავალდებულო რეზერვების ფონდში გადარიცხვების ნორმების მკვეთრი ზრდის დროს. გრძელვადიან არალიკვიდობას მივყავართ არამომგებიანობისაკენ (ჯარიმების ზრდის გამო), ხოლო არამომგებიანობას — არალიკვიდობისაკენ და მხოლოდ მომგებიანობა ლიკვიდობასთან ერთად ამაღლებს და აძლიერებს ერთიმეორეს.

გავრცელებულია აზრი ლიკვიდობისა და მომგებიანობის ურთიერთწინააღმდეგობის შესახებ: ან ლიკვიდობა, ან მომგებიანობა — ასეთია ის დილემა, რომლის წინაშეც ბანკის ხელმძღვანელობა დგას. არსებობს მოსაზრება ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის წონასწორობის მოდელის შესახებ [1], თუმცა, ჩვენი აზრით, ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის წონასწორობის პრობლემის დაყენება თეორიულად არაკორექტულად და პრაქტიკულად უსარგებლოდ მიგვაჩნია

განვითარებული ქვეყნების ბანკების მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა რეალობაში აჩვენა „მოგება ან ლიკვიდობის“ ალტერნატივის არარსებობა [2]. მომგებიანობისა და „ლიკვიდობის“ მაჩვენებლებს, ცხადია, აქვთ არა უკუპროპორციული, არამედ პირდაპირპროპორციული კორელაცია. გარდა ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბანკის აქტივების ზრდას თან ახლავს ლიკვიდობის შემცირების ტენდენცია. ბანკი, რაც უფრო მსხვილია, მით უფრო ნაკლებად ლიკვიდურია.

---

[1] Principles of banking. Amerikan Bankers Association. Fourth edition,1991.45 p.

[2] Busines Week, January.1994, 22-26 p.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე, ლიკვიდური აქტივების შემოსავლიან ოპერაციებში გადაყვანით, ბანკი აუარესებს სტატიკურ და შესაძლოა მოკლევადიან ლიკვიდობასაც. ამ დროს უმჯობესდება გრძელვადიანი ლიკვიდობა და თანაც უფრო მეტად, თუ ოპერაციები საიმედოა. ამიტომ ლიკვიდობასთან კომპლექსური მიდგომის დროს დილემა – „მოგება ან ლიკვიდობა“ აზრს კარგავს.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ბანკის იმიჯი ზეგავლენას ახდენს რესურსების მოზიდვის შესაძლებლობაზე, რომლებიც, თავის მხრივ, აუცილებელია აქტიური შემოსავლიანი ოპერაციებისა და პასივების ვალდებულებების შესრულებისათვის, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ბანკის ლიკვიდობას. ბანკის ლიკვიდობა ზეგავლენას ახდენს მისი მიზნების მიღწევაზე. რაც უფრო მაღლია ბანკის ლიკვიდობა, მით უფრო სწრაფად აღწევს ბანკი დასახულ მიზნებს; ასევე უფრო დიდია კლიენტების, რესურსებისა და კვალიფიცირებული კადრების მოზიდვისა და ბანკის მიზნობრივი პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობა. და, პირიქით, რაც დაბალია ბანკის ლიკვიდობა, მით უფრო მეტია მისი ლიკვიდაციის შესაძლებლობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის ლიკვიდობა შეიძლება იყოს სტატიკური და დინამიკური. სტატიკური ლიკვიდობა ეს არის ბანკის ლიკვიდობა დროის განსაზღვრულ, კონკრეტულ მომენტში, ხოლო დინამიკური ლიკვიდობა ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ისმის კითხვა: როგორ განისაზღვრება სტატიკური ლიკვიდობა? მოცემული თარიღისათვის კეთდება ყველა ოპერაციის, ხელშეკრულების ანალიზი და განისაზღვრება ბანკის ყველა ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების მიხედვით. დინამიკური ლიკვიდობა ბანკის ლიკვიდობაა დროის განსაზღვრულ მომენტში, მაგრამ მომავალი პერიოდისათვის

ლიკვიდობის მდგომარეობის პროგნოზის გათვალისწინებით. საქმე იმაშია, რომ სტატიკური ლიკვიდობა შეიძლება აღმოჩნდეს სრული მაშინ, როცა მეორე დღეს გასაცემია მსხვილი დეპოზიტი. ამასთან, მაგალითად, ლიკვიდური სახსრების გეგმური შემოსვლის პროგნოზი გვიჩვენებს მათ არასაკმარისობას და ამის შედეგად დინამიკური ლიკვიდობა არადამაკმაყოფილებელი იქნება.

დინამიკური ლიკვიდობის ორ სახეს განასხვავებენ: მოკლევადიანსა და გრძელვადიანს. პირველი განისაზღვრება ბანკის მდგომარეობით 1-3 თვემდე, მეორე კი – 0.5-1 წლის ზევით პროგნოზის გათვალისწინებით.

სტატიკური და დინამიკური ლიკვიდობა შეიძლება იყოს: სრული, დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი. ბანკის სრული ლიკვიდობა საშუალებას იძლევა შესრულდეს ყველა ვალდებულება ყველა ხელშეკრულების მიხედვით, ვადებისა თუ სხვა კრიტერიუმების დარღვევის გარეშე. ბანკის დამაკმაყოფილებელი ლიკვიდობა ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ბანკი არღვევს მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ბანკის მიერ ყველა სხვა სახის ვალდებულების დარღვევა არადამაკმაყოფილებელ ლიკვიდობაზე მიუთითებს.

ამრიგად, სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ლიკვიდობის“ გამოყენების სხვადასხვა ვარიანტის ანალიზისა (ლიკვიდური აქტივები, ბალანსის ლიკვიდობა, ბანკის ლიკვიდობა) და „ბანკის ლიკვიდობის“ ცნების სხვა განმარტებების შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ ლიკვიდობის ცნების ორ მნიშვნელოვან მახასიათებელზე: 1. ვალდებულებათა შესრულება; 2. ვალდებულებათა დროულად შესრულება. აქედან გამომდინარე, ბანკის ლიკვიდობის განმარტებას უნდა ჰქონდეს შემდეგი სახე: ბანკის ლიკვიდობა, ჩვენი აზრით, ეს არის ბანკის უნარი – დროულად

შეასრულოს ვალდებულებები ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიკვიდობა – ეს არის აქტივების ფულად გადაქცევის ფასი. ასეთი განმარტება არა მარტო ხაზს უსვამს ლიკვიდობის ცნების არსს, არამედ მკვეთრად გამოყოფს მას ისეთი განმარტებებისგან, როგორიცაა „გადახდისუნარიანობა“ და „მომგებიანობა“. ბანკის ლიკვიდობა, როგორც კომპლექსური ცნება, დამოკიდებულია არა მარტო აქტივის ან პასივის სტრუქტურაზე, არამედ მათ მთლიანობასა და მიზეზშედეგობრივ კავშირზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ლიკვიდობის ცნების კონცეფციის ასეთ განმარტებაში მოცემულია: <u>ჯერ ერთი</u>, ბანკის ლიკვიდობის ეკონომიკური არსი, კვლევის მეთოდოლოგია, ლიკვიდობის განსაზღვრის მეთოდების შესწავლის აუცილებლობა და <u>მეორე</u>, მასთან ყველაზე ახლოს მდგომი ცნებების – გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და, ამასთანავე, მათი ერთ მთლიანობაში (მიზეზშედეგობრივ კავშირში) განხილვის დასაბუთება.

§2. ბანკის ლიკვიდურობის განსაზღვრის სტატიკური და დინამიკური მეთოდები და მათი კორექტირების მიზნები

კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ლიკვიდობის დადგენის სტატიკურ და დინამიკურ მეთოდებს და მათი კორექტირების მიზნების განსაზღვრას კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. აღნიშნული მდგომარეობა განაპირობა იმან, რომ ეკონომიკურ-თეორიულ გამოკვლევებში ლიკვიდობის რეგულირების საკითხი განხილულია მხოლოდ აქტივებისა და პასივების რეგულირების მეთოდების დახასიათებით, რაც, ჩვენი აზრით, მოითხოვს დაზუსტებას, ვინაიდან ახალი პრობლემები ახალ მიდგომებსა და მეთოდებს საჭიროებს. კერძოდ, აქტივების რეგულირების მეთოდი გულისხმობს აქტივების სტრუქტურის შეცვლას.

მაგალითად, სრული მოკლევადიანი ლიკვიდობის დროს არ არის გამორიცხული, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილების სხვადასხვა ვარიანტი. ჩვენს შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ გადაწყვეტილება მოკლევადიანი დაკრედიტების ან ფასიან ქაღალდებში დაბანდების გაფართოების, სავალუტო გაცვლითი ოპერაციების განვითარების ან ბანკის ფასიან ქაღალდებზე დივიდენდების გაზრდის შესახებ.

რაც შეეხება სრული გრძელვადიანი ლიკვიდობის შემთხვევას, ამ მდგომარეობის დროს შეიძლება შესყიდულ იქნეს ახალი მოწყობილობები და პარალელურად გაიხსნას ახალი განყოფილებები, ფილიალები. აღსანიშნავია, რომ ბანკები ლიკვიდობის გაუარესების ტენდენციის გამოვლინებისას, როგორც წესი, ამცირებენ ძირითად საშუალებებში გრძელვადიანი, დაბანდებების წილს, ხოლო შემდეგ კი შემოსავლიან აქტივებს, რათა გაზარდონ ბანკის ლიკვიდური აქტივების მოცულობა.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, პასივების მართვის მეთოდი მოიცავს პასივების სტრუქტურის შეცვლას, კერძოდ, სრული ლიკვიდობის დროს ბანკები ჩვეულებრივ ზრდიან გრძელვადიანი პასივების წილს, ხოლო ლიკვიდობის გაუარესების შემთხვევაში ისინი იძულებული არიან მოიზიდონ უფრო მოკლევადიანი რესურსები, ვინაიდან ასეთი რესურსები ბაზარზე უფრო ხელმისაწვდომია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომში [1] ლიკვიდობის რეგულირების საკითხის განხილვა შემოიფარგლება მხოლოდ მისი რეგულირების მეთოდების საერთო დახასიათებით, კერძოდ, აქტივების მართვის მეთოდი, პასივების მართვის მეთოდი, კომერციული სესხის თეორია, გეპის „გარღვევის" მინიმიზაციის სხვადასხვა კონცეფციები, სინამდვილეში არ წარმოადგენენ თეორიებს, არამედ შეიცავენ ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფის მხოლოდ სარეკომენდაციო ღონისძიებებს, ისინი უფრო მეტად ლიკვიდობის მართვის მეთოდები და მექანიზმებია, ვიდრე თეორიები ფართო გაგებით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ლიკვიდობის რეგულირების საკითხის განხილვა მხოლოდ რეგულირების მეთოდების დახასიაიებით მიზნად ისახავს ლიკვიდობის კონცეფციის განსაზღვრისათვის ბანკის ოპტიმალური სტრუქტურის დადგენას ფაქტობრივ სტრუქტურასთან მიახლოებით, რაც, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ნაკლოვანებით ხასიათდება: ჯერ ერთი, ბანკის ბალანსის ოპტიმალური სტრუქტურის იდეალური ვარიანტი რეალურად პრაქტიკაში რამდენადმე სტაბილური ფორმით არ არსებობს; მეორე, ბანკის ბალანსის სტრუქტურა განსხვავებული იქნება არა მარტო სხვადასხვა ბანკისათვის, არამედ თუნდაც ერთი ბანკისათვის დროის სხვადასხვა პერიოდში, და მესამე, აღნიშ-

[1] Valuation.Measuring and managing the value of companies. sekond edition. Tim Koller, Jack Mirrin. McKinsey and Company, Inc. NewYork.1994.- 557p.

ნულიდან გამომდინარე, მნიშვნელობას კარგავს ბანკის ბალანსის სტრუქტურის ოპტიმალობის განსაზღვრა, ვინაიდან ამაზე უფრო მეტი დრო დაიხარჯება იმ პერიოდთან შედარებით, რომლის განმავლობაში იგი უნდა იყოს ოპტიმალური.

ჩვენი მიდგომა იმით განსხვავდება ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე არსებული მიდგომისაგან, რომ ყურადღებას ვამახვილებთ არა ბალანსის სტრუქტურაზე, არამედ, კონკრეტული პირობებიდან და ბანკის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროის მონაკვეთსა და გარემოებაში ლიკვიდობის უზრუნველყოფაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ბალანსის როგორ სტრუქტურას მივიღებთ, მთავარია დაცულ იქნეს ლიკვიდობასა და ბალანსის „ოპტიმალურ სტრუქტურას“ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

ლიკვიდობის ოპტიმალური მართვისათვის აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ლიკვიდობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის მიღება და მასზე ოპერატიული რეაგირება.

კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების მიზნით, ამოცანათა პირველი ბლოკი, კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: მიმდინარე მომენტში ლიკვიდობის მდგომარეობის განსაზღვრა და შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება ლიკვიდობის კორექტირებაზე ან მის უცვლელად დატოვებაზე. ამოცანათა მეორე ბლოკი მოიცავს ლიკვიდობის მომავალი მდგომარეობის პროგნოზის შედგენას, რომელიც ორ მომენტს ეყრდნობა: მოცემული მომენტისათვის დადებული ხელშეკრულების მიხედვით პროგნოზებსა და ლიკვიდობის ცვლილების პროგნოზირებას მოცემული მომენტისათვის დადებული ხელშეკრულებების გარეშე.

კომერციული ბანკის ლიკვიდობის პროგნოზირების შედგენის

პირველი ნაწილი მოიცავს პროგნოზებს: 1. ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით სახსრების გაცემისა და დაბრუნების ვადებზე ინფორმაციის მიღების შესახებ (კრედიტები, ფასიანი ქაღალდების დაფარვა, შესყიდვა და ა.შ.); 2. ბანკის პასიური ოპერაციების მიხედვით სახსრების მიღებისა და გადახდის ვადებზე ინფორმაციის მიღების შესახებ (დეპოზიტები, ბანკის, როგორც ემიტენტის, ფასიან ქაღალდებზე გადახდა და ა.შ.); 3. ბანკის გარესაბალანსო ოპერაციების მიხედვით სახსრების მიღებისა და გადახდის ვადებზე ინფორმაციის მიღების შესახებ (თავდებობები, სატრასტო, კონსულტაციები და ა.შ.). პროგნოზირების მეორე ნაწილი კი მოიცავს: 1. მოთხოვნამდე ანაბრების თანხების მოძრაობის პროგნოზებს (საანგარიშსწორებო, მიმდინარე, საბიუჯეტო ანგარიშები და ფიზიკურ პირთა მოთხოვნამდე დეპოზიტები); 2. ახალი ხელშეკრულებების დადების პროგნოზირებას (აქტივების, პასივების, გარესაბალანსო და საერთო-სამეურნეო ოპერაციების მიხედვით).

აქვე უნდა აღინიშნოს პროგნოზირების მეორე ნაწილი, რომელიც ბევრად უფრო მეტადაა დამოკიდებული არაკონტროლირებად გარემოზე, ვიდრე პირველი. თუმცა პროგნოზირების პირველ ნაწილშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს გარემოს შესაძლო გავლენა. მაგალითად, კრედიტის დაბრუნების ვადები მსესხებლის მიერ შეიძლება დაირღვეს ბაზარზე არახელსაყრელი ცვლილებების, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლისა და სხვა მიზეზების გამო. თუკი ბანკს იჯარით აღებული აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა, საიჯარო ქირის აწევის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება იმოქმედოს ბანკის მომავალ ლიკვიდობაზე. პროგნოზირების მეორე ნაწილში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გარემოს გავლენა. ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო და ფინ-

ანსური პოლიტიკით ბანკის კლიენტების საბიუჯეტო ანგარიშები იწყებს შევსებას და საწინააღმდეგო შემთხვევაში კი პირიქით – თანხები კლებულობს.

სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ფაქტორების მიხედვით გარემოს ცვლილებების კლასიფიკაციას გვთავაზობენ ჯგუფების მიხედვით რისკის კოეფიციენტის მინიჭებით. რისკების კლასიფიკაციის სხვადასხვა საერთაშორისო სისტემის (გერმანული ინდექსები „ბერი“, შვეიცარიული სისტემა „სფრ“) საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საბანკო საქმიანობაზე, კერძოდ: 1. პოლიტიკური სტაბილურობა; 2. საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა; 3. ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის წამყვან ვალუტებთან მიმართებაში მკვეთრი რყევების ალბათობა; 4. ეკონომიკური ზრდის ტემპი; 5. შრომის მწარმოებლურობის დონე; 6. კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ორგანიზაცია; 7. ინფლაცია; 8. ბიუჯეტის დეფიციტი; 9. საგარეო სავაჭრო ბრუნვა; 10. სახელმწიფოსა და ბიზნესის საერთო საგარეო ვალი; 11. ოქრო-სავალუტო რეზერვები; 12. უმუშევრობის დონე.

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ფაქტორი, უფრო სწორად მათი ცვლილება, გავლენას ახდენს ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველყოფის პროცესზე. ზოგიერთი მათგანი უფრო სტაბილურია, დანარჩენი ხშირად იცვლის სახეს, მოცულობასა და სხვა მნიშვნელობებს. ყველა ამ ფაქტორის პროგნოზირება მეტად შრომატევადი და ნაკლებად წარმატებული საქმეა, მით უმეტეს რომ სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით ცვლილება სხვადასხვანაირად მოახდენს გავლენას კონკრეტულ ბანკზე. ამიტომაც უნდა გამოვყოთ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კონკრეტული ბანკისათვის.

განვიხილოთ ბანკის ლიკვიდობაზე ზემოთ აღნიშნულ ფაქ-

ტორთა ჯგუფის მიხედვით გარემოს ზემოქმედების ზოგიერთი მაგალითი. ამასთან, ფაქტორთა ყოველი ჯგუფის მიხედვით წარმოგიდგენთ ზემოქმედების ერთ დადებით და ერთ უარყოფით მაგალითს.

ფაქტორთა I ჯგუფი. მაგალითი: 1. ეროვნული ბანკი შემდეგი თვის ან კვარტლის 1 რიცხვიდან აცხადებს მინიმალური რეზერვების ნორმის შემცირების შესახებ. საკმაოდ ზუსტად შეიძლება გავთვალოთ იმ ლიკვიდური აქტივების ზრდა, რომლის ფლობასაც შეძლებს ბანკი გარკვეული მომენტიდან და გავითვალისწინოთ ლიკვიდობის პროგნოზში; 2. ეროვნული ბანკი აცხადებს განსაზღვრული პერიოდიდან მოქმედი ბანკებისთვის მინიმალური საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიკვიდობის მართვის სამსახურმა პროგნოზში უნდა გაითვალისწინოს დამატებითი ემისიის გამო აქციების კურსის დაცემა და შედეგად – ხარჯებისა და ზარალის ზრდა.

ფაქტორთა II ჯგუფი. მაგალითი: 1. მიიღება გადაწყვეტილება ბანკის მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირების შესახებ. აქედან გამომდინარე, ბანკის მინიმალური მარჟა მცირდება და იქმნება უფრო ძვირი დეპოზიტების მოზიდვის საშუალება, რაც ბანკის ლიკვიდობის პროგნოზში გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც რესურსების შემოსვლა; 2. ლიკვიდობის პროგნოზში სოციალური კონფლიქტები გათვალისწინებულ უნდა იქნეს კრედიტებისა და მოსაზიდი დეპოზიტების მიხედვით მოსალოდნელ შემოსულობათა შემცირებით. მსესხებლებს პრობლემები შეექმნებათ საწარმოების მუშაობაში, ხოლო პოტენციური დეპოზიტარები დროებით შეაჩერებენ თავიანთი თავისუფალი სახსრების ბანკში განთავსებას.

ფაქტორთა III ჯგუფი. 1. განვიხილოთ ბანკი, რომლის აქ-

ტივები ხასიათდება საწარმოებზე გაცემული სესხების დიდი ხვედრითი წილით. მაგალითად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საწარმოებისათვის დაბეგვრის ობიექტიდან გამოირიცხოს ბანკის სესხებზე გადახდილი პროცენტები. უნდა ველოდოთ, რომ კრედიტებით სარგებლობისათვის გადაუხდელი პროცენტების წილი მნიშვნელოვნად შემცირდება და როგორც შედეგი, ბანკს გაეზრდება ლიკვიდური აქტივების ნაკადი, მოგება; 2. ავიღოთ ბანკი, რომლის პასივებშიც დიდი ხვედრითი წილი უკავია ფიზიკურ პირთა ანაბრებს. მოსახლეობაში მოსალოდნელი კონფისკაციური ფულადი რეფორმის ჩატარების შესახებ ჭორების გავრცელების დროს უნდა ვივარაუდოთ ანაბრების შემცირება, ყოველ შემთხვევაში დიდი ოდენობის ანაბრების გატანა და შემოსულობათა შემცირება.

ფაქტორთა IV ჯგუფი. მაგალითი: 1. საწარმო-აქციონერის მიერ საქონლის მიწოდებაზე დიდი და გრძელვადიანი შეკვეთების მიღება აძლიერებს ამ საწარმოს მდგომარეობას და მის მიერ ბანკის განვითარებაში მოსალოდნელი დაბანდებების გაზრდის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ ან ბანკის საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან ბანკის დეპოზიტებზე დამატებითი სახსრების განთავსება; 2. ძირითად აქციონერ-საწარმოს ხელმძღვანელობის შეცვლა, როგორც წესი, გავლენას ახდენს მის პოლიტიკაზე. ხელმძღვანელობის ნებისმიერი შეცვლა თავიდან უარყოფითად მოქმედებს მის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამიტომაც ლიკვიდობის პროგნოზში უნდა ჩაიდოს ამ საწარმოს მიერ შესაძლო კრედიტის მოთხოვნა ან დეპოზიტის გატანა. ახალი ხელმძღვანელობისგან მოპოვებულ უნდა იქნეს ინფორმაცია ბანკის მიმართ ახალი პოლიტიკის შესახებ. მაგალითად, ახალი ხელმძღვანელობა გეგმავს თავისი აქციების გაყიდვას, ამიტომ ლიკვიდობის მართვის სამსახურმა

დროულად უნდა იმოქმედოს ბაზარზე აქციების კურსის მოსალოდნელი ვარდნის შესაჩერებლად.

ფაქტორთა V ჯგუფი. მაგალითი: 1. ბანკის ერთ-ერთი მსხვილი მსესხებელი არის სამარკო ღვინოების იმპორტიორი. მომდევნო წლიდან მთავრობა აცხადებს საბაჟო ტარიფების გაზრდას იმპორტულ ღვინოზე და როცა დგება კრედიტის დაფარვის ვადა, მოსალოდნელია ამ მსესხებლის ბრუნვისა და მოგების შემცირება, ამიტომ ლიკვიდობის პროგნოზში ამ კრედიტის დაბრუნება უნდა ვივარაუდოთ ნაკლები ალბათობით; 2. ლიკვიდობის პროგნოზში უნდა ასევე გავითვალისწინოთ ჩვენი ვალდებულებები ბენეფიციარ-გარანტის მიმღების მიმართ. თუკი ბანკმა წინა პერიოდში გასცა გარანტია რომელიმე საწარმოსთვის მიწოდებული საქონლის უზრუნველსაყოფად, მაშინ ლიკვიდობის მართვის შესაბამისი აღრიცხვისათვის ლიკვიდობის მართვის სამსახურს საწარმოს მიერ მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია ამ საქაონელზე გადახდის რეალურობის შესახებ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აუცილებელია ლიკვიდობის რეზერვის გარკვეული პროცენტის არსებობა, რომელიც უარყოფითი განუსაზღვრელობის ფაქტორისაგან დაზღვევისათვის უნდა იქნეს გამოყენებული. ბანკი მზად უნდა იყოს დადებითი განუსაზღვრელობის ფაქტორისათვისაც, ამისთვის მას უნდა გააჩნდეს აქტიურ შემოსავლიან ოპერაციებში სწრაფი დაბანდების აწყობილი მექანიზმები, რათა ხელიდან არ გაუშვას ჭარბი ლიკვიდური აქტივების დროს მოგების მიღების შესაძლებლობა. ლიკვიდობის რეზერვის კონკრეტული პროცენტი ყოველმა ბანკმა უნდა განსაზღვროს დამოუკიდებლად შემდეგი საერთო წინაპირობებიდან გამომდინარე: განუსაზღვრელობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებშია მოცემული სიტუაციის ცვალებადობის ხარისხთან. თუ მდგომარეობა სტაბილურია, მაშინ იგი

მომავალშიც არ შეიცვლება და განუსაზღვრელობა ნულოვანი იქნება.

აუცილებელია სტაბილურობის რეგულარული შეფასება ფაქტორთა ყველა ჯგუფის მიხედვით, რათა პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოვავლინოთ გარკვეული „ნორმალური“ სტაბილურობა და მასზე დამოკიდებულებით რეგულარულად შევაფასოთ ამ სტაბილურობის ცვლილება. მას შემდეგ, რაც შევაფასეთ სტაბილურობის ცვლილება, აუცილებელია სტაბილურობის საშუალო კოეფიციენტის გამოყვანა და მისი ჩვენ მიერ მიღებულ „ნორმასთან“ შედარება. რამდენადაც მიღებული კოეფიციენტი განსხვავდება „ნორმისაგან“, იმდენად უნდა შეიცვალოს ლიკვიდობის რეზერვი. ყველაფერი ეს შეიძლება მათემატიკური ფორმულით გამოისახოს, მაგრამ კონკრეტული კოეფიციენტები, რიცხვები, პროცენტები და მნიშვნელობები ყოველმა ბანკმა თავისთვის დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნები შეიძლება იყოს რამდენიმე, კერძოდ: 1. სრული სტატიკური და დინამიკური ლიკვიდობის მიღწევა; 2. სრული სტატიკური, სრული მოკლევადიანი დინამიკური და დამაკმაყოფილებელი გრძელვადიანი დინამიკური ლიკვიდობის მიღწევა; 3. სრული სტატიკური, დამაკმაყოფილებელი მოკლევადიანი და დამაკმაყოფილებელი გრძელვადიანი ლიკვიდობის მიღწევა.

ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ლიკვიდობის 27 შესაძლებელი კომბინაცია გავამრავლოთ 3 მიზანზე და მივიღებთ ლიკვიდობის 81 შესაძლო სიტუაციას, რომელშიც ლიკვიდობის მართვის სამსახური დროის სხვადასხვა პერიოდში შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ საჭიროა კვლევის გამარტივებისათვის თავიდანვე დავყოთ ყველა ეს სიტუაცია ორ ჯგუფად: სიტუაცია

სრული სტატიკური ლიკვიდობის დროს და სიტუაცია დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი სტატიკური ლიკვიდობის დროს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლიკვიდობის მართვის მიზნები ბევრად უფრო იშვიათად იცვლება, ვიდრე დინამიკურ ლიკვიდობასთან დაკავშირებული სიტუაციები. ლიკვიდობის მართვის მიზნები განსხვავდება რისკის ხარისხის მიხედვით: სრული დინამიკური ლიკვიდობის მიზანი შეესაბამება ნაკლებ რისკიან პოლიტიკას, მეორე მიზანი – რისკის საშუალო დონეს, ხოლო მესამე მიზანი – ყველაზე სარისკო პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა შეარჩიოს მიზანი, სიტუაციის სტაბილურობისა და განუსაზღვრელობის ფაქტორის შეფასებიდან გამომდინარე. ლიკვიდობის მართვისას ამ ფაქტორის გათვალისწინება შეიძლება განხორციელდეს ლიკვიდობის პროგნოზის სტადიაზე ზემოთ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით.

წინა პარაგრაფში, სადაც მოცემული იყო ლიკვიდობის ცნება, ჩვენ განვიხილეთ აქტივთა სხვადასხვა ჯგუფი ლიკვიდობის ხარისხის, ე. ი. მათი ფულად გადაქცევის შესაძლებლობის მიხედვით. მაშინ გამოვყავით სამი ჯგუფი: მაღალლიკვიდური, საშუალოლიკვიდური და დაბალლიკვიდური აქტივები. თუმცა ახლა პრინციპული სიტუაციების ხარისხობრივი ანალიზის მიზნებისათვის ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ ორ ჯგუფს: მაღალლიკვიდურსა და დაბალლიკვიდურ აქტივებს. გამოტოვებული საშუალოვადიანი აქტივები ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება მიესადაგოს ორი მომიჯნავე აქტივებიდან ერთ-ერთს. პასივებში ასევე გამოვყოფთ ორ ჯგუფს: მყარი და არამყარი პასივები. საშუალოვადიანი პასივების დიდ ჯგუფს ჩვენ აქ არ განვიხილავთ, მაგრამ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ იგი არსებობს და ამიტომ მყარი პასივების ხვედრითი წილის გაზრდა

ყოველთვის არ ნიშნავს არამყარი პასივების შემცირებას.

შემოსავლიან აქტივებში იგულისხმება ბანკის აქტივები, რომელსაც მოაქვს შემოსავლები: კრედიტები, ფასიანი ქაღალდები, უცხოური და ეროვნული ვალუტა გაცვლით ოპერაციებსა და ფორვარდულ გარიგებებში, ლიზინგი და ა. შ. ფასიან პასივებში კი — პასივები, რომელთა მიხედვით ბანკი იხდის პროცენტებს ან გასწევს რაიმე ხარჯებს: დეპოზიტები, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშები, მიღებული ბანკთაშორისო კრედიტები და ა. შ. შემოსავლიანი აქტივებისა და ფასიანი პასივების რეგულირება შედის ლიკვიდობის კორექტირების მეთოდებში, ვინაიდან ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის ურთიერთკავშირი არსებობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოსავლიანი აქტივებისა და ფასიანი პასივების რეგულირება შედის ლიკვიდობის კორექტირების მეთოდებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ლიკვიდობის კორექტირების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შემდეგი მეთოდები:

<u>მოკლევადიანი მეთოდები:</u> 1. მაღალლიკვიდური აქტივების გახარჯვის შემცირება; 2. არაფულადი მაღალლიკვიდური აქტივების ფულად გადაქცევა: 3. არამყარი პასივების გაზრდა. <u>გრძელვადიანი მეთოდები</u>: 4. დაბალლიკვიდური აქტივების რეალიზაცია; 5. მყარი პასივების გაზრდა; 6. არამყარი პასივების შემცირება; 7. მოგების გაზრდა. დავახასიათოთ ითითოეული მათგანი.

როგორც წესი, მაღალლიკვიდური აქტივების გახარჯვა ნიშნავს მათ გადაყვანას ლიკვიდურ ფორმებში: დაკრედიტება, მოწყობილობათა შეძენა, მშენებლობა, ერთობლივი საქმიანობა, დაბანდებანი დაბალლიკვიდურ ფასიან ქაღალდებში და ა.შ. აქ

არ შედის ბანკის სხვადასხვა ხარჯი გადასახადების, ხელფასების, პასივებზე პროცენტებისა და ა.შ. მიხედვით. ხარჯების შემცირება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ეს არ არღვევს ბანკის ვალდებულებებს რომელიმე ხელშეკრულების მიხედვით. არაფულადი მაღალლიკვიდური აქტივების ფულად გადაქცევის მაგალითებია: ნაღდი და უნაღდო უცხოური ვალუტისა და მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გაყიდვა. არამყარი პასივების გაზრდა შეიძლება განხორციელდეს ბანკთაშორისო ბაზარზე სესხის აღებით, მოკლევადიანი დეპოზიტების მოზიდვით. დაბალლიკვიდური აქტივების რეალიზაცია: მოწყობილობათა და უძრავი ქონების გაყიდვა, კრედიტების დაბრუნება, დაბალლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გაყიდვა. მყარი პასივების გაზრდა ხორციელდება ბანკის აქციების ემისიის, სარეზერვო, სხვა ფონდებისა და მოგების გაზრდისა და გრძელვადიანი დეპოზიტების მოზიდვის პირობებში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, ლიკვიდობის კორექტირების მეთოდების შესწავლამ დაგვანახა, თითქოს ამ მეთოდებში არსებობდეს ურთიერთწინააღმდეგობები, რაც მცდარია შემდეგ გარემოებათა გამო: *ჯერ ერთი,* მოკლევადიანი არამყარი პასივების გაზრდას მივყავართ ლიკვიდობის გაუმჯობესებისაკენ, ხოლო გრძელვადიანი არამყარი პასივების გაზრდას – გაუარესებისაკენ; *მეორე,* დროებითი სიძნელეების დროს მოკლევადიანმა სწრაფმა სესხმა პრობლემები შეიძლება მხოლოდ დროებით გადაწყვიტოს და ისიც მხოლოდ ბანკის საერთო გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის შენარჩუნებით; *მესამე,* თუ ბანკი გაზრდის არამყარი პასივების წილს განუწყვეტლივ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, იგი სულ უფრო მეტად ექცევა განუსაზღვრელობის ფაქტორის გავლენის ქვეშ და სწორედ ამიტომ არამყარი

პასივების პროგნოზირება მოითხოვს მაქსიმალური რეზერვის გათვალისწინებას განუსაზღვრელობის ფაქტორის გამო; *მეოთხე*, ამ რეზერვის სულ უფრო მეტად გაზრდის შედეგად მაღალლიკვიდური აქტივების გადიდებას მივყავართ მომგებიანობის შემცირებამდე და ზარალის ზრდამდეც კი; *მეხუთე*, ლიკვიდობის რეზერვის გაზრდა იწვევს მომავალი გრძელვადიანი ლიკვიდობის შემცირებას, ამიტომ არამყარი პასივების შემცირება გრძელვადიან ასპექტში დადებითად მოქმედებს პერსპექტივაში ბანკის ლიკვიდობაზე.

აქედან გამომდინარე, ბანკის ლიკვიდობის მართვის ჩვენეული ანალიზის ძირითადი დასკვნა ის არის, რომ ლიკვიდობის მართვის სამსახური ვალდებულია მუდმივად გააფართოოს, პირველ რიგში, ლიკვიდობის მოკლევადიანი კორექტირებისა და მეორე, გრძელვადიანი ლიკვიდობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მეთოდები და გააუმჯობესოს მათი ხარისხი. ეს არის უნივერსალური წესი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ბანკის ლიკვიდობის პროცესის წარმატებით მართვისათვის.

ამრიგად, ლიკვიდობის კორექტირების მეთოდების კვლევამ დაგვანახა, რომ ასეთი მიდგომით შესაძლებელია: *ჯერ ერთი*, თანმიმდევრულად განხილულ იქნეს ლიკვიდობის პროცესის შემდეგი სტადიები: ლიკვიდობის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და მომავალი ლიკვიდობის პროგნოზის შედგენა; *მეორე*, არსებული მდგომარეობის პროგნოზიდან და მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდეს ლიკვიდობის განსაზღვრის მეთოდების კორექტირებაში ცვლილებების შეტანა და, რაც მთავარია, *მესამე*, დასახულ იქნეს გზები ლიკვიდობის პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის.

§3. კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების ეკონომიკური ნორმატივები საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების ფინანსური ინსტრუმენტები მეტად შეზღუდულ ხასიათს ატარებს. ეს განპირობებულია როგორც გარკვეული სიძნელეებით, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ობიექტური სირთულეებით, კერძოდ იმით, რომ საქართველოს საბანკო სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესშია და, ამასთანავე, მას ნორმალური ფუნქციონირების პრობლემების გადაწყვეტის მხოლოდ უმნიშვნელო პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია.

სახელმწიფოს მიერ ბანკების ლიკვიდობის რეგულირება განსაზღვრული სავალდებულო ლიმიტების დაწესებით ხორციელდება. ცენტრალური ბანკი აწესებს რა ლიკვიდობის ნორმატივებს, ამასთანავე, აკონტროლებს ამ მოთხოვნათა დაცვას და მართავს კომერციული ბანკების ოპერაციებს, უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურობას, მეანაბრეებისა და კრედიტორების ინტერესებს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას.

განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს რაოდენობრივად და შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული ლიკვიდობის განმსაზღვრელი ნორმატივები. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 7 ნორმატივი ფუნქციონირებს, გერმანიაში – 5, ინგლისში – 5, რუსეთში –19, საქართველოში – 14.

რუსეთში კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების ეკონომიკური ნორმატივები არსებობს შემდეგი მაჩვენებლების ფორმით: 1. მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი; 2. სწრაფი ლიკვიდობის მაჩვენებელი; 3. ხანგრძლივი დროის

ლიკვიდობის მაჩვენებელი; 4. ლიკვიდური აქტივების მთელ ჯამურ აქტივებთან შეფარდების მაჩვენებელი [1].

მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი განისაზღვრება როგორც ლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდება ბანკის ვალდებულებების იმ თანხების ანგარიშებთან, რომელთა მოთხოვნამდე დრო 30 დღემდეა. იგი 50-70%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს ეკონომიკური ნორმატივი გვიჩვენებს ბალანსის აქტივის ლიკვიდობის რომელი ნაწილი შეიძლება იქნეს გამოყენებული კლიენტების მოთხოვნების დროის ნებისმიერ პირობებში დასაკმაყოფილებლად.

სწრაფი ლიკვიდობის მაჩვენებელი გაიანგარიშება, როგორც ბანკის მაღალლიკვიდური აქტივების თანხის შეფარდება მოთხოვნამდე ვალდებულებების ანგარიშების თანხასთან. ეს ეკონომიკური ნორმატივი 20%-მდეა დაწესებული, იგი რუსეთის საბანკო პრაქტიკაში პირველად გამოიყენება და ამჟამად ეტაპობრივი პროცესის სახით ხორციელდება. გრძელვადიანი ლიკვიდობის მაჩვენებელი გაიანგარიშება როგორც ბანკის მიერ ერთი წლის ზევით გაცემული კრედიტების თანხების შეფარდება ბანკის კაპიტალის მოცულობასთან. მინიმალური კაპიტალის მოცულობა ბანკებისათვის დაწესებულია 5 მლნ ამერიკული დოლარის ოდენობით, რაც შეესაბამება 140 მლნ რუსულ რუბლს. ბანკის ლიკვიდობის ეს მაჩვენებლები შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ, ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ ლიკვიდობის კოეფიციენტებს [2].

ლიკვიდური აქტივების მთელ ჯამურ აქტივებთან შეფარდების მაჩვენებელი გაიანგარიშება, როგორც ლიკვიდური აქტივე-

---

[1] Е.Ф. Жуков. Деньги. Кредит. Банки. М.Банки и биржи. „ЮНИТИ", 1999., ст.293-294.

[2] И. Ковзанадзе, Контроль за деятельностью коммерческих банков, журналь „Финансы", №10 Москва, 2000г. ст.71.

ბის შეფარდება ბანკის მთელ აქტივებთან. ეს ეკონომიკური ნორმატივი მერყეობს 18-20%-ის ფარგლებში.

საქართველოში მოქმედებს ლიკვიდობის რეგულირების შემდეგი ეკონომიკური ნორმატივი: საწესდებო კაპიტალის მოცულობა, საწესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანის მაქსიმუმი, რეზერვების ნორმა, ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი, რეზერვების ნაშთებზე წლიური დარიცხვის პროცენტი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ნორმატივების შესახებ ძირითადი ინსტრუქცია მოითხოვს სრულყოფას, კერძოდ, საერთაშორისო პრაქტიკას არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ რისკების 20%-ის კატეგორიას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდები და ამ ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის ქვეშ გაცემული სესხები. ამ შემთხვევაში დაწესებულ უნდა იქნეს რისკის ნულოვანი კოეფიციენტი.

არამართებულად მიგვაჩნია ლიკვიდური აქტივების შემადგენლობაში ძვირფასი ლითონების, ასევე 30 დღემდე კრედიტებსა და ფასიან ქაღალდებში განთავსებული სახსრების ჩართვაც, ვინაიდან საქართველოში ძვირფასი ლითონების ბაზარი ჯერ არაა ჩამოყალიბებული და მათი სწრაფი რეალიზაციაც (ფულად გადაქცევა) შეუძლებელია.

პრაქტიკიდან გამომდინარე, კრედიტების დაფარვის თავდაპირველი ვადების ხშირი დარღვევის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ეტაპზე ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნოს მხოლოდ სწრაფი დაფარვის ვადის მქონე კრედიტების ნაწილი. ჩვენი აზრით, ლიკვიდურ აქტივებს შეიძლება მიეკუთვნოს ასევე კრედიტები, რომელთა დაფარვის ვადა დგება უახლოესი 10 დღის ფარგლებში. როგორც ცნობილია, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყველა სახეობა არ მიეკუთვნება ლიკვიდურ აქ-

ტივებს, აქედან გამომდინარე, ლიკვიდური აქტივებიდან უნდა გამოირიცხოს უპირატესად გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ლიკვიდობის მაჩვენებლები კომერციული ბანკების საქმიანობის კრიტერიუმებად გვევლინებიან. მათი დაცვა ბანკების საიმედოობასა და გადახდისუნარიანობას განაპირობებს. კომერციული ბანკის ლიკვიდობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასებისას მსოფლიო პრაქტიკაში სხვადასხვა მაჩვენებელი გამოიყენება, რომლებსაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას თავისი პარამეტრები გააჩნია. ამ შემთხვევაში საწყისი პარამეტრის შერჩევა გვევლინება როგორც შეფასების ობიექტი.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისას გამოყენებული კოეფიციენტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კომერციული ბანკის საქმიანობის შეფასების შემდეგი პარამეტრები:

1. ბანკის საკუთარი სახსრების საკმარისობა;

2. კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობა, რომელიც, თავის მხრივ, შეფასების ორ ასპექტს მოიცავს: ჯერ ერთი, რამდენად შეესაბამება კომერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციები დროისა და სახსრების მიხედვით ბანკის გადახდისუნარიანობას და მეორე, როგორი შესაბამისობაა კომერციული ბანკის აქტიური და პასიური ოპერაციების რისკის ხარისხსა და ბანკის ოპერაციების დივერსიფიკაციას შორის

პირველს მიეკუთვნება კაპიტალის ადეკვატურობის (საკმარისობის) კოეფიციენტები (კაპიტალის შეფარდება ბანკის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან); გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები (საკუთარი და ნასესხები კაპიტალის შეფარდება) და სხვა.

კოეფიციენტების მეორე მრავალრიცხოვანი ჯგუფი კი განისაზღვრება ბანკის ბალანსის ცალკეული აქტიური და პასიური მუხლების შესაბამისობითა და ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების სტრუქტურული შესაბამისობით. მათ მიეკუთვნება მიმდინარე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტები. ისინი ახასიათებენ პასივების მდგრადობას, აქტივების მოძრაობითობას, ბანკის უნარს შეასრულოს თავისი ვალდებულებები აქტიური და პასიური ოპერაციების შესრულების ვადებთან შესაბამისობაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც ადგენენ კომერციული ბანკები, გამოყოფენ ორ ძირითად დოკუმენტს: ანგარიშს მდგომარეობისა (ბალანსი) და მოგება-ზარალის შესახებ. ბალანსი გარკვეული დროისათვის ბანკის საფინანსო მდგომარეობის გამოხატულებას წარმოადგენს. მასში ასახულია ბანკის რესურსების (აქტივების), ვალდებულებებისა (პასივების) და ასევე აქციონერთა საკუთრების შესახებ მონაცემები, სადაც, ამასთანავე, დაცულ უნდა იქნეს შემდეგი ტოლობა:

აქტივები = პასივები + სააქციო კაპიტალი

კომერციული ბანკის ბალანსი წარმოადგენს მისი ანგარიშგების მთავარ ნაწილს, რომელშიც აისახება ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების მდგომარეობა, მათი განაწილება საკრედიტო და სხვა აქტიურ ოპერაციებში. ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ ფულადი რესურსების ფორმირებასა და მათ განთავსებაზე, საკრედიტო, საანგარიშსწორებო, საკასო და სხვა საბანკო ოპერაციებზე, ასევე ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებზე კონტროლი ბალანსის მეშვეობით ხორციელდება.

ბანკის ბალანსის ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ, *ჯერ*

ერთი, გაკონტროლდეს ბანკის ლიკვიდობის პროცესი; *მეორე.* განხორციელდეს საბანკო საქმიანობის მართვის სრულყოფა და *მესამე.* ბანკის ხელმძღვანელობამ მომავალში მინიმალური რისკის ფარგლებში მოგების გადიდების მიზნით დაამუშავოს თავისი საქმიანობის წარმართვის სტრატეგია და ტაქტიკა.

ბანკის ბალანსის ანალიზისათვის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, რომელთა შორის აღსანიშნავია კოეფიციენტების, ასევე ეკონომიკურ-მათემატიკური და სტატისტიკური დაჯგუფების, შედარების, ცხრილობრივი და თვალსაჩინოების მეთოდები.

ბანკის ბალანსის ანალიზისთვის შეიძლება პარალელურად გამოყენებულ იქნეს კოეფიციენტების, შედარებისა და დაჯგუფების მეთოდები. აქტიური (პასიური) საბალანსო ანგარიშები, შეიძლება შედარდეს როგორც წინა პერიოდის ანალოგიურ ანგარიშებს, ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო პასივების (აქტივების) ანგარიშებსაც, რომელიც დაჯგუფდება საერთო ეკონომიკური კატეგორიების ანდა ოპერაციების სახეების მიხედვით.

აქტიური და პასიური მუხლების თანაფარდობა ოპერაციების ერთიან დროსთან, თავის მხრივ, ლიკვიდობის კოეფიციენტებს გამოხატავს.

ბანკის ლიკვიდობის შეფასებისათვის კოეფიციენტების მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს იმას, რომ აღებულ იქნეს რაღაც მუდმივი საწყისი სიდიდე, რომელიც იქნება საბაზო მაჩვენებელი სხვა მაჩვენებლების შესადარებლად და დაახასიათებს კომერციული ბანკის საქმიანობას. მისი ოპერაციების მოცულობის შემფასებელი კოეფიციენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გადამწყვეტი ადგილი მასში უკავია ბანკის საკუთარი კაპიტალის მოცულობის მაჩვენებელს. ეს განპირობებულია რამოდენიმე ფაქტორით: 1. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალი არის განსაკუთრებით მდგრადი და შედარებით მუდმივი

სიდიდე პასივში და ყველაზე ნაკლებად განიცდის გარეშე ფაქტორების ზემოქმედებას; 2. საკუთარი კაპიტალი თამაშობს ერთგვარი სადაზღვევო ფონდის როლს, რომელიც უზრუნველყოფს ანაბრების დაცვას და 3. თავისი მდგრადი ხასიათიდან გამომდინარე, საკუთარი კაპიტალი გვევლინება სარისკო ოპერაციების განხორციელების წყაროდ, რომელსაც ყველაზე დიდი მოგება მოაქვს ბანკისა და მისი აქციონერებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები განსაზღვრავენ ბანკის საკუთარი კაპიტალის პრიორიტეტულ მნიშვნელობას და საკუთარი კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლის წამყვან ადგილს ბანკის საქმიანობის შეფასების სისტემაში.

განვიხილოთ ბანკის ლიკვიდობის შეფასების მეთოდები მათი გამოყენების თვალსაზრისით, მეზობელი და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე.

აშშ-ში 1983 წელს მიიღეს ერთობლივი საბანკო კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტი, რომლის მიხედვით საბანკო კაპიტალი განისაზღვრა როგორც სხვაობა აქტივებსა და პასივებს შორის. იგი ფედერალური სარეზერვო სისტემის ტერმინოლოგიის მიხედვით შედგებოდა: პირველადი (საწესდებო კაპიტალს + დაზღვევის მიზნით დაგროვებული რეზერვი) და მეორადი კაპიტალისაგან (სხვადასხვა ვალდებულება 7 წელზე ზევით + სხვა ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ შეიძლება მიეკუთვნოს პირველად კაპიტალს), ამასთან, მათი შესაბამისობა ერთობლივი კაპიტალის სიდიდესა და ბანკის აქტივების თანხას შორის არ უნდა ყოფილიყო 9%-ზე ნაკლები.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ევროგაერთიანების ქვეყნებში საკუთარი სახსრების მაჩვენებელი ან მისი შეფარდება აქტივებისა და პასივების მოცულობასთან, მნიშვნელოვან მაჩვენებლე-

ბად ითვლება როგორც მოქმედი, ისე ახლად შექმნილი ბანკებისათვის. 1988 წლამდე ყველა ქვეყანას ჰქონდა საკუთარი საბსრების თავისი სტრუქტურა და მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებდნენ ბანკის გადახდისუნარიანობასა და ფინანსურ მდგრადობას. ახლად შექმნილი ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობა, მათი სახეობიდან გამომდინარე, სხვადასხვა იყო.

1988 წელს მსხვილი ბანკების საერთაშორისო საბჭოზე მიიღეს ლიკვიდობის ახლებურად გაანგარიშების მეთოდიკა, რომლის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობა გვევლინება. იგი განისაზღვრება ბანკის მთელი კაპიტალის მოცულობის შეფარდებით ბალანსის რისკის ხარისხის მიხედვით შეწონილ აქტივების სიდიდესთან. ამასთან, გაანგარიშებისას გაითვალისწინება ზოგიერთი ბალანსგარეშე მუხლი. მთელი კაპიტალის მოცულობა ორ შემადგენელ ნაწილად იყოფა: კაპიტალის ბირთვად და დამატებით ელემენტებად.

კაპიტალის ბირთვში შედის: განაღდებული სააქციო კაპიტალი, ჩვეულებრივი აქციები, გამოცხადებული გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგების ნაწილის კაპიტალიზაციით შექმნილი რეზერვები, აქციების ნომინალს ზევით რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი და ა.შ.

დამატებითი ელემენტები მოიცავს მოსალოდნელი ზარალისაგან დასაცავად აქტივების გადაფასებისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების რეზერვებს, აგრეთვე ბანკის მიერ გამოშვებულ აქციებს, ობლიგაციებსა და გრძელვადიან ვალდებულებებს. ამგვარად, დამატებითი ელემენტები წარმოადგენს ბანკის კაპიტალის შედარებით ნაკლებხარისხიან შემადგენელ ნაწილს. მათი სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალის ბირთვის 100%-ს.

საკუთარი კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრისას ეს უკანასკნელი უნდა შეეფარდებოდეს კომერციული ბანკის ბალანსის აქტივებს, რომლებიც, თავის მხრივ, დაჯგუფებულია დაბანდებული სახსრების რისკის მიხედვით. თითოეულ ამ ჯგუფს შეესაბამება კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა დონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალით აქტივების ესა თუ ის ჯგუფი.

რისკის ხარისხის გათვალისწინებით, აქტივების სიდიდის გაანგარიშების მოქმედი წესები, ბაზელის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 4 ჯგუფის აქტივებს გამოყოფენ, რომელთაც შეესაბამება 0-დან 100%-მდე რისკის კოეფიციენტი. საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებულების შესაბამისად, კომერციული ბანკის აქტივები იყოფა 4 ჯგუფად, რომლისთვისაც რისკის კოეფიციენტი ასევე 0%-დან 100%-მდეა განსაზღვრული[1].

თანამედროვე პირობებში ლიკვიდობის მართვის პრობლემების გადაწყვეტაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია ბანკის მიერ სახსრების განთავსების საკითხს, რამდენადაც მხოლოდ მისი მეშვეობით არის შესაძლებელი ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის წინააღმდეგობრივი ცენტრალური პრობლემის გადაწყვეტისათვის პირობების შექმნა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახსრების განაწილების მეთოდის მთავარი უპირატესობაა აქტივების წილის შემცირება და დამატებითი სახსრების სესხებსა და სხვა ინვესტიციებში დაბანდება, რასაც მოჰყვება მოგების ნორმის გაზრდა. მოგების ნორმის გაზრდა შესაძლებელია ძირითადი კაპიტალიდან ჭარბი აქტივების გამოთავისუფლებითა და საბანკო ოპერაციებში შემ-

---

[1] „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის" დამტკიცების შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №118, 3 დეკემბერი თბ., 1998. გვ. 6.

ნახველი და ვადიანი ანაბრების წილის გაზრდით.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების შესწავლამ დაგვანახა, რომ ქართული ბანკები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ იყენებენ პრაქტიკულად სახსრების განთავსების უკვე გამოცდილ მეთოდებს, რომლებიც განვითარებული ქვეყნების საბანკო საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს მეთოდებია:

1. სახსრების საერთო ფონდის მოდელი;
2. აქტივების განაწილების მეთოდი;
3. აქტივების მეცნიერული მართვის მეთოდი.

კომერციული ბანკის აქტივები შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ჯგუფად: ნაღდი ფული და მასთან გათანაბრებული სახსრები; ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში; სესხები; სხვა აქტივები.

სახსრების საერთო ფონდის მოდელში არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი წყაროდან შემოვიდა სახსრები, სანამ მათი განთავსება ხელს უწყობს ბანკის წინაშე დასახული მიზნების მიღწევას.

მოცემული მეთოდი ბანკის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ლიკვიდობისა და მომგებიანობის პრინციპების თანაბრად დაცვას, ამიტომ სახსრები განთავსდება ისეთ აქტიურ ოპერაციებში, რომლებიც უფრო სრულად შეესაბამება ამ პრინციპს.

აქტივების მართვაში სახსრების საერთო ფონდის მეთოდის გამოყენება ბანკს საშუალებას აძლევს აირჩიოს აქტიური ოპერაციების კატეგორიები, დაადგინოს ზოგადი ხასიათის პრიორიტეტები. ამავე დროს, აღნიშნული მეთოდი არ შეიცავს ზუსტ კრიტერიუმს და ვერ წყვეტს „ლიკვიდობა-მომგებიანობის" პრობლემას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ბანკის ხელმძღვანელობის გამოცდილებაზე, გათვლებსა და ინტუიციაზე.

აქტივების განაწილების მოდელით ბანკისთვის აუცილებელი ლიკვიდური სახსრების მოცულობა დამოკიდებულია ფონდების მოზიდვის წყაროებზე. ამ მეთოდით განისაზღვრება რეზერვების ნორმები და მათი მიმოქცევის სისწრაფე ან ბრუნვადობა.

მაგალითად, მოთხოვნამდე ანაბრები საჭიროებს აუცილებელი რეზერვების უფრო მაღალ ნორმას, ვიდრე სხვა ანაბრების, ამიტომ მოთხოვნამდე ანაბრის ყოველი ფულადი ერთეულის ნაწილი უნდა მოთავსდეს პირველად და მეორად რეზერვებში და მხოლოდ მცირე ნაწილი – ისეთ ინვესტიციებში, როგორიც არის სესხები საცხოვრებელი სახლების გირავნობით ან გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში.

აქტივების მეცნიერული მართვის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამოიყოფა ორი პოლარული მდგომარეობა, რომელთაგან ერთი გულისხმობს ლიკვიდური აქტივების წილის შემცირებას, დამატებითი სახსრების სესხებში და სხვა ინვესტიციებში მოთავსებას, კონტროლის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე ბანკში ნაღდი სახსრების იმ ოდენობით დაუშვებლობას, რომელსაც არ მოაქვს შემოსავლები. მეორე უკიდურესობა კი გულისხმობს რეზერვების მუდმივ შენარჩუნებას იმ დონეზე, რომლებიც საკმარისია სავალდებულო რეზერვების ნორმებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავდაპირველად კაპიტალის საკმარისობის კრიტიკულ დონედ ბაზელის ხელშეკრულების ქვეყნებისათვის განისაზღვრა 8% და ამ დონემდე უნდა მიეღწია 1992 წლისათვის. ამგვარად, კომერციულ ბანკებს მიეცათ გარკვეული დრო, რომ საბაზო ((Core capital) ანუ „პირველი დონის კაპიტალი“, რომლის შემადგენლობაში შედის ჩვეულე-

ბრივი აქციები, შენატანები კონსოლიდირებულ შვილობილ საწარმოებში (აქციების 50%-ზე ნაკლები)) და დამატებითი კაპიტალი ((Supplemental capital) ანუ „მეორე დონის კაპიტალი“, რომელიც მოიცავს საწესდებო და ოფიციალურ რეზერვებს; უვადო და პრივილეგირებულ აქციებს; მეორე რიგის სავალო ვალდებულებებსა და საშუალოვადიან პრივილეგირებულ ობლიგაციებს) დაწესებულ სტანდარტთან შესაბამისობაში მოეყვანათ. კაპიტალის საკმარისობის ახალი სტანდარტის დაწესება ორ მიზანს ისახავდა: ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფასა და პარალელურად სხვადასხვა ქვეყნის კომერციული ბანკების საქმიანობის გათანაბრებას (რადგან მოთხოვნა კაპიტალის სიდიდის მიმართ არაერთგვაროვანი იყო).

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მიერ ლიკვიდობის რეგულირება წარმოადგენს საბანკო სისტემის მართვის ადმინისტრაციული მეთოდების ნაკრებს. ეროვნული ბანკის აღნიშნულ მეთოდებს მიეკუთვნება ყოველგვარი ინსტრუქციები, რეკომენდაციები, ჯენტლმენური, ბანკთაშორისო და სხვა შეთანხმებები, რომელთა ავტორად და ინიციატორად ყოველთვის ცენტრალური (ეროვნული) ბანკი გვევლინება.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ და ასევე ზოგიერთი სახელმწიფოს კომერციული ბანკების საქმიანობის ადგილზე გაცნობამ (ხანგრძლივი დროით სტაჟირების დროს) ცხადყო, რომ უკანასკნელ პერიოდამდე სხვადასხვა ქვეყნის ბანკებისათვის დაწესებული ნორმატივების რაოდენობა, მათ შინაარსთან ერთად ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდებოდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საკუთარი კაპიტალის შეფარდება მოზიდულ სახსრებთან ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე გერმანიაში და ხუთჯერ უფრო მეტი, ვიდრე იაპონიაში, მაგრამ აშშ-ს საბანკო სისტემა ამით არ იყო უფრო

მეტად საიმედოდ დაცული კრიზისისა და გაკოტრებისაგან. აღნიშნული გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომ განვითარებაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, სხვა აქტივებისაგან განსხვავებით, სავალდებულო რეზერვების ნორმას ბანკების კრედიტუნარიანობაზე, ე.ი. ფულის მულტიპლიკატორზე ზემოქმედების ფუნქციაც გააჩნია. ამიტომაც ეს ნორმატივი რაღაცნაირად ცალკე დგას და უფრო მეტიც, ზოგჯერ ლიკვიდობის რეგულირების ნორმატივების შემადგენლობაში უგულებელყოფილია. ასე მაგალითად, საქართველოში მისი გაანგარიშება, ანგარიშგების წესი, პასუხისმგებლობა შეუსრულებლობის შემთხვევაში რეგულირდება არა №118 ბრძანებულებით, როგორც ყველა სხვა ნორმატივი, არამედ ეროვნული ბანკის სხვა დადგენილებით [1]. თუმცა ამ ნორმატივის სხვა ფუნქციის არსებობა არ ასუსტებს მის როლს ბანკის ლიკვიდობის შეფასებასა და საერთოდ ლიკვიდობის რეგულირებაში. რეზერვების ნორმის ამ და სხვა განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ გვაიძულა დეტალურად გაგვეანალიზებინა ეს მაჩვენებელი, კომერციული ბანკების რეზერვების მაჩვენებელთან კავშირში.

საბანკო რეზერვები კომერციული ბანკის რესურსების სტრუქტურაში აუცილებელი ელემენტია, რომელიც აქტივების მართვის პროცესში ნაღდ ფულად და სხვა მაღალი ლიკვიდობის მქონე სახსრებად (სესხებად, ინვესტიციებად და აქტივების ზოგიერთ სახეებად) ნაწილდება. ბანკები ჩვეულებრივ ინარჩუნებენ რესურსების განსაზღვრულ დონეს მაღალ ლიკვიდობის მქონე სახსრების ფორმით, რომლებიც არ გამოიყენება უშუალოდ ბანკის საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობაში

---

[1] საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, №11. 1998 წლის 14 სექტემბერი, „კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში მოთავსებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნების შესახებ".

და მხოლოდ რეზერვის როლს ასრულებენ. რეზერვირების აუცილებლობა კი განპირობებულია იმით, რომ იგი უზრუნველყოფს ნაღდი ფულის კლიენტისათვის დაბრუნების გარანტიას და ბანკის კონკურენტუნარიანობას.

საბანკო რეზერვის არსებობა მთლიანად საბანკო სისტემის ინტერესებსაც პასუხობს, რადგან მისი არქონა დაარღვევდა ანგარიშსწორების უწყვეტობას. ამიტომ საბანკო რეზერვი საბანკო სისტემის საგადასახადო-საანგარიშსწორებო მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირების ძირითადი პირობაა. ამის გარდა, საბანკო რეზერვი ასრულებს არასაიმედო სესხების დაზღვევის ფუნქციასაც, ამცირებს რა საბანკო აქტივების რისკიანობას, მინიმუმამდე დაჰყავს დანაკარგები [1], იცავს ბანკს გაკოტრებისაგან და საერთო ჯამში ხელს უწყობს მთლიანად საბანკო სისტემის სტაბილურობის განმტკიცებას.

განვითარებული საბანკო სისტემის მქონე ქვეყნების უმრავლესობაში რეზერვების ნორმები მიკროეკონომიკური მიზნების განხორციელებისათვის, ნაკლებად გამოიყენება. თუმცა ეს შეიძლება გამართლებულიც კი იყოს საბანკო სისტემის განვითარების ამა თუ იმ ეტაპის თავისებურებების გათვალისწინებით. ნორმების გამოყენება საშუალებას იძლევა შენარჩუნებულ იქნეს არა მარტო მთელი საბანკო სისტემის სტაბილურობა, არამედ მნიშვნელოვან საშუალებად იქცეს ცალკეული კატეგორიის საბანკო დაინტერესებათა სტიმულირებისათვის (წვრილი და საშუალო ბანკები, საინვესტიციო ბანკები, მუნიციპალური ბანკები და ა.შ).

აქვე აღსანიშნავია, რომ ნორმების დიფერენციაცია შეიძლება განხორციელდეს საკალუტო კურსის დინამიკაზე ზემოქმედების მიზნითაც (მაგალითად იაპონია გამოდგება, სადაც არარეზიდენ-

---

[1] საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, N.11. 1998 წლის 14 სექტემბერი, „კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში მოთავსებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შესახებ".

ტების დეპოზიტებზე განსაკუთრებული სარეზერვო მოთხოვნების ნორმაცაა დადგენილი იენის კურსის სტაბილიზაციის დაცვის გათვალისწინებით). ამიტომ ნორმები ასრულებენ კიდევ ერთ ფუნქციას, გამოდიან როგორც საკრედიტო ინსტიტუტების ერთგვარი გადასახადი. აღნიშნულის მიზეზია ის გარემოება, რომ სარეზერვო ანგარიში ხშირ შემთხვევაში დაბალპროცენტიანია ან საერთოდ უპროცენტო.

ბანკები ნორმების შემცირებას განიხილავენ როგორც აღნიშნული ტვირთის შემსუბუქებასა და საკრედიტო ინსტიტუტების კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალებას. სწორედ ეს მექანიზმი გამოიყენება ცენტრალური ბანკის მიერ იმ შემთხვევაში, როცა ნორმები დგინდება საბანკო სისტემის მდგომარეობის განმტკიცებისა და მისი განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით. ცენტრალური ბანკის შესაძლებლობა, იმოქმედოს საბანკო სისტემის მასშტაბებსა და განვითარების მიმართულებებზე, დამოკიდებულია მის მოქნილ საქმიანობაზე, რათა, გაუთვალისწინებელი გარემოს შექმნის პირობებში, ოპერატიულად გვერდი აუაროს ან გამოუვალ შემთხვევაში კომპენსაციის მეშვეობით გამოავლინოს უნარი, რომ ღონისძიებების დასახვით შეაჩეროს ან შეზღუდოს მაინც აღნიშნული მოვლენის უარყოფითი შედეგების მიღების საშიშროება. ამას კი კომერციული ბანკების ხელმძღვანელების მხრიდან როგორც თეორიული, ასევე დიდი პრაქტიკული გამოცდილება სჭირდება.

ბანკების შეგუება ამგვარ ზემოქმედებაზე ხორციელდება ორი ხერხით: ნორმების შესრულებაზე თავის არიდებით, რაც აწყობილი საბანკო ზედამხედველობის სისტემის არსებობისას პრაქტიკულად შეუძლებელია, ან ისეთი განვითარების მიმართულების შერჩევით, რომლის დროსაც დაშვებული ნორმები შეღავათიან ხასიათს ატარებს.

ცენტრალური ბანკი ნორმების შეცვლით ან მათი დიფერენციაციით მიზნად ისახავს, რომ საბანკო სისტემა რეაგირებას მოახდენს ამ ცვლილებაზე საბანკო დაწესებულებათა განვითარებით და, ამასთანავე, აუცილებელი რეზერვების ჯამური მაჩვენებლების გაზრდის გარეშე უზრუნველყოფენ კონკურენტუნარიანობის გადიდებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მაჩვენებელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემის მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 70-იან წლებში ახალი ნორმების გამოყენებამ სტიმული მისცა ევრო-დოლარების ოპერაციების განხორციელებას, რადგან ისინი ამ ნორმების მოქმედების გარეთ რჩებოდნენ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნორმებით მანევრირებამ შეიძლება სტიმული მისცეს როგორც სხვადასხვა სახეობის ბანკის, ასევე მეანაბრეთა ცალკეული კატეგორიისა და საფინანსო ინსტიტუტების განვითარებას. პრაქტიკამ ასევე დაგვანახა, რომ დეპოზიტების სახეობასა და სხვა პირობებზე აუცილებელი რეზერვები, რომლებიც საკრედიტო დაწესებულებამ უნდა მოათავსოს თავისი პასივების უზრუნველსაყოფად, შეიძლება შენახულ იქნეს ცენტრალური ბანკის უპროცენტო ანგარიშებზე ან დაერიცხოს გარკვეული პროცენტი.

საქართველოს საბანკო სისტემაში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ 2000 წლის დასაწყისიდან ქართულ ბანკებში ბევრი სიახლე დაინერგა როგორც ანგარიშსწორების, ასევე საკრედიტო პორტფელის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. 2000 წლის ბოლოსათვის საბანკო დაწესებულებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა კი თითოეული ბანკის საბანკო საქმიანობას გამჭვირვალეს გახდის

[1]. რაც შეეხება მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნას, რომლის ნორმაც წლის განმავლობაში უცვლელი იყო და 16%-ს შეადგენდა, დღევანდელ პირობებში აქ კლების ტენდენცია შეიმჩნევა და 2000 წლის მეორე კვარტალიდან სავალდებულო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა 16%-დან კვლავ 14%-ს დაუბრუნდა [2].

ინფლაციისა და გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენით, ბანკებისათვის დანაკარგების აცილებისა და დეპოზიტების მოზიდვის სტიმულირებისათვის 2000 წლის 1 ოქტომბრამდე სავალდებულო რეზერვის ანგარიშზე რიცხულ ნაშთებზე ხდებოდა პროცენტის დარიცხვა წლიური 10%-ის ოდენობით. პროცენტის დარიცხვა წარმოებდა იმ ბანკების სასარგებლოდ, რომლებიც მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებით დადგენილი ნორმის დაცვას უზრუნველყოფდნენ.

თავდაპირველად სარეზერვო მოთხოვნების შესრულება შესაძლებელი იყო საბანკო რესურსების უფრო ფართო ნაწილით, რომლებიც ლიკვიდურ რესურსებს მიეკუთვნებოდნენ. მაგრამ ფულად-საკრედიტო ბაზრის განვითარებასთან ერთად განხორციელდა ლიკვიდობის შინაარსის მოდიფიკაციაც და, აქედან გამომდინარე, სავალდებულო რეზერვების მაჩვენებლის განსაზღვრა ხდებოდა საბაზრო კონკურენციის გათვალისწინებით არა იმდენად დაბანდებათა ვადებით, არამედ მისი ბაზარზე რეალიზაციის შესაძლებლობებით.

აქვე აღსანიშნავია, რომ საკალდებულო რეზერვის ნორმის შემცირება იწვევს მაჩვენებელთა ვარიაციების დიაპაზონის მო-

---

[1] მიშელ ვანდე ველდე. საერთაშორისო საღრიცხვო სტანდარტების დანერგვა საქართველოს კომერციულ ბანკებში. ჟურნალი ბანკი №1. 2000. გვ. 38.

[2] საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, №21. 2000წლის 12 მაისი „კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში მოთავსებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნების შესახებ".

ქმედების კლებასაც. ამ შემთხვევაში სავალდებულო რეზერვის ნორმათა დიფერენციაცია განხილულ უნდა იქნეს, როგორც ფულადი მასის სხვადასხვა კომპონენტის განცალკევებისა და, შესაბამისად, მათი დინამიკის დიფერენცირებულად მართვის ინსტრუმენტი. სავალდებულო რეზერვების ნორმათა მექანიზმი საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ბერკეტებში ეროვნული ბანკის ჩამოყალიბებისთანავე ამოქმედდა. 1995 წლის 30 დეკემბრამდე ეს ნორმა შეადგენდა მოზიდული სახსრების 20%-ს. ფულის რეფორმის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რამაც გავლენა მოახდინა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, შეიცვალა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა და 1995 წლის 30 დეკემბერს შეადგენდა 18%. 1996 წლის 30 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების 15%-იანი ნორმა, რომელიც შემდგომში 1997 წლის 1 სექტემბრიდან შემცირდა 12%-მდე, ხოლო 1998 წლის 14 სექტემბრიდან გაიზარდა 16%-მდე, დღეისათვის კი იგი 14%-ს შეადგენს.

მოზიდული რესურსების მოცულობის გაანგარიშებისას, რომლებიც რეზერვირებას ექვემდებარებიან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საბალანსო ანგარიშების პასიური ნაშთები, მოზიდული სახსრების დინამიკა. აღრიცხვის ბაზაში არ ჩაითვლება სხვა ბანკებიდან აღებული კრედიტები, საკრედიტო რესურსები, რომლებიც ეროვნულმა ბანკმა საქართველოს მთავრობას მიზნობრივი პროგრამებისათვის გამოუყო, დეპოზიტებზე, ბანკთაშორის და ცენტრალიზებულ კრედიტებზე დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტები, ასევე აქციონერთა დივიდენდები, ობლიგაციური სესხები, სახსრები ბანკის დანაზოგის ანგარიშზე, აგრეთვე ბანკის მუშაკთა ანაზღაურებისა და სხვა აუცი-

ლებელ გადახდებთან დაკავშირებული დავალიანებები.

კომერციული ბანკის საქმიანობის შეწყვეტისას ეროვნული ბანკი აბრუნებს რეზერვს კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშზე, რათა კომერციულმა ბანკმა განახორციელოს ვალდებულებების მიხედვით ანგარიშსწორებები.

სავალდებულო რეზერვის მოცულობა, რომელიც დეპონირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში, გაიოითვლება პროცენტულად კომერციული ბანკის მიერ მოზიდული ფულადი სახსრების საერთო ოდენობასთან მიმართებაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „დასაშვებია სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე განთავსებული თანხის გამოყენება სახაზინო ვალდებულებების შესაძენად, ამასთან, სავალდებულო რეზერვების ანგარიშიდან აღნიშნული მიზნით გამოსაყენებელი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის მიერ მოზიდული სახსრების 2%-ს [1].

ეროვნული ბანკის საბჭოს 2000 წლის 9 ივნისის №35 დადგენილებით 20 ივნისიდან გაუქმდა ცვლილება სავალდებულო რეზერვების ფორმირების წესში. მისი გაუქმება მოხდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შემცირების კვალობაზე.

რაც შეეხება საქართველოში არსებული ნორმების დონეს, ისინი არ არიან რეკორდული მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ ნორმებთან შედარებით. მაგალითად, 70-იან წლებში იტალიაში ორნიშნა ინფლაციის ტემპების პირობებში ეს მაჩვენებელი 22,5% იყო, ხოლო აშშ-ში – 18%. უფრო მეტიც, ნორმების შემცირება არ არის რეკომენდებული ისეთ ქვეყნებში, რომლებიც საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან და რომელ-

---

[1] ეროვნული ბანკი-ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ბრძანება, №194/45, 1997 წლის 8 აგვისტო, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, აღრიცხვისა და ღაფარვის შესახებ" დებულება.

იც მარეგულირებელი ზომების ანტიინფლაციურ მიმართულებას მოითხოვენ. ამასთანავე, ძალზე მაღალი სარეზერვო ნორმების დაწესება არ შეესაბამება მსოფლიო პრაქტიკაში რეზერვების გამოყენების საერთო ტენდენციას, რადგან განსაზღვრულ პირობებში ნორმების გადიდებამ შეიძლება გამოიწვიოს ფულად-საკრედიტო ბაზარზე ეროვნული ბანკის ზემოქმედების შესაძლებლობის შეზღუდვა. საქართველოში ეკონომიკური სიტუაციისა და, პირველ რიგში, ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციასთან ერთად ნორმები შეიძლება შეიცვალოს კიდეც.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ეს ინსტრუმენტი „საერთოდ უძლურია ოპერატიული ფულადი კონტროლისათვის“ [1]. მიუხედავად ამისა მრავალი განვითარებული ქვეყნის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობა მას საკმაოდ ხშირად იყენებს. აღსანიშნავია ისიც, რომ 20 წლის მანძილზე, 1967 წლიდან, ნორმები საშუალოდ წელიწადში 3-4-ჯერ შეიცვალა.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საქართველო, აშშ და იტალია) რეზერვის ნორმისგან თავისუფლდება ბანკთაშორისო დეპოზიტები.

განვიხილოთ ზოგიერთი განვითარებული ქვეყნების სავალდებულო რეზერვის ნორმები.

ამერიკული ბანკების მიერ თავისი საზღვარგარეთული ფილიალებიდან მიღებული რესურსების 10% მან უნდა გადარიცხოს ფედერალური სარეზერვო სისტემის ანგარიშზე. აქ სავალდებულო რეზერვების ნორმები გაიანგარიშება მოთხოვნებამდე დეპოზიტების მიხედვით 14-დღიან საანგარიშსწორებო პერიოდზე დაყრდნობით. გაანგარიშებაში აიღება საშუალო დონე, ორი კვირის მიხედვით, დეპოზიტების სხვა სახეობებზე კი — 30 დღის მიხედვით. ორი კვირის განმავლობაში დასაშვებია 2%-იანი

[1] Севрук В. Т. Банковские риски. –М: Дело ltd.,1994. ст. 72.

სხვაობა სარეზერვო ანგარიშსა და სავალდებულო ნორმებს შორის (მაგრამ არა უმეტეს 25 000 დოლარისა). გარდა ამისა, აშშ-ში სავალდებულო ნორმებისაგან თავისუფლდება ვადიანი დეპოზიტების პირველი 21 მილიონი დოლარი.

დიდ ბრიტანეთში სავალდებულო ნორმებისაგან თავისუფლდება ყველა ბანკი 10 მლნ ფუნტ სტერლინგზე ნაკლები დეპოზიტებით. ფულად ბაზარზე მოვაჭრე ბანკებისათვის შემოღებულია რეზერვირების სპეციალური ნორმები. ინგლისის ბანკის მიერ ფულად რესურსებზე დადგენილია სპეციალური საპროცენტო განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ბანკი ყიდის რესურსს დადგენილ პროცენტულ განაკვეთზე მაღლა, მაშინ იგი ვალდებულია ბანკთაშორისო კრედიტის რეალიზაციიდან მიღებული თანხის განსაზღვრული პროცენტის დეპონირება მოახდინოს.

ცენტრალურ ბანკს კომერციული ბანკების მინიმალური რეზერვების განთავსების თვალსაზრისით საინტერესო თავისებურებები გააჩნია. ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, იტალიაში მინიმალური რეზერვის მხოლოდ ნაწილი უნდა განთავსდეს ცენტრალურ ბანკში (70-იან წლებში – 10%), დანარჩენი ნაწილი უნდა დაბანდდეს სახაზინო თამასუქებსა და სხვა განსაზღვრულ ფასიან ქაღალდებში.

1930-1950 წლებში იტალიის საბანკო პრაქტიკაში მიღებულ იქნა რეგულირების შემდეგი დამატებითი წესები: ყველა ანაბარი, რომელთა ჯამიც 20-ჯერ აღემატებოდა ბანკის კაპიტალს, უნდა დაებანდებინათ ან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ან განეთავსებინათ ცენტრალურ ბანკში პროცენტიან დეპოზიტზე [1].

---

[1] Competition and Controls in Bankign. Alhadeff, David A. Berkeley – Los Angeles, University of California press, 1968.-384p

აღნიშნული მოთხოვნა ეროგვარად ჰგავს ინგლისში არსებულ მოთხოვნებს (დეპოზიტების 2.5% სესხის სახით გადაეცემა ბროკერებსა და ჯობერებს, რომელნიც სპეციალიზებული არიან სახელმწიფო ობლიგაციებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე).

განვითარებულ ქვეყნებს შორის საფრანგეთში სრულიად უნიკალური მინიმალური რეზერვების გაანგარიშების ბაზაა, ის ეყრდნობა გაცემული კრედიტების თანხას. რეზერვირებას ექვემდებარება სამამულო ბანკებში მხოლოდ რეზიდენტების მოთხოვნამდე ვალდებულებები 2%-ის ოდენობით. ვალდებულებები არარეზიდენტების მიმართ, ყველა ვადიანი ვალდებულება და უცხოური ბანკების ყველა ვალდებულება რეზერვირებას არ ექვემდებარება, ხოლო 15 მლნ ფრანკი 1%-ით რეზერვირდება. ამით ხდება მცირე ბანკების სტიმულირება. ასევე რეზერვში ჩაითვლება ცენტრალური ბანკის ობლიგაციები 7 წელზე მეტი ხნის დაფარვის ვადით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთში ბანკებს ეძლევათ რეკომენდაციები ამა თუ იმ სახის კრედიტზე, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც ხდება რეზერვირების ნორმის გაზრდა. რაც შეეხება საექსპორტო წარმოებისთვის გაცემულ კრედიტს, იგი რეზერვირდება 0,5%-ით.

ავსტრალიის საბანკო სისტემა ასევე ხასიათდება თავისებურებებით, კერძოდ, ბანკები ვალდებულნი არიან ცენტრალურ ბანკში სპეციალურ უპროცენტო ანგარიშებზე სავალდებულო რეზერვის სახით შეინახონ საზღვარგარეთიდან მიღებული თანხების 33,3%. გერმანიაში რეზერვების ნორმები 1948 წლიდან შემოიღეს: ბუნდესბანკს უფლება აქვს შემოიღოს სარეზერვო ნორმები საზღვარგარეთელი რეზიდენტების დეპოზიტებზე მარკებში; ყოველი თვის ბოლოს გამოითვლება სარეზერვო ანგარ-

იმზე საშუალო დღიური ნაშთი და შეედარება ნორმას; ჯარიმა პროცენტის სახით გადაიხდება 30 დღის განმავლობაში, საჯარიმო პროცენტი ჩვეულებრივ 3%-ით მეტია ლომბარდული კრედიტების განაკვეთზე. სავალდებულო ნორმათა კორექტირებისა და გაანგარიშების პერიოდი ერთი თვეა.

აღსანიშნავია, რომ საბანკო საქმის მსოფლიო პრაქტიკაში კომერციული ბანკების ლიკვიდობის უზრუნველყოფისათვის ფართოდ არის დაცული პასივების მართვის ძირითადი მეთოდი, კერძოდ კი, მართვადი პასივების გამოყენება. ლიკვიდობის მართვის აღნიშნული მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკები, რომლებსაც სჭირდებათ ლიკვიდური სახსრები თავიანთი ვალდებულებების დასაფარავად, კი არ უცდიან კლიენტების მოსვლას თავიანთი შენატანებით (ანაბრებით), არამედ აქტიურად იწყებენ დამატებით საშუალებათა წყაროების ძებნას, არ იფარგლებიან ტრადიციული დეპოზიტებით, და ვიწრო რეგიონებით, მთლიანად გადიან ქვეყნისა და ცალკეულ შემთხვევაში მსოფლიო ბაზარზეც. ამრიგად, მართვადი პასივები ფულადი რესურსების განმსაზღვრელი წყაროებია, რომლებიც შეუძლია ბანკს ჩართოს დამოუკიდებელი გზით სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებით. მას ეკუთვნის: მსხვილი მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები, ობლიგაციები, სხვა ბანკების სესხები, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა უკან გამოსყიდვის უფლებით (რეპო გარიგება), ასევე ევროსავალუტო სესხები.


მართვადი პასივების მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელი ხდება ლიკვიდური რესურსების მიღება გარკვეული ბანკების მყარი და საიმედო ფუნქციონირებისათვის.


მართვადი პასივებიდან განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ რეპო გარიგება, რომლის გამოყენებასაც მთელი რიგი უპი-

რატესობა აქვს (როგორც ფირმისათვის, რომელიც ფასიან ქაღალდებს იძენს, ასევე იმ ბანკისათვის, რომელიც ამ ფასიან ქაღალდებს ყიდის) შემდეგ გარემოებათა გამო: 1. ერთდღიანი გარიგება უკან გამოსყიდვის შესახებ ხასიათდება ლიკვიდობის მაღალი დონით, რამდენადაც ფასიანი ქაღალდების მყიდველ ფირმას შეუძლია დაიბრუნოს ფასიან ქაღალდებში დაბანდებული სახსრები მეორე დღესვე; 2. ერთდღიან გარიგებას უკან გამოსყიდვის პირობით მოაქვს ფასიანი ქაღალდების მყიდველი პირისათვის განსაზღვრული შემოსავალი; 3. ბანკებს ასეთი გარიგების შედეგად შეუძლიათ ოპერატიულად მიიღონ დიდი მოცულობის თანხები, რომელიც აუცილებელია აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის ან დაფარონ გაუთვალისწინებელი გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია მის სავალო ვალდებულებასთან და ა.შ. ამასთანავე, უზრუნველყონ ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნება და გადახდისუუნაროობის რისკის შემცირება, დაბოლოს, 4. უკან გამოსყიდვის შესახებ გარიგება, როგორც წესი, არ ითვალისწინებს მის დასაფარავად აუცილებელი რეზერვების შექმნის მოთხოვნებს და არ არის საჭირო საბანკო დეპოზიტების დაზღვევისათვის ხარჯების გაწევა (იხილეთ ცხრილი №18).

მართალია, კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის მოცულობა არ ეკუთვნის მართვად პასივებს, მაგრამ იგი უშუალოდ ზემოქმედებს ბანკების საიმედოობაზე, სიმყარესა და ლიკვიდობაზე. სწორედ ამიტომ არის ობიექტურად გამართლებული ცენტრალური ბანკის მოთხოვნა კომერციული ბანკების მიმართ, რომ ჰქონდეთ მათ საკუთარი კაპიტალის განსაზღვრული მოცულობა, რომელიც საკმარისი იქნება დაფარონ პოტენციური დანაკარგები მსესხებლების მიერ რესურსების დროულად დაუბრუნებადობის შემთხვევაში და, ამასთანავე, ბანკის გადახდისუ-

სახაზინო ვალდებულებების აუქციონების შედეგების დინამიკა 1997-2000 წლებში





უნარობისა და გაკოტრების შემთხვევაში დაიცვან მეანაბრეებისა და კლიენტურის ინტერესები.

ამრიგად, კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირებაში ეკონომიკური ნორმატივების გამოყენების თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზმა ცხადყო, რომ, *ჯერ ერთი,* მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ცენტრალური ბანკების უფლება მინიმალური სავალდებულო ნორმების დაწესებაზე შეზღუდულ ხასიათს ატარებს, რაც გამოწვეულია კანონის საფუძველზე ნორმების დაწესებით, კერძოდ, კანონმდებლობით დგინდება ნორმათა განსაზღვრული მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც ცენტრალურ ბანკს შეუძლია მანევრირება ნორმების გადახრის მიმართულებით; *მეორე,* მინიმალური რეზერვების ნორმები ერთმანეთისაგან სამი კრიტერიუმით განსხვავდება: ა)დეპოზიტების ვადიანობასა და მათ მოცულობებზე დამოკიდებულებით (აშშ, გერმანია); ბ) დეპოზიტების ვადიანობასა და ბანკის ყველა დეპოზიტების ჯამზე დამოკიდებულებით (იაპონია); გ) დეპოზიტებისა და ვალუტის წყაროებზე (არარეზიდენტები, რეზიდენტები, სამამულო ან უცხოური ვალუტა) დამოკიდებულებით; *მესამე,* საბანკო სისტემის მართვის ადმინისტრირების მეთოდები შეცვლილია საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მექანიზმებით, კერძოდ, ეკონომიკური ნორმატივებისა და სარეზერვო ნორმების დაწესებული მოცულობების დაცვა ხორციელდება არა მბრძანებლური მეთოდებით, არამედ ეკონომიკის მონეტარული სტაბილურობით, ეკონომიკის განვითარების ტემპებით, მთლიანად საბანკო სისტემის, ასევე თითოეული კომერციული ბანკის საიმედოობისა და ლიკვიდობის ზრდით, სავალდებულო მინიმალურ რეზერვში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობების ჩათვლისა და ბანკში

არსებული სარეზერვო ანგარიშის ნაშთზე პროცენტების დარიცხვით.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში, კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის კომპლექსური შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებისა, და მათ მიერ საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრის დროს.

თავი V

საქართველოს კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის როლი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში

§1. კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის ფუნქციონალური და ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფის საკითხები

საქართველოში საბანკო სისტემის საინვესტიციო საქმიანობის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა მოითხოვს ბანკების საინვესტიციო საქმიანობის არსის, სახეების, ფუნქციებისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის საკითხების მსოფლიო საბანკო საინვესტიციო საქმიანობის შესწავლას, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე მის გადმოტანასა და გამოყენებას საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

დასახული ამოცანის მიღწევისათვის განვიხილოთ საინვესტიციო ბანკების სახეები, მათი საქმიანობის თავისებურებანი და მიზნები, განვითარებული და განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე სხვადასხვა ქვეყანაში ამ მიმართულებით დაგროვილი გამოცდილება. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა საჭიროა იმიტომაც, რომ <u>ჯერ ერთი,</u> სხვადასხვა სახეობის საინვესტიციო ბანკების დახასიათება, მათი საქმიანობის ანალიზი საშუალებას მოგვცემს შეირჩეს ისეთი საინვესტიციო ბანკები, რომელთა საქმიანობის გათვალისწინებით შესაძლებლობა მოგვეცემოდა დაგვესვა ჩვენს ქვეყანაში ასეთი ბანკების შექმნის აუცილებლობის საკითხი და <u>მეორე,</u> გაგვესაზღვრა, თუ როგორ შეიძლება ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ შეთავსებით

საინვესტიციო ბანკების საქმიანობის მიზნებისა და ფუნქციების შესრულება.

საინვესტიციო საქმიანობის განვითარების მიმართულებით სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სახელმწიფო და კერძო სექტორისათვის კონკურენტული გარემო პირობების ოპტიმალური სისტემის შექმნა [1]. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო ბაზრის კონკურენტული გარემოს განვითარება, თავის მხრივ გულისხმობს და, ამასთანავე, ხელს უწყობს ორი მთავარი ამოცანის გადაწყვეტას: 1. კონკურენციაზე ორიენტირებული საბანკო საქმიანობის ნორმატიული საკანონმდებლო საფუძვლების შექმნას და 2. საბანკო საინვესტიციო საქმიანობისადმი მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან [2].

საბანკო საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივმა ბაზამ, რომელიც ორიენტირებულ იქნება კონკურენციაზე, უნდა უზრუნველყოს თითოეული მონაწილისათვის ერთნაირი სასტარტო შესაძლებლობების შექმნა, რომელიც, თავის მხრივ, გამორიცხავს ცალკეული საბანკო ინსტიტუტის ან ჯგუფის მიმართ მიდგომის დისკრიმინაციულ პირობებს.

აღსანიშნავია, რომ საბანკო საქმიანობის ზოგიერთი ექსპერტი გამოთქვამს მოსაზრებას, თითქოს კონკურენტული გარემოს შექმნით ცალკეულ რეგიონში უნდა აიკრძალოს მხოლოდ ერთი ბანკის საქმიანობა, რადგან მასთან ერთად უნდა მოქმედებდეს რამდენიმე ბანკი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი აზრით, ცენტრალური ბანკი არ უნდა იყოს კეთილად განწყობილი ამა თუ იმ ბანკის მიმართ, როდესაც ახდენს საკრედიტო რესურსების განაწილებას, მათი ახალი ფილიალების გახსნას. არსებუ-

---

[1] Коробов Ю. П. Теория банковской конкуренции. Саратов. изд. центр Саратовской государственной экономической академии.1996, стр.147.

[2] Мехряков В. Банковская систем в России текущая ситуация и проблема развития. ж., „Вопросы экономики".1995. №11. стр.116-117.

ლი კანონმდებლობიდან გამომდინარე, კონკურენციაში ჩაბმული ბანკებისადმი კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მთავარ კრიტერიუმებს უნდა წარმოადგენდეს ბანკების საქმიანობის ეკონომიკური მი'სანდასახულობა, საზოგადოებრივი სარგებლიანობა [1].

ბანკების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ კამათიდან გამომდინარე, ხშირად მიმდინარეობს დავა, თუ რამდენ ბანკს შეუძლია ეფექტურად მოქმედება ქვეყანაში. საკითხის ასე დაყენება არასწორად მიგვაჩნია. კითხვას, თუ რამდენი ბანკი უნდა იყოს საქართველოში, პასუხი უნდა გასცეს თვით ეკონომიკამ, რომელიც განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა ესა თუ ის ბანკი ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ გამოვდივართ რა ყოველგვარი ნიშნის მიხედვით საბანკო ორგანიზაციების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ, აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ მცირე და საშუალო ბანკების საინვესტიციო საქმიანობაში არსებულ სიძნელეებს, რაც გამოიხატება შემდეგში: 1. კლიენტების გადაბირებასა და მოზიდვაზე განსაკუთრებით ზემოქმედებს მსხვილი ბანკების ცნობილი დასახელებები და მათზე ხელოვნურად შექმნილი ზემაღალი სანდოობის იმიჯი; 2. მცირე და საშუალო ბანკები განიცდიან კლიენტების მხრიდან ნდობის ფაქტორის დაცემას; 3. ხელისუფლების სტრუქტურები მათ მიმართ ურთიერთობებს ხშირად აგებენ „ნარჩენი" პრინციპის სახით, უფრო მეტიც, იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელთა უმეტესობაც მიმართულია წვრილი ბანკების დახურვისაკენ. ამას ისიც ემატება, რომ ცენტრალური ბანკი ამკაცრებს მოთხოვნებს საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ, კერძოდ, ეს გამოიხატება

[1] Сухов М. И. Некоторые аспекты обеспечения устойчивости банковского сектора, ж., „Деньги и кредит" 1996, №11, стр.19.

ბანკების საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდის გაზრდაში. ბუნებრივია, საწესდებო კაპიტალის გადიდების მოთხოვნა ზემოქმედებს ყველა ბანკზე, მაგრამ განსაკუთრებით ახლახან შექმნილ მცირე ბანკზე.

ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ საქართველოსათვის აუცილებელია მსხვილი კომერციული ბანკების შექმნა. ამიტომ, ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკების შერწყმის პროცესს და შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს ამ პროცესის მხარდაჭერის მექანიზმები, სხვაგვარად ეს პროცესი სტიქიურ ხასიათს მიიღებს და შეიძლება ეკონომიკას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. კერძოდ, არ არის გამორიცხული, მცირე ბანკების დახურვით შემცირდეს მომხმარებელთა საბანკო მომსახურება, ხოლო კონცენტრაციის ხარისხის ამაღლება (კაპიტალის დივერსიფიკაციის შემცირება) საბანკო სექტორში, თავის მხრივ, გამოიწვევს საბანკო მომსახურებაზე ფასების დონის ხელოვნურ აწევას შეთანხმებების პრაქტიკის საფუძველზე.

თუ საქართველოში 1995 წლის 1 იანვრისთვის რეგისტრირებული იყო 229 კომერციული ბანკი, 2000 წლის 1 იანვრისთვის მათი რაოდენობა 36-მდე შემცირდა. ეს პროცესი მიმდინარეობს იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა საბანკო სისტემით სრულად არ არის დატვირთული. შედარებისათვის ბელგიაში საბანკო ინსტიტუტების თითოეულ ფილიალზე მოდის დაახლოებით 717, შვეიცარიაში – 835, გერმანიაში – 1000, საფრანგეთში – 1314, ინგლისში – 1331, იაპონიაში – 1780, აშშ-ში – 2214, რუსეთში – 3000 მცხოვრები.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირე ბანკების საბანკო საქმიანობის არენიდან წასვლა საბანკო ბაზარზე იწვევს მათი ადგილების სტიქიურ შევსებას არასაბანკო ინსტიტუტებ-

ის ჰსრიდან, ხოლო ამ უკანასკნელთა საქმიანობა ნაკლებად კონტროლირებადია და შესაბამისად ნაკლებად სანდო, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს იმასაც, რომ საბანკო სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბანკების ქსელი. ასე მაგალითად, აშშ-ში მცირე და საშუალო ბანკების წილზე მოდის საკრედიტო დაწესებულებების 80%-ზე მეტი. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ სწორედ მცირე და საშუალო ბანკები უწევენ მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესს და ასევე მოსახლეობის ფართო ფენებს, რომლებიც ნაკლებად მიმზიდველნი არიან მსხვილი ბანკებისათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მტკიცებულება მსხვილი ბანკების მცირე ბანკებთან შედარებით უფრო მეტი საიმედოობის შესახებ, სადავო საკითხია. ერთ-ერთ გამოკვლევაში შეფასებული იყო 35 მსხვილი და 53 მცირე და საშუალო ბანკის საიმედოობა. გაანალიზებული იყო ამ ბანკების შემდეგი მაჩვენებლები: საიმედოობის გენერალური კოეფიციენტი, მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი, კაპიტალის დაფარვის კოეფიციენტი, საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი, მოგების საფონდო კაპიტალიზაციის კოეფიციენტი. საიმედოობის მიმდინარე ინდექსის საშუალო მნიშვნელობა მსხვილი ბანკებისათვის შეადგენდა 55,5-ს, ხოლო მცირე და საშუალო ბანკებისათვის 59,6-ს [1]. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მცირე და საშუალო ბანკები საიმედოობის თვალსაზრისით უფრო მაღალ საფეხურზე დგანან, ვიდრე მსხვილი ბანკები.

როგორც ცნობილია, ბანკის საინვესტიციო საქმიანობა მუშაობის წარმართვის სპეციფიკური ფორმაა. იგი ბანკის სხვა

[1] Лидер В. В. Надежность банков: крупные, малые, средные //Банковское дело. 1996. №2.

საქმიანობის მიმართულებებისაგან განსხვავებით, მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომლებიც შემდეგში გამოიხატება: 1. თუ საკრედიტო ოპერაციების დროს სახსრების გამოყენება ხდება შედარებით მოკლე დროის განმავლობაში, სესხისა თუ მისი ეკვივალენტის ღირებულების დაბრუნების პირობით, ინვესტირების დროს ფულის დაბანდება ხორციელდება შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახსრების ნაკადების თანდათანობითი შემოდინების საფუძველზე; 2. საბანკო დაკრედიტების გარიგების ინიციატორებად, როგორც წესი, ჩვეულებრივად მსესხებლები გვევლინებიან, ინვესტირებისას კი გარიგების თაოსანი ბანკია, რომელიც აქტივების შეძენას ბაზარზე ახორციელებს; 3. საკრედიტო გარიგებათა უმეტეს შემთხვევაში ბანკი მთავარი და ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან კრედიტორთა შორის, რომელიც სესხს იძლევა, მაშინ, როდესაც საინვესტიციო პროცესში ბანკი, როგორც წესი, ერთ-ერთია მრავალ კრედიტორთა შორის; 4. საბანკო დაკრედიტება ბანკსა და მსესხებლებს შორის უშუალო, ხოლო ინვესტირება გაუპიროვნებელ ურთიერთობებს ემყარება.

დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნების თანამედროვე საკრედიტო სისტემაში საინვესტიციო ბანკების განვითარებამ ფართო ხასიათი მიიღო. საკრედიტო სფეროში მათმა ფუნქციონირებამ შრომის დანაწილებასა და სპეციალიზაციას ხელშემწყობი პირობები შეუქმნა. საინვესტიციო ბანკების მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხანგრძლივი დროით სასესხო კაპიტალის მობილიზაცია და მათი მსესხებელზე მიწოდება განხორციელდეს აქციების, ობლიგაციებისა და სხვა სახეობის სასესხო ვალდებულებების გამოშვებისა და განთავსების მეშვეობით. ინვესტიციების ძირითადი განსხვავება კაპიტალის განთავსების სხვა მეთოდებისგან იმაში მდგომარეობს, რომ თანხების დაბანდება ხდება

არა მიმდინარე, არამედ მომავალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

თანამედროვე პირობებში საინვესტიციო ბანკების ორ სახეობას ასხვავებენ. პირველი სახეობის ბანკების უმრავლესობა ძირითადად ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობითა და მათი განთავსებით არის დაკავებული, ხოლო მეორე სახეობის ბანკები კი, მატერიალურ აქტივებში გრძელვადიანი დაკრედიტებით. პირველი სახეობის საინვესტიციო ბანკები, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას გვევლინება დამფუძნებლების როლში საკომისიო საწყისებზე ან კიდევ მტკიცე გარანტიის ფუნქციას ასრულებენ წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის მეშვეობით, რომლის მოცულობა აქციების შემდგომი განთავსების მდგომარეობის გაუთვალისწინებლად არის განსაზღვრული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, საინვესტიციო ბანკების წილი საკრედიტო სისტემის აქტივებში შედარებით არც ისე დიდი მოცულობისაა, მაგრამ თავის ინფორმირებისა და დამფუძნებლური კავშირების მეშვეობით ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ფინანსური რესურსების დაბანდების ზრდის მიმართულებით მუშაობის წარმართვისას.

პირველი სახეობის საინვესტიციო ბანკები ძირითადად ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე მოქმედებენ, სადაც ისინი შუამავლების როლში არიან. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ფართოდ განვითარდა კერძო ობლიგაციებისა და აქციების განთავსების სხვადასხვა მეთოდი, რომლებმაც შემდგომში, თავის მხრივ, ფართო გავრცელება პოვა მსოფლიოს საბანკო საქმიანობის პრაქტიკაში. აღნიშნული მეთოდების არსი მოკლედ შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: 1. საინვესტიციო ბანკები მთლიანად თავის თავზე იღებს ობლიგაციის ან აქციების ემისი-

ის თანხას, ხოლო შემდეგ მათ ბაზარზე განათავსებენ. ეს არის ანდერრაიტინგის (underwritting) მეთოდი; 2. ფასიანი ქაღალდების პირდაპირი განთავსების (direkt or privait placement) შემთხვევაში საინვესტიციო ბანკები მხოლოდ კონსულტანტების როლში გამოდიან ფასიანი ქაღალდების გამყიდველებსა და მყიდველებს შორის; 3. ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსების (publik offer) შემთხვევაში საინვესტიციო ბანკები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განთავსებისათვის ქმნიან ჯგუფებს; დაბოლოს, 4. კონკურენტული ვაჭრობის (competitive bidding) საფუძველზე საინვესტიციო ბანკები შეიძენენ კორპორაციების ფასიანი ქაღალდების პაკეტს, შემდეგ აუქციონის მეშვეობით „ვინც მეტს გადაიხდის" პრინციპის საფუძველზე ყიდიან ადრე ნაყიდ ფასიან ქაღალდებს.

ფასიანი ქაღალდების განთავსების ზემოთ აღნიშნული მეთოდები ფართოდ გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: აშშ, კანადა, ინგლისი, იაპონია და საფრანგეთი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ომის შემდგომ წლებში აშშ-ის საინვესტიციო ბანკები პირველად ბაზარზე ფასიანი ქაღალდების განთავსების ყველა ოპერაციების დაახლოებით 70%-ს აკონტროლებდნენ. საინვესტიციო ბანკებისათვის მთავარია არა დამფუძნებელთა მოგება, არამედ მათზე დამოკიდებული ფასიანი ქაღალდების განმთავსებელი ემიტენტების შემოსავლის მოცულობა, ე.ი. მათთვის მთავარია კორპორაცია-ემიტენტების საქმიანობაზე კონტროლის უფლება. სწორედ ეს უფლება აძლევს საშუალებას საინვესტიციო ბანკებს უზრუნველყონ დიდი მოცულობის მოგების მიღების შესაძლებლობები. მათი დამფუძნებლური საქმიანობა ასევე განაპირობებს, რომ საინვესტიციო ბანკებმა ნაღდ ფულთან ერთად აქციებიც მიიღონ.

საინვესტიციო ბანკები, თავიანთი საქმიანობის მიმართულები-

დან გამომდინარე, ორგანიზაციული სტრუქტურით, ფუნქციებითა და ოპერაციებით არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო მათი საქმიანობის სხვადასხვა მიზნიდან გამომდინარე, არამედ ამ მიზნების მიღწევის სხვადასხვა მექანიზმითაც.

საინვესტიციო საქმიანობის წარმართვის თვალსაზრისით, საინტერესოა მეზობელ ქვეყანაში, თურქეთში მეორე სახეობის საინვესტიციო ბანკების საქმიანობის გამოცდილება. თურქეთში ამ სახის სამი სახელმწიფო და ორი კერძო საინვესტიციო ბანკი მოქმედებს. „სახელმწიფო საინვესტიციო ბანკი“ და „მრეწველობისა და მუშათა ინვესტიციების სახელმწიფო ბანკი“ ემსახურება სახელმწიფო სექტორს. ისინი სხვადასხვა სახელმწიფო და შერეული საწარმოების მიზნობრივ პროგრამებში გრძელვადიან ინვესტიციებს ახორციელებენ და ამით ხელს უწყობენ ეკონომიკის სტაბილურ, სწრაფი ტემპით განვითარებასა და ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. „ტურიზმის ბანკი“ ემსახურება კერძო და სახელმწიფო ტურიზმისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიან დაკრედიტებას, ხოლო ორი კერძო საინვესტიციო ბანკი – „სამრეწველო განვითარების ბანკი“ და „სამრეწველო ინვესტიციებისა და კრედიტის ბანკი“ თავიანთ ფულად სახსრებს წარმართავენ კერძო სამრეწველო კომპანიებისა და საწარმოების გრძელვადიანი დაკრედიტების უზრუნველყოფისათვის. მათი საქმიანობის თავისებურებანი სხვა ბანკებისაგან განსხვავებით იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დეპოზიტების მოზიდვასა და თავიანთი პასივების ფორმირებას ეწევიან საზღვარგარეთის სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციისაგან მოზიდული თანხებით და თურქეთის ცენტრალური ბანკისაგან აღებულ ფულად რესურსებსაც კი მიმართავენ ამ პროცესში და

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევით, თავიანთ საბანკო საქმიანობის ავტორიტეტსაც ამაღლებენ ქვეყნის მოსახლეობის თვალში. ეს ბანკები, ამასთანავე, შუამავლების როლში გამოდიან ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ფასიანი ქაღალდების განთავსების პროცესში და ამით ორივე სახეობის საინვესტიციო ბანკების ფუნქციების სწორად შეხამების შესაძლებლობებს ფართოდ იყენებენ, რაც ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია საქართველოს ბანკების ფუნქციონირების პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიების დროს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეორე სახეობის საინვესტიციო ბანკის ფუნქციებს დასავლეთის ქვეყნებში 90-იანი წლების დასაწყისიდან მსხვილი კომერციული ბანკები ასრულებენ, რომლებიც, თავის მხრივ, საინვესტიციო პროექტების საშუალო და გრძელვადიან დაკრედიტებას ახორციელებენ. საქართველოში სადღეისოდ არ არსებობს საინვესტიციო ბანკები. თანამედროვე პირობებში, ეკონომიკის აღმავლობისა და შიდა პრობლემების მოსაგვარებლად მეტად მნიშვნელოვანია საინვესტიციო საქმიანობის მეშვეობით კომერციული ბანკების როლის ამაღლება საქართველოს ეკონომიკის დაფინანსებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალი მსხვილი ბანკის მეშვეობით უნდა მოხდეს ერთი დარგიდან უფრო ხელსაყრელ და პერსპექტიულ დარგებში კაპიტალის გადადინება. ეს ობიექტური პროცესია და სწორედ კომერციული ბანკები იღებენ მთლიან პასუხისმგებლობას ასეთი არჩევანის გაკეთებისათვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო პროგრამების გრძელვადიანი დაფინანსება სტიქიურად კი არ ხდება, არამედ იგი ბანკების მხრიდან საწარმოების მიმდინარე საქმიანობის ყოველმხრივ ანალიზსა და კონტროლს გულისხმობს, მაგრამ ყველა საწარმო, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა მზად ასეთი მოთხ-

ოვნების დასაკმაყოფილებლად. იქ, სადაც აღნიშნული მოთხოვნები კმაყოფილდება, ბანკები საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის სტრატეგიისა და ფინანსური უზრუნველყოფის გეგმების დამუშავების აქტიური მონაწილენი ხდებიან.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს მსხვილი კომერციული ბანკების საქმიანობის ისეთი მიმართულება, როგორიცაა საწარმოთა საპროექტო დაფინანსება, რაც, ჩვენი აზრით, მთავრობის მხრიდან ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ინვესტიციების პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტისათვის აუცილებელია საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, ჰოლდინგური გაერთიანებების შექმნა, რომლებიც, თავის მხრივ, საბანკო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალთან შერწყმისა და მის ბაზაზე მსხვილი ფინანსური კაპიტალის წარმოქმნის საწყის ფორმას წარმოადგენს, ეს კი ხელს შეუწყობს ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობების ზრდას, კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობის ამაღლებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკები აქტიურად დაუჭერენ მხარს ასეთი გაერთიანებების შექმნას, მაგრამ ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ამჟამად ფაქტობრივად შექმნილი ასეთი ჯგუფები თუკი არიან ჩაბმული საქმიანობაში, ისინი ამ საქმიანობას არარეგისტრირებული ფორმით ასრულებენ და არც არავინ არის დაინტერესებული მათი რეგისტრაციაში გატარებით. ამას ხელს უწყობს არასრულყოფილი კანონმდებლობა, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ნელი ტემპებით განვითარება, შეფერხებები მიწის რეფორმის განხორციელებაში, საწარმოო და ფინანსური სტრუქტურების საბუღალტრო ანგარიშების დაუსვენწავი ფორმით წარმოება, მეწარმეობის შესახებ კანონში ჰოლდინგური გაერთიანებების შექმნის საწინააღმ-

დეგოდ მოქმედი ცალკეული დებულებების არსებობა. ყოველივე შეიძლება გამოსწორდეს დაუყოვნებლივ, საინვესტიციო საქმიანობის შესახებ სპეციალური კანონის ფუნდამენტური დამუშავების, მისი მოკლე დროში პარლამენტის მიერ მიღების საფუძველზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თავისუფალი ფულადი საშუალებების არსებობის გამო ბანკების მხრიდან ეკონომიკაში ფინანსური ინვესტიციების გაფართოებისათვის სათანადო საფუძველი გაგვაჩნია. მთავარია ამ ფინანსური რესურსების მოზიდვისა და მიზნობრივი გამოყენების რაციონალური ორგანიზაციის სისტემის შექმნა, რაც საინვესტიციო პოლიტიკის დამუშავებაში უნდა გამოიხატოს. აქ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა საინვესტიციო პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის სწორ განსაზღვრას ეკუთვნის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომერციული ბანკები თავიანთი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისას ზოგიერთ სხვა პრობლემასაც აწყდებიან, რომლებიც ხელს უშლიან მათ ნორმალურ ფუნქციონირებაში. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ბანკები, რომლებიც საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე მუშაობენ, ფაქტობრივად კერძო დაწესებულებების სისტემაში ერთადერთ უჯრედს წარმოადგენენ და მათი საქმიანობის ხელშემშლელ პირობებად მიგვაჩნია: 1. ქვეყნის მასშტაბით საინვესტიციო პროექტების დამუშავების მარკეტინგული ცენტრის, მაკორდინირებელი ორგანოს არარსებობა, რომელიც მარეგულირებელი ფუნქციის როლს შეასრულებდა ბანკების მიერ საინვესტიციო დაპროექტების ფინანსურ უზრუნველყოფაში; 2. პოტენციური მსესხებლის მდგომარეობის ან საინვესტიციო ინსტიტუტის შესახებ ინფორმაციის მიუღებლობა; 3. დეპოზიტარული ქსელის შექმნის უგულებელყოფა; 4. არსებული გან-

ვითარების დაბალი დონის მქონე საინვესტიციო ფონდები, დაბოლოს, 5. საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების სპეციფიკური ერთიანი ორგანოს, სახელმწიფო საინვესტიციო ბანკის არარსებობა და, აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უცხოეთში მოქმედი საინვესტიციო ბანკების ფუნქციების საქართველოს კომერციულ ბანკებს შორის სტიქიურად გადანაწილება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არსებობს მრავალი ეკონომიკური ფაქტორი, რომლებსაც შეუძლიათ ნეგატიური ზეგავლენა მოახდინონ ბანკების მიერ საინვესტიციო პროცესების განხორციელებაზე და არც არავის შეუძლია წინასწარ დაზღვევის მიზნით განსაზღვროს ამ ფაქტორების მოსალოდნელი რისკის საშიშროების გარდუვალობა. ამასთან, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაში მოქმედების სფეროს გაფართოება ობიექტურად მოითხოვს: კომერციული ბანკებისათვის მეტი დამოუკიდებლობისა და უფლებების მინიჭებას, მოკლევადიანი ფინანსური ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებთან შედარებით გრძელვადიანი დაბანდებების ეფექტურობის ამაღლებასა და შემოსავლების გადიდებას, ამ პროცესის დაჩქარებას, სახელმწიფოს მხრიდან ყოველმხრივ ხელშეწყობას, სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვას კერძო ინვესტიციების წახალისებისათვის და, საერთო ჯამში, მთლიანად საბანკო სისტემის საქმიანობის საიმედოობისა და მდგრადობის შემდგომ განმტკიცებას.

საბანკო საქმიანობის სიმტკიცის უზრუნველყოფისათვის წინა პლანზე გამოდის სტრუქტურულ-ინსტიტუციონალური რეფორმები, რომლებიც მიმართულია საბანკო დარგის განვითარების ახალი ეტაპისათვის მოსამზადებლად. აღნიშნული რეფორმების აუცილებლობა ქვეყნის საფინანსო ბაზრის მდგომარეობითაა გან-

პირობებული. ახალი ინსტიტუტები, როგორც ეს აღნიშნულია ნობელის პრემიის ლაურიატის დ. ნორტის შრომებში, წარმოიშობა მაშინ, როდესაც საზოგადოება ხედავს მოგების მიღების შესაძლებლობებს, რომელიც მოქმედი ინსტიტუციონალური სისტემის დროს არ შეიძლება მიღებულ იქნეს. ბანკების მაქსიმალური საინვესტიციო საქმიანობა შესაძლებელია ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანი სისტემის დროს. მრავალწყობიანობა ლოგიკურად კონკურენციის განვითარების შედეგია, რამდენადაც იგი ფინანსური რესურსების ოპტიმალური გამოყენების პრობლემას გადაწყვეტს. სწორედ ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანობა ზღუდავს და აჩერებს კრიზისულ მოვლენებს.

საბანკო სისტემის მრავალწყობიანობა ბევრი განვითარებული (აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იაპონია) და ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი, რომლებმაც უკანასკნელ ათწლეულში მყარ ეკონომიკურ წინსვლას (ჩინეთი, პოლონეთი, ბრაზილია და სხვა) მიაღწიეს. საკრედიტო დაწესებულებების მიერ ეკონომიკაში ფინანსური მომსახურების სხვადასხვა სახისა და ფორმის გამოყენების საშუალებას სწორედ მრავალწყობიანი საბანკო სისტემა იძლევა[1].

ამასთანავე, ასეთ სისტემაში სახელმწიფო ფინანსურ ორგანიზაციებს შორის კონკურენციის ხელოვნური შეზღუდვის სხვადასხვა მექანიზმს ქმნის. აღნიშნულის ნათელ მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს აშშ-ში საკრედიტო დაწესებულებების კომერციულ და ინვესტიციურ საკრედიტო დაწესებულებებად დაყოფა. ასევე ქვეყნის ბანკების შეზღუდვა მათ მიერ სხვა ქვეყნებში მრავალწლიანი საკრედიტო დაბანდებების გაწევის მიმართულებით და სახელმწიფო ბანკების ცალკე კატეგორიად

[1] Шмелев А. Г. Продуктивная конкуренция, М.: Инфра-М.1997. ст.51.

გამოყოფა. მცირე ბიზნესისათვის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, საკრედიტო კოოპერაციების მეშვეობით, არეგულირებს სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო საქმიანობის კონკურენტუნარიანი გარემო პირობების შექმნას, რაც მომავალში ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემის საქმიანობაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკის განვითარებისა და განმტკიცების შესაბამისად მომავალში, ალბათ, საჭირო არ იქნება ასეთი ღონისძიებები, მაგრამ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მათი მნიშვნელობის შესახებ არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს. ბუნებრივია, რომ მრავალწყობიანი ფინანსური სექტორი წარმოიშობა მხოლოდ კონკურენციის თანაბარ პირობებში, რამდენადაც მათ შორის მიზეზშედეგობრივი, უკუზემოქმედებითი კავშირი არსებობს. აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება მრავალწყობიან ფინანსურ სექტორსა და კონკურენციას შორის იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელს უწყობს ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი საინვესტიციო საქმიანობის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნასა და შემდგომ განვითარებას.

ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანი პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა გამოიმუშაოს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის „მშვიდობიან“ თანაარსებობას მათი სიდიდისა და სპეციალიზაციის მიუხედავად. ყოველი კატეგორიის ბანკმა უნდა „იმოქმედოს“ თავის საბაზრო „სფეროში“, ხოლო სხვადასხვა დონის ბანკის რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს დაწესებული რეგულირების წესებიდან გამომდინარე. კერძოდ, ჩვენი აზრით, უფრო გამოკვეთილ და რეგლამენტირებულ უნდა იქნეს იმ ბანკების მოქმედების სფეროები, რომლებიც ხელისუფლების

ორგანოების კაპიტალს იყენებენ. ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანი სისტემის პირობებში კონკურენცია „კეთილსინდისიერ“ ხასიათს ატარებს და ამიტომ ასეთი სისტემა მნიშვნელოვნად უფრო მყარ სისტემას წარმოადგენს. კერძოდ, მრავალწყობიანი სისტემის დროს სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკების სისტემის შექმნით, კონკრეტული სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებისას სახელმწიფო რესურსები შეიძლება უფრო ეფექტურად იქნეს გამოყენებული კონკურენციული ბრძოლის პირობებში. ამ შემთხვევაში სახელმწიფო რესურსები არ შეიძლება გახდეს კომერციული ბანკების მხრიდან ლობირების ობიექტი. ასე მაგალითად, გერმანიაში ეკოლოგიური, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო და სხვა დარგების სახელმწიფო პროექტების რეალიზაციას ახორციელებენ სპეციალიზებული კომერციული ბანკები. სპეციალიზებული სახელმწიფო კრედიტები არსებობს ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნების (იაპონია, იტალია, საფრანგეთი და ა.შ.) საბანკო სისტემებში. ასეთი პრაქტიკა მნიშვნელოვანი ზომით ხსნის კონკურენტული ბრძოლის პირობებში სახელმწიფო რესურსების არასწორად გამოყენების საშიშროებას [1].

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ამუხრუჭებს ეკონომიკის რეალური სექტორის ეფექტურ განვითარებას, წარმოადგენს რეგიონების მომსახურებისათვის საჭირო ფინანსური კაპიტალის შეუსაბამობა. საწარმოებიდან ფინანსური რესურსების ძირითადი მოცულობა ცენტრშია თავმოყრილი. აღნიშნული სიტუაცია განსაზღვრული ზომით გამართლებულია სახელმწიფო საწარმოებისათვის, მაგრამ საკმაოდ დაუშვებელია კერძო კომპანიების მიმართ.

---

[1] Н. Ковзанадзе, Развитие конкурентной среды банковского рынка, журнал „Аудитор“. №12, Москва, 2000. ст.31-32.

სხვადასხვა შეფასებით, რეგიონების ბანკები აკონტროლებენ რეგიონის საწარმოთა ფინანსური წყაროების მოდინების არა უმეტეს 20-30 პროცენტს. ამგვარი მდგომარეობა სერიოზულად აფერხებს ადგილობრივი ბანკების განვითარებას ადგილობრივ საწარმოებთან ერთად. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონული ბანკების მხრიდან ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტებისათვის რესურსების უკმარისობის პრობლემის გადაწყვეტისათვის, საჭიროა მასთან დაკავშირებული საკითხების რეგიონებიდან ფინანსური წყაროების გადინების პრობლემასთან კავშირში განხილვა. ამ პრობლემის ადმინისტრაციული ღონისძიებებით გადაწყვეტა არ შეიძლება, საჭიროა შესაბამისი ეკონომიკური ღონისძიებების დამუშავება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლის წილის ზრდასთან ერთად აუცილებელია მუნიციპალური წარმონაქმნების ბიუჯეტების რეგიონულ ეკონომიკის განვითარებაში პასუხისმგებლობის განსაზღვრაც. ამრიგად, ფინანსური ფედერალიზმი წარმოადგენს იმ აუცილებელ პირობას, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ფინანსური მომსახურების ბალანსირებული ბაზრის ფორმირებას და, მეორე მხრივ, საინვესტიციო საქმიანობის შემდგომ განვითარებას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის საფუძველზე.

ფინანსური ფედერალიზმის პირობებში კონკურენციისათვის თანაბარი პირობების შექმნა ბუნებრივად მიგვიყვანს ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანი სისტემის ჩამოყალიბებამდე. ასეთი პროცესი, როგორც მსოფლიოს პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, ასევე წარმოშობს მსხვილ ფინანსურ ცენტრებს არსებულ და ახლად შექმნილი ბანკების საფუძველზე. ამრიგად, რეგიონულ ბანკების განვითარება საბანკო ინდუსტრიის განვითარების კონცეფციის ფარგლებში უზრუნველყოფს რე-

გიონების ეკონომიკის ფინანსური პოტენციალის ზრდასაც. თანამედროვე ეტაპზე ბანკების ფილიალების სფეროს განვითარების პირობები სულ უფრო იზრდება თავისი მნიშვნელობის თვალსაზრისით. დღევანდელ პირობებში, თუ ბანკები ძირითადად უზრუნველყოფენ ფინანსური კაპიტალის მოდინების წყაროებს „რეგიონები – ცენტრის“ ხაზით, რეალურ ფედერალიზმზე გადასვლის შემდეგ, მრავალფილიალების მქონე ბანკები რეგიონთა შორის ფინანსური კაპიტალის გადადინების წყაროების უზრუნველმყოფელ ბანკებად გარდაიქმნებიან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აუცილებელია მცირე საბანკო ბიზნესის როლის ამაღლება, რაც უნდა გამოიხატოს საქალაქო და სასოფლო საკრედიტო კავშირების, ურთიერთდაკრედიტებისა და დაზღვევის საზოგადოებების, სასესხო-სამშენებლო ასოციაციების შექმნით. მცირე საბანკო ბიზნესის ზემოთ აღნიშნული ფორმები გადამწყვეტ როლს თამაშობს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ტემპების ზრდაში. ურთიერთდაკრედიტებისა და დაზღვევის პრინციპებზეა აგებული აგროსამრეწველო სექტორი, წვრილი მეწარმეობა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ავსტრია, გერმანია, პოლონეთი, ჩინეთი და ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოში საბანკო სისტემის განვითარების პროცესში და შესაბამისად უნდა მომზადდეს ადეკვატური კანონმდებლობა მცირე და საშუალო საბანკო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, ვინაიდან სხვაგვარად შეუძლებელია რეგიონის მასშტაბით ეფექტური ფინანსური სისტემის შექმნა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს კომერციული ბანკების ერთობლივი აქტივების სტრუქტურაში საინვესტიციო პორტფელი 1999 წლის 1 იანვრისთვის 1%-ს არ აღემატება, ხოლო 2000 წლის 1 იანვრისთვის 4%-ს, ეს მეტყ-

ველებს პორტფელური ინვესტიციების ზრდის ტენდენციაზე [1]. მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება, რომელსაც განსაზღვრავს საინვესტიციო პორტფელის ოპტიმალური მართვა. აქვე აღსანიშნავია, რომ შემოსავალი ინვესტიციებიდან შეიძლება სხვადასხვა წყაროდან და სხვადასხვა სახით იქნეს მიღებული: მიმდინარე შემოსავლის სახით (პროცენტები, დივიდენდები) და კაპიტალის მატებიდან (როცა ინვესტიციის ფასი მოიმატებს ისე, რომ გადააჭარბებს შესყიდვის ფასს). შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობის შეფასებაში საკვანძო ცვლადია იმიტომ, რომ იგი საშუალებას იძლევა შევადაროთ რეალური და მოსალოდნელი შემოსავლების პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტით. მოსალოდნელი შემოსავლის დონე დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა გარე ძალები და ინფლაცია.

— გარე ძალებს მიეკუთვნება პოლიტიკური სიტუაცია, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების ღონისძიებები და სხვა.

— ინფლაცია დადებით გავლენას ახდენს ინვესტირების ზოგიერთ ობიექტზე (უძრავი ქონება) და უარყოფითად ზემოქმედებს დანარჩენებზე (ფიქსირებულ შემოსავლიანი ფასიანი ქაღალდები).

საინვესტიციო ინსტრუმენტების შემოსავლიანობა განისაზღვრება ფინანსური სისტემის საერთო მდგომარეობით და პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული რისკზე, რომელიც თან სდევს ინვესტიციებს ამა თუ იმ ინსტრუმენტში.

საქართველოში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე განხორციელებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების შემოსავ-

---

[1] ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 1999 წ. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ. 2000 წ. გვ. 34.

ლიანობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ ნომინალური შემოსავლიანობის დინამიკა მჭიდრო კავშირშია ინფლაციის ტემპებთან.

რეალური შემოსავლიანობა გამოითვლება, როგორც სხვაობა ნომინალური შემოსავლიანობისა და წლიური ინფლაციის ტემპებს შორის. ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობა განისაზღვრება რეალური ეკონომიკის ძირითადი სექტორების რენტაბელობით, სავაჭრო ოპერაციებითა და არამწარმოებლური სფეროს რენტაბელობით. თუ ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში გვაძლევს შემოსავალს, რომელიც არსებითად აჭარბებს მთლიანობაში რეალური ეკონომიკის შემოსავლიანობას, მაშინ გარდუვალია ე.წ. სისტემის ფინანსური კრიზისი.

ინვესტიციიდან მიღებული შემოსავალი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ:

ა) რეალიზებული შემოსავალი, ე.ი. რეალურად მიღებული შემოსავლები;

ბ) შემოსავალი (ზარალი) კაპიტალის მატებიდან, რომელიც გამოისახება საინვესტიციო ინსტრუმენტების საბაზრო ფასების აწევით და რომელსაც ინვესტორი მხოლოდ აქტივის გაყიდვისას მიიღებს.

ინვესტიციის შემოსავლიანობის გამოანგარიშება შეიძლება მიმდინარე შემოსავლის ნაწილის თანაფარდობით პირველდაწყებითი ინვესტიციიდან მიღებული კაპიტალის ნამატთან.

მისაღები საინვესტიციო ინსტრუმენტის განსაზღვრის ალტერნატიული ხერხი მისი წლიური შემოსავლიანობის განაკვეთის შეფასებაა. გრძელვადიანი დაბანდებებიდან მიღებული შემოსავლიანობის ფაქტობრივი განაკვეთი ხშირად ხასიათდება როგორც სრული შემოსავლიანობა ან უკუგების შიდა განაკვეთი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაბანდების მიზანშეწონილობის განსაზღვრის თვალსაზრისით შეწონილი ღირებულებისა

და სრული შემოსავლიანობის პრინციპის გამოყენება ერთი და იმავე შედეგს იძლევა. შემოსავლიანობის შეფასება შესაძლებელია დაახლოებითი შემოსავლიანობის ფორმულით:

$$Ra = \frac{Rma + \frac{Ifp - Ip}{Id}}{\frac{If - Ip}{2}},$$

სადაც **Ra**– არის დაახლოებითი შემოსავლიანობა; **Rma** – საშუალო ყოველწლიური შემოსავლები; **Ifp** – ინვესტიციების მომავალი ფასი; **Ip** – ინვესტიციის მიმდინარე ფასი; **Id** – ინვესტირების ვადა.

ჩვენი აზრით, ეს ფორმულა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ერთჯერადი შემოსავლიანი საინვესტიციო ინსტრუმენტების, ისე იმ ინსტრუმენტების შემოსავლიანობის შესაფასებლად, რომლებიც შემოსავლების ნაკადებს ქმნიან.

საინვესტიციო პორტფელის მართვაში საინვესტიციო ინსტრუმენტების ჩართვის ძირითად კრიტერიუმად გვევლინება შემოსავლიანობის მოსალოდნელი მაჩვენებელი, რისკის დონე, განსაზღვრული საგადასახადო მახასიათებლები, რომლებიც შემოსავლიანობაში აისახება. რეალური შედეგები, როგორც წესი, განსხვავდება მოსალოდნელისაგან. ამასთან დაკავშირებით, პორტფელის მართვის საქმეში აუცილებელი ელემენტია ინვესტიციის ეფექტურობის შეფასება. პორტფელის შემოსავლიანობის ანალიზი საფუძვლად უდევს პორტფელის მონიტორინგსა და მის პერიოდულ კორექტირებას. მონიტორინგი არის ფაქტობრივი შედეგების შეფასება, დაგეგმილთან მათი შედარება და მათი კორექტირების ვადების დადგენა მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

ამრიგად, ინვესტიციის შემოსავლიანობის ანალიზის საფუძვ-

ელს წარმოადგენს, ჯერ ერთი, მიმდინარე საბაზრო ინფორმაცია. ინვესტორისათვის აუცილებელია ფასების მერყეობისა და დაგროვილი შემოსავლების ამსახველი მონაცემების ბაზის შექმნა, კორპორაციული შემოსავლებისა და დივიდენდების მონიტორინგი, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ კორპორაციულ აქციებზე; მეორე, გარდა ამისა, საბაზრო შემოსავლიანობაზე გავლენას ახდენენ ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, და მესამე, აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა მიკროეკონომიკურ მოვლენებსა და პორტფელში შემავალ ფასიან ქაღალდებს შორის არსებული ურთიერთკავშირის მონიტორინგი.

ცხადია, იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება საინვესტიციო ინსტრუმენტების პარამეტრები ზემოთ ჩამოთვლილ მოვლენათა კომპლექსში, ინვესტორმა ოპერატიულად უნდა შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის შედგენილობა.

§2. საინვესტიციო პორტფელის მართვის სრულყოფის გზები

საინვესტიციო პორტფელის მართვის პრაქტიკაში შეიძლება გამოიკვეთოს ორი მიდგომა. პირველი ტრადიციულია, ხოლო მეორე ჩამოყალიბდა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე.

პორტფელის ტრადიციული მართვა ეფუძნება ბალანსირებული პორტფელის იდეას. ამ კონცეფციის მიხედვით, ინვესტორები პორტფელში ყველაზე მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორც წესი, ყველაზე ცნობილი კომპანიების აქციებს ათავსებენ. ეს დაკავშირებულია სამ მიზეზთან. ჯერ ერთი, კარგი რეკომენდაციის მქონე საწარმოები იშვიათად განიცდიან კრახს; მეორე, ისინი მაღალლიკვიდურია, დიდი რაოდენობით მიმოიქცევიან ბაზარზე; და მესამე, ასეთი კარგად ცნობილი საწარმოს აქციებისაგან შედგენილი პორტფელი მუდამ დიდი ნდობით სარგებლობს.

თანამედროვე საპორტფელო თეორია – ეს არის საპორტფელო სტრატეგიის ფორმირება სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. საპორტფელო სტრატეგიის დასასაბუთებლად არსებობს რამდენიმე ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებელი. ერთი ამ მაჩვენებელთაგანია – სტანდარტული გადახრის კვადრატი ან აქტივის შემოსავლიანობის დისპერსია; მეორე – წყვილი ფასიანი ქაღალდის კორელაცია ანუ მთლიანობაში ფასიანი ქაღალდისა და ბაზრის უკუგება.

თანამედროვე საპორტფელო თეორია აგრეთვე იყენებს ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრს, როგორიც „ბეტაა“, რომელსაც ქვევით დაწვრილებით განვიხილავთ [[8]]. პრაქტიკაში, როგორც წესი, ინვესტორები არ ირჩევენ ზემოთ აღნიშნული სტრატეგიებიდან ერთ-ერთს, არამედ იყენებენ ორივეს. საბანკო რისკის შემცირე-

[8] Максимо В.Энг, Френсис Лис. Мировые финансы. - М. изд. Дека. 1998, ст. 705.

ბის ერთ-ერთ პრინციპად გვევლინება ინვესტიციების დივერსიფიკაცია – საინვესტიციო პორტფელში სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის შერწყმა, ბანკის საკუთრებაში რამდენიმე საინვესტიციო ობიექტის არსებობა განპირობებულია მისი საინვესტიციო გეგმით განსაზღვრული რამდენიმე მიზნის ურთიერთქმედებით.

საინვესტიციო პროგრამის შესრულების პროცესში უნდა მოხდეს მისი შეფასება, ამიტომ პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები უნდა შეიცავდნენ შესრულების ვადებს, რომელთა კონტროლიც სავალდებულოა. პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, აგრეთვე საფინანსო ბაზარზე სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში აუცილებელია შეფასდეს საინვესტიციო გეგმა და პროგრამა, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს კორექტირება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ განსაზღვრული წესები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს ინვესტირების პროცესში.

<u>პირველი წესი</u> – კონკრეტული ბანკისათვის დასაშვები რისკის ხარისხის მიხედვით უნდა განისაზღვროს ფულადი სახსრების განთავსების სფეროები.

<u>მეორე წესი</u> – მოიცავს დაბანდებისათვის ხელსაყრელი მომენტის შერჩევას. საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა განხორციელდეს ინვესტირება, ძნელი გადასაწყვეტია იმიტომ, რომ იგი პირდაპირ დამოკიდებულია მეტად ცვალებად და ძნელად გამოსაცნობ საბაზრო კონკურენციაზე. ინვესტირების მომენტის შესარჩევად საჭიროა განისაზღვროს ბაზრის მიმდინარე მდგომარეობა და შეფასდეს ბაზარში არსებული ტენდენციის შენარჩუნების შესაძლებლობა ან მოსალოდნელ ცვლილებათა მიმდინარეობა.

ბანკის საინვესტიციო პორტფელის ეფექტურობის შეფასებისას მიზანშეწონილია მიღებული შემოსავლების შედარება შესაბამის საერთო საბაზრო მაჩვენებლებთან. საერთოდ, მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობის ორიენტირად გვევლინება შემდეგი რეიტინგული სააგენტოების ინდექსები: „Standart & Poor's Corporation", „Mood's Investors Serviece", „Dow Jones", ნიუიორკისა და ამერიკის საფონდო ბირჟების გაზეთები: „The Financial Times", „The Wall Street Journal" და ა.შ.

საინვესტიციო პორტფელის მონიტორინგისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოსავლიანობის მაჩვენებლის გამოყენება, აგრეთვე შეიძლება გამოვიანგარიშოთ ინვესტიციის მოსალოდნელი შემოსავლიანობაც.

ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$R = Rr + KK / Iv,$$

სადაც R – არის შემოსავალი; Rr – მიმდინარე შემოსავალი; KK – კაპიტალის მატება (შემცირება); Iv– ინვესტიციის საწყისი მოცულობა.

ეს ფორმულა გამოიყენება როგორც მთელი პორტფელის, ისე ცალკეული საფინანსო ინსტრუმენტის – აქციების, ობლიგაციების, რეალური აქტივებისა და სხვა ინვესტიციების ფაქტობრივი შემოსავლიანობის შესაფასებლად.

აქციებსა და ობლიგაციებში ინვესტიციების შემოსავლიანობის შეფასებისათვის არსებობს სხვადასხვა მაჩვენებელი. კერძოდ, დივიდენდის განაკვეთი განსაზღვრავს აქციაში ინვესტიციის მიმდინარე სადივიდენდო შემოსავლიანობას. იგი გამოიანგარიშება აქციის წლიური დივიდენდის ჯამის აქციის ფასზე გაყოფით.

ობლიგაციებზე მიმდინარე შემოსავლიანობის მაჩვენებელი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Rr = Ri / Rb$$

სადაც Rr – არის მიმდინარე შემოსავლიანობა; Ri – წლიური საპროცენტო შემოსავალი; Rb – ობლიგაციის მიმდინარე საბაზრო კურსი.

ობლიგაციათა მოსალოდნელი შემოსავლიანობა (დაფარვის შემოსავლიანობა) აღრიცხავს როგორც პროცენტებს, ისე საკურსო ცვლილებებს, რომელიც გამოიანგარიშება ობლიგაციის დაფარვამდე მთელი პერიოდის განმავლობაში რთული პროცენტით.

ინვესტიციის შემოსავლიანობის დასახელებული მაჩვენებლები შეიცავს ინვესტორის შემოსავლის სხვადასხვა კომპონენტს, მაგრამ არ ასახავს ფაქტობრივ ერთობლივ შემოსავალს. მისი განსაზღვრისათვის გამოიყენება ფლობის პერიოდში შემოსავლიანობის გამოანგარიშების მეთოდი. აქციებსა და ობლიგაციებში ინვესტიციების ერთობლივი შემოსავლიანობა მოიცავს: მიმდინარე შემოსავლებს (დივიდენდები ან პროცენტები) და დამატებული კაპიტალის ნამატს ან ზარალს.

საინვესტიციო ინსტრუმენტების ფლობის პერიოდში შემოსავლიანობის მაჩვენებელი განსაზღვრავს ერთობლივ შემოსავლიანობას (შემოსავალს დამატებული ღირებულების ცვლილება), რომელიც მიღებულია კონკრეტული ინვესტიციიდან მოცემულ საინვესტიციო პერიოდში.

სხვა საინვესტიციო ინსტრუმენტებიდან (ოფციონები, სასაქონლო ფასეულობანი, ფინანსური ფიუჩერსები და რეალური აქტივები) მიღებული შემოსავლის ერთადერთი წყაროა მათი ღირებულების ზრდა. საინვესტიციო ინსტრუმენტების ფლობის

პერიოდში შემოსავლიანობის მაჩვენებლის გაანგარიშების შემდეგ ხდება შედეგების შედარება საინვესტიციო მიზნებთან, განისაზღვრება ცალკეულ ინსტრუმენტებში ინვესტიციის ეფექტურობა, მათი შემოსავლიანობის პერიოდული გამოთვლების დახმარებით. ეს გამოთვლები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ გადაწყვეტილება, თუ რომელი საინვესტიციო ინსტრუმენტი უნდა იქნეს შენარჩუნებული და რომელი უნდა გაიყიდოს. პორტფელიდან საინვესტიციო ინსტრუმენტის გამოყვანა მიზანშეწონილია შემდეგ შემთხვევებში: თუ მისი ეფექტურობა მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდება და უკეთესობისაკენ რეალური ცვლილებები პროგნოზით არ არის მოსალოდნელი; მან შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანები; ბაზარზე გამოჩნდა უკეთესი საინვესტიციო ვარიანტები.

ინვესტიციის ეფექტიანობის ანალიზის დროს ასევე აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, შეესაბამება თუ არა სარეალიზაციო შემოსავლიანობა საინვესტიციო რისკის იმ დონეს, რომელიც აქვთ კონკურენტ ინსტრუმენტებს.

ინვესტიციები რაციონალურია, თუ მათი შემოსავლიანობის მოსალოდნელი დონე საკმაოდ აჭარბებს იმ შემოსავლებს, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს მცირე რისკიანი დაბანდებებისგან.

ამრიგად, რისკის შეფასების პოზიციიდან ინვესტიციის ეფექტურობის შეფასების საწყის წერტილად მიჩნეულ უნდა იქნეს დაბალი დონის მქონე ინვესტიციების შემოსავლიანობის ნორმა.

ერთობლივი ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების ერთერთი მეთოდია შემოსავლიანობის გაანგარიშება, რომლის კორექტირებაც ხდება რისკისა და შემოსავლიანობის საშუალო საბაზრო მაჩვენებლების მიხედვით.

ამ მაჩვენებლის გასაანგარიშებლად შესაძლებელია შემდეგი ფორმულის გამოყენება:

$$Rq = V - [\, Rp + B \times (T - V) \,],$$

სადაც **Rq** – არის შემოსავლიანობის ნორმა, რომელიც კორექტირებულია რისკისა და საბაზრო მაჩვენებლების გათვალისწინებით; **V**– ფასიანი ქაღალდის ან პორტფელის შემოსავლიანობა; **Rp** – პროცენტის ურისკო განაკვეთი; **B**– ცნობილი ფასიანი ქაღალდის ან პორტფელის „ბეტა“; **T** –საბაზრო ინდექსის ზრდის ტემპი.

საბაზრო ინდექსის ზრდის ტემპი წარმოადგენს ერთობლივ შემოსავლიანობას (დივიდენდი პლუს ფასიანი ქაღალდის ფასის შეცვლა), რომელიც შეიძლება გამოემუშავებინა ინვესტორს, თუ იგი მოახდენდა ინვესტირებას „საბაზრო“ პორტფელში.

„საბაზრო“ პორტფელის წარმოსადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საყოველთაოდ ცნობილი საფონდო ინდექსის გაანგარიშებაში შემავალი ფასიანი ქაღალდები.

თავისი შინაარსით შემოსავლიანობის ნორმა არის რისკისა და საბაზრო მაჩვენებლების გათვალისწინებით კორექტირებული შემოსავლიანობა, რომელიც მიღებულ იქნა ფასიანი ქაღალდიდან ან პორტფელიდან მას შემდეგ, რაც აცილებულ იქნა რისკიანობის დონისა და საერთო საბაზრო მერყეობის ეფექტები.

დასახელებული მაჩვენებლების შედარების საფუძველზე შეიძლება დავრწმუნდეთ, შეესაბამება თუ არა რეალური საინვესტიციო საქმიანობის შედეგები მოსალოდნელ შედეგებს.

ზემოთ მოყვანილი ფორმულა ძირითადად გამოიყენება პორტფელში შემავალი ცალკეული საინვესტიციო ინსტრუმენტის ეფექტურობის შესაფასებლად.

პორტფელის შემოსავლიანობის გამოსაანგარიშებლად მიზანშეწონილია უფრო რთული ფორმულით სარგებლობა. საბა-

ზო ფორმულა ერთწლიანი პერიოდისათვის შემდეგნაირად გამოიყურება:

$$Vt = \frac{S + Cp + Nc}{Ib + (Ms \times Nmi) - (Me \times Nma)},$$

სადაც **Vt** – არის პორტფელის შემოსავლიანობა მისი ფლობის პერიოდში; **S** – მიღებული დივიდენდები და პროცენტები; **Cp** – რეალიზებული საკურსო მოგება; **Nc** – არარეალიზებული საკურსო მოგება; **Ib** – საწყისი ინვესტიციები; **Ms** – დამატებითი სახსრები; **Nmi** – თვეთა რაოდენობა, როდესაც ისინი პორტფელში იმყოფებოდა; **Me** – ამოღებული სახსრები; **Nma** – თვეთა რაოდენობა, როდესაც ისინი პორტფელში არ იმყოფებოდა.

ეს ფორმულა მოიცავს მიმდინარე შენატანებს, საკურსო ღირებულების ნაზარდს (რეალიზებული შემოსავლები), აგრეთვე პორტფელის საკურსო ღირებულების ნაზარდს ერთი წლის განმავლობაში, რაც შეიძლება ჩაითვალოს არარეალიზებულად, მაგრამ არსებულ შემოსავლიანობად.

დაბალრისკიანი აქტივი უიღბლო ინვესტიციის შემთხვევაში ბუფერად გვევლინება. ამ აქტივებში სახსრების დაბანდების მეორე მიზეზია ის, რომ მომავალში შეიძლება გაჩნდეს ხელსაყრელი შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, თავისუფალი რესურსების მფლობელ ინვესტორს შეუძლია გამოიყენოს სიტუაცია, იმ ინვესტორმა კი, რომელიც სახსრებს მაღალი ლიკვიდობის მქონე ინსტრუმენტში აბანდებს, ხელი არ უნდა ახლოს არსებულ პორტფელს.

საინვესტიციო შემოსავლიანობა არ შეიძლება განიხილებოდეს მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებლის – რისკისაგან მოწყვეტით. საინვესტიციო რისკის ქვეშ იგულისხმება ფაქტობრივი საინვესტიციო შემოსავლის სიდიდის სავარაუდო გადახრა მოს-

ალოდნელი სიდიდისაგან. რაც უფრო ცვალებადია შესაძლო შემოსავლების მერყეობის სკალა, მით უფრო მაღალია რისკი და, პირიქით.

ალტერნატივა — „რისკი-შემოსავლიანობა“ — ეს არის დამოკიდებულება რისკსა და შემოსავლიანობას შორის, რომელიც გვიჩვენებს, უზრუნველყოფს თუ არა უფრო რისკიანი ინვესტიციები უფრო მაღალ შემოსავლიანობას და, პირიქით. ინვესტიციებთან დაკავშირებული საერთო რისკი შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან ან რისკის ფაქტორისაგან.

იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტი ექვემდებარება ამა თუ იმ სახეობის რისკს, ბანკის საინვესტიციო პორტფელის ერთობლივი რისკის შემცირება შესაძლებელია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის კომბინაციით. საინვესტიციო პორტფელში ფინანსური რისკის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ჩართვას ინვესტიციის დივერსიფიკაცია ეწოდება. თუმცა დივერსიფიკაციას არ შეუძლია სრულად დაიცვას ინვესტიცია რისკისგან. ამიტომ რისკის იმ ნაწილს, რომელსაც დივერსიფიკაციის დახმარებით ვერ ჩამოაცილებენ, არადივერსიფიცირებულ ან სისტემატურ რისკს უწოდებენ, რომლის საზომადაც „ბეტა“ ფაქტორს იყენებენ.

„ბეტა“ ფაქტორი არის არადივერსიფიცირებული რისკის საზომი, რომელიც ასახავს, თუ როგორ რეაგირებს ფასიანი ქაღალდის კურსი საბაზრო ძალებზე. იგი ანალიზის მეშვეობით განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდის ფაქტობრივ შემოსავლიანობასა და ფაქტიურ საბაზრო შემოსავლიანობას შორის ურთიერთკავშირს. რაც უფრო მაღალია „ბეტა“, მით უფრო მაღალია რისკი.

„ბეტა ფაქტორის“ გაანგარიშებებში გამოყენებული საბაზრო

შემოსავლიანობა გაიანგარიშება, როგორც ყველა აქციის საშუალო შემოსავლიანობა, საფონდო ინდექსის „Standart & Poor's Corporation"-ის მნიშვნელობის ანალოგიურად.

არსებობს „რისკი-შემოსავლიანობის" ურთიერთკავშირის მრავალი სახეობა. ყოველი საინვესტიციო ინსტრუმენტისათვის შეიძლება აიგოს „რისკი-შემოსავლიანობის" ურთიერთკავშირის საკუთარი გრაფიკი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინვესტორებმა უნდა დაიცვან განსაზღვრული თანმიმდევრობა: *ჯერ ერთი,* აქტივების ფლობის პერიოდში ანალიზის საფუძველსა და პროგნოზის გაანგარიშებებზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს მოსალოდნელი შემოსავლიანობა; *მეორე,* საჭიროა ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის განსაზღვრა; *მესამე,* აუცილებელია დადგინდეს თანაფარდობა „რისკი-შემოსავლიანობა" ინვესტიციის ყოველი ალტერნატიული ინსტრუმენტისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად მისაღებია მოსალოდნელი შემოსავლიანობა რისკის არსებული დონის პირობებში; *მეოთხე,* უნდა შეირჩეს ის საინვესტიციო ინსტრუმენტები, რომლებიც რისკის დასაშვებ დონის ფარგლებში ყველაზე უფრო მაღალი შემოსავლების მიღებას ითვალისწინებს.

ფინანსურ სფეროში რისკის ცნებაში იგულისხმება იმის ალბათობა, რომ ინვესტიციებიდან მიღებული მოგების აბსოლუტური ან შეფარდებითი სიდიდე მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტერმინი „რისკი" ნიშნავს არასასურველი შედეგის მიღებას. არსებობს რისკის მრავალგვარი სახეობა, ყოველი მათგანი დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდის მომგებიანობაზე გავლენის მქონე განსაზღვრულ ფაქტორთან. ამასთან ერთად, აღსანიშნავია საფონდო ბაზარზე გამოკვეთილი მკაფიო ტენდენცია, კერძოდ, ფინანსურ ინსტრუ-

მენტში რაც უფრო მეტია ინვესტიციის რისკი, მით უფრო მაღალია მისი შემოსავლიანობა და, პირიქით.

ყველა ინვესტიცია შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად გაიყოს: დაბალი და მაღალი რისკის მატარებელი ინვესტიციები. პირველ ჯგუფს განეკუთვნება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და, როგორც წესი, ბირჟაზე კოტირებადი მსხვილი, სახელგანთქმული ფირმების ფასიანი ქაღალდები. მეორე ჯგუფი მოიცავს ბირჟის გარეთ მიმოქცევაში მყოფ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც თავისი მოცულობით ბევრად აღემატება პირველ ჯგუფს.

თუ ვიმსჯელებთ, რომ ინვესტიციის გლობალური მიზანი მოგების მიღებაა, მაშინ საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ქვემიზნად უნდა განვიხილოთ სპეკულაცია — მოგების ამოღება მაღალრისკიანი საფონდო აქტივების ყიდვა-გაყიდვიდან.

ფასიან ქაღალდებში ინვესტიციის რისკის შემცირების ერთ-ერთი მეთოდია ჰეჯირება. ჰეჯირება არის რისკის შემცირების ან საერთოდ გამორიცხვის მიზნით ორი ან უფრო მეტი ფასიანი ქაღალდის ერთიან საინვესტიციო პოზიციაში გაერთიანება. არსებობს ჰეჯირების მრავალი სახეობა, რომელთაგან ერთნი საკმაოდ რთულია, მეორენი, პირიქით, — მარტივია. მაგრამ ყველა ისინი ინვესტორის მიერ გამოიყენება ან მოგების მისაღებად, ან მოსალოდნელი სერიოზული დანაკარგების შესაძლებლობის შესამცირებლად.

ოფციონების საფუძველზე განხორციელებული ჰეჯირება მუდამ შეიცავს ორ გარიგებას: საწყისი პოზიცია (მაგალითად, აქციის შეძენა) და მეორე პოზიცია — შეძენილი აქციების მთელ პაკეტზე ან მის ნაწილზე ოფციონი „კოლის“ მომდევნო ან ერთდროული შესყიდვა. ჰეჯირების კიდევ ერთ ინსტრუმენტად გვევლინება ფიუჩერსების გამოყენება.

საერთოდ ფიუჩერსული კონტრაქტის მოქმედების ვადა არა უმეტეს ერთი წელია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი სამწლიანი ვადითაც არიან განსაზღვრული. ძირითადად მოქმედებენ ორი ტიპის საბითუმო ვაჭრები — ჰეჯერები და სპეკულანტები. ჰეჯერები ფინანსურ ინსტრუმენტებში დაბანდებულ ფიუჩერსულ კონტრაქტებს თავისი ინტერესების დასაცავად იყენებენ და ამ მიზნებიდან გამომდინარე ფიუჩერსული ბაზრის სტაბილურ მდგომარეობას უზრუნველყოფენ, ხოლო სპეკულანტები პირიქით, სარგებლობენ რა ბაზრის არამდგრადობით, ფიუჩერსული კონტრაქტების საფუძველზე, კურსის მკვეთრი ცვლილებიდან გამომდინარე, მაღალი მოგების მიღებას უზრუნველყოფენ.

რისკსა და შემოსავლიანობას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების გათვალისწინებით, ინვესტორი მოგების უფრო მაღალ ნორმას იღებს მაშინ, როცა თანხებს უფრო სარისკო ინსტრუმენტებში აბანდებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მაღალი შემოსავლების მიღება დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ შემთხვევაში აღინიშნება კავშირი შემოსავლიანობასა და არადივერსიფიცირებულ რისკს შორის.

დივერსიფიცირებული რისკის ამაღლებას არ მოსდევს შემოსავლიანობის შესაბამისი ზრდა. ინვესტორი უნდა ეცადოს მინიმუმამდე დაიყვანოს მისი წილი პორტფელის საერთო რისკში, ე.ი. პორტფელის მართვის მთავარი მიზანია მისი სტრუქტურის შეცვლა ისე, რომ პორტფელის რისკი დაყვანილ იქნეს მხოლოდ არადივერსიფიცირებულ რისკამდე. ეს შესაძლებელია საპორტფელო ინვესტიციების დაბალანსების გზით, როცა ერთი დაბალი შემოსავლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტი შეიცვლება მეორე, მაღალშემოსავლიანი ინსტრუმენტით.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობაში რისკების მართვის პროცესი საკვანძო პრობლემაა. იგი გულისხმობს: *ჯერ ერთი*, ბანკის რისკებისადმი მგრძნობელობის გაზომვასა და იდენტიფიკაციას, რაც ბანკის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს გადაწყვიტოს, თუ ბანკის რომელი ქვეგანყოფილებისათვის რისკის რომელი ფაქტორია საშიში, აგრეთვე გაზომოს ამ რისკების სიდიდე და ხარისხი; *მეორე*, ყოველი ქვეგანყოფილების მიერ პრაქტიკულად გატარებული ოპერატიული პოლიტიკის შედეგების ყოველდღიურ მიმოხილვას. კერძოდ, თუ რამდენად ადეკვატურად იფარება რისკის ყოველი ფაქტორის მოსალოდნელი შედეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა ყოველდღიური საქმიანობის ან სტრატეგიული მითითებების შეცვლა რისკის ფაქტორებთან საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით; *მესამე*, რისკების მართვის სფეროში საბანკო ღონისძიებათა შედეგების ანალიზი განაპირობებს ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, შეესაბამება თუ არა ბანკის რეაქცია რისკის სხვადასხვა ფაქტორსა და დასახულ მიზნებს, როგორ უნდა შეცვალოს ბანკმა გეგმა ახალი სიტუაციით გამოწვეული რისკის თავიდან ასაცილებლად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ობიექტურად მოითხოვს ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედ ფაქტორთა კლასიფიკაციასა და მათი ურთიერთკავშირში განხილვას.

§3. კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორები და მათი ურთიერთკავშირი

მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეზე კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე, როგორც სხვა ნებისმიერი დაწესებულების საქმიანობაზე, მოქმედებს მრავალი ფაქტორი. საბანკო სისტემის საინვესტიციო საქმიანობის ფუნქციონალური შესაძლებლობანი, პირველ რიგში მისი საქმიანობის მიკროეკონომიკური პირობებით განისაზღვრება. ბუნებრივია, რომ მიკროეკონომიკური ფაქტორებიც, მაკროეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ასევე განიცდიან ზოგიერთ ცვლილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე, პირობითად შეიძლება გარე და შიდა ფაქტორად დაიყოს.

გარე ფაქტორებს მიეკუთვნება: ეკონომიკის მდგომარეობა, წარმოების განვითარების დონე, საწარმოთა გადახდისუნარიანობა, ინფლაციური პროცესები, საფინანსო ბაზრის მდგომარეობა. საკანონმდებლო ბაზა, საგადამხდელო სისტემის განვითარების ხარისხი, ანაბართა დაზღვევის სისტემა, საბანკო ბაზრის მდგომარეობა, საპროცენტო განაკვეთების დინამიკა, ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საქმიანობა, ბანკთაშორისო საკრედიტო ბაზარზე მონაწილეთა ურთიერთნდობა, ოპერატიული და სრული ინფორმაცია ბაზრის შესახებ, პოლიტიკური ფაქტორი, მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა, ფორს-მაჟორული ფაქტორები.

შიდა ფაქტორებს განეკუთვნება: მართვისა და დაგეგმვის ხარისხი, რისკის მართვა, აქტივებისა და პასივების მართვის ხარისხი, კომპეტენტურობა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ეკონომიკის მდგომარეობა თავისი მნიშვნელობით შეიძლება გამოვყოთ დანარჩენ ფაქტორთაგან, რადგან ძალიან დიდ

გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ბანკს მხოლოდ განვითარებული ეკონომიკის პირობებში შეუძლია სრულფასოვანი ფუნქციონირება. ბანკის მომსახურებათა სპექტრი პირდაპირ არის დამოკიდებული აღნიშნულ ფაქტორზე. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში საბანკო სისტემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ბანკი თავისი საქმიანობით, წარმოებაში პირდაპირი მონაწილეობის გარეშე, ქმნის პირობებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. თავის მხრივ, საბანკო სისტემის ზემოქმედება ეკონომიკაზე სულ უფრო მზარდ ხასიათს იძენს, რაც ზეგავლენას ახდენს წარმოების განვითარების დონეზე. თუ ქვეყნის ფინანსური სისტემა ეკონომიკის ის წამყვანი რგოლია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილური განვითარება, საბანკო სისტემა მთელი ფინანსური სისტემის ყველაზე მგრძნობიარე სეგმენტია, რომლის მდგრადობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული ფინანსური სისტემის განვითარების პერსპექტივები და რაც უფრო მგრძნობიარეა ამ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, მათ შორის კავშირი, მით უფრო განვითარებულია ეკონომიკური მეურნეობა საბანკო საინვესტიო საქმიანობასთან ერთად.

ეკონომიკის მდგომარეობის ზეგავლენა ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე ვლინდება: <u>ჯერ ერთი</u>, საბანკო კონკურენციის გაძლიერებასა და საბანკო სისტემის სტრუქტურულ გარდაქმნაში; <u>მეორე</u>, საბანკო კოოპერაციის ზრდასა და საბანკო მომსახურების არეალის გაფართოებაში; <u>მესამე</u>, საბანკო მომსახურების უნივერსალიზაციასა და ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვაში; <u>მეოთხე</u>, საბანკო სისტემაში კაპიტალის მოზიდვასა და საბანკო კაპიტალიზაციის ზრდაში, საერთო ჯამში, საბანკო კონკურენციისა და კოოპერაციის ხელშეწყობაში.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსება საკუთრების ფორმების მიხედვით შედარებით მზარდი ზრდის ტენდენციებით ხასიათდება. თუ 1996 წელს სახელმწიფო სექტორის დაფინანსება 112 მილიონ ლარს არ აღემატებოდა, 1999 წლის ბოლოს მისი სიდიდე 2,5-ჯერ მეტი იყო და 280 მილიონ ლარს გადააჭარბა. ზრდის ტემპით განსაკუთრებით კერძო სექტორი ხასიათდება, სადაც ამ პერიოდში კერძო სექტორის პროცენტული წილი მთლიან დაფინანსებაში სტაბილურად იზრდება და 80-90%-ის ფარგლებში მერყეობს. ამ სექტორში კაპიტალდაბანდებების ზრდის დინამიკა მეტად შთამბეჭდავია. მისი მოცულობითი მაჩვენებელი 1996 წლიდან მოყოლებული 1999 წლის ბოლოსათვის 3-ჯერ გაიზარდა. სამაგიეროდ შემცირდა სახელმწიფო სექტორის დაფინანსების პროცენტული წილი მთლიან დაფინანსებაში 18%-იდან 11%-მდე, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია კერძო სექტორის დაფინანსების ზრდის ტემპთან შედარებით.

აღსანიშნავია ის ფაქტორიც, როგორიცაა წარმოების განვითარების დონე. საბანკო სისტემას, ისევე როგორც მთლიანად ფულად-საკრედიტო ურთიერთობას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვლავწარმოების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ მას არ შეუძლია შეცვალოს ეკონომიკის რეალური სექტორი, საქონლის წარმოება და მომსახურება ბევრად არის მასზედ დამოკიდებული. იმ პირობებში, როდესაც სესხის პროცენტი ბრუნვის სფეროში მნიშვნელოვნად აჭარბებს წარმოების სფეროში მიღებულ მოგებას, გარდუვალია სასესხო კაპიტალის დარგთაშორისო გადინება.

შემდეგი ფაქტორია საწარმოს გადახდისუნარიანობა. ეს არის საწარმოს უნარი, დროულად დაფაროს თავისი ვალდე-

ბულებები. თეორიულად ვალის დაფარვა უზრუნველყოფილია საწარმოს ყველა საბრუნავი საშუალებებით. ზუსტად ასე თეორიულად შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა, რომ თუ საწარმოს საბრუნავი სახსრები აჭარბებს დავალიანების ჯამს, მაშინ იგი მზად არის ვალის დაფარვისათვის, ე.ი. გადახდისუნარიანია. მაგრამ სინამდვილეში ყველა საბრუნავი სახსარი ვალის დასაფარავად რომ წარიმართოს, წარმოება იმავ წუთში შეჩერდება, ვინაიდან წარმოების საშუალებებიდან მას მხოლოდ ძირითადი საშუალებები დარჩებოდა, საბრუნავი საშუალებების შესაძენად კი არ ექნებოდა ფული, იგი მთლიანად ვალების დაფარვას მოხმარდებოდა.

გადახდისუნარიანობის დონე რომ შევაფასოთ, ლიკვიდური საბრუნავი სახსრები უნდა შევუფარდოთ მოკლევადიან ვალდებულებებს. ამასთან, მოცემული მაჩვენებლის მრიცხველი მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს მნიშვნელს. შესაბამისად, მაჩვენებლის გადახდისუნარიანობის დონე უნდა იყოს ერთეულზე (ერთზე) გაცილებით მაღალი.

ფინანსურ თეორიაში ეს მაჩვენებელი იწოდება დაფარვის საერთო კოეფიციენტად და შემდეგი ფორმულის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$C=(St + Mr + Dr) / St = 1 + (Mr + Dr) / St,$$

სადაც **C**– დაფარვის საერთო კოეფიციენტია; **Mr** – მატერიალური რესურსები საწარმოო პროცესების უწყვეტი მოქმედებისათვის; **Dr**– უიმედო დებიტორული დავალიანება; **St** – ყველა სახეობის მოკლევადიანი დავალიანების სიდიდე.

ბანკები დაინტერესებულნი არიან საწარმოს გადახდისუნარიანობით, რადგან ეს აუცილებელი პირობაა საკრედიტო ურთიერთობის განვითარებისათვის. გადახდისუნარიანობის პირობებ-

ში შეიძლება განვითარდეს ისეთი მოვლენაც, როგორიც „საინვესტიციო ვაკუუმია“ – ეს არის სიტუაცია, როცა საკმარისი თანხებია ინვესტიციებისა თუ კრედიტებისათვის, მაგრამ არ ხდება თანხების გაცემა, რადგან არ არის არც ერთი ურისკო პროექტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა სახსრების დაბანდება.

გადახდისუნარიანობა ის მაჩვენებელია, რომელიც მსესხებლის კრედიტუნარიანობას განსაზღვრავს. კრედიტის გაცემისას ბანკმა ყურადღებით უნდა შეაფასოს საკრედიტო რისკი. თუ იგი დიდია, მაშინ სამეურნეო სუბიექტებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ ბანკში კრედიტის მიღება, რადგან მისი საბრუნავი სახსრების ფორმირება მოხდება ვალად აღებული თანხების საფუძველზე.

დავალიანებასა და არგადახდას საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტურობასთან აქვს კავშირი, რადგან თავისი არსით იგი „კვაზიფულად“ გვევლინება, ანუ საქმე გვაქვს საწარმოს უპროცენტო დაკრეტიდებასთან.

ბანკებისაგან განსხვავებით ეკონომიკის სხვა სექტორებს შეუძლიათ ფუნქციონირება ფართოდ გავრცელებული ბარტერის და არგადახდის პირობებში. საბანკო სისტემა – ეკონომიკის ყველაზე ფაქიზი სფეროა, რადგან მას არ შეუძლია კვაზისაბაზრო გარემოში არსებობა.

თავისთავად დავალიანების დინამიკა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი მაჩვენებელია და შესაბამისად ფულის მოთხოვნის ფაქტორიც. საკუთარი სახსრების უკმარისობა განსაზღვრავს საკრედიტო რესურსების მოთხოვნების მასშტაბებს, რომლებიც ფულადი ბაზრის მაღალი განაკვეთების გამო მწარმოებლებისათვის შეიძლება მიუწვდომელი იყოს, რაც თავისთავად გადაუხდელობისა და დავალიანებების საერთო ზრდის ძირითადი ფაქტორია. გადაუხდელობის ზრდა იწვევს ეკონომიკის

ძირითად დარგებში წამგებიან საწარმოთა რიცხვის ზრდას, არა-გადამხდელები იწვევენ სამეურნეო კავშირების გაწყვეტას, წარმოების მოცულობის შემცირებას, საზოგადოებაში სოციალურ დაძაბულობას (იხილეთ ცხრილი №19).

ცხრილი №19

საქართველოს კომერციული ბანკების მიმართ ეკონომიკის დავალიანება 1996-1999წლებში

(ათასი ლარი)

ეკონომიკის დავალიანება	1996	1997	1998	1999
მთლიანი დავალიანება	111834	169157	224084	306735
მათ შორის:				
სახელმწიფო სექტორის	20355	19293	21608	28654
პროცენტულად მთლიან დავალიანებასთან	18,2	11,4	9,6	9,4
კერძო სექტორის	91479	149864	202476	278081
პროცენტულად მთლიან დავალიანებასთან	81,8	88,6	90,4	90,6

უარყოფით მოვლენასთან ერთად დადებითად უნდა მივიჩნიოთ დაფინანსების დარგობრივი პრიორიტეტებიც. მართალია, კერძო სექტორში დავალიანების ზრდა, ძირითადად, კვლავ ვაჭრობაზე მოდის, გაიზარდა რა 1996 წელთან შედარებით 2.7-ჯერ ანუ 70 მილიონიდან 189 მილიონ ლარამდე, მაგრამ ასევე იზრდებოდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დაფინანსებაც. თუ საბანკო სისტემის მიერ სავაჭრო სფეროს დაფი-

ნანსება გარკვეულწილად ქვეყნის იმპორტიზაციის დამახასიათებელი ნიშანია, კერძო სექტორისა და, უპირველესად, მრეწველობის დაფინანსების ზრდა მიუთითებს საქართველოში ეკონომიკური რეფორმებისა და პრივატიზაციის პროცესის შეუქცევად ხასიათზე. მცირე და საშუალო პრივატიზაციის პარალელურად, რაც ძირითადად სავაჭრო ობიექტების პრივატიზაციაში აისახა, სამრეწველო სფეროს ობიექტების ნაწილის კერძო სექტორში გადასვლა და საბანკო სისტემის მხრიდან ეკონომიკის ამ დარგის მზარდი დაფინანსება ქმნის წინაპირობებს დიდი პრივატიზაციის წარმატებით განხორციელებისა და მრეწველობის გამოცოცხლებისათვის.

მეტად მნიშვნელოვანია ინფლაციური პროცესებიც. ინფლაცია ხასიათდება ეროვნული ფულადი ერთეულის გაუფასურებითა და სახელმწიფოს შიგნით ფასების დონის ზრდით. ინფლაციის ზუსტი და სარწმუნო გაზომვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ინფლაციის ფაქტობრივი ტემპებისა და ინვესტიციათა რეალური შემოსავლიანობის საფუძველზე ფორმირდება ინფლაციური მოლოდინი, რომელიც აისახება ფასიანი ქაღალდების ღირებულებასა და საპროცენტო განაკვეთებზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრულმა გატარებამ და პარალელურად საკანონმდებლო ბაზის სრულყოფამ, აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეზერვების ფლობამ ქვეყანაში ლარი აქცია გადახდის ერთადერთ საშუალებად. ამასთან, უზრუნველყოფილ იქნა მისი კურსის სტაბილურობა დოლართან მიმართებაში, რაც არ შეიძლება ითქვას 1998 წლის მაჩვენებლებზე. ამ პერიოდში დასახული მიზნის სრულად მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც განპირობებული იყო არა ფუ-

ლად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკით, არამედ მისგან დამოუკიდებელი ისეთი ძირითადი მიზეზით, როგორიცაა ქვეყანაში არსებული ფისკალური კრიზისი, რომელსაც წლის მეორე ნახევარში რუსეთის კრიზისის გავლენაც დაემატა. აღნიშნულმა გავლენა იქონია ინფლაციის მაჩვენებელზე, რასაც მოწმობს ქვევით მოყვანილი ცხრილი [1]:

ცხრილი 20

საქართველოში მიმდინარე ინფლაციური პროცესის მაჩვენებლები

ინფლაცია	1995	1996	1997	1998	1999
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	157,4	113,5	107,6	110,7	110,9
სასურსათო საქონელი	153,8	108,1	107,9	109,9	106,5
არასასურსათო საქონელი	X	112,3	98,3	114,1	118,4
მომსახურება	X	172,8	114.6	109,2	119,2

მთელი ეკონომიკისაგან განსხვავებით, საბანკო სექტორი არა მარტო ნეგატიურ, არამედ ინფლაციის პოზიტიურ გავლენასაც განიცდის. კერძოდ: ინფლაციის მოლოდინში კრედიტებზე მაღალი განაკვეთების, მოზიდულ სახსრებზე კი შედარებით დაბალი განაკვეთების დაწესების შესაძლებლობა, განაპირობებს საპროცენტო მარჟის მაღალ დონეს; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინფლაციური პროცესის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, ეროვნული ვალუტის კურსის დაცემას, საკურსო სხვაობისა და ვალუტის გაცვლის ოპერაციების საშუალებით მაღალი

[1] საქართველოს საბანკო სისტემის რეტროსპექტული მიმოხილვა 1994-1999 წწ. თბ., 2000. გვ. 29.

მოგება მოაქვს; ასევე დაუბრუნებელი, გაუფასურებული სესხი საშუალებას იძლევა ნომინალური ვალუტა ვადაგასული სესხების ბალანსიდან, უმტკივნეულოდ ჩამოიწეროს.

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ ფაქტორი – ინფლაციის შემცირება, საერთოდ, მაკროეკონომიკის თვალსაზრისით ხელსაყრელია, საკრედიტო დაწესებულებების განვითარებაზე საკმაოდ საწინააღმდეგო ხასიათის გავლენას ახდენს. ინფლაციის ტემპების შენელება იწვევს ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას, ნაკლებია მაღალშემოსავლიანი და სპეკულაციური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ მაღალი ინფლაციის პირობებში ბანკებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფის სხვადასხვა ხერხი. მათ შორის გარანტიები, დაზღვევები, მატერიალური უზრუნველყოფა, ჰეჯირება, ფინანსური ინსტრუმენტები (ოფციონი, სვოპი და ა.შ.).

შემდეგი ფაქტორია საფინანსო ბაზრის მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრება საკანონმდებლო ბაზით, ბანკთაშორისო საკრედიტო ბაზარზე მონაწილეთა ურთიერთნდობის ხარისხით, საგადამხდელო სისტემის განვითარების ხარისხით, ანაბრების დაზღვევის სისტემით, საბანკო ბაზრის მდგომარეობით, საპროცენტო განაკვეთების დინამიკით, ცენტრალური ბანკის საქმიანობით, ინფორმაციის სისრულითა და ოპერატიულობით.

განვითარებად ქვეყნებში, საფინანსო ბაზრის ფორმირებასთან და საგარეო ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დღის წესრიგში დგას კონტრაქტების სტანდარტიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი მოწყობის საკითხი, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების გამოყენება, კონტრაქტის პირობე-

ბის შესრულების შესაბამისი სტიმულირება. აღნიშნული პროცესიდან საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჩვენთან საკრედიტო ბაზრის შემდგომი განვითარებაც მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

აქვე აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთების შემცირება (იხილეთ ცხრილი №21) შედარებით სრულად მოკლევადიანი სესხების შემთხვევაში ჩანს, რადგან გრძელვადიანი სესხები ბანკების მთლიან საკრედიტო პორტფელში კვლავ მცირეა და საშუალოდ 15%-ს არ აღემატება.

ცხრილი №21

საქართველოს კომერციული ბანკების სესხების საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთის დინამიკა 1996-1999წლებში

სესხების საპროცენტო განაკვეთები – წლიური%	1996	1997	1998	1999
ეროვნულ ვალუტაში				
მოკლევადიანი	77	45	39	26
გრძელვადიანი	58	31	29	27
უცხოურ ვალუტაში				
მოკლევადიანი	73	53	42	32
გრძელვადიანი	38	32	25	22

ბანკების სადეპოზიტო ბაზის ზრდა და კომერციული კრედიტის გაიაფება ბოლო ორი წლის მანძილზე ანუ იმ პერიოდზე მოდის, როდესაც სარეზერვო მოთხოვნები საკმაოდ მაღალ 16%-იან ზღვარზე მერყეობდა. იგი ეროვნული ბანკის მხრიდან მონეტარული ბაზის სწორ რეგულირებასა და ქვეყნის შიდა კრედიტის ზრდის ტენდენციებზე მიუთითებს, მაგრამ საბანკო სესხების მოკლევადიანობა შეგვახსენებს იმ პრობლემებსაც, რომელიც საბანკო სისტემაშია დაგროვილი. ეს უპირველესად საქართველოს საბანკო სისტემის მცირე კაპიტალიზაციას ეხება, რომელიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ევროპულ სტანდარტებს (იხილეთ ცხრილი №22).

ცხრილი №22

საქართველოს კომერციულ ბანკებში იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განთავსებული ვადიანი დეპოზიტების მოცულობა და სტრუქტურა

(აიასი ლარი)

		1995	1996	1997	1998	1999
სადეპოზიტო ვალდებულებები	აბს	57672	82020	133176	156350	208343
	%	100%	100%	100%	100%	100%
მიმდინარე ანგარიშები	აბს	43355	56490	69889	89828	06956
	%	75.20%	68.90%	52.50%	57.50%	51.30%
ვადიანი დეპოზიტები: იურიდიული პირების	აბს	315	2225	16739	19942	29864
	%	0.50%	2.70%	12.60%	12.80%	14.30%
ფიზიკური პირების ანაბრები	აბს	10374	19985	44102	42688	65584
	%	18.00%	24.40%	33.10%	27.30%	31.50%
სხვა დეპოზიტები მოთხოვნამდე	აბს	3628	3320	2449	3891	5943
	%	6.30%	4.00%	11.80%	2.50%	2.90%

ჩვენი აზრით, კრედიტების ბაზრის განვითარებისათვის საჭიროა ისეთი სახის სამართლებრივი სისტემა, რომლის ფარგლებშიც კერძო და იურიდიულ პირებს საშუალება მიეცემათ გირაოსა და სესხის უზრუნველყოფისათვის, ხოლო კრედიტორებმა, თავის მხრივ, არ უნდა განიცადონ ზარალი მსესხებლის მიერ დავალიანების მიხედვით ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონი გაკოტრების შესახებ გვევლინება მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტიტუტად, რომელმაც კერძო სექტორის ნორმალური მუშაობა უნდა უზრუნველყოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიწაზე საკუთრების უფლება ხელს შეუწყობს გირაოს ფართო გამოყენებას და შესაბამისად საგირავნო სამართლის მოქმედების ეფექტიანობა გაიზრდება, თუკი იპოთეკასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება, რაც, თავის მხრივ, დაარეგულირებს კონტრაქტის იძულებითი შესრულების პირობებს. ფერმერების მიწაზე საკუთრების უფლება საშუალებას მისცემს მათ, რომ გირაოს ფორმით შეძლოს დაუბრკოლებლად მიიღოს კრედიტი.

სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა განსაზღვრავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, მათ შორის საბანკო სექტორის განვითარებას. ბანკებისათვის საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება გადასახადები და საგადასახადო შეღავათები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.

რამდენადაც კომერციული ბანკების საქმიანობაში მეტად მნიშვნელოვანია პასივებში მოზიდული თანხებისა და ცენტრალიზებული საბანკო კრედიტების მაღალი ხვედრითი წილი, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან დაემორჩილონ რეგულირების მრავალრიცხოვან წესს. სახელმწიფო კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრავს „თამაშის წესს“. სახელმწიფო რეგულირე-

ბის გზით ცდილობს დაიცვას მეანაბრეები დანაკარგებისაგან და პარალელურად თავს იზღვევს ბანკების გაკოტრების შემთხვევაში ეკონომიკის დამანგრეველი შედეგისაგან.

სწორედ ერიკვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობის გაძლიერების შედეგად, ბანკების ადგილზე (on side) და გარესაბანკო (off side) ინსპექტირების საფუძველზე, უნდა განხორციელდეს სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის სრულყოფისათვის მუშაობის წარმართვა.

საკრედიტო ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ბაზამ უზრუნველყოს სხვადასხვა ტიპის ბანკების არსებობა და მათი თანასწორუფლებიანობა. აუცილებელია, რომ ბანკი იყოს ავტონომიური. საბანკო ავტონომია იურიდიულად და ეკონომიკურად უნდა იყოს განმტკიცებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში, მთავარია არა მარტო ბანკების საქმიანობის შესახებ კანონების მიიღება, არამედ ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თავად კანონების შინაარსს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად იცავს ამ ავტონომიურობას, დამოუკიდებლობას პოლიტიკური ზეწოლისაგან, რომელიც საკრედიტო დაწესებულებების ეკონომიკურ მიზნებს თავისებურად ზღუდავს.

ამასთან, მნიშვნელოვანია, როგორ არის დაცული სამართლებრივი ნორმები. ბანკისათვის ყველაზე დიდი საშიშროება შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო არასწორად წარმართავს თავის საკუთარ ფინანსურ რესურსებთან ერთად, ბანკის ფინანსურ რესურსებსაც, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ბანკისათვის, როგორც ეკონომიკური საწარმოსათვის, საფუძვლის აუცილებელ გამოცლას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, უკანასკნელ პერიოდამდე ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობა რისკს განსაზღვრავდა გამოცდილებაზე დამყარებული პროცე-

დურებით და სარისხობრივი შეფასებით, მაგრამ ახალი რთული ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის პირობებში, ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა მიუღებელია. რისკის განსაზღვრის ყველაზე რეალურ მეთოდს საკრედიტო პორტფელში შემავალი აქტივების ადაპტაციური მოდელირება და ინტელექტუალური საექსპერტო სისტემებით რისკის ღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს.

საბანკო რისკებზე კონტროლი თავისთავად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ბანკის მომგებიანობას განსაზღვრავს. რისკის გაზომვა და იდენტიფიკაცია დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში პირველ ნაბიჯებს დგამს რისკების მართვისა და საბანკო სექტორში მათზე კონტროლის გაძლიერების თვალსაზრისით.

საბანკო საქმიანობის განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ანაბართა დაზღვევის სისტემა. ეს სისტემა უზრუნველყოფს: ჯერ ერთი – მეანაბრეთა დაცვას ანაბართა სრული დაკარგვისაგან ბანკის ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში და მეორეც – გადახდისუუნარობის ზღვარზე მისული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას (იხილეთ ცხრილი №23).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეროვნულ ბანკს ფინანსური სიძნელეების დასაძლევად საკმაოდ დიდი საპროცენტო განაკვეთებით გაცემული აქვს სესხები ქვემოთ აღნიშნული კომერციული ბანკებისათვის, რომელთაც არ დაუფარავთ ეს დავალიანება. დაზღვევის სისტემის შემოღება უფრო მნიშვნელოვანი დახმარების საშუალებას მოგვცემს და, ამასთანავე, შესაძლებელი იქნება გაცემული თანხების უკან დაბრუნების საკითხის გადაწყვეტაც.

ცხრილი №23

ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გაცემული სესხებით დავალიანება 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ათას ლარებში)

ბანკების დასახელება	სესხების გაცემის თარიღი	ვადიანი სესხებით დავალ-ბა	სესხით სარგ-ის პროცენტი	ძირითადი სესხებით ვადაგადაც
I აუქციონი „რთველი 96“, სულ	X	X	27	1 020,3
მათ შორის				
1 სს „ივერთბანკი“	10.10.96	X	27	543,6
2 სს კბ „ტრანსკავკასია“	10.10.96	X	27	121,3
3 სს კბ „არმაზი“	28.11.96	X	27	220,1
4 სს კბ „ოლიმპი“	10.10.96	X	27	135,3
II ბანკთაშორისი აუქციონი, სულ	29.03.94	X	27	361,7
მათ შორის				
1 კბ „ივერთბანკი“	05.03.98	X	27	361,7
III კომერციული ბანკებისათვის გაცემული ლომბარდული კრედიტი, სულ	X	479,3	18	X
მათ შორის				
1 სს „თიბისი-ბანკი“	30.12.99	479,3	18	X
სულ დავალიანება	X	479,3	X	1 382,0

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ეს სისტემა ნორმალური ფუნქციონირების პირობებში, ბანკების გაკოტრების შემთხვევაშიც

კი იცავს მეანაბრეებს დანაკარგებისგან. გარდა ამისა, მის წევრებს უფლებას აძლევს დააზღვიონ ანაბრები (დეპოზიტები), გააქტიურონ მუშაობა ფიზიკურ პირებთან და ამით საბანკო საქმიანობის ამ მნიშვნელოვან სფეროში განავითარონ კონკურენცია, ასევე ხელს უწყობს ინფლაციის შემცირებასა და ქვეყანაში ფულადი ბრუნვის გაუმჯობესებას.

კიდევ ერთი ფაქტორია საბანკო ბაზრის მდგომარეობა. საბანკო ბაზრის შესახებ მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ რამდენ ბანკს აერთიანებს იგი, აგრეთვე საბანკო მომსახურების დიაპაზონით, ბანკების მიერ შესრულებული ოპერაციებით, აგრეთვე მცირე და დიდი ბანკების ურთიერთობით. ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესები. ბანკები ფინანსურ ჯგუფებად ერთიანდებიან, უფრო მცირე ბანკები მსხვილ ბანკებს ერწყმიან. საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია ასახვას პოულობს ერთი ბანკის განკარგულებაში არსებული რესურსების საერთო ჯამის ზრდაში.

შემდეგი ფაქტორია საპროცენტო განაკვეთების დინამიკა. იგი ზეგავლენას ახდენს ბანკის მოგება-ზარალზე, ამის შედეგად საპროცენტო მარჟაზეც და, საბოლოო ჯამში, ბანკის ფინანსურ შედეგებზეც (იხილეთ ცხრილები: №24,25).

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საქმიანობა. ყოველ ქვეყანაში არსებობს ბანკების საქმიანობაზე სამეთვალყურეო სტრუქტურა. ჩვეულებრივ იგი ცენტრალური ბანკით არის წარმოდგენილი. ცენტრალური ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო და საფინანსო სისტემის უწყვეტ ფუნქციონირებას, აგრეთვე ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის

მიზნების შესაბამის საკრედიტო რესურსებს. ცენტრალური ბანკი აკონტროლებს რა ფულადი მასის ზრდას და სასესხო კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს (მათ შორის ანაბრებს, საბანკო ინვესტიციებსა და ფასიან ქაღალდებს), იგი ცდილობს საჭირო ტემპებით უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარება, უმუშევრობისა და ინფლაციის დონის შემცირება, ეროვნული ფულადი ერთეულის კურსის დაცვა.

ცხრილი № 24

საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისო საკრედიტო აუქციონზე ვადების მიხედვით დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების დინამიკა 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

№	7-დღიანი		30-დღიანი		60-დღიანი		90-დღიანი	
	თარიღი	%	თარიღი	%	თარიღი	%	თარიღი	%
1	05.01.99	–	14.01.99	–	10.06.99	35	09.12.99	–
2	12.01.99	40	21.01.99	–	26.08.99	30	16.12.99	–
3	26.01.99	40	28.01.99	–	02.09.99	30		
4	02.02.99	37	04.02.99	40	21.10.99	27		
5	09.02.99	34	11.02.99	–	28.10.99	30		
6	16.02.99	32	18.02.99	–				
7	23.02.99	32	25.03.99	–				
8	02.03.99	32	04.03.99	–				
9	09.03.99	34	11.03.99	–				
10	16.03.99	32	18.03.99	–				
11	23.03.99	32	25.03.99	–				
12	30.03.99	–	01.03.99	–				
13	06.04.99	32	08.04.99	37				
14	13.04.99	–	15.04.99	–				
15	20.04.99	–	22.04.99	–				

16	27.04.99	32	29.04.99	–
17	04.05.99	32	06.05.99	–
18	11.05.99	33	13.05.99	–
19	18.05.99	34	20.05.99	–
20	25.05.99	32	27.05.99	–
21	01.06.99	32	03.06.99	–
22	08.06.99	32	17.06.99	–
23	15.06.99	32	24.06.99	–
24	22.06.99	31	01.07.99	–
25	29.06.99	31	08.07.99	–
26	06.07.99	32	15.07.99	34
27	13.07.99	31	22.07.99	–
28	20.07.99	30	29.07.99	–
29	27.07.99	30	05.08.99	31
30	03.08.99	29	12.08.99	–
31	10.08.99	29	19.08.99	–
32	17.08.99	–	26.08.99	–
33	24.08.99	–	09.09.99	29
34	31.08.99	–	16.09.99	–
35	07.09.99	–	23.09.99	–
36	14.09.99	29	30.09.99	–
37	21.09.99	28	07.10.99	–
38	28.09.99	28	04.11.99	30
39	05.10.99	27	11.11.99	32
40	12.10.99	27	18.11.99	33
41	19.10.99	27	25.11.99	31
42	26.10.99	27	02.12.99	–
43	02.11.99	27	23.12.99	–
44	09.11.99	27	30.12.99	29
45	16.11.99	27		
46	30.11.99	30		
47	07.12.99	27		
48	14.12.99	27		
49	21.12.99	27		
50	28.12.99	–		

ცხრილი № 25

საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე ვადების მიხედვით დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების დინამიკა 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

№	7-დღიანი		30-დღიანი		60-დღიანი		90-დღიანი	
	თარიღი	%	თარიღი	%	თარიღი	%	თარიღი	%
1	04.01.00	27	06.01.00	29	24.02.00	26	21.12.00	20
2	11.01.00	27	10.02.00	27				
3	18.01.00	27	17.02.00	26				
4	25.01.00	26	24.02.00	25				
5	01.02.00	25	02.03.00	24				
6	08.02.00	24	09.03.00	23				
7	15.02.00	23	16.03.00	22				
8	22.02.00	22	23.03.00	21				
9	29.02.00	21	06.04.00	21				
10	07.03.00	20	20.04.00	21				
11	14.03.00	18	27.04.00	22				
12	21.03.00	17	04.05.00	21				
13	28.03.00	16	11.05.00	21				
14	04.03.00	15	25.05.00	20				
15	11.04.00	14	01.06.00	20				
16	18.04.00	14	22.06.00	20				
17	16.05.00	14	29.06.00	24				
18	27.06.00	18	06.07.00	23				
19	04.07.00	17	13.07.00	22				
20	11.07.00	17	27.07.00	22				
21	18.07.00	17	03.08.00	22				
22	25.07.00	12	10.08.00	20				
23	01.08.00	14	17.08.00	20				
24	29.08.00	14	07.09.00	12				
25	05.09.00	14	14.09.00	13				

26	12.09.00	13	21.09.00	12	
27	03.10.00	10	05.10.00	10	
28	10.10.00	8	12.10.00	9	
29	17.10.00	7	19.10.00	9	
30	21.11.00	6	26.10.00	8	
31	28.11.00	5	09.11.00	7	
			16.11.00	6	
			30.11.00	6	
			07.12.00	6	
			28.12.00	7	

ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასების რეიტინგულ სისტემაზე გადასვლამ ახალ საფეხურზე აიყვანა ბანკების მონიტორინგი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შემოწმებული კომერციული ბანკების საქმიანობაში დაშვებული დარღვევების დროულ გამოსწორებას. ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნულმა მიდგომამ განაპირობა სხვადასხვა სანქციისა და ღონისძიების გატარების აუცილებლობა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ფინანსურ მდგომარეობაში, აღმოჩენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, კომერციულ ბანკებს მიეცათ განსაზღვრული რეკომენდაციები, გარკვეული ვადებით მდგომარეობის გამოსწორებამდე რიგ ბანკებს შეუჩერდათ აქტიური ოპერაციები, აეკრძალათ ან სხვადასხვა სახით შეეზღუდათ სესხის გაცემა და დეპოზიტის მოზიდვა, დაუწესდათ კონტროლი საპროცენტო განაკვეთებისა და მთელი რიგი საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე, სერიოზული დარღვევების საფუძველზე ფართოდ გამოიყენებოდა საჯარიმო სანქციები და პასუხისმგებელი პირების თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა.

ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო

პოლიტიკა აისახება საბანკო აქტივების, პასივების, აქციონერთა სახსრების ღირებულებაში და განსაზღვრავს შემოსავლებისა და გასავლების მოცულობას. კომერციული ბანკების საქმიანობაზე ცენტრალური ბანკი ზემოქმედებას ახორციელებს შემდეგი მიმართულებით: ჯერ ერთი, კომერციული ბანკებისთვის საერთო საკანონმდებლო პირობების შექმნით, რაც საშუალებას აძლევს მას განახორციელოს თავისი სახელმწიფო-ეკონომიკური ინტერესები და მეორე, ფულად-საკრედიტო რეგულირებისათვის ღონისძიებების გატარებით გავლენას ახდენს მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობასა და სტრუქტურაზე.

მაკროეკონომიკური პროპორციების რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ცენტრალური ბანკის სავალდებულო რეზერვების მოთხოვნები, რომელთა მეშვეობითაც იგი ზემოქმედებას ახდენს ბანკის თავისუფალი რესურსების მოცულობაზე.

სავალდებულო რეზერვების ნორმის ზრდა (შემცირება) შესაბამისად ამცირებს (ზრდის) კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გააჩნიათ აქტიური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა.

შემდეგი ფაქტორია ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის მონაწილეთა ურთიერთნდობის ხარისხი.

ბანკთაშორისი ბაზარი საფინანსო ბაზრის ის ნაწილია, რომელშიც ფულადი სახსრები მხოლოდ საბანკო დაწესებულებებს შორის მოძრაობს. ამ ბაზარზე შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი ფულადი ოპერაცია და გარიგება. ყველაზე მეტად ამ ბაზარზე განვითარებულია ბანკთაშორისი დაკრედიტება, რის ხარჯზეც ხდება ბანკის წმინდა მოგების მნიშვნელოვანი წილის ფორმირება.

აღსანიშნავია ისეთი ფაქტორის არსებობა, როგორიცაა სას-

ესხო კაპიტალის ბაზარზე ინფორმაციის სისრულე და ოპერატიულობა. ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია კონკურენტების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინება, ბაზრის კონიუნქტურისა და ბანკის კლიენტების ეკონომიკური მდგომარეობის (კრედიტორებისა და მეანაბრეების) შესწავლა. სარწმუნო ინფორმაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც ბანკის კლიენტების, ისე საბანკთაშორისო დონეზე დამოკიდებულების განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობა. ინფორმაციის გაცვლით ბანკი თავიდან იცილებს გაუთვალისწინებელი გარემოებების ნეგატიურ ზეგავლენას.

ასევე გასათვალისწინებელია პოლიტიკური ფაქტორი. პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყანა კარგავს საინვესტიციო მიმზიდველობას, რაც პირველ რიგში წარმოებაზე აისახება. ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მკვეთრი შეცვლის შესაძლებლობა ნეგატიურად აისახება ეკონომიკაზე საერთოდ, მათ შორის საბანკო საქმიანობაზეც.

შემდეგი ფაქტორია მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა. უკანასკნელ ათწლეულში, მსოფლიო ეკონომიკაში საბანკო და სამრეწველო კაპიტალის კონსოლიდაცია განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა გახდა. კორპორაციებზე კონტროლის უფლებისათვის ბრძოლა, რომელიც მოიცავს როგორც შერწყმას, ისე ძალით მიერთებას, საბანკო მომსახურების გაფართოების მამოძრავებელი ძალა გახდა. კონკურენციის გაძლიერებამ, საფინანსო ბაზარზე ოპერაციათა შემოსავლიანობის შემცირებამ მრავალი ბანკი არჩევანის წინაშე დააყენა – შერწყმა თუ გაკოტრება.

მსოფლიო საფინანსო ბაზრის მოვლენებმა არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს ყოველ ცალკე აღებულ ქვეყანაზე. ეკონომიკური გავლენის გარდა, არის კიდევ მსოფლიო მოვლენებისადმი

ფსიქოლოგიური დამოკიდებულება. საბანკო საქმიანობა არ შემოიფარგლება ეროვნული ჩარჩოებით, ხორციელდება ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესი. ერთი მხრივ, იქმნება საზღვარგარეთის ფილიალების ქსელი და, მეორე მხრივ, მოცემულ ტერიტორიაზე იზრდება უცხოური ბანკების რიცხვი.

ასევე გასათვალისწინებელია ფორს-მაჟორული ფაქტორები ანუ განსაკუთრებული და გაუთვალისწინებელი მოვლენები (მაგალითად, სტიქიური უბედურება, ომი, ემბარგო, სავალუტო შეზღუდვების შემოღება, გაფიცვები და ა.შ.).

გარე ფაქტორებთან ერთად განვიხილოთ კომერციული ბანკების საქმიანობაზე შინაგანი ფაქტორების გავლენა.

მართვისა და დაგეგმვის ხარისხი. დაგეგმვა თავისთავად მრავალი ალტერნატიულობისაგან სტრატეგიული განვითარების არჩევანს წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს საბანკო საქმიანობის მიზნებსა და მათი მიღწევის ხერხებს. საბანკო საქმიანობის სწორი დაგეგმვის თვალსაზრისით აუცილებელია ბანკში შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ფორმირება, რომელიც განახორციელებს ეკონომიკურ ანალიზსა და დაგეგმვას, გამოიმუშავებს დანარჩენ ქვეგანყოფილებებთან ურთიერთმოქმედების რეგლამენტს, გაანაწილებს ანალიტიკურ ფუნქციებსა და მუშაობის მიმართულებას. მსოფლიო პრაქტიკაში დაგეგმვის სათანადო ტექნიკით აღჭურვილი და მაღალკვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული ქვეგანყოფილებები ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ ქვეგანყოფილებად არის აღიარებული.

საბანკო საქმიანობის დაგეგმვისათვის, პირველ ყოვლისა, ანალიზი უნდა ჩატარდეს მიკროეკონომიკურ დონეზე. შემდგომ ეტაპზე უნდა ჩატარდეს საბანკო საპროცენტო რისკის ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობასთან. თუ, მაგალითად, ბაზარზე შემცირდა განაკვეთი, დაბანდება უფრო დაბალი პროცენტით მოხდა, ბანკ-

ის მიერ მოზიდულ თანხაზე კი განაკვეთი არ შეიცვალა, ბანკი ზარალდება იმდენად, რამდენადაც მოზიდულ სახსრებზე მაღალი პროცენტების გადახდა მოუწევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გაკოტრების რისკის შეფასება, რაც შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მაჩვენებლების დახმარებით: პირველი, ბანკის მიერ ემიტირებულ სასესხო ვალდებულებებზე (ფასიანი ქაღალდები და სადეპოზიტო სერტიფიკატები) საბაზრო განაკვეთსა და დაფარვის ანალოგიური ვადის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საბაზრო განაკვეთს შორის სხვაობით. აღნიშნული სხვაობის ზრდა ნიშნავს, რომ საბაზრო ინვესტორები ბანკის ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციის გამო, ზარალის რისკის წინაშე დგანან; მეორე, ბანკის აქციების ღირებულებისა და წლიური მოგების თანაფარდობით ერთ აქციაზე გაანგარიშებით; მესამე, სააქციო კაპიტალის (წმინდა ღირებულების) თანაფარდობით ბანკის ერთობლივ აქტივებთან, რომლის დაწევა შეიძლება მოწმობდეს ბანკის აქციონერთა და დეპოზიტების მფლობელთა რისკის ხარისხის ზრდაზე; მეოთხე, შესყიდული სახსრებისა და ერთობლივი პასივების თანაფარდობით. ჩვეულებრივ, შესყიდულ სახსრებში იგულისხმება დაუზღვეველი დეპოზიტები, ფულად ბაზარზე სხვა ბანკისგან, კორპორაციებიდან, სახელმწიფო ორგანოებიდან ნასესხები სახსრები, რომლებიც უნდა დაბრუნდეს ერთი წლის განმავლობაში.

კომერციული ბანკის სტრატეგია წარმოუდგენელია სათანადო საბანკო პერსონალის გარეშე. ბანკის ხელმძღვანელი უნდა იყოს არა მარტო ადმინისტრატორი, არამედ ბანკირიც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მას უნდა გააჩნდეს კომერციული და ანალიტიკური ნიჭი. ძალზე მნიშვნელოვანია ხელმძღვანელის ავტორიტეტი საქმიან ადამიანთა წრეში.

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართვე-

ლოს საბანკო სისტემის განმტკიცებისათვის აუცილებელია მისი საქმიანობის ფინანსური გამჭვირვალეობის გაუმჯობესება; მხედველობაში გვაქვს ამ მიმართულებით შემდეგი ღონისძიებების გადაუდებელი გატარება: ჯერ ერთი, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მაქსიმალურად უნდა შეამციროს საბანკო სისტემაში სისტემური რისკების წარმოქმნის მოტივაციები, რადგან საბანკო სისტემისადმი ნდობის შემცირებამ ან ერთი მსხვილი ან რამდენიმე საშუალო ბანკის გაკოტრებამ, არ არის გამორიცხული, გამოიწვიოს ფინანსური კრიზისი და ერთი ბანკის კრახი მაშინვე იმოქმედებს სხვა ბანკებზე, იქნება ეს პირდაპირი გზით, ბალანსების საშუალებით, თუ ფსიქოლოგიურად; მეორე, ამ შემთხვევაში დაზარალდებიან გაკოტრებული ბანკის კლიენტებიც, რადგანაც მათ მიერ დაგროვებული კაპიტალი, ბანკზე უარყოფითი ინფორმაციის გამო, დაკარგავს თავის მნიშვნელობას; მესამე, ეროვნულმა ბანკმა, როგორც მთელი საბანკო სისტემის რეგულატორმა, რომელიმე ბანკის კრახზე რეაგირებისას უნდა უზრუნველყოს ისეთი სიტუაცია, როცა შენარჩუნდება კრედიტების უწყვეტი ნაკადი და არ დაიკარგება ბანკში არსებული საინფორმაციო „კაპიტალი“ ანუ იმის ცოდნა, თუ დაკრედიტების რომელი დარგი ატარებს უფრო მეტ რისკს და როგორ ხორციელდება კონტროლი მსესხებელზე; მეოთხე, მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკურ ნორმატივებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბანკო სისტემის საიმედოობასა და მდგრადობას, კონკურენციისათვის ხელის შეწყობის საფუძველზე დეპოზიტებისა და ინვესტიციების დაცვას; მეხუთე, საჭიროა შეიქმნას საკონტრაქტო საქმიანობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგარანტიო მექანიზმების პრაქტიკულად ამოქმედების საფუძველზე ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას; მეექვსე, ბანკები უპირატესობას ანიჭებენ რა მოკ-

ლევადიან კრედიტებს, როგორც ნაკლები რისკების მატარებლებს, მათ მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ ის გარემოება, რომ მოკლევადიანი კრედიტების რისკები მგრნობიარენი არიან კაპიტალის გადინების თვალსაზრისით. კერძოდ, ინვესტორის შეხედულების სწრაფმა შეცვლამ ფირმის მუშაობის შედეგებით ან ქვეყნის მდგომარეობაზე ახალი ინფორმაციის მიღებამ, არ არის გამორიცხული, რომ ფირმიდან ან მთლიანად ქვეყნის ეკონომიკიდან ინვესტირებული თანხის ამოღება და, ამასთანავე, ფირმის გაკოტრებასთან ერთად, ეკონომიკის სისტემური კრიზისიც გამოიწვიოს; მეშვიდე, მართალია, სესხის უზრუნველყოფის არსებობა, გარკვეულწილად ამარტივებს დავალიანების დაფარვის პრობლემას, მაგრამ მას მთლიანად ვერ ხსნის. ამიტომ საჭიროა უზრუნველყოფის ღირებულების განსაზღვრა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობის განხილვა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ საკითხი გულისხმობს არა იმის გარკვევას, რა ღირებულებისაა სესხის უზრუნველყოფა დასაწყისში, არამედ იმას, თუ როგორი იქნება მისი ფასი პირობების გათვალისწინებით, რომელმაც შეიძლება სესხის გადაუხდელობამდე მიგვიყვანოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია აქტივების კლასიფიცირების, მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამუშავება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით; მერვე, უცხოური ბანკების ფილიალების ქვეყნის საბანკო სისტემის ფუნქციონირების თანაბარ პირობებში ჩაყენებისათვის აუცილებელია უცხოური ბანკების ფილიალების ზედამხედველობის მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნა; მეცხრე, კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის კომპლექსური შეფასების ფინანსურ კოეფიციენტთა სისტემის სრულყოფა.

§4. კომერციული ბანკების საქმიანობის კომპლექსური შეფასების ფინანსურ კოეფიციენტთა სისტემა

კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის კომპლექსური შეფასებისათვის ფინანსურ კოეფიციენტთა სისტემის გამოყენების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხედველობაში მიიღება არა ერთი ფაქტორის, არამედ რამდენიმე ფაქტორის ერთდროული ზემოქმედება საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში ლიკვიდობისა და მომგებიანობის განსაზღვრაში.

საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1999 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი ახალი ღონისძიებები ტარდება კომერციული ბანკების პრუდენციალური რეგულირებისათვის, მათი კაპიტალის ადეკვატური ახალი სტრუქტურის კომპლექსური შეფასების გაუმჯობესებაში.

ეროვნული ბანკი 1999 წლის დასაწყისიდან აგრძელებდა მუშაობას მყარი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიმართულებით, რაც კონკრეტულად ზედამხედველობის პროცედურის გაუმჯობესებისათვის პრუდენციალური ნორმატივების სრულყოფაში გამოიხატა. კომერციული ბანკების ლიკვიდობის პრობლემის გადაჭრისათვის, რომელიც გამოწვეული იყო 1998 წლის ბოლოს ქვეყანაში წარმოქმნილ ფისკალურ სიძნელეებთან დაკავშირებით, ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებთან თავისი ურთიერთობების წარმართვის მიზნით გამოიყენა ურთიერთვალდებულებათა მემორანდუმი.

ასეთმა მიდგომამ პრაქტიკულად მთლიანად გაამართლა და სწორი ნაბიჯი იყო ეროვნული ბანკის საბჭოს მხრიდან საბანკო სისტემის გადარჩენის თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ნეგატიური შედეგების მაქსიმალურად შემცირე-

ბის მიზნით დამუშავდა სპეციალური მითითებები კომერციული ბანკების აქტივების კლასიფიკაციის შესახებ და პარალელურად შემოწმდა ბანკების რეზერვებისა და მთლიანად კაპიტალის ადეკვატურობის რეალური მდგომარეობა, რეზერვების საკმარისობის სურათი, გაცემული სესხების მიმართულებით მოსალოდნელი დანაკარგები და მათი ზეგავლენა კაპიტალის ადეკვატურობაზე.

1999 წლის მარტი-აპრილის შემდგომ პერიოდში საბანკო სისტემაში სიტუაცია სტაბილურობის გაუმჯობესების მიმართულებით ძირეულად შეიცვალა და ამან განაპირობა, რომ ეროვნულ და კომერციულ ბანკებს შორის მემორანდუმის საფუძველზე ურთიერთობის გაგრძელების აუცილებლობა მოიხსნა. კვლავ გრძელდებოდა მუშაობა კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის გაძლიერების მიმართულებით, რამაც განაპირობა ის, რომ 1999 წელს ერთობლივი კაპიტალის ზრდამ 39,4% შეადგინა და 58,9 მილიონი ლარით გაიზარდა.

ერთობლივი კაპიტალის ზრდის ტემპმა საწესდებო კაპიტალის ზრდის ტემპს გაუსწრო, რაც საბანკო სისტემის კაპიტალიზაციის ზრდასთან ერთად, იმას ნიშნავს, რომ საბანკო სისტემამ, დიდი სიძნელეების მიუხედავად, 1999 წლის მთელ პერიოდში პოზიტიურ ფინანსურ შედეგებს მიაღწია. ერთობლივი აქტივების მოცულობა გაიზარდა 134,1 მილიონი ლარით (29,6%), ვალდებულებების მოცულობისა – 75,2 მილიონი ლარით (24,7%).

საბანკო სისტემის კაპიტალიზაციის ზრდის მახასიათებელია საბანკო სისტემის ზრდის დინამიკა. მთელი საბანკო სისტემის წმინდა მოგებამ 1998 წელს 22,4 მილიონი ლარი, ხოლო 1999 წელს 23,0 მილიონი ლარი შეადგინა [1] (იხილეთ ცხრილი №26) [2].

---

[1] საქართველოს საბანკო სისტემის რეტროსპექტული მიმოხილვა 1994-1999წლები, თბ., 2000. გვ.41.

[2] Вестник Региональной Группы Базельского Комитета по Банковскому Надзору Государств Закавказья и Центральной Азии. Тб., 2000. ст.27.

ცხრილი №26

ერთობლივი აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის სიდიდე

ერთობლივი აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი				
მაჩვენებლები	01/01/99 (1998 წლისთვის)		01/01/00 (1999 წლისთვის)	
	თანხა**	%	თანხა**	%
1. აქტივები*	452,6	100	586,7	100
2. ფულადი საშუალებები ცენტრალურ ბანკში	37,5	8	43,9	7
3. ფულადი საშუალებები სხვა ბანკებში	97,1	22	117,3	20
4. სავალო ფასიანი ქაღალდების პორტფელი	4,9	1	10,4	2
5. საკრედიტო პორტფელი	216,8	48	296,3	51
6. ინვესტიციები	6,6	1	24,2	4
7. ძირითადი საშუალებები	56,9	13	61,5	10
8. სხვადასხვა აქტივები	32,5	7	32,9	6
9. ვალდებულებები	303,3	100	378,5	100
10. ვალდებულებები ცენტრ. ბანკის მიმართ	0,44	0	0,12	0
11. ფიზიკური პირების დეპოზიტები	58,8	18	78,9	21
12. იურიდიული პირების დეპოზიტები	118,6	39	137,6	36
13. ნასესხები საშუალებები	103,5	34	134,0	35
14. სხვადასხვა ვალდებულებები	26,2	9	27,8	7
15. კაპიტალი	149,3	100	208,2	100
16. საწესდებო კაპიტალი	117,3	79	155,1	75
17. რეზერვები და ფონდები	17,9	12	23,6	11
18. მიმდინარე მოგება	13,9	9	29,3	14

შენიშვნა: * – ერთობლივი აქტივების მოცულობა მოყვანილია რეზერვების გამოქვითვით;

** – თანხები მოყვანილია აშშ. მლნ დოლარის ეკვივალენტში.

საბანკო საქმიანობაში არსებული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სისტემის როლი ქვეყნის ეკონომიკის ფულადი რესურსებით უზრუნველყოფაში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით შეზღუდულ ხასიათს ატარებს. აღნიშნული განპირობებულია ბანკების კაპიტალიზაციის არსებული დონით, ასევე ფარული ეკონომიკის ზეგავლენით. ჩვენი აზრით, აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი საბანკო სისტემის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე კომპლექსურ შეფასებაში უნდა ვეძიოთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ წინა თავებში განვიხილეთ კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასება ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით, ამჟამად ყურადღებას ვამახვილებთ მთლიანად საბანკო სისტემის ეფექტურობის განსაზღვრისას ფინანსურ კოეფიციენტთა სისტემაზე დამყარებულ კომპლექსურ შეფასებაზე, რომელიც, როგორც მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, გადამწყვეტ როლს თამაშობს საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტურობის დადგენაში.

ლიკვიდობის ყოველმხრივი შეფასება ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით მეტად რთული პროცესია. ამიტომ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, დასახული მიზნიდან გამომდინარე, ლიკვიდობის კოეფიციენტების დაყოფა ვადების მიხედვით ხდება. ასე მაგალითად, მოკლევადიანი (K_1) და საშუალოვადიანი (K_2) ლიკვიდობის კოეფიციანტები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

$$K_1 = \frac{\text{სალარო + ნაშთები ნოსტრო ანგარიშების მიხედვით + მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები}}{\text{მიმდინარე და საშემნახველო ანგარიშები + მოკლევადიანი დეპოზიტები}},$$

$$K_2 = \frac{\text{ფასიანი ქაღალდები და გასესხებული თანხები, რომელთა დაფარვის ვადა 1-დან 5 წლამდეა}}{\text{დეპოზიტები და ნასესხი თანხები, რომელთა დაფარვის ვადა 1-დან 5 წლამდეა}},$$

ბანკის ლიკვიდური სახსრებით მოკლევადიანი ვალდებულებების უზრუნველყოფის ანალიზისათვის შეიძლება გამოთვლილ იქნეს ლიკვიდობის შემდეგი კოეფიციენტები:

$$K_3 = \frac{\text{სალარო} + \text{სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე} + \text{მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები}}{\text{მოკლევადიანი მოზიდული სახსრები}}.$$

$$K_4 = \frac{\text{მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივები} + \text{საშუალოვადიანი ფასიანი ქაღალდები}}{\text{მოკლევადიანი მოზიდული სახსრები}}.$$

$$K_5 = \frac{\text{მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივები} + \text{საშუალოვადიანი ფასიანი ქაღალდები} + \text{გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები} + \text{იმობილიზაცია}}{\text{მოკლევადიანი მოზიდული სახსრები}}.$$

თუ ლიკვიდობის კოეფიციენტ K_3-ს აქვს 1-დან 1,5-მდე მნიშვნელობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარავად ლიკვიდური აქტივებით უზრუნველყოფის ნორმალური დონე გააჩნია. ამასთან, თუ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა აჭარბებს 1,5-2-ის მნიშვნელობას, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკს არარაციონალურად აქვს განაწილებული სახსრები აქტივებში ანუ ფლობს ისეთ აქტივებს. რომელთაც შემოსავალი არ მოაქვთ. ამ შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს შემოსავლიანი აქტივების ხვედრითი წილი მოკლე-

ვადიან ლიკვიდურ აქტივების საერთო ჯამთან მიმართებაში.

თუ ბანკი განიცდის დროებით სიძნელეებს მოკლევადიან ლიკვიდურ აქტივებთან მიმართებაში, მაშინ მან უნდა მოახდინოს 1-დან 5 წლამდე დაფარვის ვადის ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია და ამით შეავსოს დანაკლისი.

თუკი ბანკს მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივების მიხედვით დანაკლისის შესავსებად მოუხდება გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდებისა და სხვა გრძელვადიანი საფინანსო ინსტრუმენტის რეალიზაცია, მაშინ ეს ფაქტი მიგვითითებს ბანკის ლიკვიდობის სერიოზულ გაუარესებაზე, რაც მოითხოვს საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელოვან შეცვლას.

ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად შეიძლება გამოითვალოს სესხების შეფარდება მოზიდულ სახსრებთან. თუ ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა შედარებით მაღალია, მაშინ ეს ფაქტი მეტყველებს ბანკის კონსერვატულ სასესხო პოლიტიკაზე (ანუ ბანკი არააქტიურად აბანდებს სახსრებს საკრედიტო და საინვესტიციო ოპერაციებში). ასეთი ბანკი იწყებს განაკვეთების ამაღლებას ლიკვიდობის გაუარესებასთან და საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებასთან ერთად. ამ კოეფიციენტის ზედა ზღვარი არასდროს არ არის ზუსტი ციფრით გაჩოსახული და, მიუხედავად ამისა, იგი ზეგავლენას ახდენს ბანკის საკრედიტო და საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს კომერციული ბანკების ბალანსების მიხედვით გაუნაწილებელი მოგების ანალიზმა დაგვანახა, რომ 1998 წელს მოგება თითქმის არ მიუღია 10 კომერციულ ბანკს, 17-მა საანგარიშო წელი ზარალით დაასრულა და მხოლოდ 18 კომერციულ ბანკს ჰქონდა მოგება.

საბანკო სისტემის მიხედვით ეფექტიანობის მაჩვენებელი

კაისგარიშებული მოგების შეფარდებით მთლიან კაპიტალთან შეადგენს 3,3%-ს. სოლო მოგების შეფარდებით მთლიან აქტივებთან მხოლოდ 0,1%-ს. იმ ბანკების ეფექტიანობის ანალიზი, რომლებმაც მოგებით დაასრულეს 1998 წელი, გვიჩვენებს, რომ ბანკების 11%-ში ეფექტიანობის მაჩვენებელი 1%-ზე დაბალია, კიდევ 11%-ში – 2%-მდეა, 28%-ში – 3%-მდე, 33%-ში – 10%-მდე და მხოლოდ 6%-ში – 27%.

მთელი საბანკო სისტემის მიხედვით აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ აქტივების რომელ ნაწილს მოაქვს შემოსავალი, ტოლია 51,1%-ის.

აღნიშნული მაჩვენებელი ბანკების 7%-ში ძალიან დაბალია, არ აღემატება 25%-ს, ბანკების 11%-ში – 40%-მდეა, 9%-ში – 50%-მდე, 25%-ში – 60%-მდე, 24%-ში – 70%-მდე, 11%-ში – 80%-მდე, ხოლო 13%-ში – 80%-ზე მეტი.

იმ ბანკებში, რომელშიც მომგებიანი აქტივები ერთობლივი აქტივების ნახევარზე ნაკლებია, ცხადია, არ ხდება საკმარისი მოგების მიღება, ხოლო ბანკებში, სადაც 80%-ზე მეტია, მოქმედებს მაღალი რისკის ფაქტორი.

ყველა კომერციული ბანკის მიხედვით ლიკვიდობის მაჩვენებელი, გაანგარიშებული სალაროს აქტივების საშუალო ნაშთის შეფარდებით მოქალაქეთა ანაბრებთან, ტოლია 22,9%-ის. აღნიშნული მაჩვენებელი 11%-ში 1%-საც არ აღწევს, 6%-ში – 2%-მდეა, 2%-ში – 4%-მდე, 4%-ში – 5%-მდე, 6%-ში – 10%-მდე, 11%-ში – 20%-მდე, 10%-ში – 30%-მდე, 22%-ში – 40%-მდე, 6%-ში – 70%-მდე, 2%-ში – 80%-მდე, 8%-ში – 100%-ზე მეტი, 6%-ში – 2-3-ჯერ მეტი, 2%-ში – 8-ჯერ მეტი, 4%-ში – 12-ჯერ მეტი.

მთელი საბანკო სისტემის მიხედვით ლიკვიდობის მაჩვენებელი, გაანგარიშებული სალაროს საშუალო ნაშთის შეფარდებით

ყველა დეპოზიტური ანგარიშის საშუალო ნაშთთან ტოლია 18,4%-ის. აღნიშნული მაჩვენებელი ბანკების 13,3%-ში 1%-საც ვერ აღწევს, 13,3%-ში – 2%-მდეა, 11,1%-ში – 5%-მდე, 6,7%-ში – 10%-მდე, 24,4%-ში – 20%-მდე, 2,2%-ში – 30%-მდე, 4,4%-ში – 60%-მდე, 2,2%-ში – 70%-მდე, ასევე 2,2%-ში – 80%-მდე, 4.4%-ში – 90%-ზე მეტი, ასევე 4,4%-ში – 100%-ზე მეტი, ხოლო 11,4%-ში – 2-12-ჯერ მეტი.

კომერციული ბანკები, რომელთა ლიკვიდობა დაბალია,. ნაკლებად საიმედოა საზოგადოებისათვის, ხოლო ძალიან მაღალი ლიკვიდობის მქონე ბანკებს გაუჭირდებათ საკმარისი მოგების მიღება.

კონფლიქტი ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის შეიძლება ჩაითვალოს ცენტრალურ პრობლემად, რომელსაც ბანკი სახსრების განთავსებისას წყვეტს.

საბანკო სექტორის მდგომარეობის ანალიზი იწყება მისი შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებით. ამ ანალიზს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ვინაიდან მის საფუძველზე შეიძლება, ჯერ ერთი, შემცირდეს ნაკლებად შემოსავლიანი და გაიზარდოს შემოსავლიანი ოპერაციები და, მეორე, ამასთანავე, გამოვლინდეს მომგებიანობის ზრდის რეზერვები და პარალელურად ბანკების სტრუქტურული რეორგანიზაცია განხორციელდეს. თანამედროვე პირობებში საბანკო საქმიანობის შეფასებისათვის შემდეგი ძირითადი კოეფიციენტები გამოიყენება [1]:

$$\text{მოგება საკუთარი (საქკო) კაპიტალიდან (ROE)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საქკო კაპიტალი}}.$$

[1] Рид. Э., Котер., Гилл. Э. и др. Коммерческие банки. М. изд. Космополис, 1991. ст.57.

$$\text{მოგება ერთეული აქტივიდან (ROA)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ერთობლივი აქტივები}}.$$

$$\text{წმინდა საპროცენტო მარჯა} = \frac{\text{ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან და კრედიტებიდან მიღებული შემოსავალი – დეპოზიტებზე და სხვა ვალდებულებებზე გაწეული საპროცენტო ხარჯები}}{\text{აქტივები}}$$

$$\text{საპროცენტო მოგების წმინდა მარჯა} = \frac{\text{საპროცენტო შემოსავალი - საპროცენტო ხარჯები}}{\text{აქტივები}}.$$

$$\text{წმინდა არასაპროცენტო მარჯა} = \frac{\text{საპროცენტო შემოსავალი - არასაპროცენტო ხარჯები}}{\text{აქტივები}}$$

$$\text{სპეციალური ოპერაციების ჩატარებამდე მიღებული წმინდა მოგება (NRST)} = \frac{\text{წმინდა მოგება და ფასიანი ქაღალდების აღრიცხვამდე მოგება (ზარალი) და სხვა ოპერაციები, რომლებიც საგანგებო ხასიათს ატარებს}}{\text{აქტივები}}$$

$$\text{წმინდა მოგება აქციაზე გაანგარიშებით მარჯა (EPS)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი აქციები}}.$$

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები, ისევე როგორც ყველა ფინ-

ანსური მაჩვენებელი, დროის გარკვეული პერიოდისა და საბანკო მომსახურების სხვადასხვა მიმართულების მიხედვით იცვლება. აღნიშნულის ნათლისაყოფად იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი №27.

ცხრილი №27

საქართველოს საბანკო სექტორის მდგომარეობის კომპლექსური შეფასების ფინანსური კოეფიციენტები

მაჩვენებლები	01/01/99	01/01/00
1. წმინდა მოგებისა და ერთობლივი აქტივების თანაფარდობა (ROA)	4,9	4,2
2. წმინდა მოგებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა (ROE)	19,3	16,1
3. კლასიფიცირებული აქტივების მიხედვით ფორმირებული რეზერვებისა და ერთობლივი აქტივების თანაფარდობა	2,2	2,4
4. შემოსავლიანი აქტივებისა და ერთობლივი აქტივების თანაფარდობა	51,7	57,1
5. მაღალლიკვიდური აქტივებისა და მოთხოვნამდე ვალდებულებების თანაფარდობა	72,7	78,9
6. მოთხოვნამდე დეპოზიტებისა და ერთობლივი ვალდებულებების თანაფარდობა	40,2	38,5
7. პირველი დონის კაპიტალისა და რისკის ხარისხის მიხედვით შეწონილი აქტივების თანაფარდობა	45,5	42,3
8. საერთო კაპიტალისა და რისკის ხარისხის მიხედვით შეწონილი აქტივების თანაფარდობა	48,2	45,6

9. საპროცენტო შემოსავლებისა და ერთობლივი შემოსავლების თანაფარდობა	66,2	63,7
10. საპროცენტო ხარჯებისა და ერთობლივი ხარჯების თანაფარდობა	30.3	29,7

ყველა ზემოთ მოყვანილი კოეფიციენტი ახასიათებს ბანკის საქმიანობის შეფასების ამა თუ იმ ასპექტს. კერძოდ, ROA – უპირველეს ყოვლისა, მენეჯერების ეფექტურ საქმიანობაზე მეტყველებს. საოპერაციო მოგების წმინდა მარჟის, წმინდა საპროცენტო მარჟისა და არასაპროცენტო მარჟის მაჩვენებლები როგორც ეფექტურობის, ასევე მომგებიანობის კომპლექსური შეფასების ფინანსურ კოეფიციენტებს წარმოადგენენ. ისინი გვიჩვენებენ, თუ რამდენად წარმატებით უზრუნველყოფენ ბანკის მენეჯერები და თანამშრომლები მოგების ზრდის ტემპებს (უწინარეს ყოვლისა, პროცენტებს საბანკო კრედიტიდან, ინვესტიციებიდან და საკომისიოების მომსახურებიდან), ხარჯების ზრდის ტემპებთან შედარებით (ძირითადად დეპოზიტების პროცენტებისა და ფულადი ბაზრების სესხების მიხედვით). წმინდა საპროცენტო მარჟა განსაზღვრავს სპრედის (გარღვევის) ოდენობას პროცენტულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, რომელიც მიღებულ იქნა ბანკის მიერ შემოსავლიან აქტივებზე გულმოდგინე კონტროლითა და სახსრების იაფი წყაროების მოძიებით.

არასაპროცენტო მარჟა განსაზღვრავს არასაპროცენტო შემოსავლებისა (დეპოზიტების მომსახურებისათვის გადახდილი თანხები და ბანკის მიერ მიღებული საკომისიო ანაზღაურების სხვა სახეობანი) და არასაპროცენტო ხარჯების (მათ შორის ხელფასის, რემონტისა და ბანკის დანადგარების ტექნიკური მომსახურებისა და კრედიტების მიხედვით დანაკარგების ხარჯები) თანაფარდობას. უმეტესი ბანკების არასაპროცენტო მარჟა უარყოფითია, რადგანაც არასაპროცენტო ხარჯები ჩვეულე-

ბრივ აჭარბებს შესაბამის ხარჯებს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ბანკის მიერ საკომისიო მომსახურებით მიღებული თანხები სწრაფად იზრდება.

სპეციალური ოპერაციების ჩატარებამდე მიღებული წმინდა მოგების მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია კრედიტებით, ინვესტიციებით, საკომისიო ანაზღაურებით, გამოხატავს ასევე იმ საგანგებო მუხლებს, როგორიცაა: შემოსავალი ბანკის ქონების გაყიდვიდან, მოგება ან მარაგი ფასიანი ქაღალდებიდან. ამ მაჩვენებლებს ანალიტიკოსები გამორიცხავენ ბანკის მომგებიანობის მაჩვენებლებიდან. დაბოლოს, მაჩვენებელი EPS ასახავს ბანკის აქციონერებისთვის გადახდილი თანხების შეფარდებას რეალიზებული აქციების თანხასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, კომერციული ბანკის საქმიანობის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია მომგებიანობის მაჩვენებლების ძირითად შემადგენელ ნაწილებად დაშლა. მაგალითად, დღეისათვის ყველაზე პოპულარული ორი მაჩვენებელი ROE და ROA, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ორივეს ერთი და იგივე მნიშვნელი აქვთ, შეიძლება ერთმანეთს პირდაპირ დავუკავშიროთ:

$$\text{ROE} = \text{ROA} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}}.$$

ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ:

$$\frac{\text{მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{სააქციო კაპიტალი}} = \frac{\text{მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}}.$$

ROE და ROA უშუალო ურთიერთკავშირი გვიჩვენებს იმ ფუნდამენტალურ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს რისკიანობასა და მომგებიანობას შორის. თუ მიმდინარე წელს ბანკის ROA საპროგნოზო მაჩვენებელი დაახლოებით 1%-ის ტოლია, მაშინ კაპიტალის ყოველ ერთეულზე საჭირო იქნება აქტივების 10 ერთეული იმისათვის, რომ ROA გახდეს 10%. ამგვარად მივიღებთ:

$$ROE = ROA \times \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}} \times \frac{0{,}01*10*100}{1} = 10\% .$$

ამასთან, თუ მოსალოდნელია ROA შემცირდეს 0,5-მდე, ROE-ს 10%-იანი დონის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც კაპიტალის ყოველი ერთეული უზრუნველყოფს აქტივების 20 ერთეულს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

$$ROE = (0{,}005 \times 20 \times 100)/1 = 10\%.$$

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება აგებულ იქნეს მომგებიანობისა და რისკიანობის თანაფარდობის ცხრილი, რომლის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს სავალო ვალდებულებებისა და სააქციო კაპიტალის თანაფარდობის რა დონე უნდა იქნეს მიღწეული აქციონერების მიერ მომგებიანობის უზრუნველსაყოფად.

საბანკო საქმიანობის მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ROE საფუძველზე მომგებიანობის მეტად მნიშვნელოვანი ფორმულა არსებობს, რომლის მიხედვითაც:

$$ROE = \text{წმინდა მოგების მარჟა} \times \text{აქტივების გამოყენების კოეფიციენტი} \times \text{სააქციო კაპიტალის მულტიპლიკატორი}$$

სადაც:

$$\text{ბანკის წმინდა მოგების მარჟა (NPM)} = \frac{\text{მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{საოპერაციო შემოსავლები}}.$$

$$\text{ბანკის აქტივების გამოყენების კოეფიციენტი (AU)} = \frac{\text{საოპერაციო შემოსავლები}}{\text{აქტივები}}.$$

$$\text{კაპიტალის მულტიპლიკატორი (EM)} = \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}}.$$

ზემოთ მოყვანილი სამი ფინანსური მაჩვენებლიდან კაპიტალის მულტიპლიკატორს (EM) ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს და უმეტესი ბანკებისათვის შეადგენს 15 პუნქტს ან მეტს, ხოლო მსხვილი ბანკებისათვის 20 ან მეტ პუნქტს. მულტიპლიკატორი არის ბანკის საფინანსო მდგომარეობის ყველაზე მკვეთრი მაჩვენებელი, იგი მიგვანიშნებს, თუ ერთეულ სააქციო კაპიტალმა აქტივების რამდენი ერთეული უნდა უზრუნველყოს და შესაბამისად, ბანკის რესურსების რა ნაწილი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სავალო ვალდებულებების ფორმით. რადგანაც სააქციო კაპიტალმა უნდა დაფაროს ზარალი ბანკის აქტივების მიხედვით, ამიტომ, რაც უფრო მაღალია მულტიპლიკატორის დონე, მით უფრო მეტია ბანკის გაკოტრების რისკი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო მაღალია

მულტიპლიკატორის დონე, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ბანკს მისცეს მაღალი დივიდენდები აქციონერებს.

ROE გამოსაანგარიშებელ ფორმულაში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანა საშუალებას მოგვცემს წარმოვადგინოთ ისეთი განტოლება, რომელიც ბანკის მართვის ოთხი მიმართულებით პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას გამოავლენს:

$$\text{ROE} = \frac{\text{მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ}}{\text{მოგება გადასახადების გადახდამდე და ფასიანი ქაღალდების ალრიცხვით მიღებული მოგება (ზარალი)}} \times \frac{\text{მოგება გადასახადის გადახდამდე და ფასიანი ქაღალდების ალრიცხვით მიღებული მოგება (ზარალი)}}{\text{საოპერაციო შემოსავლები}} \times \frac{\text{საოპერაციო შემოსავლები}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

$$\text{ROE} = \text{გადასახადების მართვის ეფექტურობა} \times \text{დანახარჯებზე კონტროლის ეფექტურობა} \times \text{აქტივების მართვის ეფექტურობა} \times \text{რესურსების მართვის ეფექტურობა}$$

ამ შემთხვევაში მოგების მარჟის მაჩვენებელი გაყოფილია ორ ნაწილად: 1) გადასახადების მართვის ეფექტურობის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ფასიანი ქაღალდებიდან ბანკის მოგებასა (ზარალს) და გადასახადების მართვის სხვა ინსტრუმენტებს (მაგალითად, გადასახადებისგან გათავისუფლებული მუნიციპალური ობლიგაციების შეძენა), რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავთ ბანკის გადასახადები; 2) გადასახადების გადახდის შემდეგ საოპერაციო ხარჯების გამოკლებით დარჩენილი მოგების შემოსავლებთან თანაფარდობის მაჩვენებელი, რომელიც, თავის მხრივ, საოპერაციო საქმიანობასა და ხარჯებზე კონტროლის ეფექტურობის მაჩვენებელსაც წარმოადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ ამ ოთხი მაჩვენებლიდან ერთ-ერთი მცირდება, ბანკებმა უნდა გააანალიზონ ამ მიმართულებით ორ-

განიზაციული საქმიანობის ეფექტურობა. მაგალითად, თუ წინა წელთან შედარებით წმინდა მოგებისა და ფასიანი ქაღალდების აღრიცხვიდან მიღებული მოგების (ზარალის) თანაფარდობა შემცირდა 0,769-დან 0,610-მდე, მაშინ ბანკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, თუ როგორ ხორციელდება საგადასახადო დაგეგმვა და კონტროლი მის შესრულებაზე.

თუ წმინდა მოგებისა და სპეციალური ღონისძიებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის თანაფარდობა საოპერაციო შემოსავლებთან მცირდება შესაბამისად 0,033-დან 0,025-მდე, მაშინ ბანკმა უნდა გააძლიეროს საოპერაციო ხარჯებზე კონტროლი, ხოლო თუ საოპერაციო შემოსავლებისა და აქტივების თანაფარდობა მცირდება (0,322-დან 0,270-მდე), მაშინ აუცილებელია აქტივების პორტფელის ფორმირების პოლიტიკის გადასინჯვა იმის გამოსავლენად, რომ გამოწვეულია თუ არა ეს დაცემა იმ ფაქტორების ზეგავლენით, რომელთა მართვაც შეიძლება იყოს მენეჯერების კონტროლის ობიექტი.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ბანკის მოგების მაქსიმალური ზრდა, საკრედიტო დაწესებულებამ უნდა გაზარდოს თავისი ოპერაციების ეფექტურობა. ეს კი შესაძლებელია საოპერაციო ხარჯების შემცირებითა და პარალელურად ავტომატიზაციის დანერგვით, თანამშრომლების კვალიფიკაციის ზრდისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველზე.

ბანკის საოპერაციო ხარჯების ეფექტურობისა და თანამშრომელთა შრომის მწარმოებლურობის ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლებია: საოპერაციო ეფექტურობის მაჩვენებელი და თანამშრომელთა შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი, რომლებიც კონკრეტულად შემდეგი სახით გამოიხატება:

$$\text{საოპერაციო ეფექტურობის მაჩვენებელი} = \frac{\text{ერთობლივი საოპერაციო ხარჯები}}{\text{ერთობლივი საოპერაციო შემოსავლები}}.$$

$$\text{თანამშრომელთა შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი} = \frac{\text{წმინდა საოპერაციო შემოსავალი}}{\text{საშტატო თანამშრომელთა რაოდენობა}}.$$

ამრიგად, ბანკის მომგებიანობის მაჩვენებლების სტრუქტურული ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს საბანკო საქმიანობის ის სფეროები, რომლებიც იწვევენ მისი შემოსავლიანობის შემცირებას ან გადიდებას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ბანკის მომგებიანობის მაღალი დონის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. ფინანსური ბერკეტის შეწონილი გამოყენება (ანუ სავალო ვალდებულებების საფუძველზე დაფინანსებული საბანკო აქტივებისა და სააქციო კაპიტალის თანაფარდობა);

2. ფიქსირებული აქტივების მიხედვით საოპერაციო ბერკეტის შეწონილი გამოყენება (ანუ იმ ფიქსირებული ხარჯების წილის განსაზღვრა, რომელსაც ბანკი იყენებს საოპერაციო შემოსავლების გასაზრდელად, საერთო საფინანსო შედეგების გასაუმჯობესებლად);

3. საოპერაციო ხარჯების მკაცრი კონტროლის დაწესება, შემოსავლების უმეტესი ნაწილის წმინდა მოგებად გადაქცევის მიზნით;

4. აქტივების პორტფელის სრულყოფილი მართვა ლიკვიდობის კოეფიციენტების შენარჩუნებითა და ნებისმიერი აქტივიდან მაქსიმალურად შესაძლებელი მოგების მიღების საფუძველზე;

5. საბანკო ოპერაციების რისკიანობაზე კონტროლის გაძლიერება და მოსალოდნელი დანაკარგების მაქსიმალური შემცირებისათვის წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების გატარება, დამცავი მექანიზმების შემუშავება;

6. შედარების მეთოდი, როდესაც განისაზღვრება ბალანსის მუხლების მიხედვით ცვლილებებისა და გადასრების ზემოქმედების მიზეზები და ხარისხი ბანკის ლიკვიდობასა და შემოსავლიანობაზე, და ხდება ამ უკანასკნელთა ზრდის რეზერვების გაძოვლენა;

7. კოეფიციენტების მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ხარისხობრივი ურთიერთკავშირი ბანკის საქმიანობის სხვადასხვა მაჩვენებელს შორის.

საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის კომპლექსური შეფასების მოქმედი მეთოდოლოგია მოითხოვს სრულყოფას, რაც ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებაში გამოიხატება:

1. ბანკის საქმიანობის ანალიზის დროს არ გაითვალისწინება მისი ადგილი ქვეყნის ან ცალკეული რეგიონის საფინანსო სისტემაში, იგი განიხილება როგორც ცალკე ფუნქციონირებადი ინსტიტუტი, რაც ამცირებს მის როლსა და მნიშვნელობას მთელი საბანკო სისტემის განმტკიცებაში;

2. ბანკების შეფასება ერთი საზომით არ შეიძლება, რადგანაც გასათვალისწინებლია საკუთარი კაპიტალის მოცულობასთან ერთად მათი საქმიანობის თავისებურებანი, თითოეულის როლი ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებაში;

3. პრაქტიკულად ყურადღება არ ექცევა ბანკის მაჩვენებლების დინამიკაში განხილვას, გაანგარიშება ხორციელდება უკვე დამუშავებული ციფრების მეშვეობით, არ არსებობს ბანკის მენეჯმენტის დონის განსაზღვრის სათანადოდ დამუშავებული მეთოდიკა და ასევე ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთიანი სისტემა.

საბანკო საქმიანობის კომპლექსური შეფასებისათვის აუცილებელია, რომ ყველა გაანგარიშება, რომელიც გამოიყენება ანალიზის დროს, შეესაბამებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდოლოგიას. გაანგარიშებანი დაყვანილ უნდა იქნეს ისეთ

„საერთო ფინანსურ მნიშვნელამდე“, როგორიცაა შემოსავლიანობის, ლიკვიდური აქტივების და რისკების გადანაწილების მაჩვენებლები. ბანკის საქმიანობის ყველა მიმართულების ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს მონაცემების აღრიცხვისა და დამუშავების, შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების საერთო მეთოდოლოგიას.

ბანკის საქმიანობის საერთო ეფექტურობის შეფასებისას მიზანშეწონილია ყველა ქვედანაყოფის შედეგების ანალიზი. ასევე ცალკეული მომსახურებისა და ოპერაციის რენტაბელობის გაანგარიშება. ბანკის ცალკეული მომსახურების სახეობების ანალიზის შემდეგ შეიძლება ბანკის საქმიანობის ანალიზზე გადასვლა, რაც საშუალებას გვაძლევს, განისაზღვროს ყველა განყოფილების საქმიანობის ეფექტურობა, საქმიანობის მიმართულებების საფუძველზე განხორციელდეს რესურსების ოპტიმალური განაწილება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ეფექტიანობის მაჩვენებლების ანალიზი დინამიკაში, ასევე განისაზღვროს ბანკის მომგებიანი ფუნქციონირების საზღვრები, მოხდეს ბანკის ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაცია და საქმიანობის დაგეგმვა განსაზღვრული ახალი მიმართულების მიხედვით.

ბანკის საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრის დროს აუცილებელია საბანკო რისკების შეფასება, მომგებიანობისა და რისკების გონივრული შეთანაწყობა და, რაც მთავარია, ბანკის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმად მოგების ნორმების გამოყენება, მაღალი და ზრდადი რენტაბელობის პირობებში რისკების დაშვების მინიმიზაციაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება.

დასკვნა-რეკომენდაციები

I. სტრატეგია, მიზნები და ამოცანები

1. საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბება-სრულყოფა პრაქტიკულად უფრო შორს წავიდა, ვიდრე საბანკო სისტემის საქმიანობის, კერძოდ, კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემების თეორიული დებულებების კვლევით. სწორედ ამიტომაა, რომ საბანკო საქმიანობის თეორია კი არ უსწრებს საბანკო საქმიანობის პრაქტიკას, არამედ რეალურად უკვე მომხდარი ფაქტის ანალიზით იფარგლება, რაც, გასული დროის გამო, არ იძლევა მიმდინარე მოვლენების მოსალოდნელი შედეგების პერსპექტივაში დანახვის საშუალებას. ყოველივე, თავის მხრივ, ასუსტებს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემების სრული დამუშავების ეფექტურობასა და მეცნიერულ მიდგომას მათი საქმიანობის პროცესების მიმდინარეობის წინასწარი განსაზღვრისათვის.

2. კომერციული ბანკების ნორმალური ფუნქციონირებისათვის პრობლემების ჩამოყალიბება და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უნდა განხორციელდეს მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური მიზნების საფუძველზე და არა მხოლოდ ამ მიმართულებით უცხოეთის გამოცდილების გადმოტანითა და ფოტოგრაფირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში არ არსებობს ყოველმხრივი და თანამიმდევრული მიდგომა საბანკო საქმიანობაში სისტემური რეფორმების გატარებისას, კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემების პრაქტიკულად განხორციელების გზების კომპლექსური პროგრამების დამუშავებაში.

3. საქართველოს განვითარების უკანასკნელი პერიოდის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საბანკო სისტემის მოწყვეტა

ეკონომიკისაგან იწვევს მწვავე ფინანსურ კრიზისს, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებასა და წარმოების მოცულობის დაცემას. რთული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, როდესაც მეურნეობის ეფექტიანობა დაცემულია, აუცილებელია საბანკო სისტემის ფუნქციონირების პრობლემების გადაჭრისათვის კომპლექსურ ღონისძიებათა დამუშავება და მათი პრაქტიკულად ამოქმედების მექანიზმის განსაზღვრა. აღნიშნულ ღონისძიებებში მთავარ მიზანს წარმოადგენს კომერციული ბანკების როლის განსაზღვრა საბანკო სისტემის განმტკიცებაში, საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებების ანალიზი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, კომერციული ბანკების რესურსებით, მათი მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფის საკითხების დამუშავება, კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების ეკონომიკური ნორმატივების შემუშავება, მათი საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაციის ჩამოყალიბება, საკრედიტო ოპერაციების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის როლის ამაღლება გარდამავალი ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებაში.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს კომერციული ბანკების ფუნქციონირების მთავარი ამოცანები: კომერციული ბანკების ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერების შესწავლა, კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირება და სრულყოფის გზების ძიება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, კომერციული ბანკების საიმედოობის, მდგრადობისა და ლიკვიდობის ამაღლების პირობების, ფაქტორების, მაჩვენებლებისა და მეთოდიკის ჩამოყალიბება მათი საინვესტიციო საქმიანობის არსის, სახეების, ფუნქციებისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული ხა-

სიათის სრულყოფა, ბანკების საქმიანობის კომპლექსური შეფასების ფინანსურ კოეფიციენტთა სისტემის განსაზღვრა.

დასახული მიზნებით განპირობებული ამოცანების შესასრულებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგ კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება:

II. საბანკო სისტემის განმტკიცების მიმართულებით

4. საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობა და მისი შემდგომი განვითარება შეუძლებელია ფულად-საკრედიტო სისტემის რადიკალური გარდაქმნისა და შესაბამისი თეორიული დებულებების დამუშავების გარეშე. ამ ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის საბანკო სისტემის საქმიანობის ისეთი მოდელი გვჭირდება, რომელიც დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ჩამოყალიბებული სისტემის ანალოგი იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულად-საკრედიტო სისტემის რადიკალური გარდაქმნის მთავარი მიმართულება საბანკო სისტემის შეფასების სრულყოფასთან ერთად უნდა გახდეს მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

5. საკრედიტო და სახაზინო ვალდებულებათა აუქციონების მეშვეობით საბანკო სისტემის განმტკიცებისათვის ფულადი რესურსებით შევსების პროცესის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

<u>ჯერ ერთი</u>, ფულადი რესურსების ბაზარზე დაფიქსირებული მაღალი საპროცენტო განაკვეთი მიუთითებს საბანკო სისტემის ნაკლებლიკვიდურობასა და ფინანსური რესურსების დეფიციტზე; <u>მეორე</u>, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე მოსახლეობის ნდობა საბანკო სისტემის მიმართ დაბალია და, ამასთანავე, რადგან საარსებო მინიმუმის დონე მნიშ-

ვნელოვნად აღემატება მინიმალურ ხელფასს ქვეყანაში, აქედან გამომდინარე, დანაზოგების სისტემა არ არის განვითარებული და ბანკებს უჭირთ შიდა ბაზარზე რესურსების მოზიდვა; მესამე, უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირების დაინტერესება საქართველოს ეკონომიკით, კერძოდ, მისი საფინანსო ბაზრით უმნიშვნელოა, რაც გამოწვეულია არამდგრადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობითა და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით. მეოთხე, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ერთი მხრივ, ხელს უშლის ბანკებს შორის რესურსების მოძრაობას, ხოლო, მეორე მხრივ, ართულებს სამრეწველო საწარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის დაკრედიტებას; მეხუთე, სავაჭრო გარიგებების 50%-ზე მეტი მოდის მოკლევადიანი კრედიტების ბაზრის განვითარებაზე კომერციულ ბანკებს შორის და ეს რესურსები ძირითადად გამოიყენება მინიმალური სავალდებულო რეზერვების ან საწესდებო ფონდის შევსებისათვის და არა საკრედიტო რესურსების შესაძლებლობების გაზრდისათვის, ვინაიდან 30-დან 90 დღემდე საკრედიტო რესურსების აუქციონზე საპროცენტო განაკვეთების 30-40%-მდე მერყეობა მოკლევადიანი საკრედიტო რესურსისათვის მაღალი მაჩვენებელია ბანკების ლიკვიდობის გაუმჯობესების თვალსაზრისით; დაბოლოს, მეექვსე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მინიჭებული კატეგორიებიდან გამომდინარე, წამყვან კომერციულ ბანკებს მიეცეთ უფრო ფართო უფლებები ბანკთაშორისო საკრედიტო აუქციონზე თანხების განთავსებასა და მიღებაზე ამჟამად არსებული ლიმიტების ფარგლებში.

6. დღეს საქართველოს მეტწილ ბანკებს თითქმის იდენტური პრობლემები აქვთ და ამის ძირითადი მიზეზი მათი საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურისა და სტრატეგიის სრულყოფის საკითხებია, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადას-

ვლის პირობებში ევოლუციურ ცვლილებებს განიცდის. თანამედროვე ეტაპზე საბანკო სისტემის განვითარება თვისებრივად ახალ ფაზაში შედის. გამოიყო კონკურენტუნარიანი ბანკები, რომლებმაც წამყვანი ადგილი დაიკავეს საბანკო სისტემაში. ნაწილი ბანკებისა გაერთიანდა, წარმოიშვა ახალი ბანკები, ხოლო ნაწილს კი ჩამოერთვა საქმიანობის ლიცენზია და შეწყვიტა მუშაობა. საბანკო სისტემაში წამყვანი ბანკების საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა აუცილებელია ბაზარზე დარჩენისა და პოზიციების განმტკიცებისათვის, ვინაიდან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მათი ფინანსური მდგომარეობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად შეფასდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

<u>ჯერ ერთი,</u> საბანკო სისტემის მაფორმირებელი ბანკების ნაწილი ლიკვიდობის კრიზისის წინაშე დგას, საკრედიტო პორტფელის მდგომარეობა უარესდება, ქვეყნის ბიუჯეტის მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო ამცირებს ფულადი ნაკადების ბრუნვადობის ხარისხს;

<u>მეორე,</u> მოქალაქეები კვლავაც ამჯობინებენ დანაზოგის სახლში უცხოური ვალუტის სახით შენახვას, საბანკო სისტემის აქტივებში იმობილიზებული სახსრების წილი კვლავაც დიდია და მისი მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია არ შეინიშნება;

<u>მესამე,</u> მართალია, რამდენიმე ბანკი თავისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, საკრედიტო პორტფელის მოცულობის გაზრდით, ჯერ კიდევ ახერხებს ფულადი ნაკადების ზრდას, ახალი საკრედიტო ხაზების მოზიდვითა და მათი არასრულყოფილად გაანალიზებულ პროექტებში განთავსებით, მაგრამ ასეთი მიდგომა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამავე ბანკების ფულადი ნაკადების სტაბილურ მდგომარეობას და ხელს უწყობს გაკოტრების პირობების შექმნის დაჩქარებას;

მეოთხე, მნიშვნელოვან სრულყოფას საჭიროებს ტექნოლოგიური სისტემები, ვინაიდან ბანკების გარკვეული ნაწილი დიდ სახსრებს ფართოდ რეკლამირებული სისტემების შესყიდვაზე ხარჯავს, მაშინ, როდესაც ვერ ახერხებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათ სრულყოფილ დატვირთვას და შესაბამისად მცირდება აღნიშნულ სისტემებში იმობილიზებული სახსრების უკუგების პერიოდი.

მეხუთე, ხშირ შემთხვევაში სუსტია ფინანსური მართვის სისტემები, მართვის ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, საკადრო რესურსების მართვის პროცედურები, არა აქვთ მკაფიოდ ფორმულირებული და დოკუმენტირებული განვითარების სტრატეგია, კაპიტალის, აქტივების, კადრებისა და სხვა რესურსების მართვის ქმედითი პოლიტიკა და თვით ამ პოლიტიკის ფორმირებისა და მართვის სისტემები, თითქმის არ არსებობს კადრების საქმიანობის ობიექტური შეფასების მეთოდები, ამავე მოტივაციით სისტემები სუსტია და მოითხოვენ სრულყოფას, ბანკების საქმიანობა არ არის გათვლილი და გაანალიზებული გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციისათვის. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის უპირველესი მიზეზი, ჩვენი აზრით, არასრულყოფილი მართვის სისტემებია, სადაც არ არის გათვალისწინებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებანი.

7. საწესდებო კაპიტალის მოცულობის გაზრდით საქართველოს კომერციული ბანკები მიუახლოვდნენ საერთაშორისო სტანდარტებით მუშაობის დონეს, რადგანაც საწესდებო კაპიტალის ასეთი ოდენობა ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების მოთხოვნითაა განპირობებული. აქვე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის, რომ ეროვნული ბანკის მიერ საწესდებო კაპიტალის გაზრდის ღონისძიებებთან ერთად

საჭიროა, რომ შემუშავდეს პროგრამები საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე მცირე ბანკების შერწყმის ან გაერთიანების პროცესის ხელშესაწყობად.

მინიმალური საწესდებო ფონდის მიმართ თითქმის ყველა საბანკო სისტემის წარმომადგენელს ცალსახა დამოკიდებულება აქვს მისი შემდგომი გაზრდის აუცილებლობის მიმართულებით, ვინაიდან საწესდებო კაპიტალის გადიდება იწვევს:

<u>ჯერ ერთი</u>, ბანკების გამსხვილების პროცესის დაწყებასა და მის საფუძველზე მძლავრი საფინანსო ინსტიტუტების შექმნას;

<u>მეორე</u>, ბანკების აქტივების ზრდას, ახალი პარტნიორების, ინვესტიციების მოზიდვას და ამ საქმეში საზღვარგარეთის საფინანსო სისტემების დაინტერესებას;

<u>მესამე</u>, ხელსაყრელი პირობების შექმნას კაპიტალის გამსხვილებისათვის, მოკლევადიანი კაპიტალდაბანდებებიდან გრძელვადიან კაპიტალდაბანდებებზე გადასვლას, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტიმულირებას;

<u>მეოთხე</u>, მცირე და საშუალო სიდიდის კომერციული ბანკების დახურვა-შეერთების პროცესს, რასაც, არ არის გამორიცხული მოჰყვეს მთელი საბანკო აქტივის შემცირება, წვრილი ბანკების აქციონერთა ინტერესების შეზღახება, მათი მხრიდან გამსხვილებული ბანკის შემდგომ საქმიანობაზე პირდაპირი კონტროლის შესუსტება, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების დასახვით საბანკო სისტემის მდგრადობის განმტკიცების უზრუნველსაყოფად;

<u>მეხუთე</u>, გასათვალისწინებელია აგრეთვე საქართველოში ჩამოყალიბებული საბანკო სისტემის სპეციფიკაც, კერძოდ ის, რომ ქვეყანაში ამჟამად მოქმედებს საბანკო სისტემის მარტივი მოდელი, თითოეულ საბანკო დაწესებულებას თითქმის იდენტური სტრუქტურა აქვს, რომელიც კრიზისული სიტუაციიდან გამომ-

დინარე, სწრაფი მანევრირების საშუალებას არ იძლევა.

სპეციალიზებული საბანკო დაწესებულებების არარსებობაც ასევე ზღუდავს კლიენტების სპეციფიკური წრის მომსახურებას, ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე მუშაობას და, აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საბანკო სისტემის განვითარების მხოლოდ საწესდებო კაპიტალის ზრდის ხარჯზე დამყარებული პერსპექტივა, სრულყოფას მოითხოვს მთლიანად ეკონომიკის მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

8. საბანკო საიდუმლოების დაცვის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მაქსიმალურად შეიზღუდოს საბანკო დეპოზიტების შესახებ ფინანსური ინფორმაციის მიღება საბანკო დაწესებულებებიდან და აღნიშნული მიზნით ასევე საჭიროა საბანკო საიდუმლოების მომწესრიგებელი იურიდიულ-სამართლებრივი ნორმების სრულყოფა, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის მოთხოვნა საბანკო ოპერაციების განხორციელებისას საიდენტიფიკაციო კოდის მითითების შესახებ, ფაქტობრივად, უგულებელყოფს საბანკო საიდულოების დაცვას. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო დეპოზიტების შესახებ ფინანსური ინფორმაციის საიდუმლოების მკაცრად დაცვა ხელს შეუწყობს უცხოეთის ბანკებში ჩვენი მოქალაქეების მიერ შენახული თანხების, ასევე საბანკო სფეროს გარეთ ფულის მნიშვნელოვანი მასის მიმოქცევის ქვეყნის საბანკო არხებში გადმოსვლას, საერთო ჯამში, საბანკო სისტემის ფულადი რესურსებით განმტკიცებას, მისი ფუნქციონირების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფას.

III. კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირების გაუმჯობესების მიმართულებით

9. კომერციული ბანკების ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს სახსრების მოზიდვის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც რეალურად დააინტერესებს კლიენტებს რესურსების დაგროვებაში და გამოუმუშავებს მათ დანაზოგების შექმნის ჩვევას, რაც, თავის მხრივ აუცილებელია, საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების შექმნისათვის.

დეპოზიტები წარმოადგენს რა კომერციული ბანკების რესურსების შევსების მნიშვნელოვან წყაროს, მათი სტრუქტურა ბანკში ცვალებადია და დამოკიდებულია ფულადი ბაზრის კონიუნქტურაზე და, აქედან გამომდინარე, ხასიათდება ზოგიერთი ნაკლოვანებით. საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დაწესების მექანიზმი არ არსებობს, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში ფუნქციონირებს დეპოზიტების დაზღვევის სპეციალური ფონდი, რომელშიც კომერციული ბანკები თავისი შემოსავლის გარკვეულ პროცენტს რიცხავენ, ასევე არსებობს დეპოზიტების სახელმწიფო დაზღვევის მექანიზმიც. გარდა ამისა, კომერციული ბანკები დეპოზიტების დასაზღვევად, რისკის განაწილების თვალსაზრისით, კერძო სადაზღვევო კომპანიებთან დებენ ხელშეკრულებას. საზღვარგარეთის აღნიშნული გამოცდილების დანერგვა, ვფიქრობთ, აუცილებელი და მიზანშეწონილია ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.

10. კომერციული ბანკების პასიური ოპერაციების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მათ მიერ ცენტრალიზებული საკრედიტო რესურსების მიღება. კრედიტებს ცენტრალური ბანკი აძლევს კომერციულ ბანკებს კონკურსის საფუძველზე რეფინანსირების

წესით. ასევე ლომბარდული კრედიტების ფორმით.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში რეფინანსირების განაკვეთი ფუნქციონირებს არსებითად სხვა ხასიათით, როცა საქმე გვაქვს ცენტრალიზებულ კრედიტთან, რომელიც ნაწილდება კომერციულ ბანკებს შორის. მთავარი პრობლემაა ის, რომ ცენტრალიზებული კრედიტი მომავალში, ალბათ, არ უნდა გაანაწილოს ეროვნულმა ბანკმა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმჯობესი იქნებოდა სახელმწიფოს გაენაწილებინა ცენტრალიზებული კრედიტი და, ამასთანავე, გარანტია გაეწია კომერციულ ბანკებში ასეთი კრედიტების დაბრუნების უზრუნველყოფაზე. სახელმწიფოს მიერ შეღავათიანი კრედიტის გაცემის შემთხვევაში, მას შეუძლია, რომ მოახდინოს შესაბამისი საკრედიტო განაკვეთის სუბსიდირება და მაშინ ბანკები მიიღებდნენ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, ხოლო კრედიტების მიმღებნი გადაიხდიდნენ ნაკლებს მთავრობის სუბსიდიების ხარჯზე. ყოველივე მოხსნიდა წინააღმდეგობებს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის, საერთო ჯამში, ხელს შეუწყობდა ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესებასთან ერთად წარმოების პროცესის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, წარმოების ამოქმედებისათვის კრედიტების მიზნობრივ გამოყენებას.

11. კომერციული ბანკების მუშაობის წარმატების საწინდარია პერსპექტიული სამუშაო პროგრამის შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედება კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის რეგულირებას, საზღვარგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით მათი ფუნქციონირების თავისებურებების განსაზღვრას და ამ მიმართულებით რეზერვების შექმნის მეთოდოლოგიური ბაზის მდგომარეობიდან გამომდინარე, რესურსებით უზრუნველყოფის გზების ძიებას.

ამჟამად ჩვენთან აუცილებელი რეზერვების მოქმედი ნორმა არაეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნორმა 16%-დან 14%-მდე შემცირდა, ბანკები გარკვეულ პერიოდში მაინც თავისი ინიციატივით აჩერებდნენ რეზერვში მნიშვნელოვნად მეტ ფულად საშუალებებს დაწესებულ ნორმასთან შედარებით და საბანკო სისტემაში წარმოიშობოდა ზელიკვიდობის მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნის ეკონომიკისათვის. ასეთ ვითარებაში ყველაზე ეფექტურია ის, რომ გამოყენებულ იქნეს ფართო მასშტაბით ფულის მიწოდების რეგულირების მეთოდი. საქმე ეხება სახელმწიფო სავალო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვას.

12. საბანკო რესურსების შევსების კიდევ ერთ მეთოდს წარმოადგენს შეთანხმება უკან გამოსყიდვის შესახებ (რეპო ოპერაცია). ამ შემთხვევაში ეს შეთანხმება იდება ბანკსა და ფირმას, ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დილერებს შორის. ასეთი ფორმის ხელშეკრულებები, როგორც მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, მნიშვნელოვანი არხია დროებით თავისუფალი საშუალებების დამატებით რესურსებად მოზიდვაში, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ყურადღება არ ექცევა და მომავალში მაინც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამამულო ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთმანეთში ურევენ ორ განმარტებას ან იდენტურ ცნებებად განიხილავენ კომერციული ბანკების ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას, რაც, თავის მხრივ. პრაქტიკაში მათი მართვის მეთოდებისა და წესების გაიგივებას იწვევს. კომერციული ბანკის სტაბილურობის, მდგრადობისა და საიმედოობის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის ლიკვიდობა პირველადია, ხოლო გადახდისუნარიანობა მეორადი. ისინი

მიზეზშედეგობრივ კავშირში, ერთ მთლიანობაში იმყოფებიან, ურთიერთს განაპირობებენ, მაგრამ ერთი და იმავე ცნებებს არ წარმოადგენენ. ბანკის ლიკვიდობა პრაქტიკაში მისი ბალანსის ლიკვიდური მდგომარეობით განისაზღვრება, რამდენადაც ბანკის ბალანსი ლიკვიდურად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ აქტივების მიხედვით საშუალებების სწრაფი რეალიზაციის ხარჯზე შეიძლება პასივის მიხედვით ვადიანი ვალდებულებების დაფარვა.

13. საქართველოს საბანკო სისტემის მრავალ პრობლემას შორის აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების ნაკლებობა, მათი შევსების წყაროების არარსებობა. რაც შეეხება კომერციული ბანკების მიერ უცხოური პარტნიორებისაგან კრედიტის მიღებას, მას ბევრი ხელშემშლელი ფაქტორი გააჩნია, მათ შორის აღსანიშნავია ბანკების საიმედოობის, სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის დაბალი დონე, რისკის მაღალი ხარისხი და სხვა. კომერციული ბანკების სიცოცხლისუნარიანობის, მათი მოგების შემავსებელი წყაროს გაზრდისათვის, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ ინტეგრაციას საზღვარგარეთულ ბანკებთან, საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნასა და სავალუტო ოპერაციების წარმოებას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე, უცხოური ფირმების სახსრების მოზიდვას. მიუხედავად ამისა, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა თავისას მოითხოვს. ძირითადი და საბრუნავი სახსრების არარსებობამ განაპირობა სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოთა უმოქმედობა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამედროვე პირობებში ეროვნულ მეურნეობაში საბრუნავ საშუალებათა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები, კომერციული დაკრედიტების თვალსაზრისით, დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებას მიეკუთვნება.

სახალხო მეურნეობაში დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების თანხაც არ არის რეალური და ამ ვალებში დამალულია სხვადასხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისები, უყაირათობის ფაქტები და სხვა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ვალების ტრანსფორმირება უნდა განხორციელდეს თამასუქების სისტემის მეშვეობით.

IV. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის ამაღლების მიმართულებით

14. გარდამავალ ეკონომიკაში კომერციული ბანკების როლის ამაღლება და საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის პირობებისა და ფაქტორების განსაზღვრა, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით კონკრეტული გზების ძიება მოითხოვს ამ საკითხებისადმი კომპლექსურ მიდგომას, რაც გულისხმობს ღონისძიებათა მთელ პაკეტს, კერძოდ, საჭიროა: ჯერ ერთი, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების შესწავლა; მეორე, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის განსაზღვრის მაჩვენებლებისა და მეთოდების ჩამოყალიბება და მესამე, კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველმყოფელი ნორმატივების სისტემის ანალიზი და ამ მიმართულებით განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში მისი პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმების შემუშავება.

15. ჩვენს ქვეყანაში მდგრადი საბანკო სისტემის დასამკვიდრებლად აუცილებელია ცენტრალური ბანკის მიერ პრუდენციული ნორმების სრულყოფის მეშვეობით კომერციული ბანკების შერწყმა-გაერთიანების პროცესის მართვა და ამ მიმართულებით საბანკო

ზედამხედველობის საქმიანობის გაუმჯობესება. ბანკის რესურსების მართვის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ასევე მისი საწესდებო კაპიტალის (სააქციო კაპიტალი, რეზერვები და გაუნაწილებელი მოგება) საკმარისობის საკითხი, ვინაიდან საკუთარი კაპიტალის მიზანმიმართული მართვა ბანკის მომგებიანობისა და ანაბრების რისკისგან დაზღვევის საშუალებას იძლევა.

16. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის მართვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოგების სიდიდეს, ვინაიდან, როცა ძალზე დიდია დივიდენდების წილი, მისი მოცულობა კლებულობს. გაუნაწილებელი მოგების მეტად დაბალ დონეზე დაწევას კი თან სდევს კაპიტალის შიდა წყაროების ნელი ზრდა, ამასთან, იზრდება გაკოტრების რისკიც, რაც თავისებურად ამუხრუჭებს ბანკის შემოსავლების მომტანი აქტივების მოცულობის ზრდას. ამიტომ კაპიტალის ზრდის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ უნდა გადაიქცეს გაუნაწილებელი მოგება, ე.ი. არა აქციონერებზე გაცემული, არამედ ბანკში დარჩენილი კაპიტალი. გაუნაწილებელი მოგებით რესურსების პოტენციალის ზრდის გზის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ <u>ჯერ ერთი,</u> თანხების მოზიდვისას ბანკი დამოკიდებული არ არის ღია ბაზარზე, <u>მეორე,</u> ანაბართა განთავსებასთან დაკავშირებით ბანკს დანახარჯები არ ექნება, <u>მესამე,</u> ეს რესურსი საფრთხეს არ უქმნის აქციონერთა კონტროლს ბანკზე ანუ გამორიცხავს როგორც მათი საკუთარი წილის, ასევე აქციების შემოსავლების შემცირებას.

17. ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის ამაღლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სტაბილური სადივიდენდო პოლიტიკის გამომუშავება. თუ ბანკის დივიდენდების დონე შედარებით მდგრადია, ინვესტორები მათ განიხილავენ როგორც საკმაოდ სტაბილურ შემოსავალს და ბანკი მათ უფრო მიმზიდველი

მოეჩვენებათ კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით. ამრიგად, ბანკის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით საკუთარი კაპიტალის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოგების ზრდის თვალსაზრისით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, რესურსებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება საკუთარი სახსრებით შეუძლებელია, ამიტომ ბანკი იძულებულია მოიზიდოს თანხები ე.წ. „საგარეო“ წყაროებიდან. ამისათვის მას უნდა გააჩნდეს რამდენიმე ალტერნატივა, კერძოდ: ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციების გამოშვება და გაყიდვა, გრძელვადიანი ვალდებულებების ემისია, აქტივების გაყიდვა და უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

18. დღესდღეობით გაცემული კრედიტების გარკვეული ნაწილი ბანკებს მსესხებლებისგან უკან არ უბრუნდება, რის გამოც საბანკო აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაუფასურდა და იმობილიზებული გახდა. ზოგიერთი მსხვილი ბანკი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა ლიკვიდობის დაკარგვა სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს უქმნის, რამაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება ბანკი გაკოტრებამდე ან ლიცენზიის ჩამორთმევამდე მიიყვანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკის მეანაბრეების დაცვას იმ დანაკარგებისგან, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს ბანკს მაღალრისკიანი საკრედიტო პოლიტიკის გატარებისას. ამით მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს ამცირებს ბანკის მიერ განხორციელებული საკრედიტო ოპერაციების ადეკვატური შეფასება, დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვა და რისკების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა.

ამიტომ აუცილებელია დამუშავდეს კომერციულ ბანკებში დეპოზიტების დაზღვევის შესახებ კანონი, საერთაშორისო ორ-

განიზაციების ექსპერტებთან და ბანკების ასოციაციის სპეციალისტებთან ერთად განხილვის შემდეგ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე, საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით, შეირჩეს მისაღები ვარიანტი და მიეცეს მსვლელობა მისი პრაქტიკულად ამოქმედების დაჩქარების თვალსაზრისით.

19. თანამედროვე პირობებში საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცებისათვის უკიდურესად აქტუალურია მათ მიერ შესრულებული ოპერაციებისა და რისკების ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკრედიტებისას, რადგან ეკონომიკის საერთო არასტაბილურობის გამო, მხოლოდ მცირერიცხოვანი სამეურნეო სუბიექტები შეიძლება ჩაითვალოს საიმედო მსესხებლებად, ეს მაშინ, როცა ბანკების მიერ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის დაკრედიტება, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ძირითადი ფაქტორია. ამ სიტუაციაში მდგომარეობიდან გამოსავალი ბანკებმა მსესხებლების ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის გაანალიზებაში უნდა ეძებონ, ყოველი გასაცემი კრედიტის დივერსიფიცირებული მიდგომის ბაზაზე.

საკრედიტო რისკის შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს ადეკვატური რეზერვის გაანგარიშება. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის გზა, რომელსაც ბანკი დაისახავს სესხების შესაძლებელი დანაკარგებისათვის და გაუფასურებული ფასიანი ქაღალდების დასაფარავად რეზერვების შესაქმნელად. ამიტომ მსგავსი რეზერვების ფორმირება უნდა მოხდეს დაუბეგრავი მოგებიდან, რასაც, სამწუხაროდ, ეწინააღმდეგება საგადასახადო სამსახური და ფინანსთა სამინისტრო და გათვალისწინებულ უნდა იქნეს საგადასახადო კანონში ახალი შესწორებების შეტანის დროს.

20. გამოყენებული სესხების კატეგორიებად დაყოფის სისტემა ძალზე მკაცრია და მასში არ არის გათვალისწინებული ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის საკრედიტო საქმეში ასახვაც შეუძლებელია. ამიტომ ბანკები, თავიანთი სესხების შესაფასებლად უფრო რბილ კლასიფიკაციას მიმართავენ და შესაბამისად, ნაკლები რეზერვის შექმნას ცდილობენ.

ეს იმით აიხსნება, რომ სესხების დანაკარგის დასაფარავად შექმნილი რეზერვები იქმნება მოგებიდან ანარიცხის მეშვეობით და შედის თვითღირებულებაში, ე.ი. ბანკის დანახარჯებში. მოცემული რეზერვი ბანკის საკუთარ კაპიტალში არ შედის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეზერვის შექმნის საფუძველზე ადგილი აქვს რესურსების გაყინვას. მსოფლიო საფინანსო პარაქტიკის მიხედვით, კერძოდ, ბაზელის შეთანხმების საფუძველზე, უიმედო სესხების დასაფარავად შექმნილი სარეზერვო თანხა ბანკის საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში შედის, ოღონდ არა მის ძირითად, არამედ დამატებით ნაწილში, ე.ი. რეზერვის ჯამი გათვალისწინებულია კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის გაანგარიშებისას. ამიტომ საზღვარგარეთის აუდიტები, ნორმატივების დაცვის შემოწმებისას, დიდ ყურადღებას აქცევენ წამგებიანი სესხების დასაფარავად განკუთვნილი რეზერვების სწორ გაანგარიშებას, რაც საქართველოს საბანკო სისტემის საქმიანობის პრაქტიკაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

21. კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების განხილვა, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: ჯერ ერთი, საბანკო სისტემის საიმედოობა და მდგრადობა, როგორც კომერციული ბანკების

მნიშვნელოვანი პირობა განხილულ უნდა იქნეს საბაზრო ეკონომიკაში მათი ფუნქციონირების დინამიკაში. ამასთან, ეს დინამიკური მდგრადობა მნიშვნელოვანია არა მარტო კონიუნქტურის გაუარესების, საქმიანი აქტივობის დაცემის პირობებში, არამედ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პროცესშიც; მეორე, საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა გულისხმობს არა მარტო ამა თუ იმ ბანკის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვას, არამედ, ამასთანავე, კლიენტებისა და მეანაბრეების, მთლიანად საზოგადოების ინტერესების დაცვას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიდგომის საფუძველზე, ქვეყნის საბანკო სისტემის საქმიანობის სტაბილიზაციისა და განმტკიცების აუცილებლობას; მესამე, პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ კომერციული ბანკების მდგრადობა, რომელიც კორექტირებულია თავისი საიმედოობის მიხედვით, შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, ამიტომ საიმედოობის განსაზღვრის დროს, იქმნება იმის ობიექტური მიზანშეწონილობა, რომ შემოღებულ იქნეს „მდგრადობის ხარისხის“ ცნება, ამ ხარისხის სამი ვარიანტით: 1. მდგრადობა უცვლელი სტაბილური პარამეტრების პირობებში; 2. მდგრადობა ბანკის ოპერაციების მოცულობების შემცირების შემთხვევაში და 3) მდგრადობა ბანკის საქმიანობის მუდმივად მზარდი მასშტაბების შემთხვევაში (აქტივებისა და რენტაბელობის ზრდა). რა თქმა უნდა, ყველაზე საუკეთესოა მესამე ვარიანტი, მაგრამ სოლიდური კომერციული ბანკის მმართველობამ ბანკის საქმიანობის განვითარების გრძელვადიან, სტრატეგიულ გეგმაში წინასწარ უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსალოდნელი ვარიანტის პირობებში მდგრადობის შენარჩუნების გარანტიები აუცილებელი რეზერვების შექმნით, უზრუნველყოფის განმსაზღვრელი მაჩვენებლებისა და მეთოდიკის ანალიზით, ნორმატივების სისტემის გამოყენების საფუძველზე.

V. კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების მიმართულებით

22. ლიკვიდობის ცნების სხვადასხვა განმარტებების განხილვამ დაგვანახა, რომ აუცილებელია ლიკვიდობის ცნების ორ მნიშვნელოვან მახასიათებელზე ყურადღების გამახვილება, ესაა: ვალდებულებათა შესრულება და დროულობა. ბანკის ლიკვიდობა, ჩვენი აზრით, ეს არის ბანკის უნარი, თავისდროულად შეასრულოს ვალდებულებები ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიკვიდობა – ეს არის აქტივების ფულად გადაქცევის ფასი. ასეთი განმარტება არა მარტო ხაზს უსვამს ლიკვიდობის ცნების არსს, არამედ მკვეთრად გამოყოფს მას ისეთი განმარტებებისგან, როგორიცაა „გადახდისუნარიანობა“ და „მომგებიანობა“. ბანკის ლიკვიდობა, როგორც კომპლექსური ცნება, დამოკიდებულია არა მარტო აქტივის ან პასივის სტრუქტურაზე, არამედ მათ მთლიანობასა და ურთიერთ მიზეზშედეგობრივ კავშირზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ლიკვიდობის ცნების (კონცეფციის) ასეთ განმარტებაში მოცემულია: <u>ჯერ ერთი</u>, ბანკის ლიკვიდობის ეკონომიკური არსი, კვლევის მეთოდოლოგია, ლიკვიდობის განსაზღვრის მეთოდების შესწავლის აუცილებლობა და <u>მეორე</u>, მასთან ყველაზე ახლოს მდგომი ცნებების – გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის – ერთმანეთისაგან გამიჯვნის და, ამასთანავე, მათი ერთ მთლიანობაში, მიზეზშედეგობრივ კავშირში განხილვის დასაბუთება.

23. კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს: <u>ჯერ ერთი</u>, ლიკვიდობის დადგენის სტატიკურ და დინამიკურ მეთოდებს, და <u>მეორე</u>, კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, მათი კორექტირების მიზნების განსაზღვრას. აღნიშნული მდგომარეობა

განაპირობა იმან, რომ ეკონომიკურ-თეორიულ გამოკვლევებში ლიკვიდობის რეგულირების საკითხი განხილულია მხოლოდ აქტივებისა და პასივების რეგულირების მეთოდების დახასიათებით, რაც, ჩვენი აზრით, საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ახალი პრობლემები ახალ მიდგომებსა და მეთოდებს მოითხოვს. კერძოდ, აქტივების მართვის მეთოდი, პასივების მართვის მეთოდი, კომერციული სესხის თეორია, გეპის „გარღვევის" მინიმიზაციის სხვადასხვა კონცეფცია სინამდვილეში არ წარმოადგენენ თეორიებს, არამედ შეიცავენ ბანკის ლიკვიდობის უზრუნველყოფის მხოლოდ სარეკომენდაციო ღონისძიებებს, ვინაიდან ისინი უფრო მეტად ლიკვიდობის მართვის მეთოდები და მექანიზმებია, ვიდრე თეორიები ფართო გაგებით.

24. ეკონომიკურ ლიტერატურაში ლიკვიდობის რეგულირების საკითხის განხილვა მხოლოდ რეგულირების მეთოდების დახასიათებით, მიზნად ისახავს ლიკვიდობის კონცეფციის განსაზღვრისათვის ბანკის ოპტიმალური სტრუქტურის დადგენას ფაქტობრივ სტრუქტურასთან მიახლოებით, რაც, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ნაკლოვანებით ხასიათდება: <u>ჯერ ერთი</u>, ბანკის ბალანსის ოპტიმალური სტრუქტურის იდეალური ვარიანტი რეალურად პრაქტიკაში რამდენადმე სტაბილური ფორმით არ არსებობს; <u>მეორე</u>, ბანკის ბალანსის სტრუქტურა განსხვავებული იქნება არა მარტო სხვადასხვა ბანკისათვის, არამედ ერთი ბანკისათვისაც დროის სხვადასხვა პერიოდში, თუნდაც ყოველ მომდევნო დღეს და <u>მესამე</u>, აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელობას კარგავს ბანკის ბალანსის სტრუქტურის ოპტიმალობის განსაზღვრა, ვინაიდან ამაზე უფრო მეტი დრო დაიხარჯება იმ პერიოდთან შედარებით, რომლის განმავლობაში იგი უნდა იყოს ოპტიმალური.

ჩვენი მიდგომა იმით განსხვავდება ეკონომიკურ ლიტერატ-

ურაში უკვე არსებული მიდგომიდან, რომ ყურადღებას ვამახვილებთ არა მხოლოდ ბალანსის სტრუქტურაზე, არამედ კონკრეტული პირობებიდან და ბანკის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროის მონაკვეთსა და გარემოებაში ლიკვიდობის უზრუნველყოფაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ბალანსის როგორ სტრუქტურას მივიღებთ, მთავარია დაცულ იქნეს ლიკვიდობასა და ბალანსის „ოპტიმალურ სტრუქტურას" შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი.

25. მართვადი პასივების მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელი ხდება ლიკვიდური რესურსების მიღება ბანკების მყარი და საიმედო ფუნქციონირებისათვის. ამასთანავე, რეპო გარიგებას აქვს ზოგი უპირატესობა შემდეგ გარემოებათა გამო: ჯერ ერთი, ერთდღიანი გარიგება უკან გამოსყიდვის პირობით ხასიათდება ლიკვიდობის მაღალი დონით, რამდენადაც ფასიანი ქაღალდების მყიდველ ფირმას შეუძლია დაიბრუნოს ფასიან ქაღალდებში დაბანდებული სახსრები მეორე დღესვე; მეორე, ერთდღიან გარიგებას უკან გამოსყიდვის პირობით მოაქვს ფასიანი ქაღალდების მყიდველი პირისათვის განსაზღვრული შემოსავალი; მესამე, ბანკებს ასეთი გარიგების შედეგად შეუძლიათ ოპერატიულად მიიღონ დიდი მოცულობის თანხები, რომელიც აუცილებელია აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის ან დაფარონ გაუთვალისწინებელი გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია მის სავალო ვალდებულებასთან და ა.შ. ამასთანავე, უზრუნველყონ ლიკვიდობის აუცილებელი დონის შენარჩუნება და გადახდისუუნარობის რისკის შემცირება, დაბოლოს, მეოთხე, უკან გამოსყიდვის შესახებ გარიგება, როგორც წესი, არ ითვალისწინებს მის დასაფარავად აუცილებელი რეზერვების შექმნის მოთხოვნებს და არ არის საჭირო საბანკო დეპოზიტების დაზღვევისათვის ხარჯების გაწევა.

26. კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირებაში ეკონომიკური ნორმატივების გამოყენების თვალსაზრისით მოწინავე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზმა ცხადყო, რომ: <u>ჯერ ერთი</u>, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ცენტრალური ბანკების უფლება მინიმალური სავალდებულო ნორმების დაწესებაზე შეზღუდულ ხასიათს ატარებს, რაც გამოწვეულია კანონის საფუძველზე ნორმების დადგენით, კერძოდ, კანონმდებლობით დგინდება ნორმათა განსაზღვრული მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც ცენტრალურ ბანკს შეუძლია მანევრირება ნორმების გადახრის მიმართულებით; <u>მეორე</u>, მინიმალური რეზერვების ნორმები ერთმანეთისაგან სამი კრიტერიუმით განსხვავდება: ა) დეპოზიტების ვადიანობასა და მათ მოცულობებზე დამოკიდებულებებით (ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია). ბ) დეპოზიტების ვადიანობასა და ბანკის ყველა დეპოზიტის ჯამზე დამოკიდებულებით (იაპონია); გ) დეპოზიტებისა და ვალუტის წყაროებზე (არარეზიდენტები, რეზიდენტები, სამამულო ან უცხოური ვალუტა) დამოკიდებულებით; <u>მესამე</u>, საბანკო სისტემის მართვის ადმინისტრირების მეთოდები შეცვლილია საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მექანიზმებით, კერძოდ, ეკონომიკური ნორმატივებისა და სარეზერვო ნორმების დაწესებული მოცულობების დაცვა ხორციელდება არა მბრძანებლური მეთოდებით, არამედ ეკონომიკის მონეტარული სტაბილურობით, ეკონომიკის განვითარების ტემპებით, მთლიანად საბანკო სისტემის, ასევე თითოეული კომერციული ბანკის საიმედოობისა და ლიკვიდობის ზრდით, სავალდებულო მინიმალურ რეზერვში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობის ჩათვლისა და ბანკში არსებული სარეზერვო ანგარიშის ნაშთზე პროცენტების დარიცხვით.

ყოველივე, ჩვენი აზრით, ქვეყანაში არსებული საფინანსო-

ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის კომპლექსური შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებისა და მათ მიერ საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრის დროს.

VI. გარდამავალი ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებაში კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებით

27. საქართველოში საინვესტიციო ბანკების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა, ბანკების საინვესტიციო საქმიანობის არსის, სახეების, ფუნქციებისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული ხასიათის განხილვა, ობიექტურად მოითხოვს მსოფლიო საბანკო საინვესტიციო საქმიანობის შესწავლას, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე მის გადმოტანასა და გამოყენებას საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა საჭიროა იმიტომაც, რომ საინვესტიციო საქმიანობის მქონე ბანკების სხვადასხვა სახის დახასიათება, მათი საქმიანობის ანალიზი საშუალებას მოგვცემს შეირჩეს საინვესტიციო საქმიანობის იმ სახის ბანკები, რომელთა მსგავსად, მათი საქმიანობის გათვალისწინებით, შესაძლებლობა მოგვეცემოდა დაგვესვა ჩვენს ქვეყანაში ასეთი ბანკების შექმნის აუცილებლობის საკითხი და განგვესაზღვრა, თუ როგორ შეიძლება ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებაში საინვესტიციო ბანკების საქმიანობის მიზნებისა და ფუნქციების შესრულება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ არსებულ სხვა ფუნქციებთან შეთავსებით.

28. საქართველოში დღევანდელ პირობებში არ არსებობენ ისეთი საინვესტიციო ბანკების ანალოგიები, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებში წარმატებით ფუნქციონირებენ. საინვესტიციო ბანკის დასავლეთის ნიმუშის ფუნქციებს 90-იანი წლების დასაწყისიდან მსხვილი კომერციული ბანკები აწარმოებენ, რომლებიც, თავის მხრივ, საინვესტიციო პროექტების საშუალო და გრძელვადიან დაკრედიტებას ახორციელებენ.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს მსხვილი კომერციული ბანკების საქმიანობის ისეთი მიმართულება, როგორიცაა საწარმოთა საპროექტო დაფინანსება, რაც, ჩვენი აზრით, მთავრობის მხრიდან ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ინვესტიციების პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტისათვის აუცილებელია საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, ჰოლდინგური გაერთიანებების შექმნა, რომლებიც, თავის მხრივ, საწყის ფორმას წარმოადგენს საბანკო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალთან შერწყმისა და მის ბაზაზე მსხვილი ფინანსური კაპიტალის წარმოქმნისათვის, ეს კი ხელს შეუწყობს ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობების ზრდას, კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობის ამაღლებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკები აქტიურად დაუჭერდნენ მხარს ასეთი გაერთიანებების შექმნას, მაგრამ ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ამჟამად ფაქტობრივად შექმნილი ასეთი ჯგუფები (თუკი არიან პრაქტიკულად ასეთ საქმიანობაში ჩაბმული), ამ საქმიანობას არარეგისტრირებული ფორმით ახორციელებენ და არც არავინ არის დაინტერესებული მათი რეგისტრაციაში გატარებით.

ამას ხელს უწყობს არასრულყოფილი კანონმდებლობა, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ნელი ტემპებით განვითარება, მიწის რეფორმის განხორციელების შეფერხებები, საწარმოო და ფინ-

ანსური სტრუქტურების საბუღალტრო ანგარიშების დაუხვეწელი ფორმით წარმოება, მეწარმეობის შესახებ კანონში ჰოლდინგური გაერთიანებების შექმნის საწინააღმდეგოდ მოქმედი ცალკეული დებულების არსებობა. ყოველივე შეიძლება გამოსწორდეს დაუყოვნებლივ საინვესტიციო საქმიანობის შესახებ სპეციალური კანონის ყოველმხრივი დამუშავების და მოკლე დროში მისი სამოქმედოდ შემოღების საფუძველზე.

29. კომერციული ბანკები თავიანთი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისას აწყდებიან მთელ რიგ პრობლემებს, რომელიც ხელს უშლის ამ მიმართულებით ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნას. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ბანკები, რომლებიც საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე მუშაობენ, ფაქტობრივად კერძო დაწესებულებების სისტემაში ერთადერთ უჯრედს წარმოადგენენ და მათი საქმიანობის ხელშემშლელ პირობებად მიგვაჩნია: ჯერ ერთი, ქვეყნის მასშტაბით საინვესტიციო პროექტების დამუშავების მარკეტინგული ცენტრის, მაკოორდინირებელი ორგანოს არარსებობა, რომელიც მარეგულირებელი ფუნქციის როლს შეასრულებდა ბანკების მიერ საინვესტიციო დაპროექტების ფინანსურ უზრუნველყოფაში; მეორე, პოტენციური მსესხებლის მდგომარეობის შესახებ ან საინვესტიციო ინსტიტუტის შესახებ ინფორმაციის მიუღებლობა; მესამე, დეპოზიტარული ქსელის შექმნის უგულებელყოფა; მეოთხე, საინვესტიციო ფონდების განვითარების დაბალი დონე, დაბოლოს, მეხუთე, საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების სპეციფიკური ერთიანი ორგანოს, სახელმწიფო საინვესტიციო ბანკის არარსებობა და, აქედან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უცხოეთში მოქმედი საინვესტიციო ბანკების ფუნქციების საქართველოს კომერციულ ბანკებს შორის სტიქიურად გადანაწილება.

30. მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება, რომელსაც განსაზღვრავს საინვესტიციო პორტფელის მართვის სწორად განხორციელება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინვესტორებმა უნდა დაიცვან განსაზღვრული თანმიმდევრობა: **ჯერ ერთი**, აქტივების ფლობის პერიოდში ანალიზის საფუძველზე და პროგნოზის გაანგარიშებებზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს მოსალოდნელი შემოსავლიანობა; მეორე, საჭიროა ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის განსაზღვრა ყოველი ინვესტიციის ალტერნატიული ინსტრუმენტისათვის; მესამე, აუცილებელია დადგინდეს თანაფარდობა „რისკი-შემოსავლიანობა", რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად მისაღებია მოსალოდნელი შემოსავლიანობა რისკის მოცემულ დონეზე; მეოთხე, უნდა შეირჩეს ის საინვესტიციო ინსტრუმენტები, რომლებიც რისკის დასაშვები დონის ფარგლებში ყველაზე უფრო მაღალი შემოსავლების მიღებას ითვალისწინებს.

31. საბანკო სექტორში რისკების მართვის პროცესი საკვანძო პრობლემაა. იგი გულისხმობს: **ჯერ ერთი**, ბანკის რისკებისადმი მგრძნობელობის გაზომვასა და იდენტიფიკაციას, რაც ბანკის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს გადაწყვიტოს, თუ ბანკის რომელი ქვეგანყოფილებისათვის რისკის რომელი ფაქტორია საშიში, აგრეთვე განსაზღვროს ამ რისკების სიდიდე და ხარისხი; **მეორე**, ყოველი ქვეგანყოფილების მიერ პრაქტიკულად გატარებული ოპერატიული პოლიტიკის შედეგების ყოველდღიურ მიმოხილვას, კერძოდ, თუ რამდენად ადეკვატურად იფარება რისკის ყოველი ფაქტორის მოსალოდნელი შედეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა ყოველდღიური საქმიანობის ან სტრატეგიული მითითებების შეცვლა რისკის ფაქტორების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით; **მესამე**, რისკების მართვის

სფეროში საბანკო ღონისძიებათა შედეგების ანალიზი განაპირობებს ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, შეესაბამება თუ არა ბანკის რეაქცია რისკის სხვადასხვა ფაქტორსა და დასახულ მიზნებს, როგორ უნდა შეცვალოს ბანკმა გეგმა ახალი სიტუაციით გამოწვეული რისკის თავიდან ასაცილებლად.

32. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ პერიოდამდე ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობა რისკს განსაზღვრავდა საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებული პროცედურითა და ხარისხობრივი შეფასებით, მაგრამ ახალი რთული ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის პირობებში, ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა მიუღებელია. რისკის განსაზღვრის ყველაზე რეალურ მეთოდს საკრედიტო პორტფელში შემავალი აქტივების ადაპტაციური მოდელირება და ინტელექტუალური საექსპერტო სისტემებით რისკის ღირებულების განსაზღვრა წარმოადგენს.

33. საქართველოს საბანკო სისტემის განმტკიცებისა და მისი როლის ამაღლებისათვის გარდამავალი ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებაში აუცილებელია შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებების გატარება: <u>ჯერ ერთი,</u> საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მაქსიმალურად უნდა შეამციროს საბანკო სისტემაში სისტემური რისკების წარმოქმნის მოტივაციები, რადგან საბანკო სისტემისადმი ნდობის შემცირებამ, ანდა ერთი მსხვილი ან რამდენიმე საშუალო ბანკის გაკოტრებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური კრიზისი და ერთი ბანკის კრახი მაშინვე იმოქმედებს სხვა ბანკებზე, იქნება ეს პირდაპირი გზით, ბალანსების საშუალებით, თუ ფსიქოლოგიურად; <u>მეორე,</u> ამ შემთხვევაში დაზარალდებიან გაკოტრებული ბანკის კლიენტებიც, რადგანაც მათ მიერ დაგროვებული კაპიტალი, ბანკზე

უარყოფითი ინფორმაციის გამო დაკარგავს თავის მნიშვნელობას; მესამე, ეროვნულმა ბანკმა, როგორც მთელი საბანკო სისტემის რეგულატორმა, რომელიმე ბანკის კრახზე რეაგირებისას უნდა უზრუნველყოს ისეთი სიტუაცია, როცა შენარჩუნდება კრედიტების უწყვეტი ნაკადი და არ დაიკარგება ბანკში არსებული საინფორმაციო „კაპიტალი“ ანუ იმის ცოდნა, თუ დაკრედიტების რომელი დარგი ატარებს უფრო მეტ რისკს და როგორ ხორციელდება კონტროლი მსესხებელზე; მეოთხე, მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკურ ნორმატივებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბანკო სისტემის საიმედოობასა და მდგრადობას, კონკურენციისათვის ხელის შეწყობის საფუძველზე დეპოზიტებისა და ინვესტიციების დაცვას; მეხუთე, ბანკები უპირატესობას ანიჭებენ რა მოკლევადიან კრედიტებს, როგორც ნაკლები რისკების მატარებლებს, მათ მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ ის გარემოებაც, რომ მოკლევადიანი კრედიტების რისკები მგრნობიარენი არიან კაპიტალის გადინების თვალსაზრისით. კერძოდ, ინვესტორის შეხედულების სწრაფმა შეცვლამ ფირმის მუშაობის შედეგების გამო, ან ქვეყნის მდგომარეობაზე ახალი ინფორმაციის მიღებამ, არ არის გამორიცხული, რომ ფირმიდან, შეიძლება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკიდანაც ინვესტირებული თანხის ამოღება და ამით ფირმის გაკოტრებასთან ერთად ეკონომიკის სისტემური კრიზისიც კი გამოიწვიოს; მეექვსე, მართალია, სესხის უზრუნველყოფის არსებობა, გარკვეულწილად ამარტივებს დავალიანების დაფარვის პრობლემას, მაგრამ მას მთლიანად ვერ ხსნის. ამიტომ საჭიროა უზრუნველყოფის ღირებულების განსაზღვრა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობის განხილვა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ საკითხი გულისხმობს არა იმის გარკვევას, რა ღირებულებისაა სესხის უზრუნველყოფა დასაწყისში,

არამედ იმას, თუ როგორი იქნება მისი ფასი პირობების გათვალისწინებით, რომელმაც შეიძლება სესხის გადაუხდელობამდე მიგვიყვანოს.

34. საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის კომპლექსური შეფასების მოქმედი მეთოდოლოგია მოითხოვს სრულყოფას, რაც მასში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებაში გამოიხატება:

1. ბანკის საქმიანობის ანალიზის დროს არ გაითვალისწინება მისი ადგილი ქვეყნის ან ცალკეული რეგიონის საფინანსო სისტემაში, იგი განიხილება როგორც ცალკე ფუნქციონირებადი ინსტიტუტი, რაც ამცირებს მის როლსა და მნიშვნელობას მთელი საბანკო სისტემის განმტკიცებაში;

2. ბანკების შეფასება ერთი საზომით არ შეიძლება, რადგანაც გასათვალისწინებელია საკუთარი კაპიტალის მოცულობასთან ერთად მათი საქმიანობის თავისებურებანი, თითოეულის როლი ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებაში;

3. პრაქტიკულად ყურადღება არ ექცევა ბანკის მაჩვენებლების დინამიკაში განხილვას, გაანგარიშება ხორციელდება უკვე დამუშავებული ციფრების მეშვეობით, არ არსებობს ბანკის მენეჯმენტის დონის განსაზღვრის სათანადოდ დამუშავებული მეთოდიკა და ასევე ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთიანი სისტემა.

35. საბანკო საქმიანობის კომპლექსური შეფასებისათვის აუცილებელია, რომ ყველა გაანგარიშება, რომელიც გამოიყენება ანალიზის დროს, უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდოლოგიას. გაანგარიშებანი უნდა იქნეს დაყ-

ვანილი ისეთ „საერთო ფინანსურ მნიშვნელამდე“, როგორიცაა შემოსავლიანობის, ლიკვიდური აქტივებისა და რისკების გადანაწილების მაჩვენებლები. ბანკის საქმიანობის ყველა მიმართულების ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს მონაცემების აღრიცხვისა და დამუშავების, შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების საერთო მეთოდოლოგიას.

ИРАКЛИЙ КОВЗАНАДЗЕ

ПРОБЛЕМЫ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ КОММЕРЧЕСКИХ БАНКОВ ГРУЗИИ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

Р Е З Ю М Е

Представленный труд является первым комплексным научным монографическим исследованием проблем функционирования коммерческих банков Грузии, в котором рассматриваются роль банков в укреплении и нормальном функционировании экономики, закономерности и теоретические основы их формирования и развития. Дается анализ регулирования необходимости обеспечения ресурсами коммерческих банков и сформулированы концептуальные основы их деятельности в этом направлении. На примере зарубежного опыта рассматриваются факторы, показатели, методики и условия, определяющие состояние надежности и устойчивости банков, обоснована роль банковского менеджмента в деле укрепления их надежности и устойчивости в условиях экономики переходного периода.

В работе изложены концепция регулирования ликвидности банков и значение их инвестиционной деятельности для нормального функционирования экономики переходного периода и совершенствования управления инвестиционным пакетом, факторы, влияющие на инвестиционную деятельность коммерческих банков и их взаимосвязи. Посредством системы финансовых показателей и коэффициентов определена методология оценки эффективности деятельности банков.

В условиях экономики переходного периода указанная цель обоснована, с одной стороны, значением роли коммерческих

банков, а, с другой, определена условиями и факторами, обеспечивающими надежность и устойчивость уже сформировавшейся банковской системы. Для практического осуществления вышеуказанных вопросов, учитывая состояние и основные национально-государственные интересы страны, сформулированы конкретные пути развития и даны заключения-рекомендации.

IRAKLI KOVZANADZE

CONTEMPORARY PROBLEMS OF GEORGIAN COMMERCIAL BANKS DURING THEIR DAILY ACTIVITY

SUMMARY

The present paper is a first complex scientific monographic research on Georgian commercial banks written in the period of economic transition. It reflects the role of commercial banks in forming the banking system, in promotion bank's liability and stability, their regularities in economic development and actual theoretical issues in bank operations. It also stresses the importance of regulation of the supply of investments in commercial banks, in this line conceptual issues, the provisions of bank liability and stability vis a vis of foreign experience, factors, indicators and methods are elaborated.

The paper underlines significance of bank management in promotion of liability and sustainability of banks, sets the liquidity regulation concept, determines the importance of investment allocation in commercial banks in favorable economic conditions, defines the amelioration of bank's portfolio management, the effective factors on commercial banks and their interaction. Sets out the bank evaluation method through financial ratio.

In the case of a drastic turn to economy, the aim of the research on the one hand sets the priorities of commercial banks and on the other hand defines the provisions and factors for bank development and stability. In regard to an actual implementation of the issues, concrete ways and interpretations are provided based on the country's economic specifities and state interests.

PROBLEME DES FUNKTIONIERENS DER KOMMERZBANKEN GEORGIENS AUF DER HEUTIGEN ENTWICKLUNGSSTUFE

RESÜMEE

Die vorgelegte Arbeit ist die erste wissenschaftliche monographische Komplexforschung über die Probleme des Funktionierens der Kommerzbanken Georgiens unter den Bedingungen der Wirtschaft der Übergangsperiode, in der die Rolle der Kommerzbanken in der Festigung des Bankensystems und dem normalen Funktionieren der Wirtschaft, in der Gesetzmässigkeit ihrer Bildung und Entwicklung, theoretische Grundlagen der Handlung betrachtet sind, es wird die Notwendigkeit der Regelung der Gewährleistung der Kommerzbanken mit den Ressourcen analysiert, es werden in dieser Richtung die konzeptuellen Grundlagen, unter Berücksichtigung der Studie der ausländischen Erfahrungen, die den Zustand und die Zuverlässigkeit der Kommerzbanken bestimmenden Bedingungen, Faktore, Kennziffern und Methodik definiert, es ist die Rolle des Bankenmanagaments in der Festigung der Zusaverlässigkeit und des Zustandes der Bank begründet. Es werden auch die Konzeption der Regelung der Liquidität von Kommerzbanken definiert, die Bedeutung der Investitionstätigkeit der Kommerzbanken beim normalen Funktionieren der Wirtschaft der Übergangsperiode, bei der Vervollkommnung der Leitung des Investitionsportefuilles, die auf die Investitionstätigkeit der Kommerzbanken wirkende Faktore, ihre

Wechselwirkung bestimmt. Es ist die Methodologie der Einschätzung der Effektivität der Tätigkeit der Banken durch das System der Kennziffern der Finanzkoeffiziente bestimmt. Das erwähnte Ziel wird durch die Bedeutung der Rolle der Kommerzbanken unter den Bedingungen der radikalen Wendung zur Ökonomik, einerseits, begründet und, andererseits, sind die Bedingungen und Faktore der Gewährleistung der Verlässlichkeit und des Zustandes des schon gebildetes Bankensystems für die Verwirklichung in der Praxis der obenerwähnten Fragen. Es werden unter Berücksichtigung der Besonderheit der Ökonomik des Landes und aufgrund der nationalen Staatsinteressen konkrete Wege gezeigt, Schlüsse gezogen und Empfehlungen gegeben.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

წიგნები, მონოგრაფიები

1 ასათიანი რ. – ფული და ფულადი სისტემები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1996.

2 ბასარია რ., მესხია ი. – ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, გამომცემლობა „ფინანსები“, თბ., 1996.

3 გამსახურდია გ. – საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1995.

4 გამსახურდია გ. – ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1997.

5 გოგოხია რ. – საბაზრო ეკონომიკა, თსუ გამომცემლობა, თბ., 1996.

6 გუგუშვილი პ. – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.“ ტ. II, თსუ გამომცემლობა, თბ., 1956.

7 ეკონომიკური თეორია – ავტორთა კოლექტივი გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბ., 1998.

8 კაკულია რ. – ფინანსების ზოგადი თეორია, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამომცემლობა-სტამბა, თბ., 1998.

9 კაკულია რ., ხელაია გ. – ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2000.

10 კომპტონი ერიკ ნ. – კომერციული საბანკო სისტემის ახალი ჰორიზონტები, თარგმანი ინგლისურიდან, გამომცემლობა „ლურჯა ცხენები“, თბ., 1993.

11 მესხია ი., მურჯიკნელი მ. – ეკონომიკური რეფორმა

საქართველოში (ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები), თსუ გამომცემლობა, თბ., 1996.

12 მექვაბიშვილი ე. – სახელმწიფო და ეკონომიკა, თსუ გამომცემლობა, თბ., 1996.

13 ნიკოლაძე ნ. – თხზ., ტ. 2, გამომცემლობა „მერანი", თბ., 1960.

14 პაპავა გ. – საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, გამომცემლობა „სინათლე-90", თბ., 1991.

15 ქისტაური ლ. – ეროვნული ბანკი (ფორმირება, საქმიანობა, მომავალი), გამომცემლობა „სამთავისი" თბ., 1996.

16 ქისტაური შ., ქისტაური ლ. – საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები, გამომცემლობა „სამთავისი", თბ., 1997.

17 ქოიავა ნ. – კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, ორ ნაწილად, თსუ გამომცემლობა, 1956-1960.

18 ღუდუშაური ლ., – კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1998.

19 შევარდნაძე ე. – აღმშენებლობა, განვითარება, კეთილდღეობა, თბ., 2000.

20 შევარდნაძე კ., ჩეჩელაშვილი რ.. ჩოჩელი ვ., ხადური ნ. – საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი, გამომცემლობა „კომპანია იმპერიალი", თბ., 2000.

21 ჩანტლაძე ვ. – ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1995.

22 ჩანტლაძე ვ. – ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია, I, II, III, IV ნაკვეთები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1986-1987.

23 ჭავჭავაძე ი. – თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამომცემლობა „მერანი", თბ., 1956.

24 ჭითანავა ნ. – საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები), ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამომცემლობა-სტამბა, თბ., 1995.

25 ხელაია გ. – ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხები, გამომცემლობა „ლამპარი," თბ., 1993.

26 ხელაია გ. – ინფლაცია, როგორ ვუმკურნალოთ? გამომცემლობა „ლამპარი", თბ., 1994.

27 ხელაია გ. – ფული. ბანკები და ბირჟები, გამომცემლობა „სამთავისი", თბ., 1996.

28 Алексеев М. Ю., Миркин Я. М. – „Технология операций с ценными бумагами", Москва, издательство „Финансы и статистика", 1992.

29 „Банковская система России. Настольная книга банкира". В 3-х т./ Ред. колл. А. Г. Грязнова, О. И. Лаврушин и др./, Книга 2, Москва, издательство „ДеКа", 1995.

30 „Банковкое дело: Учебник" /Под ред. В.И.Колесникова, проф.Л.П. Кроливецкой/, Москва, издательство „Бизнес и банки", 1995.

31 Бакстер Н., Беррелл Т. – „Банковское дело – стратегическое управление", Москва, издательство „АО Консалбанкир", 1998.

32 Долан Э.Дж. – „Деньги, банковское дело и кредитная политика", Ленинград, издательство ЛФЭИ, 1991.

33 Ковалев В. В. – „Финансовый анализ. Управление капиталом. Выбор инвестиции – Анализ отчетнос-

ти", Москва, издательство „Финансы и статистика", 1996.
34 Коробов Ю. И. – „Теория банковской конкуренции", Саратов, издательство „Центр Саратовской гос. экономической академии", 1996.
35 Кох Т. – „Управлнис банком". Пер. с англ. в 5 кн. 6-и частях, Уфа, издательство „Спектр", 1993.
36 Матук Ж. – „Финсовые системы Франции и других стран". В 2-х т. Пер.с фр., т.1, в 2 кн., Москва, издательство „АО Финстатинформ", 1994.
37 Ольшаный А.И. – „Банковское кредитование. Росийский и зарубежный опыт", Москва, издательство „Финансы и статистика", 1997.
38 Панова Г. С. – „Кредтная политика коммерческого банка", Москва, издательство „ИКЦ ДИС", 1997.
39 Панова Г. С. – „Анализ финансового состояния коммерческого банка", Москва, издательство „Финансы и статистика", 1996.
40 Жуков Е.Ф. – „Деньги. Кредит. Банки", Москва, издательство „Банки и биржи, ЮНИТИ", 1999.
41 Рид Э., Коттер Ф., Гилл Э., Смит Р. – „Коммерческие банки", Москва, издательство „Космополис", 1991.
42 Роуз Питер С. – „Банковский менеджмент". Пер. с англ., Москва, издательство „Дело", 1997.
43 Севрук В.Т. – „Банковские риски", Москва, издательство „Прогресс", 1993.
44 Синки Д.Ж. (мл.) – „Управлнис финансами в коммерческих банках". Пер. с англ., 4-ое изд.

Москва, издательство „Catalaxy“, 1994.
45 Уильям Ф. Шарп, Гордон Дж. Александер, Джеффри В. Бэйли. – „Инвестиции“, Москва, издательство „Инфра – М“, 1997.
46 Шмелев А. Г. – „Продуктивная конкуренция“ Москва, издательство „Инфра – М“, 1997.
47 Максимо В. Энг, Френсис Лис. – „Мировые финансы“, Москва, издательство „Дека“, 1998.
48 Ямпольский М.М. – „Ликвидность банков и кредитная политика“, Москва, издательство „Дело“, 1992.
49 Arthur-Andersen Co Library – "Allowance for Loans Losses", 1998.
50 Berkeley David A.– "Competition and Controls in Banking" – Los Angeles, University of California press, 1968.
51 "Principles of banking" – American Bankers Association. Fourth edition, 1991.
52 "The banking System in Germany" – Cologne, 1989.
53 Tim Koller, Jack Mirrin – "Valuation. Measuring and managing the value of companies", second edition. McKinsey and Company, Inc. New York, 1994.

საკანონმდებლო აქტები:

54 კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო. თბ., 1999.

55 ეროვნული ბანკი-ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ბრძანება 194/45, 1997 წლის 8 აგვისტო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულება (ცვლილებები შეტანილია №288/72 ბრძანებით 1997 წლის 16 დეკემბრს, №156/50 ბრძანებით 1998წლის 15 ივნისს).

56 საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისო საკრედიტო რესურსების აუქციონის შესახებ", 1995 წელი (ცვლილებები შეტანილია 1997 წლის 4 სექტემბრის №46 და №55 ბრძანებით).

57 საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება 11, 1998 წლის 14 სექტემბერი, „კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში მოთავსებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნების შესახებ" (ცვლილებები შეტანილია 2000 წლის 12 მაისის №21 ბრძანებით).

58 საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება 27, 1998 წლის 15 ნოემბერი, „მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დეკადურად გამოანგარიშებისა და გადახდის წესი".

59 საქართველოს ეროვნული ბანკის დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ლომბარდული კრედიტების გაცემისა და დაფარვის" შესახებ დებულება, 1997 წლის 14 აგვისტო (ცვლილებები შეტანილია 1997 წლის 28 ნოემბერს №68 ბრძანებით).

60 საქართველოს ეროვნული ბანკის №118 ბრძანებულება „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის" დამტკიცების შესახებ, 1998 წლის 3

დეკემბერი (ცვლილებები შეტანილია 1999 წლის 27 სექტემბრის №242 ბრძანებით).

61 საქართველოს ეროვნული ბანკის №25 ბრძანებულება „საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის (ფონდის) ფულად ფორმაში მინიმალური ოდენობის ზრდის განრიგის განსაზღვრის შესახებ", 1995 წლის 29 მაისი (ცვლილებები შეტანილია 1997 წლის 31 იანვრის №5, 1998 წლის 1 ივლისის №78 და 1999 წლის 25 მაისის №124 ბრძანებებით).

62 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 28 დეკემბრის №127 ბრძანება „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელოს" დამტკიცების შესახებ.

63 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2000 წლის 9 აგვისტოს №227 ბრძანება „CAMEL-ის" სისტემის გარესაბანკო ზედამხედველობისა და ანალიზის კვარტალურად განხორციელების შესახებ".

64 საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბ., 1998.

65 საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საბანკო კანონმდებლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემა, თბ., 1998.

66 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ", თბ., გამომცემლობა „სამართალი", თბ., 1997.

67 საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ", „პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით)", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2000.

68 საქართველოს კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“, „პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით)“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2000.

69 საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით)“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2000.

70 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სამართალი,“ თბ., 1997.

71 ახობაძე თ. – ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის რეგულირება, საქართველოს ბროკერთა გილდიის ყოველთვიური საფინანსო-ანალიტიკური ბიულეტენი „ფასიანი ქაღალდების ბაზარი", თბ., 1999, №1, გვ. 15-16.

72 გამსახურდია გ., კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების საიმედოობა და მდგრადობა, „გადასახადები", თბ., 2000, №6, გვ. 62-65.

73 გამსახურდია გ. – საქართველოს საფინანსო პოლიტრკის ძირითადი მიმართულებები, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა", თბ., 1998, №10, გვ. 57-59.

74 გამსახურდია გ. – საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, „ეკონომიკა", თბ., 1994, №№9-12.

75 „ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 1996", საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 1997.

76 „ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 1997", საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 1998.

77 „ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 1998", საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 1999.

78 „ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 1999", საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2000.

79 ველდე მიშელ ვანდე – საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვა საქართველოს კომერციულ ბანკებში, „ბანკი", თბ., 2000, №1, გვ. 38-42.

80 თუთბერიძე გ. – კომერციული ბანკების კაპიტალის საკმარისობის საკითხისათვის, „ბანკი", თბ., 2000, №1, გვ. 18-22.

81 კაკაბაძე ვ. – საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი და წინადადებები მისი სრულყოფის შესახებ, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, თბ., 1999, № 7-8, გვ. 23-25.

82 კაკულია მ., ასლამაზაშვილი ნ. – დოლარიზაცია საქართველოში. მასშტაბები, ფაქტები, დაძლევის გზები, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემის ფორმირების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, თბ., 2000, ტ. IV, გვ. 47-58.

83 კაკულია რ., მურღულია თ. – გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემის ფორმირების შესახებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, თბ., 1999, ტ., III, გვ. 128-137.

84 კოვზანაძე ი. – ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, თბ., 2000, №4, გვ. 18-21.

85 კოვზანაძე ი. – ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების პრობლემა საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, თბ., 2001, XV გამოშვება, გვ. 80-91.

86 კოვზანაძე ი. – ვიდრე პროფესიონალიზმი ყველა სფეროში ნორმა არ გახდება, არაფერი გვეშველება, „ბანკები და ფინანსები“, თბ., 1998, №№38-39, გვ. 4-5.

87 კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების ლიკვიდობის

რეგულირება, „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2000, №1, გვ. 94-106.

88 კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის მეთოდების სრულყოფა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, თბ., 2000, XII გამოშვება, გვ. 102-111.

89 კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, თბ., 2000, XII გამოშვება, გვ. 93-102.

90 კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების როლი საბანკო სისტემის განმტკიცებაში, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, თბ., 2000, №№ 7-8, გვ. 51-52.

91 კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების საიმედოობა და მდგრადობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, თბ., 2001, XVI გამოშვება, გვ. 50-56.

92 კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების დახასიათება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, თბ., 2000, XIII გამოშვება, გვ. 96-108.

93 კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფის პრობლემები საქართველოში, „ბანკი“, თბ., 2000, №4, გვ. 20-26.

94 კოვზანაძე ი. – კომერციული ბანკების ფუნქციონირებ-

ის სრულყოფის საკითხები, „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2001, №1, გვ. 101-109.

95 კოვზანაძე ი. – საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, თბ., 2000, №3, გვ. 22-25.

96 კოვზანაძე ი. – საინვესტიციო პორტფელის მართვის სრულყოფის გზები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, თბ., 2000, XIII გამოშვება, გვ. 83-95.

97 ლორთქიფანიძე ვ. – მთავრობა გადასახადების შემცირებისა და გამარტივების მომხრეა. „ალია“, თბ., 2000, №57(856), გვ. 3-4.

98 ლომიძე დ., რუსია დ. – ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, თბ., 1998, №18, გვ. 2-18.

99 მესხია ი. – რეალური სექტორის აღორძინება-განვითარება – ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, თბ., 1999, №№11-12, გვ. 28-30.

100 მესხია ი. – საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებული, „გარდამავალი პერიოდის საფინანსო-კვლევითი პრობლემები საქართველოში“, თბ., 1999, ტ. I, გვ. 9-46.

101 მელია მ. – რას მალავენ ბანკები, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, თბ., 2001, №3, გვ. 5-6.

102 მანაგაძე ი. – საქართველოს საბანკო სისტემა XXI საუკუნის მიჯნაზე, „ბანკი“, თბ., 2000, №1, გვ. 3-8.

103 მექვაბიშვილი ე. – ეკონომიკური ზრდისა და გლობალიზაციის ზემოქმედება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე საქართველოში, „ბანკი“, თბ., 2000, №2, გვ. 3-7.

104 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა“, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, თბ., 1996.

105 „საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები,“ ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, კვარტალური მიმოხილვა, თბ., 2000, №1.

106 საქართველოს ეროვნული ბანკი – „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი“, თბ., 2000.

107 საქართველოს საბანკო სისტემის რეტროსპექტული მიმოხილვა 1994-1999 წლები, თბ., 2000, გვ. 24-48.

108 სიამაშვილი პ. – საქართველოში ფასიანი ქაღალდებისა და მათი მიმოქცევის მარეგულირებელი ზოგიერთი ნორმატიული აქტის მიმოხილვა, საქართველოს ბროკერთა გილდიის ყოველთვიური საფინანსო-ანალიტიკური ბიულეტენი „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“, თბ., 1999, №1, გვ. 23-26.

109 სიჭინავა მ. – პრივატიზაცია-მოკლე გზა, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, თბ., 1999, №6, გვ. 25-26.

110 ფაცურია ნ. – სსფ-ის ახალი მისია და საქართველოს ეკონომიკის პრობლემები, „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, თბ., 2000, №6, გვ. 24-26.

111 შათირიშვილი ჯ., ლიტვინოვი ი. – აუდიტორული საქმიანობის სრულყოფის აქტუალური საკითხები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებული, „გარდამავალი პერიოდის საფი-

ნანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, თბ., 1999, ტ. III, გვ. 79-93.

112 შათირიშვილი ჯ. – საბანკო რეფორმის სრულყოფის აქტუალური საკითხები, ჟურნალი „მაცნე“ (ეკონომიკის სერია), თბ., 1997, ტ. V, №№3,4, გვ. 29-41.

113 შევარდნაძე ე. – ტრადიციული რადიოინტერვიუ, გაზეთი „რეზონანსი“, 17 ნოემბერი, თბ., 1999, გვ. 1.

14 ხელაია გ., ბეჟიტაშვილი დ. – კომერციული საბანკო სისტემის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, თბ., 1999, ტ. III, გვ. 137-144.

115 Вестник Региональной Группы Базельского Комитета по Банковскому Надзору Государств Закавказья и Центральной Азий, Тбилиси, 2000, №12, с. 18-30.

116 Ковзанадзе И. – „Вопросы создания эффективной системы управления банковскими рисками“, „Деньги и кредит“, Москва, 2001, №3, с. 49-53.

117 Ковзанадзе И. – „Контроль за деятельностью коммерческих банков“, „Финансы“, Москва, 2000, №10, с. 70-71.

118 Ковзанадзе И. – „Некоторые вопросы развития конкурентной среды банковского рынка“, „Банковское дело“, Москва, 2001, №4, с. 41-43.

119 Ковзанадзе И. – „О системе финансовых коэффициентов комплексной оценки деятельности коммерческих банков“, „Georjian engineering news“, Тбилиси, 2000, №3, с. 173-179.

120 Ковзанадзе И. – „Развитие конкурентной среды банковского рынка“, „Аудитор“, Москва, 2000, №12, с. 30-32.

121 Ковзанадзе И. – „Современные подходы к проблеме развития и обеспечения устойчивости банковской системы“, «Бухгалтерия и банки», Москва, 2000, №12, с. 4-8.

122 Мехряков В. – „Банковская система в России, текущая ситуация и проблема развития“, „Вопросы экономики“, Москва, 1995, №11, с. 11-15.

123 Москвин В.А. – „Надежны ли крупные банки“, „Бизнес и банки“, Москва, 1996, №36, с. 10-13.

124 Провкин И. Ю. – „Инвестиции в реальный сектор экономики: роль банков“, „Деньги и кредит“, Москва, 2001, №3, с. 44-47.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ელიზბარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ნ. მაჭავარიანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.02.01
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,5
სააღრ.-საგამომც. თაბახი 16,69
შეკვეთის №85 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა: გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 112

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 14